

სარკე



რეზიკო:
„დამარცხებას ველოდი
და ამან გააქლიერა“

**რატომ ვერ ამჩნევდა
დათო ფორჩხიძე
რეზიკო დიდაბაშვილის ნიჭს**

დათო:
„რეზიკოს
გამო
16 კილო
დავიკელი“

გვ. 6



გვ. 10

**რატომ ასწავლა
ზაზა ფარულიამ სოფლს
დათეობაზე ნასვლა**

**რატომ
იყო
შვილი
ნაყენი
ირაკლი
ჩარკვიანაზე**



გვ. 30

დათო საბანელიძე:
„სოფო
ზოგჯერ
მიჯაპრდება,
ბავშვივით
იქცევიო“



გვ. 26



გვ. 76
**გეგმა
ფულანდიშვილი:**
„გვერად რთულია
აღვიანებს უყვარდა,
ვიღრე გავდა
პოპულარული“



გვ. 14

**ეკას
ოჯახის
დანგრევას
ვე გავგებით
შეხვედლი,
ჩემი ქმარი
— გუგუბრაძე“**

**ეკა
ბესელიას
21-ე
საუკუნის
დედა
კვანს**



გვ. 23

**სოფო
გალოვანი:**
„ვერცხვიზის
ორგანიზაციის
ინსპექტორი, რომ
არც ერთი ქულა
მიგველო“

სარკე
+
**„სოფლიო
ლიტერატურის
ბიბლიოთეკა“**
მე-3 ტომი
**პოპაროსის
„ოდისეა“**
ფასი ჟურნალთან ერთად
10 ლარი



მორჩენება, რომელმაც ჯაჟის ქურაზე სხლი დაწყველა, თაღლითი აღმოჩნდა გვ. 24

ზოგჯერ ბანარის კი ვერ უძლებს...



პერსენი®, პერსენ ფორტა® კატაბალასა, პიტნა, ბარამბო



1/697/GE/23.04.2013

 **SANDOZ**
a Novartis company

თბილისი, გ. ტაბიძის ქ. №18;
ტელ.: 298 27 30, 298 27 50

გაუფრთხილდით ნერვებს!

**პერსენი, პერსენ ფორტა არ იწვევენ მიჩვევას
და არ ახასიათებთ მოხსნის სინდრომი**

გამოყენების ჩვენება: გადატვირთული გონებრივი მუშაობა, ნერვული
დაძაბულობა, მოუსვენრობა, მომატებული აგზნებადობა, უძილობა

დოზირება: პერსენ ფორტა მოზრდილებში და ბავშვებში 12 წლის ზემოთ:
2 კაფსულა ერთ მიღებაზე

პერსენი ბავშვებში 3 წლიდან 12 წლამდე*: 1 ან 2 ტაბლეტი 2-ჯერ დღეში

* მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ

გამოყენებისას გაცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

ფაქტობრივი	
რატომ ვერ ამჩნევდა დათი ფორმის რეზინო დიდებულნიქის ნიქს	6
აქტუალური თემა	
■ რამაზ საყვარელიძის სექსუალური უმცირესობის დამცველები უნიკონი	8
■ ვის და რატომ გაუხარდა თამარ ივერის კონცერტის გაუქმება პარიზის ოპერაში	9
ოჯახური პორტრეტი	
როგორ ასწავლა ზაზა ფაჩულიამ ცოლს დათმობაზე წასვლა	10
გულანდობილი საუბრები	12-13
მათი მშობლები	
ეკა ბესელიას 21-ე საუკუნის დედა ჰყავს	14
პოლიტიკა	
■ ირაკლი ბათიაშვილი: „მარგველაშვილი სიმბოლური პრეზიდენტი იქნება, ბურჯანაძე — პოლიტიკურად გამოსცდილი“	16
■ მამუკა არეშიძე: „რუსეთის ძლიერი მიზეზი გაუჩნდა, საქართველოსთან უფრო გამკაცრდეს, ვიდრე დათბეს“	17
■ ირაკლი სესიაშვილი: „რუსეთის დიპლომატიურ სწრაფი არ წამოგვყვებით“	19
განმარტებული საქმე	
■ გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში ახალი მსოფი დავითხვას ითხოვს	20
■ ოჯახური დრამა — მამამ შევილი მოკლა	21
საქონლურ ვნებები	
■ საღობე ქათამაძე: „აუცილებელი არ არის, სცენაზე „ნაშასავით“ გამოიყურებოდე“	22
■ სოფო გელიოვანი: „ეკონომიკის ორგანიზაციებში ისურვეს, რომ არც ერთი ქელა მიგველო“	23
ჭირი და სინამდვილე	
მთვინეობა, რომელმაც ჯავის ქუჩაზე სახლი დაწყვედა, თაღლითი აღმოჩნდა	24
სმორკების გაკვეთილები	
დავით სავანელიძე: „14 ადამიანი დადის თბილისში, ვისაც ქირურგმა დათი სავანელიძემ 7 ორგანო ამოიღო“	26
მოზარდები	28-29
დედაები და შვილები	
■ რატომ იყო შევილი ნაწყენი ირაკლი ჩარკვიანი	30
■ ვასილ ივანოვი-ჩიქოვანს ხსენებ ჩახაფრებული კრიტიკოსი ჰყავს	31
სამზარეულო	
დინი ვინსაბადის კულინარიული იმპროვიზაციები	33
მეორე ნახევარი	
რისი ეშინია გამუდმებით ქართველი ფეხბურთელის მოდელ ცოლს	36
ავტომოთხარული	
ჯაბა კილაძის პატარა მანქანების ფობია აქვს	37
სარკის წინ	
ქეთესია ივანოვი: „ქმარი არაფერს იშურებს, რომ კარგად გამოიყურებოდე“	38
სმორკება ჩამოღებაზე	
ვის და რატომ დაეკარგა ესპანეთში რუსუდან ბოლქვაძე	43
მეზუარი	
კაპრი — კურორტი ანტიკური ხანიდან	45

უხსროსი ქაჯი	
რა ხდება იქ სადაც ცხოველებს წამებით კლავდნენ	46
გმლოვ ქალაქისთვის	48
დედიკოების სკოლა	49
ჩვენი მშენიარე ლედი	
ავთო ვარსიმაშვილი: „ჩემმა ცოლმა ოჯახის გამა პიანისტობაზე უარი თქვა“	50
სმორტის მიღება	51
ადამიანის ინსტიტუტი	52
სმტ-სმტა ყველაფერზე	53

როგორ შეხვალა მარიტა როხვაძის სმორკება 21 კილოგრამის დაკლება

„მაღლობა „სარკის“, რომ მომეცით საშუალება, სიმართლე საჯაროდ ვთქვა!“



ახლაგაზრდა მომღერალ მარიტა როხვაძის-თვის 2011 წელი გამოჩენილი იყო. ამ წელს ის ჯგოსტარი გახდა და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, ოლონდ უკვე საკუთარ თავზე — ზედმეტი 21 კილო წარსულს ჩააბარა. ახლა ისეთ ფორმაშია, თუ კარგად არ დააკვირდები, ვერც კი იცნობთ, რომ თქვენ წინაშე ის პუტკუნა გოგონაა, რომელსაც მაყურებელი მთელი სამი თვის განმავლობაში გულშემატკივრობდა და ტურიდან ტურში გადამყავდა.

მარიტა ამბობს, რომ ახლა სხვა ადამიანია, უფრო ლალი და ბედნიერი. მართალია, ორი წლის განმავლობაში მუსიკალური კარიერის თვალსაზრისით წინ ვერ წაინია, მაგრამ მომავალს იმედით უყურებს. ელოდება იმ დროს, როცა პროექტში პრიზად მოგებულ სოლო ალბომს ჩაწერს. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ბოლო დროს გავრცელდა ხმა, რომ მისი და ზურა ნიქაბაძის სამწლიანი სიყვარული დასრულდა. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს, ნაიკითხეთ „სარკის“ 34-ე გვერდზე.

შეხილი. შეხილი. შეხილი მსოფლიო	54-55
სახლისო	56-57
იყავით ჯანმრთელი	58-59
ქალური მოთხრობები	
■ თინათინ ბონი — „ეფთორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-22)	66
■ ლელა ცუცქერიძე — „წერილი“	68
წინდაწინ	
თუ ღმერთი უხმებს ჩვენს თხოვნას, მაშინ აღარაფრის უნდა გვეშინოდეს	72
კითხვები მოქალაქის	
„სხვათა გამოსწორების სურვილის ძირი სმირად ამპარტყანება“	73
მართა ხალისუფლება	
■ „რუსთავი 2“-ის ბოლო თინეჯერული დაბადების დღე	76
■ რა უნდა იცოდეს კახი კალაძის პრესმდივანმა ირაკლი გაფრინდაშვილმა	77
ხალსაქმე	78

ვანო მერაბიშვილი სახელმწიფო სამსახურის სამსახურის სამსახურის



ვანო მერაბიშვილი

ენ. მატროსოვის ციხეში მჯდარი ყოფილი პრემიერმინისტრი ვანო მერაბიშვილი თანაპარტიელმა, საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერმა გიგი წერეთელმა მოინახულა. ციხიდან გამოსულმა წერეთელმა საზოგადოებას აუწყა, რომ ნაციონალური პარტიის გენმდივანი თავს კარგად გრძობს და ციხის ადმინისტრაციასთან პრეტენზია არ აქვს, გარდა ერთისა, მის საკანში ტელევიზორი არ არის და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე სრულ ინფორმაციას ვერ ფლობს.

გიგი წერეთლის თქმით, ის მერაბიშვილს რამდენიმე საკითხზე ესაუბრა, მათ შორის — საპრეზიდენტო კანდიდატობაზეც. როგორც დეპუტატი აცხადებს, ეს საკითხი ღიად რჩება და საბოლოო გადაწყვეტილებას მერაბიშვილი პარტიასთან შეთანხმებით მიიღებს.

რაც შეეხება ტელევიზორის არქონას, ნაციონალები დახმარებისთვის სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიმართავენ.



თია ნალუკიანი

უხსოვლობის საზოგადოებრივი საქართველოს ინტერესებს მოაზრება

უსტიციის მინისტრი თია ნულუკიანი აცხადებს, რომ საქართველო უცხოელებისთვის ლიბერალურ სავიზო რეჟიმს გადასცემს. უკვე შემუშავდა კანონპროექტთა პაკეტი, რომელიც სწორედ საქართველოში უცხოელების სამართლებრივ მდგომარეობას შეეხება.

— აქამდე საქართველოს საემიგრაციო პოლიტიკა არ ჰქონდა, ამიერიდან კი ქვეყანა გადადის ეპოქაზე, რომელსაც მიგრაციის პოლიტიკა ეწევა. ჩვენ გვექნება მკაფიო მიდგომა იმ უცხოელებისადმი, რომლებიც შემოდის და სხვადასხვა მიზნით საქართველოში რჩებიან. ვიზების კატეგორიები განახლება, შეიცვლება და შინაარსობრივად იქნება გააზრებული. გადაიხედება ლიბერალური სავიზო რეჟიმიც. თუ აქამდე კანონი არეგულირებდა იმ ქვეყნების სიას, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შეეძლოთ, ამიერიდან ამ ჩამონათვალს საქართველოს მთავრობა დაადგენს. საკანონმდებლო ჩარჩო იქნება ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესზე მორგებული. იგი დაიცავს ასევე შრომის ბაზარს და როგორც უცხოელების, ასევე ქართველების სამენარმოე საქმიანობას საქართველოში, — აღნიშნავს ნულუკიანი.

უსტიციის მინისტრის ინიციატივა ნამდვილად დროულია, თუ ახლო აღმოსავლეთიდან მიგრაციას გავითვალისწინებთ. ურიგო არც ის იქნებოდა, სამენარმოე მინის უცხოეთის მოქალაქეებზე მიყიდვებზე დაენახებინათ გარკვეული შეზღუდვა.

ბაჩო ახალაია სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვა

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ სასამართლო სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვა და ადვოკატების მომსახურებაზეც უარი განაცხადა. ახალაიას თქმით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი მოსამართლის ტენდენციურობა გახდა.

— სხდომებზე სრულყოფილი დაცვის საშუალება არ მეძლევა, — განაცხადა პროცესის მიმდინარეობის დროს ბაჩო ახალაიამ. სასამართლო სხდომაზე სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბაჩო ახალაიას ადვოკატთა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების შესახებ. ყოფილი მინისტრის განცხადებით კი, მისი საქმის განმხილველი მოსამართლე მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

— გილოცავთ, ბატონო პროკურორებო! თქვენს პოზიციებს მოსამართლე კიდევ უფრო ამყარებს. თქვენ მიზანმიმართულად უზღუდავთ დაცვას უფლებებს. მინდა, გითხრათ თქვენ და მთელ საზოგადოებას, რომ საქმე, რომელიც ახლა არის წარმოდგენილი, შეეხება არარსებულს, ეს არის ჩვენი მტკიცე შეფასება. აქ არ არსებობს პირდაპირი, უტყუარი მტკიცებულებები. საქმე მთელი თავისი შინაარსით გულისხმობს იმას, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს, უპირველეს ყოვლისა, თავისი შინაგანი რწმენის შესაბამისად. მე საფუძვლიანად შეპარება ეჭვი თქვენს შინაგან რწმენაში, მიუკერძოებლობასა და ობიექტურობაში, ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, საერთოდ არ მივიღო ამ პროცესში მონაწილეობა. თქვენ ხართ მიკერძოებული. ზუსტად არ ვიცი, მომავლის თუ რისი შიშით, მაგრამ პროცესის მსვლელობისას თქვენ ვერ იქნებით მიუკერძოებელი. არც მე ვიქნები ამ პროცესებზე და არც ჩემი წარმომადგენლები იქნებიან აქ. მე არავის ვარიდებ თავს, რადგან სხვა პროცესებზეც მაქვს და მათ ჩვეულებრივ დავუტრენობ, — განაცხადა ახალაიამ და განმარტა, რომ მოსამართლე გიორგი განაძეზე თვალსა და ხელშეა გადაიტყდა მეოთხე პროკურორად.



ბაჩო ახალაია

— მოსამართლის უკანონო ქმედებები გახდა იმის მიზეზი, რომ ბაჩო ახალაიამ პროცესი პროტესტის ნიშნად დატოვა. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს არ სურს მასკარადში მონაწილეობა. წინა სხდომაზე პროკურატურამ ისეთი მოწმე დაკითხა, რომელიც სიაში საერთოდ არ ყოფილა. მოსამართლემ კი ბრალდების მხარეს ამის უფლება მისცა. ეს უდიდესი დარღვევაა. ამასთან, ჩვენ საშუალება არ გვეძლევა, შუამდგომლობები დავაყენოთ. მაგალითად, მოსამართლის აცილება გვინდოდა შუამდგომლობის დაყენება. თავდაპირველად მოსამართლემ ამის საშუალება არ მოგვცა, შემდეგ დავაყენეთ და მას არც უმსჯელია, არც განუხილავს და არც დაგვიკმაყოფილა. ამის შემდეგ ბაჩო ახალაიამ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა და განაცხადა, რომ სხვა პროცესებზეც არ ივლის და მხოლოდ დასკვნით სიტყვაზე გამოცხადდება. ასევე, ახალაიამ უარი განაცხადა ადვოკატების მომსახურებაზე, რადგან, მისი თქმით, ადვოკატებს დაცვის საშუალება მაინც არ ეძლევათ, — განაცხადა ადვოკატმა ველიჯანაშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნულ საქმეზე ახალაიას ინტერესებს სახაზინო ადვოკატი დაიცავს, სხვა ბრალდებებზე კი ადვოკატები ახალაიას დაცვას ჩვეულებრივად გააგრძელებენ.

ბრალდების ამ ეპიზოდში საქმე ეხება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას და თავისუფლების აღკვეთას.

სარკე ქარნალი გაოცდნ 1998 წლის 23 იანვარიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

შპს „სარკე“
მადია სანაია
ვაჟა შანგელია

რედაქციაში შეზღუდული მასალები არ რეკონსტრუირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ავებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეთანხმებულად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მონაწილეობაში — ორინე მჭედლიძე, ორმა გოგინაძე, ათო ჩიტოძე.

პრობლემა — მანანა გვგია. საზოგადოება, სახმართალი, შრომობრუნის — ორინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოღია, ათო ჩიტოძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლეონიძე, თათია ბოჭორიძე, მამია მამიაშვილი — ახა გავრთიძე, ნათია ტოტიასშვილი. შრომ — ქეთი ყარბილიშვილი. მხარგრძობი — ქეთი ხარბიშვილი. მონაწილეობაში მონაწილეობა: დაკაბდონება — ორმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ავტორი — მარინა ჟენტი, მათა ფიფია. კორექტორი — ლანა გაბუნია, მათა ფიფია. სარედაქციო სამსახური — მამია ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru მდებარეობა — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.

ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU მისამართი: SANA.GE

აპატურაი გვირღვრა: „საქართველო ნაბო-ს ნაპრი გახლება!“

სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი მოხარულია, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება კვლავ განაგრძობს ძველი მთავრობის მიერ წამოწყებული რეფორმების განხორციელებას.



■ ჯეიმს აპატურაი

— მეორედ მიხდება ნატო-ს კვირეულის გახსნა საქართველოში. თქვენმა ქვეყანამ მყარი და უწყვეტი პროგრესი განიცადა რეფორმების განხორციელების კუთხით, ეს ეხება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებასაც, მოხარული ვარ, რომ ახალმა ხელისუფლებამ ის თემები წამოსწია, რაც წინა მთავრობას გამოეჩა და კვლავ განაგრძობს რეფორმების განხორციელებას. კარგია, რომ ნატო-სკენ სვლის მიმართ ქვეყანაში თანხმობა არსებობს და ეს პარლამენტმა დაამტკიცა, როდესაც ამ საკითზე გადაწყვეტილება მიიღო. ნატო ერთგული რჩება საქართველოსი, ძალაშია ბუქარესტის გადაწყვეტილება, რომ თქვენი ქვეყანა ალიანსის წევრი გახდება, — განაცხადა აპატურაიმ ნატო-ს კვირეულის გახსნაზე.

დასავლეთი თურქეთი ირღოლანს აუჯანყდა

თურქეთი ანტისამთავრობო გამოსვლებმა მოიცვა. მოსახლეობა ერდოლანის მთავრობის გადადგომას მოითხოვს. განსაკუთრებით აქტიურობდა დასავლეთ თურქეთის დიდი ქალაქები და, საერთო ჯამში, ანტისახელისუფლებო გამოსვლა 67 ქალაქში დაფიქსირდა.

პოლიციასთან ყველაზე სასტიკი შეტაკება სტამბულის ცენტრში, ბემქითაშის რაიონში მოხდა. დემონსტრანტებმა ბარიკადები მოაწყვეს, პოლიციამ კი მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენა. მომიტინგეებმა პრემიერმინისტრ რეჯეპ ტაიპ ერდოლანის რეზიდენციისკენ მიმავალი გზებიც კი გადაკეტეს და შენობასთან მიახლოებას ცდილობდნენ, მაგრამ პოლიციამ მათ ხელი შეუშალა.

ქალაქ იზმირში ოპოზიციის წარმომადგენლებმა მმართველი პარტიის ოფისი ასაფეთქებელი ნივთიერებებით სავსე ბოთლები ესროლეს, რამაც შენობაში ხანძარი გააჩინა.

პროტესტის ტალღამ გადაურა თურქეთის დედაქალაქ ანკარასაც. იქ პოლიციამ შტურმით აიღო სავაჭრო ცენტრი, სადაც, მათი ინფორმაციით, მომიტინგეები იმყოფებოდნენ. სავაჭრო ცენტრში ასობით პირი დააკავეს.

ოფიციალური ინფორმაციით, ათასობით ადამიანია დაკავებული, ხოლო პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მომხდარი შეტაკებების დროს რამდენიმე ათეული მოქალაქე და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელი დაშავდა. თურქ მედიკოსთა ასოციაციის განცხადებით კი, ასეულობით მომიტინგეა დაზარალებული. ვრცელდება ინფორმაცია რამდენიმე გარდაცვლილზეც.

ერდოლანი პოლიციის მხრიდან ძალის გადაყენების მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებზე საუბრობს, არადა სამართალდამცავებმა საპროტესტო აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და წინააღმდეგობის სპრეი გამოიყენეს.

დემონსტრაციები თურქეთში მაისის ბოლოს დაიწყო სტამბულისა და იზმირში გამოსვლის მიზნით თავიდან ტაქსიმის მოედანზე მდებარე სკვერის ტერიტორიაზე სავაჭრო ცენტრის მშენებლობა გახლდათ. მაშინ პოლიციამ ცრემლსადენი გაზის გამოყენებით მიტინგი დაშალა.

ამბოხებულმა მოსახლეობამ ყველა ის ცოცხალი გაუხსენა ერდოლანს, რომელიც მის მმართველობას ახლდა და მანამდე ამაზე ლაპარაკს ვერ ბედავდნენ. ერთ-ერთი მთავარი ბრალდება გავრცელებული თურქეთის ისლამისკენ შემობრუნებაა, რასაც ძნელად ეგუება დასავლეთ თურქეთი. პოლიტიკურ ფაქტორს ეკონომიკური პრობლემებიც ემატება — ბოლო წლებში თურქული ლირა კატასტროფული სისწრაფით განიცდის დეფლაციას.

ამერიკის კაცად ცნობილ ერდოლანს, რომელიც მთავრობაში ოსმალური იმპერიის აღდგენის ოცნებით მოვიდა და დიდი როლი ითამაშა სირიის კონფლიქტის გადავიებაში, საკუთარი მოსახლეობა დიქტატურის დამკვიდრებაში უკვე ღიად ადანაშაულებს. ერდოლანი კი საპროტესტო აქციებს ექსტრემისტული ძალების მიერ ინსპირირებულს უწოდებს და მიიჩნევს, რომ მას არაფერი აქვს საერთო სტამბულში ერთ-ერთ პარკში დაგეგმილ მშენებლობასთან.

პორნოგრაფიის აქტიურობა „ტოპ-გოგოს“ ეგვიპტელებმა ათლიანი საგზური აჩუქეს

„ისიც კი იხიოხეს, ეგვიპტეში სამხეჩხო ობიექტები ხომ ახ გვეონდა გადალებუნი...“

ართული სატელევიზიო ფეშენშოუს „ტოპ-გოგოს“ ლამაზმანები, რომლებიც ტელეპროექტის შემადგენლობასთან ერთად გადალებებზე ეგვიპტეში, კურორტ ჰურგადაში იმყოფებოდნენ, სკანდალში გახვეული აღმოჩნდნენ. ეგვიპტური საინფორმაციო საიტის „ალ-მასრი ალ-იაუს“ ცნობით, ეგვიპტის სანაპირო დაცვამ ათი უცხოელი დააკავა, რომლებიც ჰურგადასთან ახლომდებარე კუნძულ-ნაკრძალზე პორნოფილმის გადაღებაში მონაწილეობდნენ. მოგვიანებით ისიც გახდა ცნობილი, რომ ეს უცხოელები ქართველები იყვნენ და თანაც ტელემოუ „ტოპ-გოგოს“ მონაწილეები.

ეგვიპტური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, შიშველი ქალები და მამაკაცები უშუალოდ პორნოფილმის გადაღებისას ეგვიპტის საზღვაო დაცვის პატრულმა შენიშნა. ქართველები მაშინვე დააკავეს, პოლიციაში მათი გადაღებული ვიდეომასალაც გამოფრეს და აღმოაჩინეს, რომ ისინი ცდებოდნენ. ამ გაუგებრობაში მამწვე ჩაერთო საქართველოს ელჩი ეგვიპტეში, სირიასა და ტუნისში არჩილ ძულიაშვილი, სიმართლე გაარკვია და ეგვიპტის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა.

ის, რაც სასაზღვრო პატრულს პორნოფილმის გადაღებად მოეჩვენა,

სინამდვილეში „ტოპ-გოგოს“ მორიგი ეპიზოდის გადაღება იყო. შვიდი ლამაზმანი, რომელთა შორის ქართველებთან ერთად რუსეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების მოქალაქეებიც იყვნენ, ფოტობიექტივების წინ საცურაო კოსტიუმებში პოზირებდნენ. მათ რამდენიმე საათი მოუწიათ პოლიციის განყოფილებაში ყოფნა და შემდეგ დიდი ბოდიშებით გაათავისუფლეს.



პროექტ „ტოპ-გოგოს“ გადაღები ჯგუფი ეგვიპტეში კიდევ ათი დღე დარჩება — არმედგარი პორნოკანდალის გმირები ეგვიპტის ტურისტების სამინისტრომ ათ-ღლიანი დასვენების საგზურით დაასაჩუქრა. ისინი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროში მორალური ზიანის საფასურად დაისვენებენ.

სკანდალის შესახებ „სარკეს“ „ტოპ-გოგოს“ პროდიუსერმა გიორგი კიკალიშვილმა უამბო:

— ეს ამბელა აჟიოტაჟი ვილაცებების უგუნურობის გამო ატყდა. თვითონ ეგვიპტელებიც შეძრწუნებულები არიან, რომ ასეთი შეცდომა დაუშვეს. ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით გვიწოდდა, გადაცემის მონაწილეები ეგვიპტის სანაპიროზეც გადაგველო. ჩვეულებრივი ფოტოსესია გახლდათ, როგორც ჩვენს გადაცემაში ხშირად გადის. ეს იყო ვილაც ავადმყოფური აზროვნების ეგვიპტელი სამართალდამცავის ფანტაზიის ნაყოფი. როცა გადაღებულმა მასალა ნახეს, დაწმუნდნენ, რომ ჩვეულებრივი მადური ფოტოსესია იყო და არავითარი პორნოფილმი. შემდეგ კიდევ უფრო იდიოტური კითხვების დასმა დაიწვეს, შემთხვევით ეგვიპტეში სამხედრო ობიექტები ხომ არ გვეკონდა გადაღებული. რამდენიმე საათში სამართალდამცავები მიხვდნენ თავიანთ დანაშაულს და აღიარეს, რომ შეცდომა მოუვიდათ. ის ორი პოლიციელი, რომლებმაც ამ ფოტოსესიის მორალურ მხარეში შეიტანეს ეჭვი, საჯაროდ დასაჯეს, ოფიციალური ბოდიში მოახდინეს და სასახურს მცირე ხნით ჩამოაშორეს. ეგვიპტე ძალიან ცდილობს, ტურისტულ სფეროში ლიდერის პოზიციაზე იყოს და ამიტომ ასეთი შეცდომები ხელისუფლებას ძალიან არ მოსწონს.

— რატომ ჩათვალეს, რომ პორნოფილმს იღებდით? გვიჩვენებ შედეგად ხომ არ იყვნენ გამწვლულები?

— გადაცემის ფორმატი არ არის ისეთი, რომ პროექტის გოგონები ჩიტიკობებში გამოწყობილები გადავილო ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს აუზში. თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში მოდური ფოტოსესია რატომ უნდა იწვევდეს კითხვებს, არ მესმის. ძალიან ლამაზი კუნძულია, ისეთი, როგორც რეკლამებში გვინახავს. ამიტომ გაგვიჩნდა სურვილი, რომ იქ მოგვეწყო ფოტოსესია. ჩვენ ვერაფერს გადავიღებდით ისეთს, რასაც „რუსთავი 2“-ის ეთერში ვერ გავუშვებდით. ჩვენ რომ მართლა რაიმე სახის შეტება გვეკონდა არაკანონიერებასთან, მერწმუნეთ, რომ იქ ვერაფერს გახვდებოდით, რადგან ეგვიპტური მართლმსაჯულება ძალიან მკაცრია. გული მწყდება, რომ თვდაპირველად საქართველოშიც დამაინფერებულად გავრცელდა ინფორმაცია, არავინ შეეცადა მის დადამონებებს.

რატომ ვერ ამჩნევდა დათო ფორჩხიძე რეზიკო დიდაბაშვილის ნიჭს

ხუბიკო: „დამახცხებას ველოდი და ამან გამაძლიერა“



რეზიკო და დათო

დამიხადეთ და თქვენს შვილებსაც ასეთებად ვაქცევ-მეთქი. რომ არა რეზიკო, ჩემი მთავარი მიზანი ღირსეულად დამარცხება იქნებოდა. თურმე მხოლოდ ამერიკაში მოხდა ასეთი რამ, რომ ერთი და იმავე მწვრთნელმა ზედიზედ ორჯერ მოიგო. მეგობრები მეუბნებოდნენ, ესპანეთის ნაკრები ხარო, მაგრამ მე კი არა, რეზიკოა ჩემიონი! სალომე ქათამაძის გამარჯვებაშიც სერიოზული წვლილი რეზიკომ შეიტანა (რეზიკო პროექტში „ახალი ხმა“ სალომეს ბექეცკალისტეს შორის იდგა. ავტ.) და ეს გამარჯვება ალალია ამ ბავშვზე!

დათო: „ხუბიკოს გამოძლიან ვინეხვიეუ. 16 კილო დავიყეი“.

3 როექტი „ახალი ხმა“ უკვე მეორედ დათო ფორჩხიძის გამარჯვებით დასრულდა. ამჯერად უმცროსი თაობის წარმომადგენელი, 13 წლის რეზიკო დიდებაში გახდა ხალხის ფავორიტი, რომელსაც პრიზად ამერიკაში გამგზავრება და იქ სტუდიაში ალბომის ჩანერა ერგო. ფინალში მისი სიმღერა შევირდისა და მწვრთნელის ნამდვილი ტრიუმფი იყო. არადა თურმე სულ პირველად, ამ კონკურსამდე დიდი ხნით ადრე, როცა დათომ რეზიკო გაიცნო და მოუსმინა, განსაკუთრებული ყურადღება არც მიუქცევია. მაშინ რა იცოდა, რომ მის წინ პატარა ტრიუმფატორი იდგა.

როგორ გაიარეს გზა გამარჯვებამდე, როგორ დაძლიეს ეჭვები და შიშები, მწვრთნელი და მოსწავლე „სარკეს“ ერთად უამბობენ.

— რეზიკო, გილოცავთ გამარჯვებას! ფინალის დროს დარბაზში მსხდომებზე და ტელემაყურებლებზე მოწვეუბა ვასდნენ, როგორ ელოდი შედეგის გამოცხადებას. მთელი ემოციები სასწივე გვეყრთ. რა შეგრძნება გქონდა, როცა შენ დაფასავლეს?

რეზიკო: გამარჯვება ძალიან მაგარი გრძნობაა. საერთოდ არ ველოდი და რუსკამ ჩემი სახელი რომ გამოაცხადდა, დავიშოკე! სასწაული შეგრძნება იყო!

— დათო, რეზიკოს შესაძლებლობებს ყველაზე კარგად თქვენ იცნობდით და გამარჯვება თქვენთვის მთავარი იქნებოდა არ უნდა ყოფილიყო.

დათო: რალაც მომენტში ვიფიქრე, რომ მოგებას შეიძლებოდა, რადგან ჩემთან ერთად ეს ბავშვი იყო. რეზიკოს გარეშე გამარჯვებას ვერ შევძლებდი, მხოლოდ მას შეეძლო ჩემთვის ამ სიხარულის მოტანა. საქართველოში ძალიან ღირსიანდებიან, როცა ვიღაცას აქებენ, ამიტომ

დათო: „საღამე ქათამაძე მეუბნებოდა, ამ ბავშვს ყუხადლება მიაქციო. ხუბიკო მაშინ გამომიჩნა, მაგამ საღამე ახ მომეშვა. ვეუბნებოდი, მეტი ხალა ყუხადლება მივაქციო, გამოვიყვანე, სცენაზე დავაყენე, ვამუხე-მეთქი“.

იმასაც ვფიქრობდი, ქებით რეზიკოს საქმეს ხომ არ ვუფუჭებდი... გავრცელდა ხმა, თითქმის ბავშვობიდან მე ვზრდიდი. ეს რომ მართალი იყოს, რეკლამას გავიკეთებდი, ვიტყვოდი, მშობლებო, ფული გა-

— არადა ფინალამდე ცოტა ხნით ადრე დამარცხებას ვიწინასწარმეტყველებდნენ. მთავარ მიზეზად რეზიკოს ოჯახის მატერიალურ მდგომარეობას ასახელებდნენ, შედიისთვის ფინანსური მხარდაჭერის საშუალება არ აქვთო.

დათო: არ მინდა, რეზიკოს ოჯახის მატერიალურ შესაძლებლობებზე ვისაუბრო, მაგრამ თბილისში არაფერი იმალება. მას სამი დედამამიშვილი ჰყავს, მოსკოვის გამზირზე ცხოვრობენ. არ ვიტყვი, რომ გაჭირვებული, ღარიბი ხალხია, მაგრამ მატერიალურად შეძლებულები ნამდვილად არ არიან. რეზიკოს მთლიანად ხალხმა გაამარჯვებინა. უნიკალური ბავშვია და მაყურებელს თავი შეაყვარა. თავიდან ვფიქრობდი, ამას გვერდით ვერავინ დაუდგება-მეთქი, მაგრამ ფინალში მაგარი ბავშვები იყვნენ. იმასაც კი ვფიქრობდი, შეიძლება მეორედ მე აღარ გამა-

დათო: „ახ ვიყვი, ხომ ხუბიკოს ოჯახი ღარიბი ხალხია, მაგამ მატერიალურად შეძლებული ნამდვილად ახ ახიხ. ხუბიკოს მთიანად ხალხმა გაამარჯვებინა“.

მარჯვებინონ და ამ ბავშვის უბედურების მიზეზი არ გავხედ-მეთქი. რეზიკო რომ სხვა მწვრთნელთან წასულიყო, უფრო ადვილად მოიგებდა, მაგრამ ამ ბავშვმა თავის მორალს არ უღალატა. რეზიკოს უთხრეს, შეიძლება დათოსთან ერთად წაგოო, რადგან ძალიან ძვილია ზედიზედ ორჯერ მოგება.

23 მაისს რეზიკო 13 წლის გახდა, მასთან სტუმრად ვიყავით მისულე. რომ წამოვედით, ჩემმა შვილმა მითხრა, რეზიკომ თქვა, ვიცი, რომ წავაგებო. როცა ეთერში ვთქვი, რეზიკოს ვიშვილებ-მეთქი, ხალხმა წამომამახა, მართლა იშვილაო. რეზიკოს გამო ძალიან ვინერგულიყ, 16 კილო დავიკელი. არ ვმსახიობობდი, მოვკვდი ამ ბავშვების გამო. იცით, ჩემი კოლეგებიც რამდენს შრომობდნენ? ეკა კახიანს უდევდა შრომა არ დაუფასდა, როგორც დიხარჯა, იმის ადეკვატურად არ განვითარდა მოვლენები.

— რეზიკო რომ გამოაცხადეს გამარჯვებუ-

ლად, კერძოდან გაქრით. რატომ გქონდათ ასეთი რეაქცია?

დათო: პირველ შოუში სალომესთან ერთად დავემხე მუხლებზე და იატაკს ვკოცნიდი, რაც ამ შემთხვევაში არ უნდა გამეკეთებინა. მაშინ ისეთი გაცხდა მქონდა, რომ სალომესთან ერთად მეც მოვიგე, მაგრამ ახლა მგონია, რომ ეს შოუ რეზიმ მოიგო და არა — მე. ეს რეზიკოს გამარჯვება იყო! რეზიკოსთან ურთიერთობა უნდა გქონდეს, რომ მიხვდე, რა მაგარი ვინმეა. ქართულ სიმღერებსაც გადასარეგად მღერის. ეს ბავშვი ძალიან ბევრს შრომობს, წვალვობს. სულ მომზადებულია და, რაც მთავარია, დარბაზამდე მიაქვს სათქმელი. ბავშვებთან ვამბობდი, რასაც რეპერტივიაზე ვაკეთებთ, ამის 60 პროცენტში რომ იქ მივიტანოთ, ძალიან მაგარი იქნება-მეთქი, ამას კი 99 პროცენტი მიპქონდა.

— რეზიკო, წაგებას ელოდი და როგორდა შექვლი, რომ ბოლომდე გებრძოდა?

რეზიკო: ფარ-ხმალი ბოლომდე არ დავყარე, ვიბრძოლე და ძალიანაც სწორად მოვიქეცი. ალბათ ხალხმა დაინახა, რისი გაკეთება შემეძლო და მხარი დამი-

ხუბიკო: „ფახ-ხმალი ბოლომდე ახ დავყავი, ვიბრძოლე და ძალიანაც სწორად მოვიქეცი. ხალხმა დაინახა, რისი გაკეთება შემეძლო და მხარი დამიჭიხა“.

ჭირა. იმან, რომ დამარცხებაში წინასწარ ვიყავი დარწმუნებული, უფრო გამაძლიერა.

დათო: ახლა რეზიკომ ჩემგან ერთადერთი რამ უნდა ისწავლოს — პირველი შოუს მოგების შემდეგ როგორ არ გავჩერდი. რეზიკომ უნდა იცოდეს, რომ ყველაზე ძნელი იმის შენარჩუნებაა, რაც ახლა აქვს. ფორმაში უნდა იყოს, თავს მოუაროს, ხმას გაუფრთხილდეს. ჩვენც უნდა ვისწავლოთ ჩვენი მაგარი ტიპების გაფრთხილება. მე აღმოვჩინე ჭკვიანი ტიპი, რომელმაც ასეთი ნიჭიერი ადამიანი დავინახე და მივეკედლე.

— სტეფანე „სარკეს“ თქვა, დათო ჩემზე ნიჭიერი არ არის, მაგრამ აშკარად ჩემზე ჭკვიანიაო.

დათო: არ ვიცი, ნიჭიერსა და ჭკვიანს შორის რა განსხვავებაა. სტეფანესთან შეჯიბრი ჩემი იდეა იყო არ ყოფილა. შოუს განმარჯვებაში ეცდილობდა, საზოგადოებისთვის დამენახებინა, რომ მასთან მეგობრობა მინდოდა. ჩვენ შორის ფინალშიც მოხდა პატარა-პატარა კამათი, მაგრამ რეზის გამარჯვება სტეფანემ მომილოცა. წვეულებაზეც ერთად ვიყავით და ჩვეულებრივად გავაგრძელეთ ურთიერთობა.

სტეფანე არ არის წარუმატებელი ადამიანი, ბევრს მიაღწია და კიდევ ბევრს მიაღწევს. უბრალოდ გამიმართლა, რომ რეზი ჩემთან წამოვიდა. ჩვენ მართლა ვმოუშენობთ, მაგრამ კამერების გამოთვის შემდეგ მეგობრები ვართ. მე ასეთი სტრატეგია მაქვს, თავის შეკავება შემიძლია. სტეფანე გაბრაზებული არასოდეს მინახავს, ძალიან დიპლომატია, მაგრამ მე

ვახერხებ მდგომარეობიდან მის გამოყვანას, ცუდი ბიჭი ვარ! ყველა მწვრთნელი მაგრად მუშაობს, მაგრამ ეს შოუ ჩემსა და სტეფანეს შორის დაძაბულობაზეა აგებული. სტეფანეს ვიბრაციები, რომ სულ ვეჭვიდები და ვეცდები, კარგი ბავშვები ჩემთან წამოვიყვანო.

— მას შექმდე, რაც ზედახედიანი შოუ მათთვის, ეჭვი მაქვს, ამის შემდეგ ბავშვების ძირითადი ნაწილი თქვენს გუნდში ყოფნას ისურვებს.

დათო: ძალიან მინდა, ამ შოუში კიდევ იყო და მის ორგანიზატორებს ვიბრადებო, რომ მომავალშიც ვიბრძოლებ. მომავალ მონაწილეებს ვეტყვი, თუ რეზიკოზე მეტად იქნებით საკუთარ თავში დაწინაურებული, მხოლოდ ამ შემთხვევაში წამოდიო ჩემთან. უნდა იცოდეთ, რომ ვერავინ დაგზავრავთ. ჩემს როლს კი ნუ გადაამეტებთ, ყოველის-შემძლე ნამდვილად არ ვარ. ჩემთან წამოსვლა მოგების გარანტია არ არის.

— ბავშვების სახსრებით უნდა ითქვას, რომ დიდ ფსიქოლოგიურ წესებს გაძღვება.

დათო: ლიზა ყენიამ (მომღერალ მაია ჯაბუას შვილი, ავტ.) ძალიან მაგრად იმღერა. ევა კახიანს ლიზა რომ ვურჩივთ, ეს ნაცნობობის ბრალი არ იყო, ეს ბავშვი მართლა იყო ფინალის ღირსი. როცა რინგის შემდეგ ლიზა ისეთი წნეხის ქვეშ მოექცა, გულით ვუთანაგრძობდი. ამის შემდეგ ასე რომ იმღერა, ყოჩაღ!

— რეზიკო, რამდენი წლიდან მღერის?

რეზიკო: როგორც ჩემი მშობლები ამბობენ, ჯერ ლაპარაკი არ ვიცოდი, რომ ვამღეროდი. ჩემს ოჯახში ყველა მღერის, მამაც, ჩემი დაც და მათგან შემიყვარდა სიმღერა. დაახლოებით 4 წელია, რაც ამ საქმეს სერიოზულად მოვეკიდე.

— ახლა რას აპირებ?

რეზიკო: თუ ახალი მუსიკალური პროექტი გამოჩნდება, იქაც მივიღებ მონაწილეობას. მართალია, მთელი კონკურსის განმავლობაში ძალიან ვენერვიულობდი, მაგრამ ეს ახად ღირდა.

დათო: მე ვფიქრობ, რომ რეზიკოს ბედი სხვანაირად წარიმართება. მოგებულ პრიზს მიიღებს, ამერიკაში წავა და მეც წამაბრუნებს. იქ რეზიკოს ვილავებს ვაჩვენებ. ლევისის, აშერის, შაკირას რამდენიმე სიმღერა უნდა ვასწავლო. იქ ხალხს უნდა ვუთხრა, ჯასტინ ბიბერს რომ გადაეკიდეთ, ერთხელ ამ ბავშვს მოუხმინეთ და თავზე ხელი მაინც გადაუსვით-მეთქი. ეს ჩემი ოცნებაა. ძალიან მაინტერესებს ამერიკელების შეფასებები. მე რომ მგონია, რეზიკო ამერიკელი ბავშვის დონეზე მღერის, საინტერესოა, იქ რას იტყვიან. იქნებ ვამეტებ, მაგრამ მე ბევრ უცხოელ კოლეგას ვკითხე აზრი, მათ რეზიკოს ჩანანერები გადაუგზავნე და ყველამ მითხრა, უპირობოდ უძლიერესიაო.

რეზიკოს ახლა გარდატეხის ასაკი აქვს გასავლელი, მისთვის საბავშვო კონკურსები დამთავრდა. ვუსურვებ, რომ უფროსების კონკურსზე ერთხელ მაინც გამოვიდეს და მეტი ალბერ უნდა. მინდა, ისეთი მომღერალი გახდეს, რომლის სიმღერებსაც შეიყვარებენ. მე 6-7 სიმღერით მოვედი აქამდე.

— დათო, როგორ ფიქრობ, რეზიკოს წარმატება მის ნიჭთან ერთად იმ რეპერტუარის დამახასიათებელია, რომელიც თქვენ შეუქმნიეთ?

დათო: რეზიკოს ისეთი სიმღერები ვამღერე, რომლებსაც თანამედროვე უცხოელი ბავშვები მღერიან და ამან გაამართლა. ერთ-ერთ სატელევიზიო პროექტში რეზიკომ კასტინგი ვერ გადალახა, ის ადამიანი ამ ინტერვიუს წაიკითხავს და

გაიხსენებს, რომ რეზიკო დიდბაშვილი კასტინგიდან უკან გამოუშვა. როცა მას პითხა, რატომ ვერ გადავდივარო, უბასუხა, დიდივით მღერიო. რეზის შემწინების საშუალება ჰქონდაო, მაგრამ არ შეამჩნიეს. მის ასაკში ასეთი ფორჩხიძე რომ მყოლოდა გვერდით და ასეთი უედაგოვი, აშერი მეც მომისმენდა. რეზიკოს საბავშვო სიმღერები უკვე

ეადვილება, აღარ მოსწონს, არ მამღეროო, მეუბნება.

ფინალში ვიმღერეთ სიმღერა, რომელშიც არის სიტყვა „გეთ ლაქი“. ინგლისური არ ვიცი და, რა თქმა უნდა, ვიკითხე, მითხრეს, ამაში ცუდი არაფერიაო, მაგრამ როცა ნამდვილი ინგლისურის მცოდნე ჩამოვიდა, მან მითხრა, ეს სექსუა და ბავშვები არ ამღერო. ამიტომ ეს სიტყვა შევცვალეთ სიტყვით „ბი ლაქი“. ვინ აღარ მწერს, ტექსტი ვერ იხსნავლეთო. ვისწავლეთ, ასეთი დებილი არ ვარ! „ბი ლაქი“ ნიშნავს, ამაღამ იღლებიანი ვიქნებიო და რეზიკო მართლაც იღლებიანი გამოდგა.

— რეზიკო, დათოს დიდი გემუბი ჰქონია შენთან დაკავშირებით. ამ ყველაფრისთვის მზად ხარ?

რეზიკო: რა თქმა უნდა! ვიცი, რომ ძალიან კარგი ადამიანის ხელში ვარ და რასაც მეტყვის, ისე გავაკეთებ. მე მჯერა დათოსი და ბოლომდე მივყვები.

დათო: სინამდვილეში, რაც არ მოსწონს, მეუბნება, ეს გომობაა, არ ვარგაო. რეზიკო თავისუფალი ადამიანია და რასაც ვუბრძანებ, იმას ბრმად არ აკეთებს. ყოველთვის აქვს თავისი პოზიცია. თავიდან ძალიან ბევრს წუნუნებდა, მე კი ვეუბნებოდი, ინუნუნე, რამდენიც გინდა და არ გააკეთო ის, რაც არ მოგწონს-მეთქი. თუ დაინახავს, რომ გავუბრუნებ, მითხრას, დათო, ასე არ არისო და წავიდეს ჩემგან. ვიცი, ეს რომ მილიონები გახდეს, მეც აუცილებლად წამიყვანს ამერიკაში. შეიძლება

დათო: „რეზიკოსთან ერთად ერთხელ უნდა გქონდეს, ხომ მიხვედ, ხა მაგაჩი ვინმეა. ბავშვებთან ვამბობდი, ხსაც ხუპეკიცაზე ვაკეთებთ, ამის 60 ჰოცუნგი ხომ იქ მივიტანოთ, ძალიან მაგაჩი იქნება-მეთქი, ამას კი 99 ჰოცუნგი მიჰქონდა“.

სიმღერები არ დამანერინოს, მაგრამ მომივიღის, ჩემი იქნება.

— თქვენს მოსწავლეებს ერთმანეთზე სიმღერა არ იეჭვანებენ?

დათო: ისეთებს, როგორებიც სალომე და რეზიკო არიან, კიდევ თუ შევნიშნავ, ხელიდან არ გავუშვებ. ვიცი, ამაზე არც რეზიკო იეჭვანებს და არც სალომე... მე ერთი ვანბნითურისტი, პროვოკატორი კაცი ვარ და რეზიკოს ნიჭს ვითვისებ. გეტყვით, რა არის ამ ბავშვის პლუსი: 200 კონკურსანტი მაინც მოვისმინე, ყველა მაგარი იყო, მაგრამ მათ ხანდახან რაღაც

ცები ეშლებოდათ. რეზიკოს არც ერთ რეპეტიციას იხეთი შეცდომა არ დაუშვია, რომ შეფიქრა, იქ დამლუბავს-მეთქი. სალომესაც კი მოსდოდა შეცდომები, მაგრამ რეზის — არა.

— რეზიკო, როგორ გაციანით დათო?

რეზიკო: „ანა-ბანაში“ ვიყავი, როდესაც გვითხრეს, რომ კარგი მომღერალი ბავშვები სჭირდებოდათ და დათოსთან მოგვიყვანეს. „ახალ ხმაში“ სალომეს ბეჭებში ვჭირდებოდი. მაშინ გაცივანით ერთმანეთი.

— მწვრთნელად იმდროინდელი აირჩიეთ, რომ აცნობდით?

რეზიკო: ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დათო ავირჩიე, მისი პროფესიონალიზმი იყო.

დათო: სალომე ბეჭებისთვის ძალიან მაგარი ბავშვების ბანდა მომიყვანა. ყველა მაგრად მღეროდა, მათ შორის — რეზიკოც და მაშინ მოვისმინე მისი ლამაზი ტემბრი. ბეჭებში მდგარ ბავშვებს ერთმანეთისგან არ ვასხვავებდი, მაგრამ სალომე ქათამაძე მეუბნებოდა, ამ ბავშვს ყურადღება მიაქციეო. რეზიკო მაშინ გამომოჩნა, მაგრამ სალომე არ მომეშვა. ვეუბნებოდი, მეტი რაღა ყურადღება მივაქციე, გამოვიყვანე, სცენაზე დავაყენე, ვამღერე-მეთქი.

ერთხელ ვფიქრობდით სიმღერისთვის რომელიმე მაგარი ბავშვის გამოყენებას და სალომე მითხრა, რეზიკოს მოვიყვანო. მისი ნამღერი კიდევ ერთხელ მომასმენინა. პირველი ფრანგის შემდეგ დავიშოვე, სტუნვა დავინყე. ვერ ვიჯერებდი, რომ სიმღერებს ბავშვი ცოცხლად ასე ასრულებდა. ამბობდნენ, ყველაზე იცოდა, ამ ბავშვს ფორჩხიძე რომ აიყვანდაო და მაინტერესებს, ჩემს ადგილას რეზიკოს რომელი დათობდით? მისთვის განსაკუთრებულად ვიბრძოლე. ამ ყველაფრის შემდეგ ჩასაფრებული ვიყავი, მას ელემენტარულ შეცდომასაც არ ვაპატიებდი და გავაგებებდი. ბავშვს არაფერი შეეშალა და ამისთვის ბრავო რეზიკოს!

— რეზიკო, დათო როგორი მწვრთნელია?

რეზიკო: მე და დათოს ძალიან ბევრი საერთო გვაქვს. ორივეს თანამედროვე მუსიკა მოგწონს. როცა მასთან მოვხვდი, მივხვდი, რომ მაქსიმუმის გაკეთება შემიძლო. ერთად ვუძლებდით რთულ რეჟიმს. სტუდიიდან ლამის 4 საათზე მივდივაროდი, დღე და ღამე ჩვენთან ერთად იყო, ჩვენთან ერთად მუშაობდა. დათოსგან უამრავი რამ ვისწავლე. დავრწმუნდი, რომ ვინც ბევრს იმრთობს, ყველაფერი გამოუვა. მართალია, მეგობრებთან ერთად გართობაც მიყვარს, მაგრამ მუსიკა ყველაფერს მირჩევნია, ამიტომ სულაც არ მწყდებოდა გული, როდესაც ჩემი მეგობრები უბოში ერთობოდნენ და მე ვმეცადინებოდი.

— უკვე ძალიან პოპულარული ხარ. მოგწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა?

რეზიკო: რა თქმა უნდა. „ფიხსტუქ“ უამრავი ადამიანი მიმეგობრებს, ქუჩაში მაჩერებენ. მათი სიყვარული მამბენიერებს და უღრმესი მადლობა ყველას, გპირდებით, იმედს არ გაგიცრუებთ!

✓ ქეთი დინოშვილი



რამაზ საყვარელიძეს საქსუალური უმცირესობის დამსჯელები უჩივიან

საქართველოში ლგბტ-ცენზურა მყარდება?



„სიტყვა „ჰომიკი“
წამომცდა!“

ელეკომპანია „იმედის“ თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი შევიდა, რომელიც გადაცემა „მთავარი ფაქტორის“ ერთ-ერთ თანაწამყვანს, პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ეხება. მის წინააღმდეგ უფლებადამცველები ხელმოწერებსაც აგროვებენ.

27 მაისის გადაცემა 17 მაისს ჰომოფობიის დღესთან დაკავშირებით გამართულ აქციას შეეხებოდა. გამოშვების პირველ ნაწილში პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე უფლებადამცველ თამარ გურჩიანს შეეკამათა, რომელიც ლგბტ-ელებს თავგამოდებით იცავდა. რამაზ საყვარელიძემ ლგბტ-ების აქციას გეიპროპაგანდა უწოდა. შემდეგ კი ასეთი ფრაზა თქვა: „რა გასაკვირია, რომ ადამიანებს ჰომიკი არ უნდათ სახლში?“. თამარ გურჩიანმა მას მაუწყებლის შესახებ ქვეყის კოდექსის დაცვისკენ მოუწოდა. ბატონმა რამაზმა გაიკვირვა, რა ქვეყის კოდექსზეა ლაპარაკიო. „იმედის“ გენერალურმა დირექტორმა და „მთავარი ფაქტორის“ თანაწამყვანმა რევაზ საყვარელიძემ აღნიშნა, რომ ასეთი განცხადებებით ტელეკომპანია დარტყმის ქვეშ დგებოდა.

ამის შემდეგ თამარ გურჩიანმა ხსენებული საჩივარი დანერგა, რომელიც იმდენადაა გადატვირთული სპეციფიკური ტერმინოლოგიით, რომ მისი წვრილად გადმოცემით მკითხველს თავს არ შევანყნებ, მოკლე შინაარსი კი ასეთია — რამაზ საყვარელიძემ „ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანები“, ანუ გეები დამამცირებლად მოიხსენია, მისი გამონათქვამი ვერც რევაზ საყვარელიძემა გაანეიტრალა ჯეროვნად და „ამიერიდან ვითხოვთ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (ჩამოთვლილია მუხლები. რედ.) თანახმად განიხილოთ წინამდებარე საჩივარი და მასზე დროული და დასაბუთებული რეაგირება მოახდინოთ“. მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებას კი თამარ გურჩიანი

იმავე გადაცემაში ითხოვს. იმავე განცხადებაში ის შეახსენებს ტელეკომპანიის თვითრეგულირების ორგანოს, რომ ადრე მან თავად მოახდინა რეაგირება „იმედის დილის“ წამყვანთა ჰომოფობიურ გამონათქვამებზე და ამჯერადაც მოუწოდებს სათანადო რეაგირებისკენ.

შემთხვევა, რომელსაც თამარ გურჩიანი ტელეკომპანიის მესვეურებს შეახსენებს, რამდენიმე თვის წინ მოხდა — „იმედის“ დილის გადაცემის წამყვანები, სალომე გოგიაშვილი და დავით ქაცარავა, ცნობილი ინგლისელი ჰომოსექსუალი მუსიკოსის, ელტონ ჯონის შესახებ პირადი მოსაზრებების გამოთქმის გამო დაითხოვეს. ეს ისტორია მაშინ „სარკვე“ გააშუქა.

რამაზ საყვარელიძე ადასტურებს, რომ გადაცემაში სიტყვა „ჰომიკი“ წამოსცდა, მაგრამ ამასთანავე აცხადებს, რომ ლგბტ-ების უფლებების დაცვის ხარჯზე განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების უფლებები ირღვევა.

— ბატონო რამაზ, გადაცემის მიმდინარეობისას სიტყვა „ჰომიკი“ წამოცდათ თუ შეგნებულად თქვით?

— რა თქმა უნდა, წამოცდენა უფრო იყო, მაგრამ თუ იმაზეა ლაპარაკი, რომ ასეთი სახლში არავის უნდა, ჩემთვის ეს აუიოტაჟი გაუგებარია. არავის უნდა, სახლში გრიპით ავადმყოფი ჰყავდეს, არ უნდა ინვალიდი, არ უნდა, რაიმე უბედურებას

**„იდი სიამოვნებით დაჯიკვებ
ამ ჰიოქესაყ და ტელევიზიასაყ,
ჰიობღემა ახ ახიხ. მე ასეთ
ჰიოქესაყში მონანილეობის
მიღებით ახ ცეხოჰიხობ. მაგხამ
დააჰიხიხით, ახ ჰეაღობაში ვაიხ —
განსხვავებულ ახიხ სასაჰიყაყ
სუიანი!“**

იყოს გადაყოლილი მისი ოჯახის წევრი და ანალოგიურად არ უნდა, რომ მისი ოჯახის წევრს სექსუალური ორიენტაცია ჰქონდეს არეული. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ თუ ადამიანს სექსუალური ორიენტაცია გაუმრუდდა, მერე მას კლავენ ან ცეცხლზე წვავენ. არც ნარკომანი უნდათ, მაგრამ ამ უბედურებასთანაც კი უნევს ოჯახს შეეუება. ადამიანს უნდადეს, რომ ახლობელი ნორმალური ორიენტაციის წარმომადგენელი იყოს, არაბუნებრივ სურვილად არ მიმჩნია.

— რევაზ საყვარელიძემა მოგვითხროს, დარტყმის ქვეშ ვაყენებთ.

— თავისთავად ის, რომ მსგავსი რაღაცის გამო ურტყამენ, პირველი შემთხვევა

არ არის. „იმედის“ ანალოგიური მოტივით უურნალები გაათავისუფლეს. ხომ არ გვაგონებს ეს იმას, რაც ასე ძალიან არ მოგვწონს 17 მაისის მოვლენებში?

— შეიძლება, რომ თქვენ გადაცემა დეპარტამენტის ამის გამო?

— არა, ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა. დიდი სიამოვნებით დავტოვებ ამ პროექტსაც და ტელევიზიასაც, პრობლემა არ არის. მე ასეთ პროექტებში მონაწილეობის მიღებით არ ვცხოვრობ. მაგრამ დააკვირდით, რა რეალობაში ვართ — განსხვავებულ აზრს სასტიკად სჯიან! დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას, გენბავთ, ღია და, გენბავთ, დახურულ დებატებში. უამრავი ნაცნობი და ახლობელი მყავს ანალოგიური პრობლემის მქონე და, როგორც ვიცი, მათ მიმართ აგრესიული არავინ არის. მათ დასაცავად, რომლებსაც არავინ ერჩის, ასეთი დემონსტრაციის მოწყობა ხომ არ გამოიწვევს რაღაც სხვას? კერძოდ, იმის ნახალხობას, რაც შეიძლება სხვა შემთხვევაში არ იყოს? საქართველოში ყოველთვის იყო საზოგადოების ისეთი ნაწილი, რომელიც მღეროდა „პატარა ბიჭი დამეკარგა, წითელმურანგა“. ეს სიმღერაც მოწმობს იმას, რომ მათ მიმართ აგრესია არასოდეს იყო.

ამერიკაში არის ასეთი სიტუაცია, რომ თუ სამსახურიდან გაათავისუფლებენ ვინმეს და ის იჩივლებს, არასწორი სექსუალური ორიენტაციის გამო დამითხოვესო, მას ალაბავენ. შესაბამისად, მიიღეს ის, რომ გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ამბობს, არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია მაქვსო. თუ ეს დამცავი მექანიზმაა, მერე ადამიანები მის გამოყენებას ცდილობენ. ჩვეულებრივ პირობებში თუ 1 პროცენტამდე ადის იმათი რიცხვი, ვისაც არასწორი სექსუალური ორიენტაცია აქვთ, ეს ბუნებრივია. 18-20 წლის ახალგაზრდებში ამერიკაში ეს ციფერი 6%-ზე მეტია. ასეთი ზრდის პროცესს რა უწყობს ხელს, ეს არის სამსჯელო.

— „იმედის“ სელმდგენელობას ესაუბრეთ კიურის შემდეგ?

— არა, ამ თემაზე არ გვისაუბრია, სხვა თემები გვექონდა გასარჩევი. საბაბი რომ არ უნდა მიეცეთ ლგბტ დამცველებს, ეს უკვე შიშია. შიშია ლგბტ დამცველებისგან ცენზურის კეთებისა. მოგვენატრა ცენზურები და ახლა ახალ ცენზურას ვქმნით?! პოლიციური რეჟიმის ცენზურის სახეს იღებს ასეთი დამოკიდებულება.

— საჩივარში მუწლიობრივად არის ჩამოთვლილი, რაში გადაწამოვლებენ.

— თუ შეურაცხყოფად იგულისხმება „ჰომიკი“, რაც აბსოლუტურად იმპულსურად და დაუფიქრებლად ვთქვი, თავად შემოიძლია განვაცხადო ჩემი ამ შეცდომის შესახებ, მაგრამ თუ პოზიციას



რამომ გაუქმდა თამარ ივარის კონცერტი პარიზის ოპერაში

„ეჭოვანში უხითიხითამიხავი ხაცხის იმიჯი გვექმნება“

სოციალურ ქსელებს შესეული ქართველი საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც თვლის, რომ ეკლესია სიბნელეა, ხოლო ჰომოსექსუალიზმი — სინათლე, სიხარულის ყიჟინა გამოიწვია ცნობამ, რომ პარიზის ნაციონალურ ოპერაში მსოფლიოში ცნობილი ქართველი სოპრანოს, თამარ ივარის დაგეგმილი კონცერტი გაუქმდა. ეს ინფორმაცია უმისროლების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას ცოლმა თამარ ჩერგოლიევიშვილმა პირველმა ამცნო საზოგადოებას საკუთარი ვებგვერდით:

„პარიზის ნაციონალური ოპერის ოფიციალურ საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მომლერალ თამარ ივარის პირველი ივენოს დაგეგმილი კონცერტი გაუქმდა. ჯერ-ჯერობით უცნობია კონცერტის გაუქმების ოფიციალური მიზეზი, თუმცა რამდენიმე დღის წინ ლგბტ უფლებადამცველმა ორგანიზაცია „იდენტობამ“ პარიზის ნაციონალური ოპერის ხელმძღვანელობას ივარის კონცერტის გაუქმების თხოვნით მიმართა. „იდენტობა“ კონცერტის გაუქმებას ივარის მიერ 17 მაისის შემდგომ გაკეთებული საჯარო განცხადებისა და პრეზიდენტისადმი მიწერილი წერილის საფუძველზე ითხოვდა.“

„კონკრეტული ფასი უნდა გადაიხადოს ყველამ, ვინც სალონურ სნობიზმად, ფარისევლურად იღვრება ევროპაში და საქართველოში კიდევ წვერებიან ბნელეთს უჭერს მხარს, „ახლა მოსკოვში იმღეროს — იქ მიიღებენ დიდი სიყვარულით“, „იმ სამარცხვინო განცხადებების მერე დაუშვებელი იყო, ამ არსებამ ჰომოსექსუალი კომპოზიტორების ნაწარმოებები ემღერა. უნდა მიხვდეთ, რომ მიქარავს და გადაავასოს ფასეულობები“, „ახლიან კარგი. მეტის ღირსია,

ყველგან უნდა გაუჩალიჩონ იგივე და მერე იმღეროს რუსეთში, ირანში და პატრიარქის იუბილეზე“ — ეს და ამ ტიპი გამომხატურებები მოჰყვა სოციალურ ქსელებში ინფორმაციას თამარ ივარის გაუქმებული კონცერტის თაობაზე.

თამარ ჩერგოლიევიშვილის ინფორმაცია, რომ პარიზის ოპერაში თამარ ივარის კონცერტი გაუქმდა, სიმართლე სანახევროდ აღმოჩნდა, ხოლო მისი და მისი თანამოაზრეთა სიხარული — ნაადრევი. ქართველი სოპრანოს კონცერტი მისი ავადმყოფობის გამო გაუქმდა და არა — ჰომოსექსუალი განცხადებებისთვის. თუმცა იქნებ ვილაცას თამარ ივარის ავადმყოფობაც უხარია.

„ტაბულას“ რედაქტორი ჩერგოლიევიშვილი კი მკითხველს კონცერტის გაუქმების მიზეზების დადგენას და ინფორმაციის გავრცელებას დაპირდა, მაგრამ ეს საქმე მის მაგივრად სივებზე გააკეთეს. თვითონ კი ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ მისი გავრცელებით თავი აღარ შეინუსა.

პარიზის ოპერაში ჟურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ დარეკა და ფეისბუქულ მეგობრებს თამარ ივარის გაუქმებული კონცერტის შესახებ მოახსენა: „ვესაუბრე პარიზის ოპერის ხელმძღვანელობას, რომელმაც განიცხადეს, რომ თამარ ივარის კონცერტის ანუღირება არ მოუხდენიათ მისი ჰომოსექსუალი განცხადებების გამო. როგორც ოპერის თანამშრომელმა, ვინმე ოლივიემ მითხრა, კონცერტი ანუღირებულ იქნა თვითონ თამარ ივარის თხოვნით, მისივე ავადმყოფობის გამო, რის შესახებაც თვითონ თამარმა და თამარის პროდიუსერმა ჩააყენეს საქმის კურსში



პარიზის ოპერის ხელმძღვანელობა. ასე რომ, „იდენტობა“ თუ ვილაც ოხრობა და გაურკვეველი წარმოსაქმნის სააგენტო, ცრუობენ და, წესით და კანონით, უნდა უჩივლოს კაცმა სიკრუის და ცილისწამების გავრცელებისთვის.“

მოგვიანებით თამარ ივარმა გიორგი ფოფხაძეს დიდი მადლობა გადაუხადა რეალური ინფორმაციის გავრცელებისთვის. პრესისთვის კი საკმაოდ ვრცელი პოსტი დაწერა, საიდანაც ამონარიდებს შემოკლებით ვთავაზობთ:

„ჩემო საყვარელო ადამიანებო და მეგობრებო, შემოვიდი და ვნახე, რამხელა რეზონანსი მოჰყოლია ჩემი სოლო კონცერტი გაუქმებას. კლინიკაში ვიყავი პირად საქმეზე და ტელეფონზეც უამრავი ზარი და მესიჯი დამხვდა ქართული მედიის წარმომადგენლებისგან. მინდა, კორექცია შევიტანო აქ გამოქვეყნებულ სტატიებში. სოლო კონცერტი პარიზში თავად მოქმედი ჯანმრთელობის პრობლემების გამო... პარიზის თუ ევროპის ნებისმიერი თეატრი ასე ადვილად, განცხადებების გამო არ უუქმებს მომლერალს კონცერტს. მათთვის კანონი და საკონტრაქტო პირობები უზუნაესი მცნებაა... მერწმუნეთ, ამ ყოველივემ მსოფლიოს თეატრალური სამყაროს მსვეურთაგან პირიქით, ძალიან უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ქართველი ხალხის ამ თვისებაზე... ნამდვილად არ მსურს, ჩვენზე ეგეთი, ერთმანეთის ჩამიარავი ხალხის შთაბეჭდილება შეექმნათ.“

თამარ ივარი მედიასაშუალებებს მისი სოლო კონცერტის შესახებ გავრცელებული მცდარი ინფორმაციის უარყოფას და რეალური მიზეზის დასახელებას სთხოვს.

✓ რუსუდან აფხაძე

მაკდონალდსმა მზრუნველობამოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს უმასპინძლა

1 ივნისს, ზვეშეთა საერთაშორისო დღეს, მაკდონალდსმა მზრუნველობამოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 250-მდე ბავშვს უმასპინძლა და ზეიმი მოუწყო. პატარების ძირითადი ნაწილი ნერეთლის გამზირზე მდებარე მაკდონალდსში მიიყვანეს, სადარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების გადაადგილებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა არსებობს, ისევე როგორც მაკდონალდსის უძრავი რესტორანში. აქრია რესორიალიზაციას და ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას ემსახურებოდა.

ბავშვებისთვის მომზადებული იყო სპეციალური გასართობი პროგრამა — სახალისო თამაშები, ჰეფი მილი, საჩუქრები, სახის მოხატვა და სხვა სიურპრიზები. ბავშვთა საერთაშორისო დღეს მაკდონალდსმა არ დაივიწყა მოზარდები, რომლებიც იმყოფებიან სასჯელალსრულებით დაწესებულებებში და მათაც უკვე ადგილზე გაუმასპინძლა მონატრებული მენიუთი.

მაკდონალდსი ყოველთვის განსაკუთრებით ზრუნავს ბავშვებზე და ცდილობს, მუდამ შესთავაზოს მათ სიახლეები, მოუწყოს სასიამოვნო სიურპრიზები. „ეს არის საქველმოქმედო ხასიათის აქცია, რომელსაც ბავშვთა საერთაშორისო დღეს ტრადიციულად ვახორციელებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ იმ ბავშვებისათვის, ვისაც ჩვენ დღეს ვმასპინძლობთ, ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო საკითხია საზოგადოებაში ინტეგრაცია. ამ სახით ჩვენი პატარა სტუმრებისთვის ამჯერადაც გვინდოდა, განსაკუთრებული დღესასწაული მოგვეწყო“, — აღნიშნავენ მაკდონალდსში.

მაკდონალდსი გლობალური ქველმოქმედების მიმართუ-



ლებით გამორჩეული კომპანიაა. ყველაზე მასშტაბურია აქცია „McHappy Days“, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველი წლის ნოემბერში ტარდება და საქართველოში „ბედნიერი დღეები მაკდონალდსის“ სახელით არის ცნობილი. აღნიშნული აქციის ფარგლებშიც მაკდონალდსი სხვადასხვა სახით ესმარება ბავშვებს, რომელთაც აქვთ ამის საჭიროება, ეს იქნებიან იგივე მზრუნველობამოკლებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თუ სხვადასხვა სნეულდათა მატარებელი ბავშვები. მაგალითისთვის, შარშან საქველმოქმედო აქციიდან დაგროვილი თანხით დაფინანსდა სიმსივნით დაავადებული 5 ბავშვის მკურნალობა, რომელთაც საკუთარი სახსრებით საჭირო მკურნალობის ჩატარება არ შეეძლოთ.

როგორ ასწავლა ზაზა ფაჩულიამ სოლს დათმობაზე ნასვლა

ქართული კალათბურთელი, ენბიეის-მთიანეთში ზაზა ფაჩულია 8 წელია ამერიკაში, ქალაქ ატლანტაში ცხოვრობს. ოჯახი 6 წლის წინ შექმნა. მეორე ბიჭის დაბადებას ელოდებოდა, ეზოიანი სახლი რომ შეიძინა და კალათბურთის ფარი ჩამოჰკიდა. მამაც ერთობა და წვლილებაც სწავლობენ კალათბურთის თამაშს. ზაზას და მის ცოლს, თიკა ალაიძეს, სამი შვილი ჰყავთ: 4 წლის დავითი, 3 წლის საბა და 10 თვის მარიამი. ამაზე გაჩერებას არ აძირებენ. უნდათ, სულ მცირე, 5 შვილი ჰყავდეთ. თიკა სუბიშვილის ანსამბლის ყოფილი მოცეკვავეა და ატლანტაშიც გამოწახა საქმე — ქართული ცეკვების სტუდია გააკეთა, სადაც, ბუნებრივია, უმეტესწილად იქ მცხოვრები ქართველები დადიან.



რამდენიმე კვირის წინ ზაზა და თიკა სამშობლოში ერთი თვით ჩამოვიდნენ. უფროსი შვილები ცოტა ადრე გამოუშვეს. ზაზა წუხს, რომ ამერიკაში მის შვილებს ქართული ენა ავიწყდებათ. ამიტომ დავითსა და საბას დატოვებას საქართველოში მთელი ზაფხულით გეგმავს.

ზაზა: შარშან ოჯახთან ერთად ჩამოსვლა ვერ მოვახერხე, რადგან თიკა ფეხმძიმედ იყო. ახლა კი ყველა ერთად ვართ. ყველაფერს მონატრებული ვიყავი. იმის ფუფუნება არ მაქვს, რომ, როცა მომიხდება, მაშინ ჩამოვიდე. როცა შანსი გამომიჩნდება, მაშინვე მოვიდვიარ. ქალაქი, სახლი, ქართული ვერძები... ძალიან შორს ვარ საქართველოდან და ამ მცირე დროში ვიკლავ რაღაცების სურვილსა და მონატრებას. სამწუხაროდ, ყველაფერს ვერ ვასწრებ. ერთი თვე თითქოს დიდი დროა. მოდიხარ და ფიქრობ, ამას და ამას გავაკეთებო, მაგრამ ბევრი ადამიანი გულნატკენი მჩრეხა იმის გამო, რომ სათანადო დრო ვერ დავუთმე.

— **სართ წარმატებული კალათბურთელია ახვე დროს სართ უკვე დიდი ოჯახის მამა პრაქტიკულად რიგირ ვაქო განსაზღვრულია რა არის თქვენი მთავარი დარღულებები?**

— ჩემი ცხოვრება მოიცავს, პირველ რიგში, ოჯახს, მერე — კალათბურთის და მერე — სხვა საქმეებს. კალათბურთით არ მთავრდება ჩემი ცხოვრება. ვფიქრობ მომადლეზე, შვილებზე... მომადლეს დავაგეგმავ და სწორად არჩევანის გაცემა ადვილი არ არის. ყველაფერს სალი გონებით უნდა შეხედო. ამერიკაში შეეჩვიე ყველაფერს წინასწარ დავაგეგმავს. იქ თვეებით, წლებით ადრე გეგმავ, რას გავაკეთებ.

— **რიგირ ვაქო საქართველოში ბიზნესი ვაქო ეს საქმე წარმატებულია?**

— დიას, ბიზნესი მაქვს, რომელსაც ძირითადად დედაჩემი კურირებს. მასზე უახლოეს და სანდო ადამიანს ვერ ვნახავდი. სასტუმროების ქსელი გვაქვს. ეს მცირე ბიზნესია. რა თქმა უნდა, უფრო დიდი გეგმები მაქვს. ყველაფერს თავისი დრო აქვს. რამდენიმე წელი თამაშს ვამირებ. ამავ დროს, იმასაც ვხედე, რომ დრო მოვა, როცა თამაშს თავს დავანებებ. სამწუხაროდ, სპორტსმენის კარიერა მალე მთავრდება. შეეჩვიე, შეეჩვიე არსებებს, შენი ცხოვრების და სხეულის ნაწილი გახდება და რამდენიმე წლის მერე ეს კარიერა მთავრდება. ამიტომ არის, რომ სპორტსმენები ცრემლებით ტოვებენ მოედნებს. მეც ეს მელივდება. ჯერჯერობით ამის მოახლოებას არ

„თიკა დღეს უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე გუშინ მიყვარდა“

ვერძობო, მაგრამ ვფიქრობ. თუ წარმატება გინდა, სადაც უნდა ნახვიდე, მომზადებული უნდა იყო. ამიტომ არ მინდა, როცა სპორტულ კარიერას დავამთავრებ, მერე დავინყო ამაზე ფიქრი. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობ, თავისუფალი დრო მომავალი კარიერის მომზადებისთვის გამოვიყენო. დროს დაკარგვა არ მინდა.

— **რიგირ ვაქო ბიტი?**

— ამერიკის სხვადასხვა სკოლებში ვსწავლობ. გამოცდილებას ვიღებ სხვადასხვა ორგანიზაციებში მუშაობით, ასევე — ბევრი საუბრით სხვადასხვა სფეროში წარმატებულ ხალხთან.

— **უხვდესი განაღება ვაქო მადლები?**

— 16 წლის ვიყავი, როცა პროფესიონალური კალათბურთის თამაში დავინწყე და ვერ მოვასწარი უნივერსიტეტში სიახული. სკოლა თურქეთში დავამთავრე. ვილაცქვების დახმარებით კი დავამთავრე საერთაშორისო-აპრონომიკური ფაკულტეტი. ამის თქმა არ მერიდება, გამაყობ, რომ ბოლო სუთი წელია ყოველ ზაფხულს ამერიკის სხვადასხვა სკოლებში, უნივერსიტეტებში პროგრამებში ვმონაწილეობ და ვსწავლობ. თავის

დროზე ვერ მოვახერხე უნივერსიტეტში სიარული, მაგრამ ახლა ვცდილობ, რაც დავკარგე, ის ავიხსნა დრო. სწავლა რომ არასოდეს არის გვიანი, იმით დავრწმუნდი, რომ ყველა კლასში, სადაც გარკვეული კურსი გავიარე, ყველაზე პატარა ვიყავი.

სპორტი ძირითადად ფიზიკურ სიძლიერესთან ასოცირდება, მაგრამ განათლებასთან ერთად ეს კიდევ უფრო ძლიერს გხდის. ამ ყველაფერს ენბიე-ში განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ. სპორტსმენმა აუცილებლად უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს მშობლივ მოედანზე კი არა, მოედნის გარეთაც. ბევრს უნდა აკეთებდეს როგორც თავისი გუნდისთვის, ისე ქვეყნისთვის. შეეძლოს სპონსორუთან, მასმედიასთან ურთიერთობა. ამას კი მოედანზე ვერ სწავლობ, განათლებაა საჭირო.

— **ამერიკაში თქვენი ოჯახი ასწისებს ქართულ ყადაღე ცხოვრებას?**

— 8 წელია ატლანტაში ვცხოვრობ. გამიმართლა, რომ სულ ერთ გუნდში ვარ და არ მინევს სხვაგან გადაბარება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ოჯახი გაქვს და სამი შვილი გყავს. თიკას თავისი საქმე აქვს ატლანტაში. ამ ქალაქში თავს კარგად ვგრძობ. ბევრი ქართველია და ხშირად ესტუმრობთ ერთმანეთს. თუ შენი ტრადიციების უნდაჩვენებ და შვილების ქართულად გაზრდა გინდა, ქართველებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია. ურთიერთობა და მეგობრობა ქართველში რომ იცის, მსგავსს ვერსად შეხვდებით. სახლშიც სულ ქართულად ვლაპარაკობთ. ყოველ კვირას ეკლესიაში დავდივართ. ეგვიპტური მართლმადიდებელი ეკლესიაა და ქართველი ხალხი თავს იქ იყრის.

ატლანტაში საკუთარი სახლი გვაქვს. იქ 2009 წელს გადავედი. რომ გავიგეთ, მეორეც ბიტი უნდა დაბადებულიყო, უფრო იმიტომ ავირჩიე დიდი სახლი. ბიტი უნდა დარბოდეს, თამაშობდეს ეზოში... საშუალო ზომის ეზო გვაქვს, სადაც შეიძლება ბურთის გაგორება. კალათბურთის ფარიც გვაქვს, ჩემი მეგობრები, გუნდებები მოდიან და კარგად ვერთობით.

— **„სიხუტეები გვქონდა, ჩვენი ცხოვრება უფრო ახ ყოფილა, ამახ კი უფრო გაგვადიქვს“.**

ტა მოიზარდენ და... თიკას ძალიან უნდა გოგო. რა თქმა უნდა, არ იცო, გოგო გამოვა თუ არა, მაგრამ მაინც გადაწყვიტეთ შვილის გაჩენა, რადგან სახლში პატარა ბავშვი მოგვინატრა. ყველაზე დიდი მოტივაცია მქმნებ შვილის გაჩენისა ის იყო, რომ ბავშვს საქართველოს პატრიარქი მონათლავდა. მარიამი მართლაც პატრიარქის ნათლულია.

— **საქართველოში ჩამოსვლით მარიამს მოსწონდა?**

— არა, ვერ მოვახერხებ ჩამოსვლა, რადგან უკვე სეზონი მქონდა. ნიუ იორკში მოვინათლეთ. პატრიარქის გაზრდილმა მამა ალექსანდრემ, რომელიც ნიუ იორკში, ქართულ ეკლესიაში მოღვაწიებს, მოგვინათლა ჩვენი მარიამი და პატრიარქის ნათლულად მოიხსენია. ახლა კი დიდი პაუზა ავიღეთ. ცოტა ხანს აღარ გავაჩნთ ბავშვს. ამათ გზაზე დავაყენებთ და მერე მეოთხე შვილზეც ვფიქრობთ.

თიკასი ძალიან მადლობელი ვარ. ახალგაზრდა და ჩემნაირად ფიქრობს შვილებს და ვაგვიპრებთ. შვილი რომ შედინებდა მოაქვს ოჯახში, იმას ენით ვერ აღწერ. ძალიან მაგარი შერწყმება და, მით უმეტეს, როცა ორივე — ბიტიც და გოგოც გყავს. ჩემი მეგობრებისა და მშენია, გოგო გაგავიყვებო. საკუთარ თავზე რომ გამოცდი, უფრო მეტად გრძობ. მე და თიკას გვიან, სახლში პატარა სულ იყო.

— **ამერიკაში ქართული ძაბ ყოფილა?**

— არ მსიაიმოვნებს, ძიას რომ ამბობენ. გიული ბიბილაშვილი ჩვენი ოჯახის წევრი და ძალიან საყვარელი ადამიანია. დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენი შვილების გაზრდას. მე ძალიან დატვირთული ვარ და თიკასაც ისე ვტვირთავ ჩემი მოვლით, კიდევ სამი შვილი... დახმარება გვჭირდება და ამ ქალბატონს დიდი წვლილი მიუძღვის ამაში. ბავშვები ინგლისურენოვან ბაღში დადიან. ზედიზედ 2 წელი ვერ ჩამოვიყვანეთ საქართველოში და ძალიან განვიციდით. ახლა, სანამ წამოვიყვანდით, უკვე ვხედავდით, რომ ცდილობდნენ, ერთმანეთშიც ინგლისურად ელაპარაკათ. ვუშლიდით, მაგრამ 24 საათი მათ გვერდით ვერ ვიქნებოდით. ამიტომ, სანამ მე და თიკა ჩამოვიდოდით, ცოტა ადრე გამოვიყვანეთ

საქართველოში. აქ ქართულ ბაღშიც შევიყვანეთ და მთელი ზაფხული უნდა დავტოვოთ. ბავშვები ერთი თვე არ მყავდა ნანახი და რომ ჩამოვიდი, ნამდვილი ქართველები დამხვდნენ — ქართულად კარგად ლაპარაკობენ. ამერიკაში სპორტზე დამყავს — ცურვაზე, კარატეზე და

კალათბურთზე.

— ასეთი პატარები უკვე კალათბურთზე დადიან?

— გასართობი ვარჯიშები აქვთ. სპორტი დისციპლინას ასწავლის. ჩემი თამაშების ყურებით შეუყვარდათ კალათბურთი. ჩემი გუნდელების შვილებს იცნობენ და იმათთან ერთად დადიან.

— წყად აინაწილოთ, თიკას ვტყვართავ ჩემს მოვლითა რთული მისაღებელი ხართ?

— ჩემი წესები მაქვს და თიკამ უკვე კარგად იცის, რა მჭირდება, რისი ჭამა მიყვარს თამაშის წინ თუ შემდეგ. ვცდილობ, რთული არ ვიყო. მირჩევენია, ბავშვებზე იყო ორიენტირებული და მე დიდ ტვირთად არ დავანვი, თუმცა მე თუ თიკას არ მოვუარე და ხელი არ შემინწყვეს, წარმატებას ვერ მივაღწევ. ეს თიკას კარგად ესმის და მისი ძალიან მაღალბოლი ვარ. ნონა გაფრინდიანშვილი უთხრა თიკას, როცა სპორტსმენი ცოლს მოიყვანს, ქმრის წარმატება უკვე მასზეა დამოკიდებული და თუ ის წარმატებულია, ესე იგი ცოლია წარმატებული და არა — თავად სპორტსმენი. ეს მართალია, რადგან ოჯახში რომ პრობლემა იქონიდა, არ იქნებოდა ენერჯის არ ვიღებდი, ვერ ვითამაშებდი. თიკა ყველაფერს კარგად ახერხებს და თან თავისი საქმეც აქვს.

— რას საქმიანობს თიკა?

— მოგესვენებათ, რომ თიკა სუსტიშვილების ყოფილი მოცვევაა. ატლანტაში გახსნა ქართული ცეკვების სტუდია და იქ ასწავლის. ამით ძალიან კმაყოფილია, რადგან ცეკვა უყვარს. იქ მცხოვრები ქართველებიც კმაყოფილები არიან, რადგან მათ შვილებს ქართულ კულტურასთან შეხება უნევთ.

— თქვენ არ ცეკვით?

— დავდიობი ცეკვაზე და გამომაგდეს, რადგან ჩემი შესაფერისი წყვილი ვერ იპოვეს. რალა ცილეთუბი ვიცი და ჩახვეულ კასეტასავით ვიმეორებ ხოლმე. თიკამ კი ვერ მოახერხა, რომ ჩემი „რეპერტუარი“ გააფართოვოს. 6 წელში 3 წელი ორსულად იყო და ამას თუ დავუმატებთ ჩემს დავაკებულ დროს, საკმარისი მიზეზია, რომ ცეკვა დღემდე არ ვიცი. მთავარია, ჩვენი ქორნილისთვის „ქართული“ მასწავლა და ვიცეკვე. სულ რალაც ორი გაკვეთილი ჩამიტარა და ავითვისე.

— სამხარეულოში თიკა ტრიალებს?

— თიკას და გიულის უყვართ ქართული კრძების მომზადება და ვიკლავთ ხოლმე ამ მონატრებას. მწვადებს ვნავთ ეზოში. ნიუ იორკში ქართული რესტორანია და როცა იქ ჩასვლა გვიწევს, მივდივართ, მაგრამ მაინც არ აქვს ის გემო, როგორც აქ მომზადებულს. რაც აქ ჩამოვდით, დღე არ გასულა, რესტორანში არ წავსულიყავით და ხინკალი, ხაჭაპური არ გვეჭამა, ლობიო და მჭადი... ცდილობთ, მომავალ ჩამოსვლამდე აქაური საქმელების მარაგი თ წავიდეთ.

— ამერიკაში რაფრიათ თქვენი კვების რეჟიმი?

— თამაშის წინ 5-6 საათით ადრე უნდა ვისადილო. ამ დროს ძირითადად კიბორჩხალებს ვიღებ, თიკა მაკარონს მიმზადებს სხვადასხვანაირად. ბრინჯი შეიძლება ხანდახან. სუპი მიყვარს. ბავშვებსაც უყვართ სუპი და გიული სუშების პროფესიონალია. თამაშის წინ ვიძინებ. რომ გავიღვიძებ, ორმაგი ყავა უნდა დავლიო, რომ გამოვფხიზლდე. თამაშის შემდეგ საღამოს 10-11 საათზე მიწვევს ჭამა, მაგრამ მოვდებხე იმდენ კალორიას ვნავს, ეს არაფერია. თიკა კი მეცოდება, რადგან იძულებულია, დამელოდოს. რესტორანში მივდივართ და ხორცს ვეხლებით. პროტეინები უნდა მიიღო, რომ ენერჯია აღიდგინო.



ნანა სოლ-შვილიან ქათაძე

„ბავშვები ეხით თუე ახ მყავდა ნანახი და ხომ ჩამოვედი. ნამვილი ქაითველები დამხვდნენ — ქაითუცად კაიხადე ღაპაიკობენ“.

— 12 წლის ასაკში 2 მეტრზე მაღალი ყოფილხართ. თქვენი შვილები გვგანს სმაღლებს?

— კი, 2 მეტრზე მაღალი ვიყავი 12 წლის ასაკში. ჩემი შვილები საკმაოდ მაღლები არიან, მაგრამ მათზე მაღლებიც მინახავს ამ ასაკში. ჩემს ბავშვობას მახსენებენ. ბიჭები მე მგვანან. იმედი მაქვს, მარიამი დედას დაემსგავსება. შუათანას ძალიან მამსგავსებენ — დედაჩემი ამბობს, შენი ბავშვობის ასლიაო და მისარია.

— თბილისში ახალი სახლი შეგიქმნიათ, სადაც მაღალი ქართა მახსოვს კაქ. წრუშითაგან პრიოქტის ბინას ცხოვრობდით, სადაც თიკადანსილი დადიოდით.

— კი, „სრუშიოკვის“ პროექტი იყო. დიღმის მასივში გავიზარდე. ის სახლი ახლაც ძალიან მიყვარს. მთელი ბავშვობა იქ გავატარე და ისე გვაქვს, რადგან ძვირფასია ის ადგილი ჩემთვის. ერთხელ სინათლე არ იყო, სინებელში გავიარე და ჭალს ავარტყი თავი. დედაჩემი უკან მომდევდა. ზუსტად დედაჩემსა და ჩემ შორის ჩავარდა ჭალი. კიდევ კარგი, არ დავცა, თორემ რა მოხდებოდა, ამაზე ფიქრიც არ მინდა. მაშინ პირველი წელი იყო, რაც ენბიეი-ში ვთამაშობდი და უთხარია დედაჩემს, ხვადიდან მაღალჭერიან სახლს მოვქებნით და გადავალთ-მეთქი.

— რაფრიათ აფასებთ იმ ექვს წელს რაც თქვენ და თიკა დაქორწინებული ხართ?

— თიკა ახლა რომ მიყვარს, აქამდე ასე არც მიყვარებია. ეს სიყვარული უფრო გაძლიერდა იმის მერე, რაც ერთად ვნახეთ და გავიარეთ ცუდი და კარგი დღეები. სირთულეები გვქონდა, ჩვენი ცხოვრება ფერადი არ ყოფილა, ამან კი უფრო გაგვძლიერა.

— კითხვითან ურთიერთობის სირთულეს ვუღლისძობთ?

— კი, ოჯახშიც და ოჯახის გარეთაც და, მით უმეტეს, როცა ამერიკაში ცხოვრობ. ყველაფერი ისე არ მიღის, როგორც შენ გინდა. ყველა ოჯახშია უსიამოვნება. ორსულობის პერიოდი ხომ არ არის იოლი? შიშის გრძობაცაა და სხვა რამეებიც. ერთმანეთის გვერდით დგომით გაავლახეთ ეს ყველაფერი. ისეთი ტრავმა მივიღე, ცალი ფეხი ფაქტობრივად აღარ მქონდა და თიკა ყველანაირად გვერდში დამიდგა. როგორ შეიძლება ეს ყველაფერი არ დაფასო?!

— კქვანობაც იყო?

— ნორმის ფარგლებში კი იყო, ორივეს

მხრიდან. სამი ასეთი შვილი მაჩუქა და არ უნდა დავაფასო?! დღეს რომ გვიყვარს ერთმანეთი, გუშინ ასე არ გვიყვარდა.

— რაიმედი უფრო ბუტხა ხართ?

— თიკა რამეს გულში რომ ჩაიდებს, დიდი დრო სჭირდება მოსაბრუნებლად. რალაცას რომ იტყვის და შეენინაღმდეგები, უსხნი, უბრაზდები, მაინც თავისას გაიძახის — ასეაო. დრო სჭირდება, რომ მიხვდეს. მე, იცით, როგორი ვარ? ჯობია, არ გამაბრაზონ, თორემ კარგახნის განმავლობაში დამკარგავენ. დავკარგავ ჩემს იუმორს, ნამდვილ ხასიათს. ყინულივით ვხდები, რასაც გალობა სჭირდება. ეს თიკამ კარგად იცის და შეიძლება ამ ჩემმა ხასიათმა ბევრ უსიამოვნებას აგვარიდა. რადგან იცის, რომ დიდხანს, ერთი კვირით თუ ათი დღით დამკარგავს, დათმობაზე მიდის.

მეც სულ მჭირდება ცოლ-შვილის გვერდით დგომა, რადგან დიდ ენერჯიას მაძლევენ. ვმოგზაურობ, ვთამაშობ და ისედაც სულ მენატრებინან. თიკა ხომ სულ მენატრება. სახლი ბრუნდები, გინდა, მოყვე რალაც, მაგრამ ამ დროს მოდიხარ და გაბრაზებული ზიხარ. ეს ჩემთვისაც არ არის ადვილი. ერთი კვირა ჩემთვის წლებივით არის ხოლმე. ეს ჩემი ცუდი ხასიათია, მაგრამ უარესიც ხომ შეიძლება? მაგალითად, სასტიკად ეჭვიანი რომ ვიყო. ან სულ დაღლილი და უხასიათო ან ცინცარა. თიკასი მაღალბოლი ვარ, რომ ისეთს მიძლევს, როგორიც ვარ. ბევრი ნაკლი მაქვს და ამაზეც ვმუშაობ. სიძნელეები მიყვარს. ცხოვრებამ მასწავლა, რომ არაფერი ჯობია იმას, შენით რომ რამეს მიაღწევ.

— 17 მასის რაფა თბილისში ჰაიმსიქსუალაზმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა აქვანთ ვაამართა თქვენ უკვე საქართველოში აყვით, ყველაფერი თქვენი თვალთ ხსენთ და გააფთა რას ფიქრობთ, რუქნიფო რუქვაა ჰქონდა ქართველებს უბრაულისობას?

— ამ თემაზე — არა, მაგრამ განცხადება მაშინ გავაკეთე, როცა ციხის კადრები გავრცელდა. ძალიან მეწყინა. ეს თემა ჩემს გუნდელბშიც კი აქტუალური იყო. არ მესიამოვნა, ჩემი ქვეყანა ყველას სალაპარაკო რომ გახდა. არც ის მსიამოვნებს, რაც ახლა ხდება. ძალიან სახიფათო თემაა. გეტყვით, როგორც მშობელი:

„სახიფციელი ქვეყანა ვაით. ჩემთვის ხოელი და ჩასახსიამოვნო იქნება, ხომ ჩამოყაიბების ასაკში ჩემმა შვილებმა ასეთი ხალაყეები მოიხმინონ. ვეცდები, ახ ვანახო და ახ მოვანმენინო. ხოცა გიხ მოვა, აუხსნი, ხა ახიხ კაიგი და ხა — ცუდი. ახ მაქვს უდება, ვთქვა, ხომ ეს ახ ახიხ ნოხმადეიხი, ჰადგან ამეხიკაში ვეხოვიხომ. გეყვიან, თუ ასეთი ჰამ ახ მოგნონს, მაშინ ნადიო“.

— ცუდი. არ მაქვს უფლება, ვთქვა, რომ ეს არ არის ნორმალური, რადგან ამერიკაში ვცხოვრობ. გეტყვიან თუ ასეთი რამ არ მოგნონს, მაშინ ნადიო. მე იქ ჩემს საქმეს ვაკეთებ და საკალათბურთო კარიერის დასრულების შემდეგ საქართველოში დაბრუნებას ვფიქრობ. იქ დროებით ვარ, უხეშად რომ ვთქვა, ვმუშაობ. ამიტომ ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან თავს შევიკავებ, თუმცა ვიმეორებ, დეცდები, ჩემი შვილები ვაკონტროლო და დავიცვა. ტრადიციებს ვაფასებ და მსგავს შემთხვევებზე ფიქრი არც მინდა. მინდა, ჩემმა შვილებმა ისე იცხოვრონ, როგორც ქართველები შეუფერება. დექრთი, ოჯახი, მშობლები, ადამიანები უნდა უყვარდეთ — ასეთ ცხოვრებას ვასწავლი.

✓ რუსუდან აფაქი

„ცელი დამწამეს, ტემ საკუთადი გები მყავტმდა“

სალხთან ლაპარაკს გადავწყვიტე. ახლა მხოლოდ საკუთარ თავთან ვლაპარაკობ. ჩემთვის სამყარო ორად გაიყო, ერთ მხარეს მე დავრჩი, მეორე მხარეს — ყველა დანარჩენი. ვფიქრობ, რა დროს დავუშვი შეცდომა — როცა სიკეთეს ვაკეთებდი თუ როცა საკუთარი სიმართლის დასაცავად ბოლომდე არ ვიბრძოლე.



პირველად 31 წლისა გავთხოვდი. არ გამომართლა. ქმარს იმიტომ გამოვექეცი, რომ მივხვდი, ერთ დღეს მომკლავდა. პათოლოგიური ეჭვიანი იყო. სიმთვრალეში ვერ ხვდებოდა, რას აკეთებდა. მერე კი ათას ბოდიშს მიხდიდა, მაგრამ ჩემს დაღუპულ სხეულს სიტყვები რას მოარჩენდა. ერთ დღესაც მისგან ნამოვედი და ვთქვი, რომ აღარასოდეს გავთხოვდებოდი, რომ ჩემ გვერდით მამაკაცი ვერ გაიჭაჭანებდა. ეს პირობა ერთმა ადამიანმა დამარღვევინა. ის ჩემს ცხოვრებაში იმ დროს შემოვიდა, როცა სულიერად ძალიან მიჭირდა.

მაშინ 41 წლის ვიყავი. ჩემი ძმის ცოლთან ურთიერთობა დამეძაბა. მასზე და მის შვილებზე თან ვიყავი გადაყოლილი, მან კი არაფრად ჩამაგდო. ერთ დღეს ბურტყუნის დაიწყო, რა დავაშავე ისეთი, რომ ჩემს ქმარ-შვილთან მართო ცხოვრების საშუალება არ მაქვს, მული რატომ უნდა მედებოდეს ფეხებში. თავი შევიკავე და ძალიან მშვიდად უთხარი, რომ აღარ შევანუხებდი, მალე წავიდოდი სახლიდან. მართლაც დაეიწყე ზრუნვა, რომ ბინა მეშოვა და სხვაგან გადავსულიყავი. სწორედ ამ დროს ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა ის

ადამიანი, რომელმაც თავისი გული შემომთავაზა. ჩემი თანამშრომლის ბიძაშვილი იყო, 52 წლის კაცი. ქვრივი იყო, ქალ-ვაჟი ჰყავდა. ბიჭი 20 წელს იყო გადაცილებული, გოგო უფრო პატარა ჰყავდა. ისე მექცეოდა, რომ ბევრი არ მიფიქრია, მის ცოლობას დავთანხმდი.

თავიდან ყველაფერი იდეალურად იყო. მისი შვილები ძალიან კარგად შემხვდნენ. მითხრეს, დედას ვერ შეგიყვარებთ, მაგრამ პატივს ნამდვილად გცემთო. მე მართლა შვილებით შევიყვარე ისინი. მათ მიმართ დედობრივი გრძნობა გაიჩნდა. რომელს რა უყვარდა და მოსწონდა, იმას ვაკეთებდი. მათ წინაშე ციბრუტივით ვტრიალებდი და, რაც მთავარია, ამას სიამოვნებით ვაკეთებდი. ჩემი უფროსი გერი ძალიან კარგი ბიჭი იყო. მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა. ძალიან მიყვარდა.

მისგანაც დიდ პატივისცემას ვგრძნობდი. ვუბნებოდი, შვილი რომ გეყოლებოდა, მე უნდა გაგიზარდო-მეთქი. გულუბრყვილოდ მართლაც ვოცნებობდი, რომ ჩემი გერების შვილებს ბებია გავხდებოდი და მათ იმ სიტხლის გავუნანილებდი, რაც, წესით, საკუთარი შვილებისთვის უნდა მიმეცა.

ჩემს გერებს რომ დავინახავდი, კისერზე ჩამოვეკიდებოდი და ორივეს ვკოცნიდი. ერთ დღეს კი უფროს გერს უცნაური რაღაც შევნიშნე. რომ მოვეფერე, განითლდა და გამეცალა. გამიკვირდა, მაგრამ საქმეში გადავერთე და გადამავინყდა. მეორედაც იგივე განმეორდა. მერე კი საერთოდ სახლიდან მიდიოდა და ლამეს მეგობრებთან ათენებდა. რომ ვურეკავდი, ერთ-ორ სიტყვას მეტყოდა და ტელეფონს მითიშავდა. ქმარს ვუბნებოდი, ყურადღება მივაქციოთ, ცუდ გზას არ დაადგეს-მეთქი. თურმე საქმე სხვაგვარად იყო. სანამ მე გავიგებდი ჭორებს, პირველად მის ყურამდე მისულა, რომ ვითომ თავის დედინაცვალს, ანუ მე მყვარობდა. ამან ბავშვი დააბნია, დააკომპლექსა და ამიტომაც გამიბრბოდა. მე კი დიდხანს ამის შესახებ არაფერი ვიცოდი და ისევე დედობრივი მზრუნველობით ვცდილობდი, მისი გული სახლისკენ შემომებრუნებინა. ყველასთან მასზე ვლაპარაკობდი, ისინი კი თურმე ჩემს ასეთ თავგამოდებას და სიყვარულს სხვანაირად უყურებდნენ. ღმერთო, ფიქრიც კი აღარ მინდა იმაზე, რაც მაკადრეს! ხშირად ვკითხები საკუთარ თავს, რატომ გამიბრბეს ასე, ვის რა დაუშავე?!
ერთ დღეს სტუმრები გვყავდნენ. მთელი ოჯახი სუფრასთან შევიკრიბეთ. ერთ-ერთი სტუმარი დათვრა და ჩემს გერს საქმის გარჩევა დაუწყო, ცუდად იქცევი, მამას ლალატობო. ჩემი გერიც მთვრალი იყო, თავი ვერ შეიკავა და სტუმარი გალახა. მერე ჩემი ქმარიც ჩაერთო ამ ამბავში, სიტუაციაში გარკვევა მოინდოდა და ის ჭორიც გაიგო... იმ დღის გახსენება არც მინდა. იმის ნაცვლად, რომ ჩემს სიმართლეში ეჭვი არ შეპარვოდა, ჩემკენ ნამოვიდა, მოკვლით დამეუქმრა. მუქარას აასრულებდა კიდევ, ჩვენ შორის სხვები რომ არ ჩამდგარიყვნენ. რამდენიმე დღეში ყველაფერი ჩაცხრა. ამ ჭორების გამავრცელებელსაც მიაგნეს, ჩემი ქმრის გარდაცვლილი ცოლის ნათესავს, რომელიც ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. ჩემი ქმარი და მისი შვილი მოვიდნენ და პატიება მთხოვეს. მითხრეს, სახლში დავბრუნებულყავი და იმ ამბავს არასოდეს გამახსენებდნენ, მაგრამ არ გავყევი. ისეთი შეურაცხყოფილი ვიყავი, მათი დანახვაც არ მინდოდა. თანაც რა აზრი მქონდა მათ ოჯახში დაბრუნებას, იმ ტრავმის შემდეგ მე ხომ დედობრივ მზრუნველობას აღარ გამოვიჩენდი, გერების კოცნას, გულში ჩახუტებას ვეღარ გავხდებოდი.

„დემთილი ფარულად მებრძვის“



დემთილთან ერთად არ ვცხოვრობ, მაგრამ მის თვალს ყველგან ვგრძნობ. თვეში ერთხელ რომ მოვიდეს ჩვენთან, მეორე ერთი თვე მისი აურისგან სახლის განმეზღვას სჭირდება. მოვა, დატრიალებდა, ყველაფერს ააქოთებს, გადმოყრის. ვერ ვხვდები, ჩემი და ჩემი ქმრის გარდრობში რა უნდა! მივარდებო, გადმოყრის, თავისი შვილის პერანგებს აუთოვებს, ცალკე ალაგებს და თან ბუზღუნებს. თავიდან ამას იუმორით ვუყურებდი და ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ახლა უკვე ყელში ამოვიდა.

ამას წინათ მოვიდა და ისევე გარდერობს ეცა. ჩემი ქმრის ტანსაცმელი ხელახლა გარეცხა, ლაქები ჰქონდაო. სინამდვილეში ძალიან სუფთა იყო, მაგრამ მას უნდა, რომ ნერვები მომიშალოს და ეს კარგად გამოსდის კიდევ. სახლსაც მილაგებს, მაგრამ არ მინდა! ოჯახის საქმეებს კარგად ავუდივარ. ის კი კიდევ მაყვედრის, რომ თურმე როგორ მესმარება. ორი შვილი ისე გავზარდე, ორი საათითაც არ დაუჭერია ხელში. მეუბნებოდა, ბავშვის ხელში დაჭერა არ შემიძლია, ხერხემალი მტკივაო. ჩემს სახლში რომ დარბის და მთელ გარდერობს თავდაყირა მიყენებს, მაშინ არ სტკივა ხერხემალი?! უკვე ძალიან დავილაღე. აღარც ვიცი, ეს პრობლემა როგორ მოვაგვარო. საკეტების გამოცვლა მინდა, რომ ჩემს ოთახებში არ შევიდეს, მაგრამ ამას ჩემი ქმარი არასოდეს გააკეთებს. სხვა გამოსავალს კი ვერ ვხედავ.

მამისხველი

გამომხატვის მხარეებზე დაგვიკავშირდენ გელეფონებზე:

296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იმითხმე ირინე მჭაფლია ან ირა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სანი გზით:

1. ენაზე სანიტ სანიტ sana.ge-ს, ლაინკაპუნით ლილას „გოგონაში“ და ლაინკაპუნით თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სანიტ გოგონა 93887 მამთილან და 1779 ჯონსონილან.
3. 1 სანიტ ფსნი: მამთილან 1 ლაინკაპუნით, ჯონსონილან 50 თითილი.

ანონიმურად დასულია

რძალმა წამომამახა, ორჯერ გათხოვდი და ორივეჯერ ეჭვიანობის გამო დაგენგრა ოჯახი, ეტყობა, ქმრებს ამის საბაზს აძლევდიო. ანუ ჩემს სიმართლეში ეჭვი შეიტანა. ამან საერთოდ გამანადგურა. ახლა ცალკე ვცხოვრობ, ძმა და ძმისშვილები თვეებია არ მინახავს. ყველას ვუთხარი, რომ არავისთან ურთიერთობა არ მსურდა. სამსახურიც გამოვიცვალე, აღარც მეგობრები მყავს. სამსახურის შემდეგ მთელ დროს სახლში ვატარებ და მუდმივად ერთ კითხვას ვუსვამ საკუთარ თავს — აქვს თუ არა აზრი ჩემს ცხოვრებას. სიკვდილი სანატრებელი გამიხდა და ეს იმიტომ, რომ ადამიანებმა ჩემი სიკეთე სხვანაირად აღიქვეს. ალბათ გაუკვირდათ, ასე უანგაროდ რატომ უნდა მყვარებოდა გერები. ჩემი უბედურება მათ სინდისზე იყოს!

„სარბი“ პრემიული მამთილანი

„ლარიზი რომ ვარ. თურქი პომადას არ უნდა ამონდეს“

გამოხმაურება

ურნალ „სარკის“ 22-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „ჩემი ორსულობა დასაცინი გახდა“. ამ ქალის სიძლიერემ აღმავრთოვანა. ღმერთმა კარგად გამყოფოთ და ჯანმრთელი შვილები მოგცეთ! ეს ყველაზე დიდი სიმდიდრეა, რაც კი ადამიანს შეუძლია დააგროვოს. ახლა კი ჩემს ამბავს მოგიყვებით.

შეძლებული მშობლები არ მყავდა, მაგრამ არც გაჭირვებულები ვყოფილვარო. დედა ძალიან კოხტა ქალი იყო, გაპრანჭვა უყვარდა. კარგად კერავდა, ქსოვდა და ყოველთვის ლამაზად გამოიყურებოდა. მისი ეს თვისება მეც გამომეყვა. ყოველთვის ვცდილობ, მონესრიგებული ვიყო. გათხოვების შემდეგ ბევრი საფიქრალი გამიჩნდა. ქმრის მშობლებმა სახლიც კი არ გაიმეტეს ჩვენთვის, გამოაცხადეს, სანამ ვიცოცხლებო, აქ ჩვენ უნდა ვიყოთ, თქვენ ცალკე წადითო. ნაქირავე ბინაში ვცხოვრობო. მეც ვმუშაობ და ჩემი ქმარიც, მაგრამ თვიდან თვემდე თავი ძლივს გაგვაქვს, ძალიან გვიჭირს. ყოველ დღით იმის შიშით ვიღვიძებ, ვაითუ, ჩვენს ორ შვილს საჭმელი არ ჰქონდეს.

მიუხედავად ჩვენი ღარიბული ყოფისა, თავს იმის უფლებას არ ვაძლევ, დაკონკილმა ვიარო. სახლიდან ყოველთვის მონესრიგებული, მაკაიუთ გავდივარ. ეს კი სალაპარაკო გახდა. ქალები ქილიკობენ, ნეტა, რა გაპრანჭვის თავი აქვს, უკუჩი შიმშილით უხმებო. ერთმა დამცინავად მითხრა, სულ იმას წუნუნებ, ბინის ქირის გადახდის საშუალება არ მაქვსო და პომადის საყიდელ ფულს ხომ შოულობო. ამის მთქმელს ლაპარაკში შევეყვი, უცებ მეორე გამოესარჩლა, მართალს გეუბნება, შენს ადგილზე თმის დავარცხნის ნერვები არ მექნებოდაო. მივხვდი, მათთან დავას აზრი არ ჰქონდა. მხოლოდ ეს ვუთხარი, დიდი ბოდიში, ღარიბმა ქალმა პომადის წასმა რომ გავბედე, მაპატიეთ-მეთქი და წამოვედი.

ღარნახევარზე მეტი პომადაში არასოდეს მიმიცია, სახეზე ხელის კრემებს ვისვამ, რომელშიც ერთ ლარს ვიხდი. მეორადი ტანსაცმლის მაღაზიებში ღარიან ან ორღარიან რამეს ვყიდულობ, მერე ჩემებურად გადავკვეთებ, მივაკერ-მოვაკერებ, მოვაქსოვ რალაცეებს და ვიცვამ. თურმე ამის უფლებაც არ მაქვს. ვერ ვხვდები, ასეთი გაბოროტებულები რატომ არიან. მაინცდამაინც გასაცოდავებულმა ვიარო, რომ ილაპარაკონ, ნახეთ, რა საბრალოაო? როგორც ჩანს, ურჩევნიათ, დაჩაჩანაცებულს მხედავდნენ, მაგრამ ამას ვერასოდეს ეღირსებია.

ქალებს, რომლებიც ჩემნაირებს და იმ წერილის ავტორის მსგავს დედებს კიცხავენ, მივმართავ — საკუთარ თავს და ოჯახებს მიხედეთ!

„სარკის“ პერიოდული კითხვა

„რძლის დაღატა თვალი დახსოვა“

ურნალ „სარკის“ 21-ე ნომერში, „გულახდილი საუბრების“ რუბრიკაში გამოქვეყნდა წერილი — „ქალი, რომელიც სიყვარულს მეფიცებოდა, სხვისი ცოლი გახდა“. ამ წერილმა მიბიძგა, ჩემი ოჯახის ისტორია დამეწერა, რადგან იმას, რაც გულს მიკლავს, ვერავის ვუმხელ. ჩემს ოჯახს, ჩემთვის ძვირფას ადამიანსაც უღალატეს.

ჩემი ძმის ცოლი პატიოსანი, ქმარ-შვილზე გადაყოლილი ქალი მეგონა. ყოველთვის ისე იქცეოდა, მის ერთგულებაში ეჭვი არასოდეს შემიტანია. ნათესავები დღემდე ლაპარაკობენ, ქმარი ძალიან უყვარსო. თურმე მისი დიდი „სიყვარულის“ უკან ცბიერება და ღალატი იმალებოდა.

ერთ დღეს ჩემი ძმის სახლში ისეთ დროს მივედი, როცა არავინ მელოდებოდა. იქვე ახლოს გასვენებაში ვიყავი და ვიფიქრე, ჩემებსაც შევუვლი-მეთქი. ნეტა, არ მივსულიყავი. ჩემი რძალი მეზობლის მამაკაცთან ერთად დამხვდა... პირში წყალი ჩავიგუბე. არც მისთვის მითქვამს რამე და არც არავისთვის. მაშინვე ის წარმოვიდგინე, ჩემს ძმას თუ ოჯახი დაეგრეოდა, რა მოხდებოდა. სამი შვილი უდგოდ დარჩებოდა, ჩემი ძმა კი უკეთესს ვის მოიყვანდა? ან იქნებ ცოლი მოეკლა და ციხეში ჩამჯდარიყო. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვამჯობინე, ჩემს ძმას სიცრუეში ეცხოვრა, ვიდრე მწარე სიმართლეს გაენადგურებინა.

თქვენი პერიოდული კითხვა

„გაუფილტრავი კაიზერი“ — გემო, რომელიც არასდროს დაგაპინდებიათ

კომპანია „ნატახტარმა“ ლუდის მოყვარულებს კიდევ ერთი სიურპრიზი შესთავაზა. გერმანული ტრადიციების გათვალისწინებით, გერმანული ბრენდის ლუდი „კაიზერი“ „ნატახტარისაგან“ უკვე პოპულარული ბრენდია ლუდის ბაზარზე. ამჯერად „ნატახტარმა“ ახალი ლუდის — „ხორბლის გაუფილტრავი კაიზერის“ წარმოება დაიწყო, რომელიც ლუდის სხვა სახეობებისგან განსაკუთრებული არომატით გამოირჩევა.

საქართველოში ლუდის გერმანული ცნობილი ბრენდის „კაიზერის“ ჩამოსხმის ოფიციალური უფლება, პირველად კომპანია „კაიზერბრაუსის“ ისტორიაში, საქართველომ, უფრო კონკრეტულად კი კომპანია „ნატახტარმა“ მიიღო, რაც იმის მანიშნებელია, რომ „კაიზერის“ ბოთლზე უკვე დატანებულია წარწერა — „მეიდი ინიჯორჯია“. ეს გერმანული ლუდის მოყვარულებისათვის ნამდვილად საამაყოა. როგორც გერმანული ტექნოლოგიები ამბობენ, საქართველოში ჩამოსხმული „კაიზერი“ უფრო გემრიელია მის გერმანულ ანალოგთან შედარებით. ამის მიზეზი კი ნატახტარის განსაკუთრებული წყალია, რომელზეც ლუდი მზადდება.

კომპანიამ ახალი ლუდის, „ხორბლის გაუფილტრავი კაიზერის“ პრეზენტაცია-დეგუსტაცია რესტორან „ბიერ გარ-

ლუდი, რომლის მსოფლიო ბავარიასა და ნატახტარში იხარუება



დენში“ გამართა. ლუდის მოყვარულებს შორის ახალმა ლუდმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ერთ ბოთლში თავმოყრილია საოცარი გემო და გერმანული ხარისხი. ასეთი კომბინაცია კი ცხელი ზაფხული-სათვის პირდაპირ მისწრებაა.

ლუდის ქართულ ბაზარზე პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოში ხორბლის გაუფილტრავი ლუდის მასობრივი ჩამოსხმა ხდება. „აღნიშნული ლუდი ძირითადად ბავარიაში იწარმოება და საკმაოდ რთული წარმოების პროცესით ხასიათდება. ამ მიზეზის გათვალისწინებით, ლუდის მწარმოებელი კომპანიები ერიდებიან მის ჩამოსხმას. ჩვენ ეს გავბედით და საკმაოდ წარმატებულადაც შედეგად მივიღეთ უმაღლესი ხარისხის უგემრიელესი პროდუქტი“, — მიღწეულ წარმატებაზე საუბრობს კომპანია „ნატახტარის“ ტექნიკური დირექტორი გიორგი ქოქიაშვილი.

„საქართველოში პირველად მოხდა ხორბლის გაუფილტრავი ლუდის წარმოება. ეს არის ლუდი, რომლის გემო და არომატი არასოდეს დაგავიწყდებათ. ის ყველასგან გამოირჩეულია და, რაც მთავარია, ექსკლუზიური გერმანული ლიცენზიით მზადდება“, — ამბობს კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი.

ეკა ბესელიას 21-ე საუკუნის დედა ჰყავს გუნაჩა ოხაგველიძე: „ჩემი შვილის ოჯახის დანახვას მე გაგებით შევხვდი, ჩემი ქმარი – გაუგებხად“



■ **ეკატერინა ბესელია**

წარსულში ცნობილმა ადვოკატმა ეკა ბესელიამ, როცა პოლიტიკაში შეაბიჯა, ბევრი რამით გარისკა და ბევრი დარტყმაც იწვნია, მაგრამ ნაბიჯი უკან აღარ გადაუდგამს, რადგან ძლიერ ზურგს გრძნობდა. მის უკან ასეთივე ძლიერი ქალი იდგა — დედა, გულნარა ორაგველიძე, რომელიც შეუპოვარ ქალიშვილს ყველაფერში უგებდა და ეხმარებოდა მაშინაც კი, როცა მამა, თამაზ ბესელია, ბრაზობდა, ეკას ნაბიჯების კატეგორიული წინააღმდეგი იყო, საყვედურობდა ქალიშვილს, შვილიც და ძმაც პოლიტიკას გადააყოლო. ქალბატონი გულნარა ამ დროს ჩუმად ტირიდა, მაგრამ ეკას ჯიუტად ედგა მხარში.

ვითარება შეიცვალა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას და მის უახლოეს ადამიანებს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ქალბატონი გულნარა „სარკვესთან“ იმ ბედნიერ და მძიმე პერიოდებს ისხენებს, რაც დღემდე მისმა ოჯახმა გამოიარა.

— **ქალბატონო გულნარა, თქვენი ოჯახის შექმნის ისტორიით დაგვიყოთ, რამდენადაც ვიცა, მომაგვამს მუქდღამე მოგვითხარეთ.**

— ინსტიტუტი სოხუმში დავამთავრე, სპეციალობით საკვები პროდუქტების ინჟინერ-ტექნოლოგი ვარ. სამუშაოდ ქობულეთის ჩაის ფაბრიკაში გამანაწილეს, სადაც თამაზის ბიძა მუშაობდა. იქ ჩემი მომავალი ქმარი ბიძასთან ჩამოვიდა და მატარებელიდან შემთხვევით დამინახა. რატომღაც ერთი ნახვით გადაწყვიტა, რომ გავეცანი. მე შეხვედრამდე უარი ვუთხარი, მან კი მომიტაცა და ოჯახი ასე შექმენით. მე 22 წლის ვიყავი, თამაზი — 21-ის.

23 წლისას უკვე უფროსი ქალიშვილი, ხათუნა შემეძინა. მეუღლე პროფესიით აგრონომია, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დამთავრა. ჩვენი პირველი შვილი, ხათუნა, ქობულეთში დაიბადა. ერთი წლის შემდეგ ეკა შეგვეძინა. არადა ჩემი მეუღლე მათი ჩასახვის დღიდან ვაჟკაცების სადღეგრძელოს სვამდა. ჩემს ვაჟკაცებს გაუმარჯოსო, ადღეგრძელებდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ 6 წლის შემდეგაც გოგონა გაჩნდა, ცირა. კიდევ 6 წლის და ამდენი სადღეგრძელოს სმის მერე კი, როგორც იქნა, მეოთხე შვილი ბიჭი გაგვიჩნდა. მისი დაბადება მთელი სოფლის სიხარული იყო, ისეთი სროლა ატყდა თოფების, ხალხი ამბობდა, 1941 წლის ომი გაგვასენდაო.

— **თინო შეილას განრდაში აღბობთ მშობლები გენხმარებოდნენ.**

— მიუხედავად იმისა, რომ დედამთილ-მამამთილი მყავდა, ბავშვების აღზრდა ძირი-

თადად მარტოს მიწვედა. მამამთილი მეურნეობის დირექტორი იყო, დედამთილი — ექიმი. მეც ვმუშაობდი. 8 წელი რაიკომში ვიმუშავე, 6 წელი პროფტექნიკუმში ვასწავლიდი, 4 წელი საბავშვო ბაღის გამგე ვიყავი.

როცა ვმუშაობდი, ამათ სახლში მარტო ვტოვებდი და ერთმანეთს უფლიდნენ. პროფტექნიკუმში დილის 9 საათიდან 6 საათამდე მიწვევდა ყოფნა. როცა სახლში მოვიდოდი, ყველა ბავშვს თავისი საქმე ჰქონდა გაკეთებული. ხათუნას უფრო სამხარულოში ბზრიალი უყვარდა. 9 წლის იყო ეკა, როცა თეთრეულს დარეცხილს და გაფენილს მახვედრებდა. თან სწავლით, სპორტითაც იყო დაკავებული, კალათბურთზე დადიოდა, საქართველოს ნაკრების წევრი გახდა, კარგი გამთამაშებელი იყო.

ოთხივე იმდენად კარგად სწავლობდა, მასწავლებლები ისე აქებდნენ, ამის გამო ბევრჯერ უხერხულადაც მიგრძენია თავი.

— **ეკას სპორტული მიღწევებით მამამისი ამაყობდა?**

— ჩემს მეუღლეს კალათბურთზე და ბურთზე გართულება ჰქონდა, მაგრამ ეკას მე ვეხმარებოდი და კალათბურთზე ჩუმად დადიოდა. ბურთის სხვასთან ვტოვებდით და სპორტსკოლაში ასე ჩუმად დამყავდა. მაშინ გოგონების კალათბურთი მაღალ დონეზე იყო, სხვადასხვა ქვეყნებში მიდიოდნენ ტურნირებზე.

— **იქცე ჩემად აპარებდით?**

— ჩემი მეუღლე ძირითადად დილით ადრე გადიოდა და ღამე გვიან ბრუნდებოდა. საძინებელში 4 საწოლი იდგა, ეკას ლოგინზე ბალიშს, მუთაქებზე ვალაგებდა. თამაზი სახლში რომ დაბრუნდებოდა, ბავშვებს დახედავ-

და და ერთი კვირა ასე გაირბენდა. ეკა მედლებით რომ ჩამოვიდოდა, მამამისს მერე ვეტყვოდი, წასული რომ იყო. რა თქმა უნდა, გაბრაზებას მედლების ხარჯზე გადავიდოდი ხოლმე.

— **მკაცრი მამა ყოფილა თქვენი ქმარი.**

— მამა კი ჰყავდათ მკაცრი, ბავშვებს დაბადების დღეზეც არ უშვებდა. უფროსი დღემდე მყევდრის, რატომ გიჯერებდით და რატომ არ მივდიოდითო. ეკა თავისას მაინც გაიტანდა, მაინც წავიდოდა. ბავშვობიდან

ასეთი დამოუკიდებელი, მებრძოლი იყო. წერდა პიესებს, მოთხრობებს, ლექსებს. ჩემი შვილები ხასიათით განსხვავდებიან, მაგრამ საერთო თვისებებიც აქვთ, ძალიან კეთილები, ერთმანეთის მოყვარულები არიან. პაბარებს, ცირას და ბესოს, უერთმანეთოდ ვერც წარმოუდგენიათ თავი. ბესო ხათუნაზე 13 წლითაა უმცროსი, ის მის გაზრდაში ძალიან მეხმარებოდა. სკოლა ყველამ წარჩინებით დაამთავრა. ხათუნამ გურამ ბზვანელის მუსიკალური სტუდია დაამთავრა, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ სცენისთვის მორცხვი იყო, ამიტომ სამართალმცოდნეობაზე ჩააბარა. ოფისში ეკასთან დაინიშნა მუშაობა და თან სამართალმცოდნეობაზე დაუსწრებლად სწავლობდა. ცირაც იურისტი და ბესოც.

— **თინოვე შეილას ორნისტობა რატომ აინიშა, ეს ოჯახის სურვილი იყო თუ თავად ჰქონდათ ამ სფეროსადმი განსაკუთრებული მიდრეკილება?**

— ცირა სამედიცინო ინსტიტუტში მეოთხე კურსამდე სწავლობდა. სამართალმცოდნეობაზე მისი გადმოყვანა ჩემი ბრალი იყო, რასაც დღესაც მსაყვედურობს. ექიმად რომ ჩამოყალიბებულიყო, თითქმის 12 წელი უნდოდა. ვიფიქრე, გათხოვდება და სულ უდიდობოდ დარჩება-მეთქი, ამიტომ საბუთები გადმოვატანინე. ამ დროს ეკა უკვე საადვოკატო ასპარეზზე იყო გამოშული, თავისი საქმე ძალიან უყვარდა, ჩვენც მოგვწონდა და ვიფიქრე, რომ ცირასთვისაც იურისტიბა აჯობებდა, თან ხათუნაც ამ სფეროს გაჰყავდა.


ბესოს რაც შეეხება, ეკონომიკურზე ან სამართალმცოდნეობაზე უნდოდა სწავლა. ჩემი რჩევით მანაც ამ პროფესიაზე ჩააბარა.

— **ადრეულ ასაკში ეკაც მოიტაცეს ოჯახის რეაქცია როგორი იყო, როგორ შეხვდით ქალიშვილის გათხოვებას?**

— კი, ეკა მოიტაცეს. ეს ჩვენთვის დიდი ტკივილი იყო. მამამისი 3 თვე არც ელაპარაკებოდა. ქორწილით და სამეგობროს ჩარევით ძლივს შემოირიგა. ეკას გათხოვება არც უნდოდა, ამერიკაში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა. არც მე მინდოდა ეს, მაგრამ ამ ყველაფერს უფრო ადვილად შევეგუე. ეკასა და მამამისს შორის რალაცნობიერად შუამავლის როლს ვასრულებდი. ხანდახან ვიტყვი ხოლმე, რომ 21-ე საუკუნის დედა ვარ.

— **ეკა „სარკეში“ ცნობდა იმ სიძულელებზე რაც ბავშვით სულში სტუდენტობისას გამოიარა. მშობლები ვერ ასწავნიდით, თბილისში ქალიშვილს დასმარებდით?**

— ეკა თბილისში 3 თვის ბავშვით ჩამოვიდა. მაშინ არც გაზი იყო, არც წყალი და არც შუქი. პური ტალონებით იყიდებოდა, ბავშვით



■ **ეკა ბავშვობაში**

„**სქემებს ჩემად ვყაპავდი, მაგჩამ ახ მახსოვს, ეკასთვის საყვედუხი მეთქვას. ჩემი მეუღლე კი ამბობდა, ბავშვებიც პოლიტიკას გადააყოლო, მაგჩამ ისიც ჩვენ გვეხიოთ იდგა და ჩვენთან ერთად იბძობდა.**“



■ **ეკა მამასთან ერთად**

ხერხეული და სხსრების დახვეწების მეურნეობა ეფექტური და სწრაფი მეთოდით

ლალი პაიჭაძე (39 წლის, დიასახლისი, ბათუმი).

– გასულ წელს ძლიერი, გაუსაძლისი ტკივილები დამეწყო წელის არეში. ტკივილი გადაეცემოდა მარჯვენა ფეხში და მიჭირდა მოძრაობა. მივაკითხე ნევროპათოლოგს და დამიხსენებ წელის სპონდილოზი. L3, L5 დისკების პროტრუზია. L4 დისკის სევესტრიკული თიაქარი მარჯვნივ. ექიმების გადაწყვეტილებით, ქირურგიული ჩარევა იყო ერთადერთი გამოსავალი, რომელზეც შიშის გამო უარი ვთქვი. შემთხვევით „თბილისელებში“ ამოვიკითხე ქალბატონი მანანას კლინიკის შესახებ და მივაკითხე. მან დამაიმედა და მითხრა, რომ ტკივილებს შემომსუბუქებდა. მართლაც, დავინე მეურნეობა და, ქალბატონი მანანას წყალობით, სამი სენსის ჩატარების შემდეგ საგრძნობი შეემა მომეცა, ფეხში ტკივილი აღარ ვგრძნობდი და გათავისუფლდი გაუსაძლისი ტკივილისგან. ვმომხარებ თავისუფლად. დიდი მადლობა ქალბატონ მანანას პროფესიონალიზმისთვის!

პაპა ბახტაძე (38 წლის, მარნეული)

ლიანგინი: კისრის მალთაშუა დისკოზი.

წერის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიზიკლი უსწრაფესი ეფექტით მეურნეობს. მას მეურნეობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადასურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.

– აქ გაუსაძლისი ტკივილი მომიყვანეს: კისერზე კორსეტი მეკეთა, თავს ვერ ვატრიალებდი, ტკივილი მზარს და ხელის თითებში გადადიოდა, მიბუფდებოდა. ჩვენს მამინე ოპერაცია მიჩვენეს, აქ კი ისეთი შედეგი მომეცა მეურნეობაში, ოპერაციაზე როგორღაც ვიფიქრებ. 4 დღეში ყველა მწვავე ტკივილი მოიხსნა. აღარც კი მახსოვს, ოდესმე თუ მანუხებდა. სიტყვებით ვერ გამოვთქვამ, ისეთი მადლობელი ვარ.

გამაკა ლოვაშიძე (47 წლის, ეკონომისტი, თბილისი).

ლიანგინი: პოდაგრული ართრიტი.



– მთელი ახალგაზრდობა ქვიფსა და დროსტარებაში გავატარე და სწორედ ამის გამო დამემართა პოდაგრა. ერთ დღესაც, გავიღვიძე და მაჯა მქონდა გასიხეული, დანითლებული, მტკვანი – გავიჯერებულე და საშინლად მეტკიოდა.

ამ კლინიკაში ახლობელმა მომიყვანა. პირველივე პროცედურამ შედეგი გამოიღო – ხელი დამიხსნა. ასეთი სწრაფი შედეგით გაცილებული დავიწი. ლებრთმა დაგლოცოთ, მანანა ექიმი!

მისამართი: მეტრო „ნაძალადეთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18, №19. მიღება 11-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩანერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.

ხელში რიგებში იდგა, მაგრამ იმდენად დამოუკიდებელი იყო, ყველაფერს უმკლავდებოდა. უნდოდა, შვილი აუცილებლად მას გაეზარდა. დედამთილიც ესწვენიოდა და მეც, რომ ბავშვს ჩვენ გაუზრდოდა, მაგრამ არ ისურვა. მეუღლემ ეკასთან ერთად იყო თბილისში, ისიც სტუდენტი გახლდათ, ოღონდ საღამოს ცვლაში სწავლობდა. დილით ეკა უნივერსიტეტში რომ მიდიოდა, ბავშვს ქმარს უტოვებდა, შემდეგ სახლში სირბილით მოდიოდა, რომ მეუღლე გავიშვა სასწავლებელში. ეკას ვაჟის, რატის დაბადება ჩვენთვის დიდი სიხარული იყო. როცა ცირამ უნივერსიტეტში ჩააბარა, დას ისიც ესმარებოდა. სწავლის დამთავრების შემდეგ ეკამ იურისტად დაიწყო მუშაობა, მერე თავისი ფირმაც გახსნა. ყველაფერს სხვისი დახმარების გარეშე ალწევდა.

„მის საქართველო“ გახდა. ახლაც ჩატარდა სილამაზის კონკურსი მის ასაკობრივ ჯგუფში და ისევ ლიზიკომ გაიმარჯვა. ბულგარეთში მივემგზავრებოდა და ვნახოთ, რა შედეგით ჩამოვალთ (მასალა უკვე მზად გვქონდა, როცა გავიგეთ, რომ „მის მსოფლიო თინეიჯერის“

– საერთოდ ეკას პოლიტიკაში წასვლა თუ გინდობათ?

– არა და ეს არც მას უნდოდა. ეკა საკმაოდ წარმატებული ადვოკატი გახდა, 2001 წელს სისხლის სამართლის დეპარტამენტის წოდებაც მიენიჭა. მანამდე ბევრი პოლიტიკური პარტიიდან ჰქონდა შეთავაზება, მაგრამ ამის სურვილი არ გასჩენია. მთელი ოჯახი ამოლიტვიკურები ვიყავით, მაგრამ როცა ეკამ ეს ნაბიჯი გადადგა, მივესალმე. და მაინც, ის პოლიტიკისთვის ცოდავია, რადგან ძალიან სუფთა, პირდაპირი და ალბათი ადამიანია, პოლიტიკა კი ჭრელია. ეკა პოლიტიკურ საპარტოზე სამართლიანობისთვის საბრძოლველად გამოვიდა, თორემ სულ არ იყო მისთვის სახალისო თბილი სკამიდან ქუჩის პოლიტიკურ ცხოვრებაში გადანაცვლება.

– ეკა მკაცრი ქალი ჩანს. სახლშიც ასეთია?

– ამ დროს ძალიან გულთბილი, გულისხმიერი, კომუნიკაბელური ადამიანია. მას მკაცრი იმიჯი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამოუყალიბდა. ეკა ძალიან კარგი შვილიცაა, მადლობის გადახდა არასოდეს ავიწყდება. წარმატებას რომ მივალწიე, შენი დამსახურებაცაა, სწორად უთქვამს. მთელი ერთი კვირა შეიძლება ვერც დამირეკოს, საქართველოში არ იყოს და შვილი ვერ მოიკითხოს, მაგრამ სულიერად მშვიდად არის. როგორც დედა, არაჩვეულებრივია, ახლა კი ძალიან სწორად შვილებთან ვერ არის. ქუთაისიდან რომ ჩამოვალ, გზიდან მირეკავს, დედა, საქმელი გამიცხელე, სულ 5 წუთი მაქვსო.

ეკამ თავის ცხოვრებაში დიდი შრომა ჩადო, ამიტომ მისი ეს წარმატება არც გამკვირვებია. როცა ტელევიზორში გამოდის, დამირეკავს ხოლმე, დედა, ამ არხზე ვიქნები და მიყურეო. მერე მეკითხება, ნამეტანი მაკცერი ხომ არ ვიყავიო. მეუხერხულება, მასზე ამდენ კარგს რომ ვამბობ, მაგრამ მართლაც ასეთია და რა ვქნა?! სწორად მეკითხებიან, ბავშვობაში თუ ტიროდაო. ნამდვილად არ მახსოვს, რამეზე ტიროს, მუდამ ასეთი იყო. არასოდეს არავფერს აშავებდა, სულ საქმეს აკეთებდა ან კითხულობდა.

როცა ეკა ლიზიკოს დიდხანს ვერ ნახულობს, სწორად შემინიშნავს, ბავშვი ტელევიზორთან მიდის და დედას კოცნის. იმედი მაქვს, პარლამენტი თბილისში იქნება და დედა ლამით მაინც იქნება თავის შვილთან.

✓ ეკა ლეონიძე



და-ძმა ბახტაძეები

„ნეპოტიზმში ხომ ახ დადანაშაულებ, ამაზემდე ეკას თავისი და-ძმა დაუსაქმებელი ჰყავს“.

კონკურსზე ლიზი „მის მსოფლიო ტალანტი“ და „მის ევრაზია“ გახდა. ავტ.)

– ყველა შეიღო დაიჯანსაღებოდა გაციო?
– ხათუნა და ცირა გათხოვილები არიან. ხათუნას გოგო და ბიჭი ჰყავს, ცირას კი – ერთი ბიჭი. ვაჟი დასაქონრინებელია, 28 წლისაა. ის მთელი 7 წელი ეკას გვერდით იყო. ნეპოტიზმში რომ არ დადანაშაულონ, ამჟამად ეკას თავისი და-ძმა დაუსაქმებელი ჰყავს.

– ეკამ თბილისში ციფრის რთული პერიოდები გამოიარა. მისი შეიღო რატი და ძმა ბუსი დაბატონრებულები იყვნენ. გამოსდის, რომ მისი პოლიტიკისთვის ოჯახის წევრების ზურგზე გადადიოდა. ამაზე თუ საყვედურობდით მას?

– მეამაყებოდა, რომ ჩემი შვილი და შვილიშვილი დაკავებულები იყვნენ არა აკვაკობისთვის, არამედ პოლიტიკური ნიშნით, ამიტომ ამ ყველაფერს გაგებით შევხვდი. რა თქმა უნდა, ჩუმიდ ცრემლებს ვყლაპავდი, მაგრამ არ მახსოვს, ეკასთვის საყვედური მეთქვას. ჩემი მეუღლე კი ამბობდა ხოლმე, ბავშვებიც პოლიტიკას გაგებით შევხვდი, მაგრამ ისიც ჩვენ გვერდით იდგა და ჩვენთან ერთად იბრძოდა. ოქტომბრის არჩევნებზეც მთელი ოჯახი გრიგოლეთში ვიყავით ჩასული და ეკას ვეხმარებოდით.

– ეკას ოჯახი ძალიან დაჯანსაღდა. მის ამ გადაწყვეტილებას როგორ უსწავდათ?

– მე გაგებით შეხვდი, მამა – გაუგებრად. რა თქმა უნდა, ამ საქციელს არ ვუნდობდი, მაგრამ სოფელში დარჩენა ხელს მეუშლიდა მიზნის მიღწევაში. ეკა დღესაც მეუბნება, როგორი კარგი დედა მყავსარ, რომ ჩემს გადაწყვეტილებებს ასე იღებდი, მაშინ სოფელში რომ დავრჩენილიყავი, ახლა ალბათ რაიონის მოსამართლე ვიქნებოდი, ჩემი შესაძლებლობები იქ დაიკარგებოდაო. ჩემი ქმარი თითქმის ერთი წელი არ ელაპარაკებოდა ქალიშვილს, იმათკენაც იწევდა, მაგრამ მათთან რა ჰქონდა სადავო, როცა ეს გადაწყვეტილება ეკამ მიიღო. უფრო სწორად, ეს თავისთავად მოხდა, ეკა ქალაქში წამოვიდა და საკუთარი თავის რეალიზება მოახდინა, არ დაიკარგა.

– შემდეგ ოჯახი მკარედ შექმნა და ვიგონა გაჟინდა. ლიზიკოს გარდაში ამჯერად თქვენც მინაწილობდით?

– დიას, ლიზიკო მეორე ქორწინებიდან ჰყავს. ეკას ოცნება იყო, გოგონა ჰყოლოდა. როცა ლიზიკო დაიბადა, უბედნიერესი დედა იყო. იმ დღიდან კი არა, იმ საათიდან ვზრდი ლიზიკოს, როცა გაჩნდა. ძალიან კარგი ბავშვი. არ ვნანობ, რომ მასში ამდენი შრომა ჩავედ. სკოლაშიც კარგი სწავლობს. ხატვაზე, ცეკვაზე, მუსიკაზე, მეტყველების გაკვეთილებზე, ცურვაზე დამყავდა. „ბასტი ბუბუს“ სტუდიაშიც დავდიოდი. იქიდან 4 ბავშვი აარჩინეს, მათ შორის ლიზიკოც და 4 წლის ასაკში

შეუწყობს ხელისუფლების დაბალანსებას. ხელისუფლების დაბალანსება კი ჩვენთვის იყო, არის და იქნება დიდი პრობლემა. თუ გვინდა, რომ ნამდვილად დემოკრატიულ ხელისუფლებად ჩამოვყალიბდეთ, საფუძველშივე უნდა ჩავდეთ დაბალანსების ფაქტორი.

— რამდენად შეძლებს ბურჯანაძე ივანიშვილის რეჟიმთან კონკურენციას?

— მოდით, გავყვეთ ამ პროცესს და დარწმუნებული ვარ, მთავარი კონკურენცია იქნება ქალბატონ ნინოსა და გიორგი მარგველაშვილს შორის. გიორგი შესანიშნავი პიროვნებაა, მაგრამ ის კონკურენციას ვერანაირად გაუწევდა ქალბატონ ნინოს, რომ არ ჰქონოდა ბატონი ბიძინას მხარდაჭერა. ეს ყველაფერი კარგად ვიცით.

— რა აკლია მარგველაშვილს, რომ გახდეს დირექტორი პრეზიდენტი ან თუნდაც თქვენი მისაწინააღმდეგო?

— ბრწყინვალე პიროვნებაა, უაღრესად განათლებული, უამრავ თანამდებობაზე გამოდგება, მაგრამ არა — ამ თანამდებობაზე. მისი პერსონის განხილვა არც არასოდეს იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო დაყენებული საკითხი „ქართული ოცნების“ მხრიდან, ანუ ივანიშვილის მხრიდან.

— მაინც არ მიახსენებთ პირდაპირ კითხვას ამიტომ ასე შეგეკითხებით, რას უწუნებთ მარგველაშვილს, პოლიტიკურ გამოცდილებაზე?

— რა თქმა უნდა. ის არ არის, რასაც ჰქვია გამოცდილი, ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, ის განათლებული, მშვენიერი პიროვნებაა.

— ექსპერტები ვარაუდობენ, რომ წინასწარ ჩვენს პერიოდი იქნება მდითი და ქალბატონის ნისიცი არ იქნება კრიტიკული მარგველაშვილის მიმართ თუნდაც ამიტომ, რომ კონფონტაციაში არ შევიდეს ივანიშვილთან.

— კონფონტაცია — არა, მაგრამ იქნება ჯანსაღი კონკურენცია. კრიტიკა როგორ არ იქნება, მაგრამ არა ძირგამომთხრელი, არამედ ისეთი, რომ ხელი შეუწყოს სახელმწიფო პოლიტიკის უკეთ წარმართვას.

ქვეყანას სჭირდება დამოუკიდებელი პრეზიდენტი და მარგველაშვილი დამოუკიდებელი ვერ იქნება, ეს ხომ ნათელია. ის იქნება „ქართული ოცნების“ პოლიტიკის გაგრძელება. ამიტომაც ვამბობ, რომ მას უფრო წარმომადგენლობითი ფუნქცია ექნება.

— მაგრამ ოქტომბრის შემდეგ ფუნქცია ისედაც უზღუდება პრეზიდენტს.

— პრეზიდენტის ფუნქციები იზღუდება, მაგრამ ის მაინც რჩება სერიოზულ ფიგურად, რადგან არის არჩეული ხალხის მიერ და, რაც მთავარია, ის მთავარსარდალია.

— ნაციონალისტების კანდიდატს არანაირად განსინჯავთ კონკურენციას?

— ნაცემობა მხარდაჭერა მოსახლეობაში აღარ აქვს, ის განიცდის მარგინალიზაციას და ამაში არჩევნებზეც დაერწმუნდებით.

— ექსპერტები კი, თქვენთან განსხვავებით, თვლიან, რომ მთელი არასაპარლამენტო ოპოზიციის სპექტრის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შანსი მხოლოდ ერთი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანების შემთხვევაში აქვს.

— ქალბატონი ნინო და ალბათ მისი პარტია ამაზე დაინწყებს მუშაობას, შეიძლება დაწყებულიც აქვთ, მაგრამ რა შედეგს გამოიღებს, არ ვიცი. დღეს არჩევნებში გამარჯვებისთვის მნიშვნელოვან არასაპარლამენტო ძალების მხარდაჭერას კი არ ექნება, არამედ იმას, რამდენად სწორად წარმართავთ საარჩევნო კამპანიას. არჩევნებს იგებს ხალხის მხარდაჭერა.

მამუკა არაქიძე: „რუსეთს კლირი მიზეზი გაუჩნდა, საქართველოსთან უფრო გაეკაცრდა, ვიდრე დათბას“

რას მოასწავებს საქართველოსთვის ჯიმ კარისა და ვლადიმერ პუტინის საიდუმლო მოლაპარაკებები

შეიძლება ბევრ რამეში ტყუის სააკაშვილი, მაგრამ ერთ რამეში მართალია, რუსეთის ინტერესები და დამოკიდებულება საქართველოს მიმართ არ იცვლება, მიუხედავად იმისა, ვინ იქნება მთავრობაში. ეს რომ ასეა, 300 მეტრით თვითნებურად გადმონეული ოკუპაციის ხაზიც ადასტურებს და ისიც, რა კომენტარებიც მოჰყვა ამას რუსეთის მხრიდან. ის ახალი პროვოკაციისთვის ემზადდება. ჩრდილოელმა მეზობელმა რომ რაღაც მართლა ჩაიფიქრა, ამას ადასტურებს კავკასიის საკითხების ექსპერტი მამუკა არაქიძეც. მისი ვარაუდით, რუსეთის მოულოდნელი გააქტიურება დაკავშირებულია აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის ვიზიტთან მოსკოვში. მაშინ იქ „რაღაც მოხდა“, რის შემდეგაც პუტინის პოლიტიკა საქართველოსა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის მიმართ გაეკაცრა.

მამუკა არაქიძე

— საქმე ის არის, რომ ოკუპაციის პრობლემა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ღრმავდება. რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს, მის ყოფნას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ოფიციალური საფუძველი მიეცეს და ქართულმა მხარემ როგორმე საზღვარზე ლაპარაკი დაიწყოს. რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, როგორმე დადგინდეს საზღვარი სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის, რომ ამას სახელმწიფო საზღვრის ფორმა მიეცეს.

— და ხელნელა ამიტომ მოვიყვანე, რომ კარგი სასტრატეგო პოზიცია დავაგონებ?

— ეს შეგვიძლია ვივარაუდოთ, მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — ეს საზღვარი თავიდანვე ისე იყო გაკეთებული, რომ უდმივი დავის საგანი ყოფილიყო მომავალში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მავთულხლართების გავლება მესაზღვრის დღეს დაიწყეს, შეგნებულად დაამთხვიეს, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამას ისინი მანამდეც აკეთებდნენ. ახლა კი განსაკუთრებული აუიოტავი იმიტომ გამოიწვია, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობდა და მოსახლეობის დიდი ნაწილიც ემხრობოდა. უცებ კი ასეთი კაზუსი. თუმცა ამასაც თავისი ახსნა აქვს — რუსეთი ცდილობს, გაიმყაროს პოზიცია; ცდილობს, საზღვართან დაკავშირებით ქართული მხარე აიძულოს, მოლაპარაკებები დაიწყოს და მოახდინოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკის დიპლომატიკა, ანუ ყველაფერი



„იხებით, საქართველოს გახდა, იმავე ტიპის ზენოლას ახდენს აზერბაიჯანსა და სომხეთზე. მან ახიდა აზერბაიჯანის ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების ტერიტორიაზე, რომელიც ნოვოროსისკენ მიდიოდა, ამით სერიოზული დაზიანება მიყენა მის ეკონომიკას. სომხეთს კი უცებ გაუძვირა გაზი — 180 ცენტადიდან 270 გაუხადა“.

ერთად უნდა.

— თუნდაც ორი-სამი კვირის წინ ყველაფერი თითქოს კარგად იყო, ასე უცებ პოზიცია რატომ შეცვალეს?

— ეს რომ გავიგოთ, გეოპოლიტიკური სიტუაცია უნდა გვანალიზოთ. რუსეთს შეიძლება სასწრაფო დაედო, ერთი მხრივ, საქართველოსთან სიტუაციის გამოსწორება და, მეორე მხრივ, თავისი პოზიციის განმტკიცება არამართო საქართველოში, არამედ სამხრეთ კავკასიაში.

— ვინაა, თქვით, რომ უკვე სამხრეთ კავკასიაში უტყვის?

— ასეა, იმავე ტიპის ზენოლას ახდენს დანარჩენ ორ ქვეყანაზე — აზერბაიჯანსა და, რაც უნდა გასაკვირი იყო, სომხეთზეც. აკრძალა აზერბაიჯანის ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება თავის ტერიტორიაზე, რომელიც ნოვოროსისკენ მიდიოდა. ამით სერიოზული დაზიანება მიყენა აზერბაიჯანის ეკონომიკას. რაც შეეხება სომხეთს, უცებ გაუძვირა გაზი — 180 დოლარიდან 270 გაუხადა. → 18


მამუკა არაქიძის გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლეობა, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმეორებადი ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან საშუალოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტინიში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ლვიძის განმეორება, ფუნქციის აღგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასო! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება 0. **მ-60 ქაიშაპანი.**

☎ 599-90-54-78. 234-02-38

ირაკლი სესიაშვილი: „რუსეთის დიპლომატიურ სრიკზე არ ნაშრომებავით“

ამინ, როცა საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან გაყინული ურთიერთობის დატბობის გზას დაადგა, ხოლო ქართულ პროდუქციას რუსულ ბაზარზე დაბრუნების შანსი გაუჩნდა, რუსი სამხედროები საქართველოში მცოცავი აგრესიის ძველებურად აგრძელებენ. რამდენიმე დღის წინ შიდა ქართლში ოკუპაციის ზოლი 300 მეტრით გადმოსწიეს და სოფელ დიციის მოსახლეობის ნაწილი ბაღების გარეშე დატოვეს. ზოლის იქით რჩება სასმელი წყლის არხი და სოფლის მკვიდრის სახლ-კარი. დაკავებულია ათამდე მოსახლეც, რომლებიც თავიანთ ბალ-ვენახებში მუშაობდნენ. რუსეთთან დაძაბვით საქართველოს მთავრობა კი ჯერ ისევ წერილების წერის რეჟიმშია.



უნდა ჩამოვყალიბდეთ მინიმალურ წესებზე და მერე დაიწყოთ ურთიერთობის შემდგომი ეტაპი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არის პოზიტიური ნიშნები, რასაც ამ ინციდენტმა ხელი შეუშალა და მისი პოზიტიურად ამოწურვის შემთხვევაში კარგი სტიმული გვექნება, გაგაგრძელოთ კონსტრუქციული ურთიერთობა და შევძლოთ შემდგომი პრობლემის მოგვარება. სიმართლე გითხრა, ამ ეტაპზე თავს ვიკავებ, ვისაუბრო რეალურ მიზეზებზე, თუ რატომ წარმოიქმნა ეს ინციდენტი. მას შემდეგ, რაც სიტუაციაში უფრო დეტალურად

„ჩვენ ახ გვაქვს ცივილიზებული მონინალმდებელთან საქმე. ჩვენ გვაქვს საქმე მხაჩხსთან, ხომელთანაც მთელ სახეთაში ხომელთან საზოგადოებას აქვს კომუნიკაციის ჰობილება“.

— დიღვი განვითარებულ მოვლენებზე ყველას მივანდობთ ინფორმაციას. იმედი, მონიტორების გაზრდას შევძლებთ, შეიძლება პოლიციაც დავაზამთოთ და გავაძაგროთ ადგილობრივი მოსახლეობა. პოლიტიკურად ამაზე მეტის გაცუება დღეს საჭირო არაა. ადველოდით, ვნახოთ, საიდან მოდის და რა დონეზეა ეს გადაწყვეტილება მიღებული, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.

გასაკვირია, მაგრამ შემთხვევით არ სარგებლობს და ივანიშვილის მთავრობას არ აკრიტიკებს მისი ნომერი პირველი ოპოზიცია — ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

— მინდა, სრულიად ნათლად ვთქვა, რომ მე არ ვადასწავლებ ამას საქართველოს მთავრობას. რუსეთს აქვს თავისი გეგმა და არ უყურებს, რომელი განცხადება როდის გავაკეთებ, როგორ ხასიათზე ვართ. ის მიპყვება თავის გეგმას. მთავარია, ჩვენ ამას მიხვდეთ. ის, რომ ხაზი გადმოსწიეს, რა თქმა უნდა, არ არის რომელიმე მთავრობის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლის ბრალი, ისევე როგორც არასდროს ყოფილა წინა წლებში ჩვენი ბრალი. უნდა ვიცოდეთ, რომ მათ აქვთ ეს გეგმა და ჩვენ სანაცვლოდ სამართლებრივი პოზიციები არ უნდა შევასუსტოთ, ოკუპაციის კანონი არ შევასუსტოთ საზღვრებთან მიმართებაში, ტერმინი „ოკუპაცია“ არ ამოვიღოთ ხმარებიდან, იმიტომ, რომ ეს ჩვენი იურიდიული გასაღებია, — აცხადებს პრეზიდენტი.

რამდენად ადეკვატურია ხელისუფლების რეაქცია არ რითი აპირებს ის დაუპირისპირდეს რუსულ აგრესიას? ექსპერტის ნაწილი ამტკიცებს, რომ ხელისუფლებას არ აქვს სამოქმედო გეგმა და ხედავს, როგორ დაიცავს ადგილობრივი მოსახლეობა. მათ მოსაზრებებს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი სესიაშვილი პასუხობს:

— ასეთ შეფასებას მე უსაფუძვლოდ ვუნდობ და ვერც იმას ვხვდები, უშიშროების ნაწილი ან სამოქმედო გეგმაში რას გულისხმობენ. როგორც კი ფაქტი მოხდა, სახელმწიფომ დაიწყო მოქმედება. ხელისუფლების ყველა უწყება ჩაერთო, ვისაც კი შეეძლო რაიმე როლი ეთამაშა ინციდენტის ამოწურვაში. მთელი დიპლომატიური კორპუსი მობილიზებულია და საერთაშორისო დონეზე მუშაობს ძალიან აქტიურად. ყველა რუსურის ვიყენებთ. მეტი რა ვქნათ, თოვი გავისროლოთ? იქნებ ისიც გვიჩინონ, სხვა რა გავაკეთოთ?

— დაახლოებით იყოველ პასუხს ჰქონდა მინისტრ პაატა ზაქარაიასთან და 300 მეტრის გამო რუსეთს ამის წინ არ გამოუცხადებიათ. ამას არაფერ ვთხოვ, მაგრამ პრინციპულად მისი გეგმის დადგენა ადგილობრივების უსაფრთხოებას ნამდვილად სჭირდება. ამიტომ პრინციპულად გვითხარა, რა არის თქვენი სტრატეგია?

— პირველ რიგში, ინციდენტზე ამოვწეროთ. ამაში იგულისხმება მცოცავი აგრესიის შეჩერება.

გავერკვევით და თუ ის ვერსია დამტკიცდა, რასაც ახლა ვამონებთ, აუცილებლად გავაძაგრობებთ.

— ანუ ფიქრობთ, რომ ეს იყო ადგილობრივი სამხედროების თვითნებობა და არა — ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილება? რადიკალურად სიძლიერის ჰაგის ყველაფერი ცუდ და კორუმპირებულ გენერლებს რომ ბრალავებდით.

— არა, მე ამას ვერ გეტყვით, არ ვაპირებ იმის ანალიზს, ვინ, სად როგორ ფიქრობს. ფაქტი არის, რომ საერთაშორისო სამართლის კანონი, ჰუმანური სამართალი, შეთანხმება ირდება. ზოგადად ეს არანაირი საზღვარი არ არის, ეს არის საოკუპაციო ზოლი და საოკუპაციო ზოლის გადმონევა თავისთავად დამატებითი რისკების წარმოქმნის საფუძველია. ასევე მოსახლეობისთვის გარკვეული პრობლემების შემქმნელია. ასე რომ, იმ ფონზე, როცა ჩვენი ხელისუფლება ცდილობს რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობის ფარგლებში გადადგას პოზიტიური ნაბიჯები პრობლემების მოგვარებისთვის და ხდება ასეთი დესტრუქციული რეაქცია, შემამფრთხილებელი ფაქტორები რუსეთის მხრიდან არაკონსტრუქციული ნაბიჯები გამოიწვევს გვქნება, ჩვენი კონსტრუქციული მიდგომა შევცვლით, რისი სურვილიც არ გვაქვს, რამდენადაც, ვთვლით, რომ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი ვართ და ვემორჩილებით საერთაშორისო სამართალს. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის პრობლემების მოგვარებისთვის, ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის საჭიროა რუსეთთან დიალოგი.

— თქვენი აზრით, ეს პრობლემა დაილივის ჩანს შესაყვანად არის გამაწინააღმდეგებელი?

— მე არ ვთვლი, რომ ეს პროვოკაცია შორსმომავალ გეგმებს უკავშირდება; არ ვთვლი, რომ ამ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვებოდნენ კონფლიქტის გამწვანება ძალადობრივი მოქმედებით, ამის ნიშნები არ ჩანს. საერთაშორისო საზოგადოება მობილიზებულია. აქამდეც ჰქონდა მსგავსი შემთხვევები ადგილი, მაგრამ წინა ხელისუფლება ამას გეგმავდა, რადგან პრობლემის გადაწყვეტის ძალა არ ჰქონდა. არ ვაპირებთ თვალის დახუჭვას და ყოველთვის გვექნება ასეთ შემთხვევებზე მწვავე რეაქცია. ამიტომაც გახდა ეს ინციდენტი ცნობილი საზოგადოებისთვის, საერთაშორისო საზოგადოებაც ჩართულია და, იმედი მაქვს, რომ გარკვეულ, ჩვენივე სასურველ შედეგს მივალთ.

— იმედა, სასურველში 300 მეტრით უკან დაქვია ივანიშვილი და არა — ამ პოზიციასზე უკან უკან.

— რა თქმა უნდა, უკან უნდა დაინიონ. — რუსეთი აცხადებს, რომ იქ რუსი მესაზღვრეები არმონივრულად დაიწყეს მუშაობა.

სადეკლარაციას და მოქმედებს. გასაგება, რომ ისეთი-რუსეთის გულისხმობს.

— ცივილიზებული სამყარო სამრეთ ოსეთის რესპუბლიკას არ ცნობს და არც იმ შეთანხმებას ალიარებს. მეტიც, ჩვენ არ ვაპირებთ ვინმესთან ამ ფორმაში, ანუ როგორც საზღვარზე, საუბარს. ჩვენ მხოლოდ ვსაუბრობთ მცოცავი ოკუპაციის ფაქტზე, რითაც ზიანდება ბევრი რამ და მათ შორის — ის დიალოგი, რომელსაც აქვს ცივილიზებული ფორმა ჩვენი მხრიდან და ვითხოვთ ადეკვატურად ცივილიზებულ პასუხს. ცივილიზებული პასუხი იქნებოდა, თუ რუსეთი აქამდე გამოსული მავთულსლართებს ალაგებდა.

— ამის გავსებებს რომ არ აპირებენ, მგონი, გასაგება. რატომ აძილებთ?

— ამიტომ არის დიპლომატიის ხელოვნება, ამიტომ არის საერთაშორისო სამართალი, რომ რუსეთი დავარწმუნოთ, მათი ნაბიჯები არასწორია.

— ისეთი გამოცდილი კვანძების აზრით, რატომაც მამუკა არეშიც და პაატა ზაქარაიასი-ყილი არაა, რუსეთის ეს ნაბიჯები კარგად გააზრებულია, რომ რატომაც საქართველო ოკუპაციის წინაშე რატომაც საზღვარზე ისე ალაპარაკებს.

— ეს დეტალი ნამდვილად არის, რაზედაც ნაწილობრივ გიპასუხეთ, მაგრამ დაგიზუსტებთ, რომ ამ ტიპის დიალოგი არ შევალთ. ჩვენთვის ეს დიპლომატიური ხრიკი ნათელია, გასაგებია და ჩინში არ ვაპირებთ შესვლას. ამიტომ დიპლომატიის ეს პრობლემა არაფორმალური გზებით, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევით შევამტროთ.

— მოსახლეობის განმარტებულ უკანონო დაკავებაზე რას იტყვით?

— აქამდეც ბევრი აიყვანეს, მაგრამ ძალიან მალე გაათავისუფლეს. ამ შემთხვევაშიც მუშაობენ შესაბამისი სტრუქტურები. მუდმივი კავშირი არის იქითა მხარესთან და ღრმად ვარ დარწმუნებული, მალე გაათავისუფლებენ.

— ივანიშვილმა პოლიციის ქვედანაყოფის შეკვანაზე ისაუბრა, ეს საკითხი ისევე განიხილება?

— თუ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება, მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებისთვის და არა — რაიმე კონფლიქტის გაღრმავებისთვის. ადგილობრივი მოსახლეობა მუხს, რომ იქ ვერ ხედავს სამართალ-დაცვას ორგანოებს. ეს მათთვის ცივილიზებული დიპლომატიის გარანტია იქნება.

— არ შეიძლება არ გავითხოვოთ — არის მოსაზრება, რომ ივანიშვილის მთავრობის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში კრახით დასრულდა.

— არ გეთანხმებით, რადგან ვთქვი, რომ რუსეთთან მიმართებაში რამდენიმე პოზიტიური შედეგი უკვე გვაქვს — ბაზარი ფაქტობრივად გახსნილია, არის კონსტრუქციული დიალოგის ნიშნები, ასევე პერსპექტივები. ინციდენტმა ამ პროცესს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, მაგრამ ცვდილობთ, ეს ზიანი გამოვასწოროთ. რაც შეეხება ხელისუფლების უწინარობას, ცოტა ალოგიკურია. ამის მთქმელმა გაითვალისწინოს, რა მეშვეობით დაგვხვდა; გაითვალისწინოს, რა რესურსი დაგვიტოვეს ამ მეშვეობით დასაძლევად და არის საკითხები, რაშიც გარკვევა ახლა ხდება. არც ის დავიწყეთ, რომ ჩვენ არ გვაქვს ცივილიზებულ მონინალმდებელთან საქმე. ჩვენ გვაქვს საქმე მხარესთან, რომელთანაც მთელ საერთაშორისო საზოგადოებას აქვს კომუნიკაციის პრობლემა. იცით, რომ ევროპის სადამკვირვებლო მისიას ოკუპირებულ ტერიტორიაზე საერთოდ არ უშვებენ. ესეც დაავარალოთ, რომ ევროკავშირი უმოქმედო და უუნაროა?

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადია მანანა გველია

გურამ შარაძის მკვლელობის საქმეში ახალი მოწმე დაკითხვას ითხოვს

„ისეთი მალაქინოსები არიან დაკავშირებული ამ მკვლელობის დაგეგმვასთან, რომ გამოირიცხვება, სააკაშვილთან შეთანხმების გარეშე ემოქმედათ“

2007 წლის 20 მაისის საღამოს თბილისის ცენტრში, მელიქიშვილის გამზირზე ცნობილი მეცნიერი, პროფესორი გურამ შარაძე უამრავი მოწმის თვალწინ მოკლეს. მალე პოლიციამ გურამ შარაძის ვაჟის, გიორგის მეგობარი, გიორგი ბარათელი დააპატიმრა, მკვლელად გამოაცხადა და 26 წლიანი პატიმრობაზე შეუფარდა.

გიორგი ბარათელი მკვლელობიდან რამდენიმე დღეში უფლებას ინარჩუნებდა, შემდეგ კი ალიარებითი ჩვენება მისცა, რომ გურამ შარაძე მან მოკლა. საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კი ბარათელმა ადვოკატი მოითხოვა, მაგრამ ციხის ადმინისტრაციამ მოთხოვნა არ გაითვალისწინა. მკვლელობაში ბრალდებულმა ამის გამო ვენები გადაიჭრა. ამა წლის 31 მაისს გამართულ სასამართლო პროცესზე გიორგი ბარათელს ახალი ბრალი წაუყენეს და 26 წელს კიდევ 2 წელი დაუმატეს.

საქმე ის არის, რომ გიორგი ბარათელი ცოტა ხნის წინ ციხეში პატიმარ ჭონიაშვილს დაესხა თავს. საპატიმროში დამოუკიდებელი ფარული ვიდეოჩანაწერის მიხედვით ჩანს, რომ ბარათელი ბეჭებში მუშტს ურტყამს ჭონიაშვილს, რომელიც ამის შემდეგ გზას ჩვეულებრივად აგრძელებს. ჭონიაშვილს ბარათელისთვის არც შეურაცხყოფის და არც რაიმე დაზიანების მიყენებისთვის არ უჩივლია. სისხლის სამართლის საქმე ციხის ადმინისტრაციამ აღძრა. ბარათელს სასამართლომ სასჯელის სახით დაწესებული აკრძალული ნივთის შენახვა-ტარების მიზნით მიუყენა. გამოძიება ირწმუნება, რომ ბარათელს ხელში ე.წ. შტირი ეჭირა, რომელიც ჭონიაშვილს ჩაარტყა.



გიორგი ბარათელი

გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე და გიორგი ბარათელის ადვოკატი მამუკა ნოზაძე მთელი ამ 6 წლის განმავლობაში, რაც გურამ შარაძის მკვლელობიდან გავიდა, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მეცნიერი ბარათელს არ მოუკლავს. მათ საკმაო არგუმენტები და ფაქტები აქვთ ხელთ, რაც ამის თქმის საფუძველს აძლევს. თავად ბარათელმა ადვოკატ ნოზაძეს უთხრა, რომ გურამ შარაძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა იგი პოლიციელმა გაიტაცეს, ხელში ცეცხლსასროლი იარაღი დაჭერინეს და მიუთითეს, რომ პროფესორის მკვლელობა უნდა ელიარებინა. ბარათელის თქმით, პროკურორმა გიორგი ჩივიაშვილმა მას უთხრა, ყველაფერი ზემოთ არის გადაწყვეტილი და მე ვერაფერში დაგეგმარებო.

გურამ შარაძის ქალიშვილმა რუსუდან შარაძემ მამამისის მკვლელობის შემდეგ თავის ქმარ-შვილთან ერთად საქართველო დატოვა და შვეიცარიის პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. ცოტა ხნის წინ ის მამის მკვლელობის ხელახალი გამოძიების მოთხოვნით დაბრუნდა და ბარათელის პირველ სასამართლო პროცესსაც დაესწრო. ახლა კი ისევ უენგვაშია და პროცესებს იქიდან აკვირდება. რუსუდან შარაძე მამის მკვლელობის შემკვეთად მიხეილ სააკაშვილს ასახელებს და მის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს.

რუსუდან შარაძე: გიორგი ბარათელს ბრალი დაუძიებენ ე.წ. შტირის ინციდენტის გამო. ეს შეთითხნილი პროკოვაციაა, რათა მორალურად გატყონ. მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მუდმივად მიმდინარეობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლიად თქვა, რომ გურამ შარაძე არ

მოუკლავს და საერთოდ არ იმყოფებოდა მკვლელობის ადგილზე, ეს ზეწოლა გაძლიერდა, რომ თავისი სიტყვები უკან წაეღო. ბარათელი რომ მორალურად გატყდეს, ეს აწყობის მამაჩემის მკვლელობის, სააკაშვილის, მაგრამ მთავარი მიზანი მიღწეულია — გიორგი ბარათელმა სასამართლო პროცესზე ორჯერ დაადასტურა, რომ მას არ მოუკლავს გურამ შარაძე. მან თქვა, თუ როგორ აიძულებდნენ და რას უკეთებდნენ მთელი ამ წლების განმავლობაში. უამრავი ფაქტი და მტკიცებულება ჩვენ ხელთ. უახლოეს პერიოდში პროკურატურისგან რეაგირებას ველოდები.

პროკურორ გიორგი ჩივიაშვილს, რომელიც მთავარი ბრალდებული იყო, დავიბრდი, რომ პასუხს აცხადებ კანონის წინაშე და აუცილებლად გასამართლდება. ის ისეთ შავხელს ცხოვრებას ეწეოდა, მხოლოდ ბარათელის ცოდვით არ აქვს ხელი ჩაყოფილი. ბარათელმა ცოცხალად ჩივიაშვილი მას ეუბნებოდა, ალიარე მკვლელობა, ზემოთ ასე უნდათო.

— **თქვენ კვლავსაბოლოო უდასტურებო ბრალის შეკლა სჭირდებათ. აღნიშნული სასამართლოს იტყვით არ გაქვთ?**

— მე ვერ ვუკარნახებ ეკლესიას, რა გააკეთოს, მაგრამ უმორჩილესად ვთხოვ, გურამ შარაძის ქუჩაში დემონსტრაციულად დახვედრებზე ხმა ამოიღოს. უდასტურებო გიორგი ბარათელი მსხვერპლად შეენიერა ჩემს ოჯახს, მამაჩემს და ეკლესიამ იმას მაინც უშველოს, დაესმაროს. მთელ საზოგადოებას ვთხოვ, ამოიღოს ხმა.

— **თქვენ ეჭვრიტებით 31 მაისს სასამართლო პროცესს რა სდებოდა იქ შეკვდილით დაწვრილებით გვაგაზი?**

— ვცდილობდი, სასამართლოს დარბაზში არ დამერღვია კანონი. რაღაც მეგობრული ფრანზა წამომცდა ბარათელის მისამართით და მოსამართლემ შენიშვნა მომცა. მას დავემორჩილე და ბოდიშიც მოვუხადე. ამის შემდეგ ჩვენი

„უკონიუტელი ჰიოხენება ყვება მეკვლეობისა და შემკვეთების შესახებ. ჰიოხეაჰეხამი ახ ჰეაგიხებენ ჩვენს ინფორმაციებზე. ეჭვი გვაქვს, ხმმ ეთ-უთიი მეკვლეი შეიძლება ცოცხალი ლახი მოს“.

ურთიერთობა მხოლოდ მიმიკებით, უესტებით და ლიმილით გაგრძელდა. ბოლოს, როცა პროკურორმა პროცესის გადადება მოითხოვა და მოსამართლემ დაეთანხმა, ყვირილით დავეტოვეთ იქაურობა. ბარათელს ვუყვიროდი, შენ გამოხევა, არ გატყობ, რომც მოგისაჯონ ეს წლები დამატებით, ნუ გეშინია-მეთქი. თვითონაც დანიშნებდა, რომ კარგადაა. იმდენიანად იყო და დარწმუნებული ვარ, ახლაც ასეა.

მოსამართლე კოპალიანმა გამოიტანა გადამწყვეტილება და ბარათელს ორწლიანი სასჯელი დაუმატა. ამ კოპალიანს იმდენი კაცის ცოდვა ადევს კისერზე როგორც სააკაშვილის, ისე შევარდნაძის დროს... დღეს პროკურატურასა თუ სასამართლოში ძალიან ბევრია სააკაშვილზე დამოკიდებული ადამიანი. ჯერ ერთი,



გურამ შარაძე

მატერიალური კეთილდღეობით არიან მისგან დავალბებული და თითოეულ პროკურორსა თუ მოსამართლეს თავად სააკაშვილს უამრავი კომპრომატი აქვს. დამნაშავეებმა, ადამიანების ცოდვაში ხელ-ფეხგარეულებმა უნდა დატოვონ პროკურატურა და სასამართლო!

✦
გურამ შარაძის ოჯახის ადვოკატი ირაკლი გაბრიტიძე ამბობს, რომ შესაძლოა ის პიროვნება, ვინც გურამ შარაძე მოკლა, ცოცხალი აღარ იყოს.

ირაკლი გაბრიტიძე:

გურამ შარაძე სულ სხვა ადამიანმა მოკლა. არიან მოწმეები, რომლებიც ამბობენ, რომ იარაღით ხელში დაინახეს ადამიანი, რომლის აღწერილობაც აბსოლუტურად განსხვავდება ბარათელისგან. მკვლელი არის მალალი, ათლეთური აღნაგობის. ბარათელი კი დაბალი და გამხდარია. ეს უკანასკნელი დააკავს მკვლელობაში ცოცხალი ადრე, მერე კი მიიყვანეს და გაუშვეს მკვლელობის ადგილთან ახლოს მდებარე ტერიტორიაზე. შემდეგ კი მისი დაკავება მოხდა საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

პროკურატურას უკვე მივანოდეთ სხვა მტკიცებულებები და რეაგირებას ველოდებით. ეს უკავშირდება მათ, ვინც ამ მკვლელობის უკან დგანან. თუ სწორად წარიმართა გამოძიება, ყველაფერი გამოაშკარავდება. კონკრეტული პიროვნება ყველა მკვლელობისა და შეკვეთების შესახებ. თუ პროკურატურა ამით დაინტერესდება, გამოძიება სწორ კვალზე დადგება. პროკურატურაში არ რეაგირებენ ჩვენს ინფორმაციებზე. ყოფილი თანამდებობის პირმა მოგვანოდა ახალი ინფორმაციები და ველოდებით, გამოძიება რას იტყვის. ეჭვი გვაქვს, რომ ერთ-ერთი მკვლელი შეიძლება ცოცხალი აღარ იყოს.

— **ერთი მკვლელი რას ნაშაგს სხვებზე იყენებ?**

— მიზიმიში, ორი მონაწილეობდა უშუალოდ ლიკვიდაციაში. ვიდუთვალთ გადაღებული მასალის ექსპერტიზა თუ ჩატარდება, როგორც ვიცით, 90%-ით შეიძლება მკვლელის სახის აღდგენა. ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა და მის გამოძიებას პოლიტიკური ნებაც სჭირდება. ბარათელს ბოლო პროცესზე მიეცა საშუალება, კამერების წინ ლიად განეცხადებინა სიმართლე.

✦
გიორგი ბარათელის ადვოკატი, მამუკა ნოზაძე, ახალგაშენილ გარემოებებზე საუბრობს და ამბობს, რომ პროკურატურა სპეციალურად, ვილაცის დასაფარად არ აწარმოებს პოლიციის იმ ყოფილი მაღალჩინოსნის დაკითხვას, რომელმაც კარგად იცის, ვინ და როგორ დაეგმა შარაძის მკვლელობა.

მამუკა ნოზაძე: ბარათელს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე, სასჯელის სახის რეკვირებით დაწესებული აკრძალული ნივთის შენახვა-ტარების მუხლი მიუყენეს. ამ დროს არ არსებობს მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც, გიორგი ბარათელი აკრძალული ნივთს ინახავდა. ამ აკრძალულ ნივთში იგულისხმება ე.წ. შტირი. ვიდუკადრების ექსპერტიზის მიხედვით კი დასტურდება, რომ ბარათელს არანაირი ნივთი არ უჭირავს ხელში. ბარათელის მიმართ მიმდინარეობს მიზანმიმართული დევნა, სისხლის სამართლის საქმე შეუთითხნეს, რომ დასაშინა-ჟონ, გააჩუბონ. მოსამართლე კოპალიანმა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მსახური იყო და

ყველაზე მკაცრი განაჩენები გამოჰქონდა, ბარათელსაც მაქსიმუმი შეუფარდა პროკურატურის გულის მოსაგებად.

— რა ჩვენების საფეხელებზე აღიარა საქმე? პატარა ქონაშეღის არ უჩივლია, რაიგორც დაზარალებულს?

— არა, პატარა ქონაშეღი ადასტურებს, რომ გიორგი ბარათელს მისთვის არანაირი დაზიანება არ მიუყენებია. სისხლის სამართლის საქმე აღიარა ციხეში არსებულ ვიდუთვალზე აღბეჭდვით მასალის მიხედვით. ეს საჯარო ბრალდების საქმეა. სასჯელალსრულების დაწესებულებამ მიიჩნია დანაშაულად. ოქტომბრის შემდეგ, როცა პრესკონფერენციების მოწყობა და ამ საქმის განმარტება თავიდან დაიწყო, გააქტიურდნენ ყოფილი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში წარმოდგენილი ადამიანები, რომლებსაც არ აწყობდათ ამ საქმის ხელახალი გამოძიება. საქმე ამიტომ შეუთითხნენ.

— თუცა შესაძლია გიორგი ბარათელს ეს პრივილეგია თაყვანის მიაწვიო, რათა ყრადღება მიექცია მანამდე ვინც გადაუჭრა.

— 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გიორგი ბარათელი ითხოვდა ადვოკატს, მაგრამ სასჯელალსრულების დანესებულებაში მას ყურადღება არ მიაქციეს. უფრო მეტიც, მის მიერ ვენების გადაჭრა ჩვეულებრივ მოვლენად და ჩვევად ჩათვალეს. ასეთი ინციდენტის, თვითდაზიანების დროს უნდა აღიაროს სისხლის სამართლის საქმე, რაც არ გაუკეთებიათ. ბარათელს ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი რაოდენობით ფსიქოტროპულ საშუალებებს ასმევედნენ, რომ მუდმივად გათიშული ყოფილიყო. უგზავნიდნენ პატიმრებს, რომლებიც უნებნოდნენ, გოგა ხანინდრავასთვის დედოფელი, ვითომ მან შეუკვეთა შარაძის მკვლელობა და ბარათელს გაათავისუფლებდნენ.

— ახლა რაიგორაა მისი ფსიქიკური მდგომარეობა?

— ახლა ნორმალურად არის. ფსიქოტროპულ წამლებს აღარ ასმევენ, საკმოდ ნათელი

გონება აქვს. ამ 2 წლის დამატება ძალიან მტკივნეულად მიიღო.

— განსაზღვრებას აპირებ?

— თუ საჭირო გახდება, ევროპულ სასამართლოშიც გავსაზივრებთ. ბოლო დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დეტალები გამოვ-

„ბახათელს ხანგძივი ეხოს განმავლობაში იგი ხომდენობით ფსიქოტროპულ საშუალებებს ასმევედნენ, ხომ მედმივად გათიშული ყოფილიყო. უგზავნიდნენ პატიმრებს, ხომდენობით ეუბნებოდნენ, გოგა ხანინდრავასთვის დედოფელი, ვითომ მან შეუკვეთა შარაძის მკვლელობა და ბახათელს გაათავისუფლებდნენ“.

ლინდა, რაც ბარათელის უდანაშაულობას ადასტურებს. ის ადამიანები ითხოვენ ჩვენების მიცემას, ვინც დეტალურად აღწერენ როგორ დაიგეგმა შარაძის მკვლელობა. ერთი გახლავთ პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი. დავითხვას ითხოვს, მაგრამ სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატორი, ვალერი იოსავა, რომელიც სააკაშვილის მონა იყო, ჯერჯერობით არ ცდილობს გამოძიების დაწყებას.

— სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურა ამ საქმის რა კავშირსაა?

— ის ადამიანი, რომელმაც ჩვენება უნდა მისცეს, ამ რეჟიმში ცხოვრობს და ამ პროკურატურას იმიტომ მიმართა. თან, როგორც ჩანს, შარაძის მკვლელობის გარკვეული დეტალები სამეგრელოში დაიგეგმა. ამ ადამიანმა იცის, ვინ და როგორ დაიგეგმა ეს ყველაფერი. თუ იქ დავითხვებ უარი უთხრეს, მეგრეთივარ პროკურატურას მივმართავთ და პრესკონფერენციასაც გავმართავთ.

— რუსუდან შარაძე პირადად სააკაშვილს ადებს ხელს.

— ისეთი მაღალჩინოსნები არიან დავაში-

რებულნი ამ მკვლელობის დაგეგმვასთან, რომ გამოირცხულია, სააკაშვილთან შეთანხმების გარეშე ემოქმედათ.

ყოფილი პროკურირი გიორგი ჩივიშვილი, რომელიც ახლა ადვოკატად მუშაობს და ამჟამად ყოფილი პრემიერმინისტრის, ვანო მერაბიშვილის დაცვით არის დაცვებული, გიორგი ბარათელის ბრალდებებს სისულელეს უწოდებს და ირწმუნება, რომ ბარათელის მიერ გურამ შარაძის მოკვლა უტყუარი ფაქტია.

გიორგი ჩივიშვილი: არ ვიცი, ამ ადამიანს რისი მოლოდინი აქვს და რატომ აკეთებს ასეთ განცხადებებს, მაგრამ ჩემ მიერ განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ზენოლაზე ლაპარაკი სრული აბსურდია. მე ვიყავი პროკურირი, წარმოვადგენდი სახელმწიფო ბრალმდებელს და ბარათელი, რომელიც მოკვლა გურამ შარაძე, დაპატიმრებულია. ორი ინსტანცია აქვს გავლილი. რაიმე იძულებას, ზენოლას ადგილი არ ჰქონია, იმდენი მტკიცებულება საქმეში. უფრო მეტიც, როცა ამ ადამიანმა მოკვლა გურამ შარაძე, პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია და აყვანის ადგილს დაიჭრა კიდევ: გასაგებია, რომ ახლა სპეკულირებს. ვიმეორებ, დიხს, მე ვიყავი პროკურირი და გიორგი ბარათელმა მოკლა გურამ შარაძე!

— ახლა გარემოებები გამიჩინდა — შარაძის მკვლელობა სამეგრელოში დაგეგმილია. ამის შესახებ პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ლაპარაკობს.

— წარმოდგენა არ მაქვს, რაზე მელაპარაკებით. ჩემთვის საკმარისზე მეტი იყო ის მტკიცებულებები, რომ ბრალდებისთვის მხარი დამეჭირა. პოლიტიკური განცხადებები არ მინტერესებს. მე ვიყავი პროკურირი და პოლიტიკურ განცხადებებს ვერც მაშინ მივაქცევდი ყურადღებას. დღეს ადვოკატი ვარ და ვერც დღეს მივაქცევ. ჩემთვის მნიშვნელოვანი არ არის, პოლიტიკოსები რა განცხადებებს გააკეთებენ. მე მხოლოდ ნივთმტკიცებულებებს ვეყრდნობოდი.

✓ რუსუდან ადგი

ოჯახური დრამა — მამა შვილი მოკლა

29 მაისს თბილისში, დგებუაძის ქუჩაზე, შემზარავი მკვლელობა მოხდა. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა 58 წლის ვლადიმერ ჩქარეულმა საკუთარი შვილი, 30 წლის თენგი ჩქარეული მოკლა. ახალგაზრდა კაცი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობისგან ადგილზევე გარდაიცვალა.

მეზობლების მონაყოლით, ჩქარეულების ოჯახს გარკვეული პრობლემები ჰქონდა. თენგი მოკლა დედა ავადმყოფობდა, თენგი კი სწორად სვამდა. მამა-შვილს სწორად მოსდებოდა კამათი. მეზობლების ვარაუდით, ვლადიმერმა მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა.

— ვოვას ცოლი ავადმყოფობს და სადღაც სოფელში ჰყავს გაგზავნილი, შვილი კი სვამდა და ის სანაყალი სულ ამაზე ნერვიულობდა. ვოვას გოგოც ჰყავს, ის გათხოვილია. ამ ბიჭსაც ცოლ-შვილი ჰყავს, მაგრამ, მგონი, ცოლს გაცილებულია. ვოვამ მკვლელობას ნასვამ მდგომარეობაში ჩაიდინა. ის ბიჭი, როგორც გითხარით, სწორად სვამდა, მაგრამ უნძის ბიჭები ამბობენ, ბოლო პერიოდში, 2-3 თვე, თენგოს არ დაუღუგიაო. მკვლელობის დღეს კი ბიჭებს პლენაროზე ნასვამი უნახავთ. რატომ დალიო, უკითხავთ. მან კი თურმე უპასუხა, დღეს სამი ნათესავი გარდაიცვალა და მათი შესანდობარი შევსეთო. როგორც ჩანს, სახლში თენგიც ნასვამი მივიდა, ვოვაც და ეს უბედურებაც მოხდა.

ზოგი ამბობს, მამამ შვილს რომ ესროლა, შემდეგ პატრულში დარეკა და თქვა, სიმთვრალეში შვილი მოკვალა, დამაპატიმრეთო.

ვოვა ძალიან კარგი პიროვნება, ზრდილობიანი, მონესრიგებული კაცი იყო. შვილზე

ამბობენ, რომ ცოტა ავადმყოფი იყო, მამა კი სულ იმას ეუბნებოდა, არ დალიო. როგორც ჩანს, კამათიც ამაზე მოუვიდათ. ზოგმა თქვა, ერთი ტყვია ესროლაო, ზოგი ამბობს — სამჯერო, — გვიამბო ერთ-ერთი ახლომდებარე სუპერმარკეტის მუშაკონონი.

მეზობლების თქმით, თენგი სიმთვრალეში მამის მიმართ აგრესიას ხშირად ავლენდა.

— თენგოს სმა უყვარდა, სიმთვრალე კი პათოლოგიური ჰქონდა — ყვიროდა, ჩხუბობდა. რამდენადაც ვიცი, აგრესიას ოჯახში ავლენდა. შეიძლება მამასაც სცემდა... სმა ვოვასაც უყვარდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ლოთი იყო. რამდენადაც ვიცი, ერთად დალიეს, შეიძლება შვილმა აგრესია გამოავლინა და ამ კაცმა ესროლა. ერთმა მეზობელმა მითხრა, ვოვამ მითხრა, შვილი მცემსო. ის ბიჭი ქუჩაში მოჩხუბარი არ მინახავს, როგორც ჩანს, აგრესიას მამასთან ავლენდა. ალბათ იმ დღესაც იჩხუბა, ნასვამ კაცს კი ყელში ამოასხა და...

როგორც გავიგე, ბიჭს სამი ტყვია აქვს მოხვედრილი. გამიკვირდა, ვოვას ის იარაღი საიდან ჰქონდა. მე რე გავიგე, რომ თურმე მამა გენერალი თუ პოლიკონიკი ჰყავდა. ალბათ ის იარაღი მისგან დარჩა. შს-ს წარმომადგენლებმა თქვეს, რომ იარაღი უკანონოდ ჰქონდა შენახული... ვოვა წყნარი კაცია. ურთიერთობაში ძალიან თბილი იყო, რჩევა-დარიგებასაც კი მოგცემდა. მისგან ასეთი საქციელი ძალიან გამიკვირდა. თენგი უმუშევარი იყო, ვოვა ოჯახს ტაქსის მძღოლობით არჩენდა, — გვითხრა ჩქარეულების ერთ-ერთმა მეზობელმა.

ჩქარეულების მეორე მეზობელმა კი „სარკესთან“ საუბარში გაიხსენა:

— ბრალდებული არჩეულელებრივი, ინტელიგენტი ოჯახის შვილია. თუ არ ვცდები, ამ კაცის მამა გაერო-ში მუშაობს. შვილი სწორად სვამდა, თუმცა, როცა ფხიზელი იყო, გარეთ ზრდილობიანი, კარგი ბიჭი იყო, ძალიან მიყვარდა. ეკონომიკურად ძალიან უჭირდათ, სახლი მანგლისშიც ჰქონდათ, გარდაცვლილის დედა იქ იყო. ვოვა მანგლისში ცოლს ხშირად აკითხავდა, თენგიც იქით იყო ხოლმე. არჩეულელებრივი ცოლ-ქმარი არიან, მაგრამ ვოვასაც ცოტა სმა უყვარდა. თენგი, რამდენადაც ვიცი, მუულებს გამოვრებული იყო. იმ დღეს რა მოხდა, არ ვიცი, მეზობლებს სროლის ხმა არ გაგვიგია.

სამართალდამცავებმა ვლადიმერ ჩქარეული ადგილზევე დააკავეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით აქვს წაყენებული. გამოძიება განზრახ მკვლელობისა და იარაღის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს.

✓ კვა ლემონჯავა

ნათელხილველი სელინა
გაითხაროს ტაროს კარტზე და ყავაზე
აკეთავს თილისხავს და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

სალომე ქათამაძე: „აუსილვალი არ არის, სხანაზა „ნაშასავით“ გამოიყურებოდა“

მომლხადი იხმადას ჯონჯიხსზე მიჯმეცვილი მიემზახეზა



კომლერალი სალომე ქათამაძე იურმალას კონკურსისათვის აქტიურად ემზადება. ყოველდღე რეპეტიციებს გადის. რამდენიმე სიმღერა უკვე შეარჩია. ძალიან მოწონებულა, რომ მაცურებელი არამარტო ვოკალით, ვიზუალითაც მოხიბლოს. ამის გამო მკაცრ დეტას მიმართა, ვარცხნილობასაც შეიცვალის და ჩაცმის სტილსაც, მაგრამ მისი მთავარი იარაღი მაინც ის ენერგეტიკა იქნება, რომელსაც სცენიდან უხვად გასცემს. ახლა მის ცხოვრებაში საინტერესო, მაგრამ საკმაოდ რთული პერიოდია. ამიტომ მას განსაკუთრებული მხარდაჭერა, თანადგომა სჭირდება, რასაც არამარტო ოჯახის წევრებისგან, უცხოებებისგანაც გრძნობს.

— სალომე, წინაშე დაგიკლათ, ალბათ თურმალასთვის აგრძელებთ დეტას?

— მინდა, იურმალას კონკურსზე სხვა ტიპის სალომე წარდგეს. ვცდილობ, გავხდე, თმას ვიზრდი. მკაცრ დეტაზე ვიყავი, ექვსი დღე გავძელი, მაგრამ რამდენიმე დღე დავარღვეე, ცომაულს ვჭამდი. ახლა 4 კილოტი ნაკლებს ვინონი და სხვა დეტას ვინყებ, რომელიც ისეთი მძიმე და რთულად გადასატანი არ იქნება, როგორც ის იყო. იურმალამდე, მაქსიმუმ, 15-20 კილოს დაკლებდა მინდა, ყოველ შემთხვევაში, ამას შევეცდები. ეს ძალიან რთულია, მაგრამ რაც გამოვა, გამოვა.

— უკვე შეარჩიეთ სასცენო კოსტიუმები თურმალასთვის?

— ტანსაცმელს მე და დათუნა სულიკაშვილი ერთად ვარჩევთ. ალბათ ტანზე მომდგარ, ლამაზ კაბას ჩავიცვამ და ლამაზ სამკაულებს გავიცვამ. ფიგურა ხელს არ მიწყობს, რომ ყოველთვის ასე მეცვას. ახლა ამამოც უნდა გამოვცადო საკუთარი თავი... ადრე ძალიან გამხდარი ვიყავი, 59-60 კილოს ვინონიდი. ახლა 76 კილო ვარ. კლასიკურ სიმღერებს შევასრულებ, ამიტომ ჩანაჩული შარვლით და ჯინსით არ გამოვალ.

— ერთხელ „სარკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში დედათქვენმა თქვა, რომ აქამდე წყდოქტი წინა დიდად არ გავლევებდათ.

— როცა მომღერალი ხარ, რა თქმა უნდა, სცენური და ლამაზი უნდა იყო. აუდიტორიის წინაშე რომ წარდგები, მაცურებელს შენი დანახვა უნდა ესიამოვნოს. თუ ისეთი ფიგურა არ გაქვს, რომ სცენაზე გამოყვანილი, კლასიკური ან მოკლე კაბებით გახვიდე, შეგიძლია ლამაზად, სადად ჩაიცვა, ნაკლოვანებები დაფარო. აუცილებელი არ არის, „ნაშასავით“ გამოიყურებოდე.

— როგორი განწყობით მიდისნართ, სურვილით?

— შემართებით ვარ, ძალიან მაგრად ვიმღერებ და იქაურობას დავანგრევე. ვაიმე, რა მემშველება, ვერ ვიმღერებ-მეთქი, ასე ნამდვილად არ ვფიქრობ.

— თურმალა რუსული კონკურსია, რომელსაც პოლიტიკა გარკვეულ გავლენას ახდენს. როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტორი თქვენთვის ხელისშემშლელი არ იქნება?

— რა თქმა უნდა, პოლიტიკური გავლენაც არის ხოლმე, მაგრამ მე ყველანაირად ვცდები,

„იუხმადამი ტანზე მომდგახ, ღამაზ კაბას ჩავიცვამ და ღამაზ სამკაულებს გავიცვამ. ფიგურა ხელს ახ მიწყობს, რომ ყოველთვის ასე მეცვას. ახლა აქამოც უნდა გამოვცადო საკუთარი თავი“.

ვად იმღერეს, მაგრამ ქელები ვერ მიადეს. ამ კონკურსს რომ პოლიტიკური ელფერი დაპარავს, ამით კიდევ ერთხელ გამიხინდა.

— მეც გამიგია, რომ ევროვიზია პოლიტიკური კონკურსია. ალბათ ის შედეგი, რაც ვნახეთ, ამის დამადასტურებელია. ნოდი და სოფი არაჩვეულებრივები იყვნენ. პირადად მე გამარჯვებულით უკმაყოფილო ვარ.

— თურმალას კონკურსს წინა წლებშიც უყურებდით?

— კი, ყოველთვის ვუყურებდი. ეს კონკურსი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ფართო აუდიტორიას, სხვადასხვა ქვეყანას აჩვენო, რა შეგიძლია. ჩემი აზრით, მომღერლისთვის წინაგადადგმული ნაბიჯია. თუ ვერ გაიმარჯვებს, კარგი მომღერალი თავის სიტყვას მაინც იტყვის.

— თქვენ რას თქმას აპირებთ?

— საერთოდ, როცა სცენაზე გამოდიხარ, შენს თავზე საუბრობ. რა თქმა უნდა, ადამიანებისთვის მღერი, მაგრამ ამავე დროს თითქოს შენს ბიოგრაფიას ყვები. თითოეული შენი ქცევა, ნოტი, შესრულების მანერა, სცენურობა შენზე მეტყველებს. თუშეცა არსებობენ ადამიანები, რომლებსაც შეიძლება არ მოეწონოს, ყველას სხვადასხვა გემოვნება აქვს. მე როცა სიმღერას ვინყებ, რალაცვები თავისით მომდის. იმ დროს ვერ ვფიქრობ, ხელი მარჯვნივ უნდა გავწიო თუ მარცხნივ, ჩავიმუხლო თუ არა. წინასწარ ვერ ვფიქრობ იმაზე, სცენაზე რომ გავაღ, რა უნდა გავაკეთო. რალაც ენერგია თავისით მოდის, რომელიც რალაცვებს მაკეთებინებს. ეს ძალიან ბევრს მოსწონს.

— როგორც ვიცით, თურმალას ჟური საკმაოდ მაკარსი შექმნა. რითი აპირებთ მისი გულის მიტეხვას?

— ვეთანხმებით, ისინი ძალიან მკაცრი შემფასებლები არიან. სიმღერებს ჩემებურად ვასრულებ და ეს შეიძლება ჩემი ერთ-ერთი იარაღი იყოს. ვგრძნობ, რომ სიმღერის დროს ენერგიის ტალღით მაცურებელს დიდ სიყვარულს გადავცემ. ჟური ჩემი სიყვარულით, დადებითი მუხტითაც შეიძლება მოვიხიბო. ჩემი აზრით, ესეც ნიჭია. შეიძლება ვილატამ ეს

შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთო და ჩემს ქვეყანას წარმატება მოვუტანო. ამას შეეძლება, თუ ჟური ჩემს ნამღერს სწორად შეაფასებს. ამ შემთხვევაში მათ რა პოლიტიკური ამბები აქვთ დალაგებული თუ დაულაგებელი, არ ვიცი, ამაში ვერც ვერკვევი და არც მინდა, გავერკვიო. მომღერალი პოლიტიკური ფიგურა არ არის, თუშეცა მას არჩევის უფლება აქვს, იყოს თუ არა აპოლიტიკური ან პირიქით. მე კი პოლიტიკისგან ძალიან შორს ვდგავარ. ვარ ადამიანი, რომელსაც ყველაფერი პოლიტიკური და დადებითი უყვარს. შეიძლება პოლიტიკოსი მხოლოდ იმიტომ მოემწონოს, რომ დადებითი ღიმილი აქვს.

— ევროვიზიის მაგალითი გვაქვს, სადაც ნიდაო ტატიშვილმა და სოფია გულაგანმა შესანიშნავად იმღერეს.

— კი, მართლაც ასე იყო. იქ მონაწილე ყველა ბავშვი ძალიან მიყვარს, მაგრამ რეზიკო დიდებაშილი — განსაკუთრებულად, რადგან ის უფროსების „ახალ ხმაში“ ჩემ გვერდით იდგა და თავისი პატარა გულით მესმარებოდა. გამარჯვებულად რეზიკო რომ გამოაცხადეს, არ ვიცი, რა დამეპართა, პაუზი ახტი, სალტოები გავაკეთე. თითქმის იგივე ვიგრძენი, რაც ჩემი გამარჯვებისას. ბოლო ხმაზე ვიოდი, ეს კვირი სიცილი გადამეზარდა, სიცილი კი — ტირილში. ბედნიერებისგან ჭკუაზე არ ვიყავი, მანყნარებდნენ. სხვათა შორის, ამ კონკურსზე ბევრი ფავორიტი მყავდა, მაგრამ გამორჩეულად რეზიკოს ვგულმემატყვებოდი, მის მიმართ სიყვარულის უფრო მეტი ნაპერკალი მქონდა.

— როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება ამ პრიექტში გამარჯვების შემდეგ?

— ყველა თბილად მექცევა, მლოცავენ, დიდ სიყვარულს გადმომცემენ, ქუჩაში მცნობენ. ამ პრიექტმა ძალიან ბევრი და დადებითი რამ მომიტანა. ძალიან ვაღნიერებ ვარ და მიხარია, რომ ასეთ ემოციებს ვიღებ.

— უკვე ხომ არ გადასწყდით ბინაში, რომელიც ამ პრიექტში გამარჯვებისთვის პრიზად მიიღეთ?

— არა, რადგან ბოლომდე დასრულებული არ არის. ალბათ მალე გადავალთ. მე და ჩემს მეუღლეს გვირჩევენია, ცალკე ვიცხოვროთ, მარტო ცხოვრება უფრო სასიამოვნო იქნება.

— თქვენს ახალი წევრის შემატებაზე არ ფიქრობთ?

— არა, ჯერჯერობით გვემინია, რადგან შვილზე რომ ვიფიქროთ, ყველაფერი დალაგებული უნდა გვექნოდეს, სტაბილური შემოსავალი გავაჩვენდეს. ამ ყველაფერს ახლა ნელ-ნელა ვაგვაკრებთ, ვალაგებთ. ამის შემდეგ ბავშვზეც ვიფიქრებთ.

ტრანსში ჩამოთვალოს, მაგრამ მეც და, ვინც მისმენს, ამას ვგრძნობთ.

— რომელი სიმღერებით წარდგებით კონკურსზე?

— სამ სიმღერას შევასრულებ. ერთი ქართულენოვანი, ფოლკლორულ სტილში იქნება, დანარჩენი ორი — ინგლისურენოვანი. ერთ-ერთი რუსა მორჩილით არის. ჯერ არ ვიცი, რომელს შევასრულებ.

— როდის მიემზახებთ?

— კონკურსი 23 ივლისიდან იწყება და ივლისის დასაწყისში გავემზავრები, რადგან მთელი ორი კვირის განმავლობაში რეპეტიციების გავლა მომიწევს.

— თქვენი ოჯახის წევრები, ქმარი ამ საქმეების ჩართული არიან?

— კი, ყველა აქტიურობს. დედა, ბებია ყოველდღე მირეკავენ, რჩევებს მაძლევენ. მეუღლე კი სულ ჩემ გვერდით არის, ყველა რეპეტიციამდე დამყვება. ძალიან საიმედოებს ჩემთან ერთად ყოფნა. მიხარია, რომ ოჯახის წევრები ასეთ რთულ და მძიმე პერიოდში ჩემზე ზრუნავენ, ერთი გუნდით ვართ. მეუღლე მეუბნება, სცენაზე რომ გამოხვალ, შეიძლება ნერვიულობით მოგვკვედ, გავგიჟდე და ვერც გიყურო. დედაჩემიც ასეთი ემოციურია, შეიძლება გული ნაუვიდეს. ერთი სიტყვით, ძალიან ემოციური ოჯახის წევრები მყავს.

— თავადაც არანაკლებად ემოციური ხართ. ეს ასლანს საბაქოში „სახლი ხმის“ დაჯილდოებაზეც ნახა მაცურებელმა, სადაც თქვენ ტირილდით.

— კი, მართლაც ასე იყო. იქ მონაწილე ყველა ბავშვი ძალიან მიყვარს, მაგრამ რეზიკო დიდებაშილი — განსაკუთრებულად, რადგან ის უფროსების „ახალ ხმაში“ ჩემ გვერდით იდგა და თავისი პატარა გულით მესმარებოდა. გამარჯვებულად რეზიკო რომ გამოაცხადეს, არ ვიცი, რა დამეპართა, პაუზი ახტი, სალტოები გავაკეთე. თითქმის იგივე ვიგრძენი, რაც ჩემი გამარჯვებისას. ბოლო ხმაზე ვიოდი, ეს კვირი სიცილი გადამეზარდა, სიცილი კი — ტირილში. ბედნიერებისგან ჭკუაზე არ ვიყავი, მანყნარებდნენ. სხვათა შორის, ამ კონკურსზე ბევრი ფავორიტი მყავდა, მაგრამ გამორჩეულად რეზიკოს ვგულმემატყვებოდი, მის მიმართ სიყვარულის უფრო მეტი ნაპერკალი მქონდა.

— როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება ამ პრიექტში გამარჯვების შემდეგ?

— ყველა თბილად მექცევა, მლოცავენ, დიდ სიყვარულს გადმომცემენ, ქუჩაში მცნობენ. ამ პრიექტმა ძალიან ბევრი და დადებითი რამ მომიტანა. ძალიან ვაღნიერებ ვარ და მიხარია, რომ ასეთ ემოციებს ვიღებ.

— უკვე ხომ არ გადასწყდით ბინაში, რომელიც ამ პრიექტში გამარჯვებისთვის პრიზად მიიღეთ?

— არა, რადგან ბოლომდე დასრულებული არ არის. ალბათ მალე გადავალთ. მე და ჩემს მეუღლეს გვირჩევენია, ცალკე ვიცხოვროთ, მარტო ცხოვრება უფრო სასიამოვნო იქნება.

სოფო გელოვანი: „ვერონიკის ორგანიზატორებმა ისურვეს, რომ არს ერთი ქულა მიგველო“

6 ლევანდელ ევროვიზიაზე ქართულმა დუეტმა ფორმა-ლურად წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ რეალურად ნოდუკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი აშკარად ფავორიტები იყვნენ. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ქვეყნების დელეგაციებს თავისმართლება მოუხდით, თუ რატომ არ მისცეს საქართველოს ხმა. ქართული დუეტის მარცხს არავინ ელოდა, ისინი ხომ მილოცვებს წინასწარ იღებდნენ ჟურნალისტებისგან, გამოკითხვებით ერთ-ერთი პირველები იყვნენ...

სოფო, ისე როგორც ნოდუკო, დღემდე ვერ გარკვეულა, სინამდვილეში რა მოხდა. მიუხედავად იმედგაცრუებისა, არ ნანობს, რომ ამ კონკურსისთვის ასე დაიხარჯა. ის და ნოდუკო ევროვიზიაზე ყველაზე ელეგანტურ წყვილად დასახელეს.

— სოფო, როგორ გახსენდებათ შეკვლეთში გატარებული დღეები?

— ძალიან კარგად მახსენდება. დატვირთული გრაფიკი გვქონდა, მაგრამ სასიამოვნო პერიოდი იყო. მომღერლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც კომფორტს გიქმნიან და შენ გარშემო კარგი გუნდია, ყველა გგულშემატივრობს. კმაყოფილი ვარ და ვამაყობ იმით, რაც ერთად გავაკეთეთ.

— მართლაც, უკვე ბევრი წელია ქართველები ევროვიზიაზე მოწინავე ადგილებს ვერ ვიკავებთ, მაგრამ ალბათ მაისც უფრო მეტის მოლოდინს გქონდათ.

— ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუქმეიკერებს, ვინც ფსონებს დებენ. მათი პროგნოზი ძირითადად მართლდება. სანამ შევედეთ ჩავიდოდით, მეშვიდე ადგილზე ვიყავით. საკმაოდ დიდ დარბაზში გავდიოდით რეპეტიციებს, სადაც 3 000 ჟურნალისტი გვესწრებოდა. ისინი ავირდებოდნენ ყველაფერს. მე და ნოდუკომ ნელ-ნელა ხუთუღმის გადავინაცვლეთ. ჩვენზე ბევრი კარგი რამ იწერებოდა. ბოლოს უკვე სამეუღმის მოვხვდით. ფინალის დღეს ხმების დათვლით პირველ ადგილზე ჩვენ ვიყავით. ჟურნალისტები მოდიოდნენ და გვილოცავდნენ, გვეკითხებოდნენ, ევროვიზიას თბილისში ჩავატარებდით თუ ბათუმში. ამ ყველაფერზე ძალიან მეცინებოდა, გამარჯვება იმდენად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. რეალურად ძალიან ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან.

თქვენ არ იცით, იქ რა ხდებოდა. რუსებმა წინასწარ „დაგვავსეს“, ვიცით, რომ თქვენ იქნებით გამარჯვებული და გვინდა, „მუხტივის“ დაჯილდოებაზე მიიღოთ მონაწილეობა. ანდრეი მალახოვის გადაცემიდან მოვიდნენ და გვითხრეს, ფინალის შემდეგ გვინდა, პირდაპირ ეთერში ჩაგართათო. როცა ვიკითხეთ, თუ რატომ უნდოდათ, გვითხრეს, ჩვენ ხომ ვიცით, რომ გამარჯვებული თუ არა, სამეუღმის მაინც იქნებითო. ამ ყველაფრის შემდეგ ის, რაც მოხდა, წარმოიდგინეთ, ჩვენთვის რამხელა იმედგაცრუება იყო.

ევროვიზიის დამაარსებლის, მარსელ ბუენსონის პრემია გადმოგვცეს, ეს იყო შევიცარიის საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი, რომელმაც ევროპას ეს კონკურსი შესთავაზა. ეს პრემია შარშანდელ გამარჯვებულს, ლორენსაც გადასცეს. ამ პრემიას გამარჯვებულს გადასცემენ ხოლმე და წელს ჩვენ გადმოგვცეს ფინალამდე ერთი საათით ადრე. 3000 ჟურნალისტის და 2000 ბლოგერის გამოკითხვით, 39 ქვეყნიდან ჩვენ პირველ ადგილზე გავედით. ამ ყველაფრის შემდეგ უცებ აღმოჩნდა, რომ არც ერთმა ევროპულმა ქვეყანამ ერთი ქულაც კი არ მოგვცა. ეს ეჭვს არ ბადებს? ფინალის შემდეგ ჩვენთან სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციები მოდიოდნენ და თავს იმართლებდნენ. შოკში ვიყავით. ჩვენ რომ გამოკითხილი ფავორიტები არ ვყოფილიყავით, გული არ დაგვწყდებოდა. 39 ქვეყანაში მე-15 ადგილი ცუდი არ იქნებოდა, საფრანგეთი, გერმანია უკან მოვიტოვეთ, მაგრამ ცივ წყალს რომ გადაგასხამენ, ისე დაგვემართა.

— თქვენ რა ეჭვი გაქვთ, სინამდვილეში რა მოხდა?

— ძალიან რთულია ამ კითხვაზე პასუხი გავცე. ყველამ იცის, რომ ევროვიზია პოლიტიკური კონკურსია, მაგრამ... მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს, რომლებმაც მხარი დაგვიჭირეს. დღემდე მწერს, სად წავიდა ჩვენი ესემპლები, რომლებსაც

**„ამ ჰიმნის გამაჩვენებლებს
გადასცემენ ხოლმე და წელს ჩვენ
გადმოგვცეს ფინალამდე ერთი
საათით ადრე. 3000 ექსპრესის და
2000 ბლოგერის გამოკითხვით, 39
ქვეყნიდან ჩვენ პირველ ადგილზე
გავედით. ამ ყველაფრის შემდეგ უცებ
აღმოჩნდა, რომ არც ერთმა
ევროპულმა ქვეყანამ ერთი ქულაც კი
არ მოგვცა. ეს ეჭვს არ ბადებს?“**

გიგზავნიდითო. მართლა ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან და ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ასეთი რაღაც მოხდა. ჩვენი ამდენი შრომა დასანანია.

— და მაისც, ამ კონკურსმა გამოცდილება სიმ შეგძინათ, ამხელა აუდიტორიის წინაშე წარდგით, რაც ბევრი მომღერლის ოცნებაა.

— კი, ძალიან დიდი გამოცდილება შეგძინა. საქართველოში ძალიან სწორად ამბობენ, ევროვიზიაზე წინა პლანზე არასოდეს ვართ და თავი დავანებოთო. სინამდვილეში კი ძალიანაც კარგად ვამახსოვრებთ თავს. ამბობენ, ევროპამ საქართველოს იგნორირება გაუკეთაო, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რომ ასე არ არის. უბრალოდ ორგანიზატორებმა ისურვეს, რომ არც ერთი ქულა მიგველო. ჩემგან ძალიან რთულია მიზეზებზე საუბარი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ ყველაფრის მიუხედავად, ქუჩაში გულით მეფერებიან. ესაა ჩემთვის ყველაზე დიდი გამარჯვება. ყველაზე მნიშვნელოვანი ქართველი ხალხის აზრია და მადლობა მათ ასეთი სიტუაციისთვის.

— როგორ ფიქრობთ, საერთოდ დიანს კონკურსებში მონაწილეობა თავისი დამატებითი, სურვილით, მოლოდინებით, სწორად იმედგაცრუებებისა?

— მოგეხსენებათ, რომ მრავალგზის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული ვარ, ოთხი გრან პრის და სამი პირველი ადგილის მფლობელი გახლავართ. რომ ამბობენ, მთავარია მონაწილეობის მიღება და რა მნიშვნელობა აქვს, რომელ ადგილზე გახვალ, ამას არ ვეთანხმები. რადგან კონკურსზე მივიღვივარ, გამარჯვების ამბიცია უნდა მექონდეს. რა თქმა უნდა, მთავარია შენი ქვეყანა ღირსეულად წარადგინო, მაგრამ ყოველთვის მაქვს გამარჯვების პრეტენზია.

— შეკვდით ქვეყნის დათვალიერება მოასწარათ?

— ძალიან ცოტა დრო გვქონდა. დანიამიც ვიყავით, სადაც საქართველოს ელჩი დაგვხვდა. კოპენჰაგენი ვნახეთ, ძალიან კარგი იყო. ჩვენი მოგონებები მთელი ცხოვრება გაგვყვება. შედეგში არაჩვეულებრივი საღამო გვქონდა, საქართველოს ელჩმა გვიმასპინძლა. ქართული საღამო გაიმართა, სადაც მე და ნოდუკომ ქართული ტრადიციული სიმღერები შეასრულეთ. დასული იდილია გვქონდა 17 მაისამდე. ბოლოს ცოტა უცნაური დასასრული კი იყო, მაგრამ დანარჩენი ყველაფრით კმაყოფილი ვარ.

— თქვენი დუეტით უცხოელი პრდიუსერები არ დაინტერესდნენ?

— კი, მე და ნოდუკომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვევა მივიღეთ და სექტემბრიდან გავმგზავრებით, კონცერტებს გავმართავთ. რა თქმა უნდა, ჩვენ სოლო მომღერლებად ვრჩებით, მაგრამ სწორად ერთადაც ვიმღერებთ, რატომაც არა! ძალიან დიდი მადლობა ნოდუკოს ადამიანობისთვის, გვერდში დგომისთვის →24

„ლიბა“ სამკურნალო ლიბა
გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სექსობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge



მორჩენა, როგორც ჯაჟის ქურაზე სახლი დაწყება, თაღლითი აღმოჩნდა

„ქონება სააკაშვილის მძღოლმა წაგვართვა!“

და იმ დღეებისთვის, რაც ერთად გავატარეთ. ძალიან მნიშვნელოვანია, გვერდით როგორი ადამიანი გიდგას და ამ მხრივ ძალიან გამიმართლა.

— არადა თქვენს დუეტს ამ კონკურსისთვის შეიქმნა, მანამდე ამის გამოცდილება არ გქონდათ.

— ძალიან ბევრი ჟურნალისტი გვეკითხებოდა, ალბათ ბევრი წელია, რაც ერთად მღერითო. თქვენ კარგად იცით, რომ მე და ნოდინოს მხოლოდ რამდენჯერმე გვაქვს ერთად ნამღერი. აუცილებელია, პარტნიორთან კარგი დამოკიდებულება გქონდეს, რომ დუეტი შედგეს.

— არც თქვენს კაბამ დატოვა ხალხი გულგრილი, პრისც კი აადეთო.

— მეც ასე ვფიქრობ, რომ კაბა ლამაზი გამოვიდა და ამისთვის მადლობა ავთანდილს. ძალიან მოინდომა. ზომიერება დავიცავით, უნდა ყოფილიყო კლასიკური, აკადემიური და სცენასაც მოხდენოდა. ინგლისის წარმომადგენელი, ბონი ტაილერი, ჩემი კაბით აღფრთოვანებული იყო. მკითხა, ვინ შეგიკერაო. ჩემთან ერთად სურათები გადაიღო...

რამდენადაც კარგად მახსენდება ის ყველაფერი, იმდენად გულიც მტკივა. განსაკუთრებით მიყვარს ჩემი ქვეყანა. საერთოდ სხვა რაღაცას ვგრძნობ, როდესაც საქართველოს დროშის უკან მივდივარ და ამხელა ქვეყნებს შორის მე ერთი წერტილივით ციციქნა საქართველოს წარმოვადგენ. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა ღირსეულად წარგვედგინა.

ძალიან მინდა, რომ საქართველომ ამ კონკურსში კიდევ მიიღოს მონაწილეობა. მომღერლისთვის ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა. ასეც რომ არ იყოს, რატომ უნდა დავაკლდე ამხელა კონკურსს? ამ ყველაფერს გაგრძელება მოჰყვა, შევდეთიდან და უკრაინიდან ჩამოვიდნენ ჟურნალისტები, საქართველოზე აინტერესებდათ ბევრი რამ, ჩვენზე ფილმს იღებენ. ეს მხოლოდ მომღერლების კი არაა, საქართველოს წარმოჩენაა.

— თქვენს ქმარს აპირებდა შეკედოში წამოსვლას. იქ იყო?

— დიახ. მეც და ჩემი მეუღლეც ვთვლით, რომ ყველაფერი უფლის ნებაა. ამ კონკურსზე მოხვედრას, მით უმეტეს, დუეტით, ნამდვილად არ ვფიქრობდი და ესეც უფლის ნება იყო.

— შეალი საქართველოში გყავდათ დატოვებული?

— კი და რომ გითხრათ, გულზე ესატებოდა ევროვიზია-მეტეი, მოგატყუებთ, აღარაფრის გაგონება უნდოდა, აღარც სიმღერის. მხოლოდ ერთი რამ სურდა — დედის გვერდით ყოფნა. პატარა პროტესტი ჰქონდა, მაგრამ რომ ჩამოვყავდი, ეს ამბავი მოვავგარე. რაც იმ დღეებში დედის სიტბო დააკლდა, ვცდილობ, ავუნაზლაურ. როცა სადმე მივდივარ, მიჭირს შვილის აქ დატოვება. გამიმართლა, რომ გარშემო ისეთი ადამიანები მყავს — ჩემი და ქმრის მშობლები, რომ ცხოვრებას მიადვილებენ. ნოდი ხომ ჩემთვის საერთოდ სხვა თემაა, სულ მხარში მიდგას. ნოდი ბედნიერია და მისთვის ისაა ბედნიერება, როცა მე კარგად ვარ. მას ჩემი საქმე უყვარს. დიდი მადლობა მას, რომ ასეთია, ნამდვილად გამიმართლა.

✓ ქეთი დინოშვილი

ქურნალ „სარკის“ 21-ე ნომერში ვწერთ თბილისში, ნაძალადევის რაიონში მდებარე სახლზე, რომელშიც, ადგილობრივ მცხოვრებთა მონაყოლით, უცნაური ამბები ხდება. გავრცელებული ხმების მიხედვით, ორსართულიან, უზარმაზარ სახლში წლების წინ მოკლული გოგონა დასაფლავებული და მისი აწრდილი იქაურებს სიმშვიდეს უკარგავს.

სახლი გასულ საუკუნეშია აგებული. ეროვნებით სომეხს, ვინმე თათუზას აუშენებია, რომელიც დიდძალი ფულის პატრონი ყოფილა. სწორედ მას აბრალებენ თავისი საყვარლის მოკვლას და დანაშაულის დაფარვის მიზნით სახლივე დამარხვას. მოგვიანებით თათუზა ამერიკაში წასულა და იქ გარდაცვლილა.

ამის შემდეგ სახლი რამდენჯერმე გაიყიდა. მისი ერთ-ერთი მფლობელი ცნობილი სპორტსმენი, ამჟამად პოლიციის აკადემიის რექტორი, ლუკა კურტიანიძეც ყოფილა. მეზობლები ამბობენ, რომ მან ეს სახლი სწორედ იმ მიზეზით გაყიდა, რომ ღამღამობით უცნაური ხმები ესმოდა. ამის შემდეგ ეს საცხოვრებელი კიდევ რამდენჯერმე გაიყიდა.

ქალბატონი მარინა ლოლაძე, რომელიც მ წელი ოჯახთან ერთად აღნიშნულ სახლში ცხოვრობდა, ამბობს, რომ იქ არც საფლავია და არც ვინმეს სული დაძრწის, გამოგნებელი ამბავი იმან მოიგონა, ვინც მას ეს უზარმაზარი, შრომითა და წვალებით ნაყიდი სახლი თაღლითური გზით წაართვა.

სახლი ჯავის ქუჩაზე მდებარეობს და მალე აუქციონზე გაიყიდება. მარინა ლოლაძე ამბობს, რომ სააკაშვილის პირადმა მძღოლმა წაართვა, ხელი გენერალურ მინდობილობაზე მის ქმარს მოტყუებით მოაწერინა. ქალბატონი მარინა სააკაშვილის რეჟიმის პირობებში ვერაფერს გახდა, რომ წართმეული დაბრუნებინა და ახალი ხელისუფლების იმედად არის დარჩენილი.

მარინა ლოლაძე:

— სახლი იპოთეკითაა დატვირთული და აუქციონზე უნდა გაიტანონ. სწორედ ამას უკავშირდება მის გარშემო ატეხილი აუიოტაჟი და უცნაური ხმების გავრცელება. უნდათ, სახლი არ გაიყიდოს, რომ აუქციონზე თეთრებში ჩაიგდონ ხელში. ჩემი შრომით და წვალებით ნაყიდი სახლით ვილატეებმა უზარმაზარი ფული იშოვეს და ახლაც იმავეს ცდილობენ.

— როგორ იშოვეს ფული?

— გარკვეული პრობლემების გამო სახლის გაყიდვა გვიწდოდა. მის სანახავად მიხეილ სააკაშვილის პირადი მძღოლი და მარჯვენა ხელი, მამუკა ქუჩიკაშვილი მოვიდა. ცოტა ხანში მისმა ცოლმა, ლალი ცხოიძემ ბეს სახით მოიტანა 2.000 დოლარი. 2007 წლის გაზაფხული იყო. ეს ქალი ფეხმძიმედ იყო და ექვციც კი არ გამჩენია, რომ საქმე თაღლითთან მექნებოდა. გვითხრა, ამ სახლში

რემონტის გაკეთებას ვაპირებ და სანამ ფულს სრულად მოგცემთ და თქვენც სხვა სახლს იყიდით, აქ იყავით, ხელს არ შემოშლითო. ამას მოვანგრე, აქ იმას გავაკეთებო, ამბობდა. ვუთხარი, ჯერ ფული მომეცი და დანარჩენი მერე გააკეთე, მოხუცი და პატარა ბავშვი გყავს სახლში და რემონტის მტვერში ხომ არ ვამყოფებ-მეთქი. ამის გამო ჩემი ქმარი დამაპირისპირეს. გია მეჩხუბა, ეგ როგორ უთხარიო. რემონტი არ დაუწყიათ. მერე ჩემს ქმარს მოსთხოვეს, მინდობილობა მოგვეცი, რომ ის 2.000 დოლარი არ დაგვარგათო.

— რის მინდობილობას ითხოვდნენ?

— ჩემს ქმარს მოტყუებით ისე მოაწერინეს ხელი გარკვეულ საბუთებზე, ვერც მიხვდა, რა გააკეთა. ამ ქალმა ისეთი ლაპარაკი იცის, მგონი, პიპონოზი გაუკეთა. გია იხსენებდა, ნოტარიუსთან რომ შემეყვანეს, საბუთები დამიდეს, პირველი გვერდი გადავიკითხე და მოვანერე ხელიო. სხვა გვერდებზე სამჯერ დიდი ასოებით წერია, რომ ლალი ცხოიძეს ჰქონდა ამ ბინის გაყიდვის, გასხვისების, გაჩუქების უფლება. ვუთხარი, ამხელა შრიფტით დანერული როგორ ვერ ნაიკითხემეთქი. პირველ გვერდზე რომ მოუწერია ხელი, რომელზეც საუბარი იყო რაღაც ორთვიან მინდობილობაზე, მერე მხოლოდ ფურცლის ბოლოები აუწევიათ, ესეც იგივეა, ასლებია და აქაც მოაწერეთ, უთქვამთ. ნოტარიუსი, ვინც ეს საბუთები გაათვრებინა, ვინმე ბუბაშვილი გახლავთ. არც ვიცი, ახლა საქართველოშია თუ არა, რადგან რომ გავიკითხეთ, უამრავი დანაშაულებრივი ქმედება აქვს ჩადენილი. იცით, რატომ ვერ შეეხნენ? სააკაშვილის მძღოლების უფროსი ვინც იყო, იმისი ცოლი!

ჩვენ გლდანი-ნაძალადევის პროკურატურაში ვიჩივლეთ, მაგრამ ეს საქმე სასწრაფო წესით ძველი თბილისის პროკურატურაში გადაიტანეს. რატომ მოხდა ასე, ახლაც არ ვიცი. ამ მინდობილობით ბინა იპოთეკით დატვირთა და ჩემს ქმარს, გიას, მოაწერინა ხელი. როგორც მესაკუთრე, გია გამოიყენა. ვითომ მან აიღო 52.000 დოლარი 5-6 იპოთეკარისგან. ამ 52.000-დან გიას 5.000 მისცა. მერე კიდევ ცოტა წავართვით და, საერთო ჯამში, გამოვიდა, რომ 120.000 დოლარი დირეზულ სახლში 11.000 დოლარი გადაგვიხადა. იმდენი მაინც მოეცათ, რომ ერთი პატარა ბინა მეყიდა. ჩემი შვილი და რძალი გირაოთი ცხოვრობენ და მათთან ვარ შეკედლებული. ჩემი ქმარი ხან სად იძინებს და ხან — სად.

არც ვიციდით, რომ სახლი იპოთეკით იყო დატვირთული. სესხის აღება მინდოდა და ბანკში რომ მივდივდი, კრედიტორი გადაიპირია, ამხელა თანხა გაქვს აღებული სესხად და ვილა მოგცემსო. იმ 52.000-ის გარდა კიდევ სხვა სესხებიც გამოუტანია. რა მაქინაძეები ჩაატარა, არ ვიცი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამ სახლით 200.000 დოლარი იშოვა. ამით

ვაპირებდით დაგვემტკიცებინა, რომ თალღითი იყო — ბინა იმაზე მეტი თანხით დატვირთა იპოთეკით, ვიდრე მისი საბაზრო ღირებულებაა. ბინის ღირებულების ზრდას როგორ აფიქსირებდა, თუ ვილაც არ მფარველობდა?!

— **ხდ არის ახლა მამუკა ქუსიკაშვილი?**

— როგორც გავიგე, თურქეთში ცხოვრობს. ამბობენ, რომ იქ სახლები და სასტუმროები აქვს. მხოლოდ მე კი არ გამოიქვითა ასეთი რამ, იცით, რამდენი მოტყუებული ვნახე ამ თალღითისგან?! სამი მარტო მე ვიცი და კიდევ რამდენია, ღმერთმა იცის. პროკურატურაში კი გვეუბნებიან, გენერალური მინდობილობა გაქვთ მიცემული და რაღას ვერჩით, თან ფული აგილიათ და რა მოვთხოვოთო. არც ეცადნენ, დაედგინათ, რომ ჩვენ ფული არ აგვიღია და თალღითობის მსხვერპლნი გავხდით.


— **ბინა აბოთეკარებს წაგართყვს?**

— კი, წაგვართყვს. ზუსტად იმ პერიოდში, როცა ჩვენ ბინა დავკარგეთ, სააკაშვილმა კანონში შეატანინა ცვლილება, რომ ვის სახელზეც ბინა იყო გაფორმებული, მას უფლება ჰქონდა, ისე გაეყიდა, ოჯახის წევრებისთვის არ ეკითხა. ადრე ვინც ბინაში ჩაწერილი იყო, ყველასთვის უნდა ეკითხათ, თანახმა იყო თუ არა. ეს კანონი რომ ცვლილეს, იმ ქუსიკაშვილის ცოლს, ლალი ცხოიძეს, წამოსცდა ჩვენთან, მიშამ უთხრა ჩემს მეუღლეს და სხვა ახლობლებს, ახლა წადით და იშოვეთ ფულიო. თურმე საზღვარგარეთ ეს აპრობირებული მეთოდი ყოფილა. ჩვენთან კი ახალი შემოსული იყო და ბევრი ვერ მიხვდა, ისე დაკარგა ბინა. ზოგმა დაიბრუნა, მაგრამ 90%-მა ვერაფერი გააკეთა და სახლის გარეშე დარჩა.

მეორე ბრძანება, იცით, რას შეეხებოდა? პირველი იპოთეკარის გარდა ყველას დაკარგულად ეთვლებოდა ფული, თუ ის, ვინც თანხა აიღო, პატიოსნად არ მოიქცეოდა და თავისი ნებით არ დაუბრუნებდა. ქუსიკაშვილმა კი ყველა მოატყუა. ჩემს ქმარს მიადგინენ იპოთეკარები. არადა, ჩვენ ყველაფერი წაგვართყვს, რაც კი გაგვარჩა. დიდ შეცდომას დაუშვებდი, რისკზე რომ წავსულიყავი.

როცა პირველ აუქციონზე უნდა გასულიყო ჩვენი ბინა, ერთმა ახლობელმა მითხრა, ჩემი ნათესავი წამოვა, შენს ბინას იყიდის აუქციონზე, მერე უცებ გავყიდოთ, ის თავის პროცენტს აიღებს და რაც დარჩება, იმით ერთობიანი ბინის ყიდვას მაინც შეძლებო. აუქციონზე მონაწილეობის მისაღებად ფულიც გადაიხადა იმ ქალმა. უკვე აუქციონზე მივდიოდით, ვილაცამ რომ დაურეკა. ძალიან დაიბნა და აღარ წამოგვყვა. გზიდან უკან გაბრუნდა. ვინ დაურეკა და რა უთხრეს, დღემდე არ ვიცი. როგორც ჩანს, დააშინეს.

4 ადვოკატი ავიყვანეთ. იწყებდნენ საქმეს და მერე ნახევრით თანხას უკან გვიბრუნებდნენ — რაც საბუთებში და გზაში სიარულში დაეხარჯეთ, იმას დავიტოვებთ მხოლოდ, ამ საქმეს ვერ მოვიგებთ, ისეთი წინააღმდეგობებიანო, გვეუბნებოდნენ. ჩვენც გვთხოვდნენ, დაანებეთ ყველაფერს თავი, ვერაფრით დაამტკიცებთ თქვენს სიმართლესო. როგორც კი გაიგებდნენ, ვინ იყო ჩვენი ადვოკატი, მაშინვე უკავშირდებოდნენ.



„8 წელი ვიცხოვრეთ. ამ ხნის განმავლობაში ახასოდეხ ახაფეხი შეგვინიშნავს. ჩემი ძმისშვილი, ახალგაზრდა ქალი, მახოო ჩეზობდა ხოლმე ზაფხულობით იქ და ახყ მას ენახავს სელი თუ აჩიღილი“.

ბოდნენ, არაფერი შეგეშალოთო. იმედი მაქვს, სასამართლო მალე გამოიცვლება და ჩვენი საშველიც დადგება. ჩამოიყვანონ და იმდენი ფული მაინც დაგვიბრუნონ, რომ საკუთარი ჭერი გვერიდეს. ახლა სპეციალურად ვაგვიანებთ სასამართლოში ჩივილს. გვინდა, სასამართლო შეიცვალოს და მერე მივაკითხოთ. კულბაშვილის სასამართლოში სამართლის პოვნა შეუძლებელია?!

— **ამ სახლის გარშემო მთელ თბილისში უცნაური ხმები გავრცელებულია. თქვენ არაფერი გსმენიათ და არაფერი გაგვიგათ?**

— ეს ხმები სპეციალურად დაყარეს და პრესაც აალაპარაკეს. თალღითებს არ აწყობთ, რომ პირველ აუქციონზე ბინა გაიყიდოს. მგონი, ახლა 50.000 დოლარად არის შეფასებული. მეორე აუქციონზე 30.000 დოლარი გახდება და ა.შ. უნდათ, 10.000-ადწაიგდონ ხელში. დაცვა ჰყავდა სახლს. ახლა მოუხსნეს. იცით, რატომ დააყენეს დაცვა თავის დროზე? იმ იპოთეკარმა, ვინც ჩვენ გამოგვყარა სახლიდან, ოთახები დააგირავა. გირაოთი ვინც იყო, ისინი რომ გამოეყარათ და ისევ არ შესულიყვნენ, დაცვა დააყენეს. დამგირავებელი ხალხიც გადაადგდეს, ფული არ დაუბრუნეს. იპოთეკარმა ჩვენი სახლი აფერისტობით ჩაიგდო ხელში. როგორც მითხრენ, ახლაც იგვე ადამიანი „ჩალიჩობს“ ამ სახლის ისევ ხელში ჩაგდებას, რადგან იმას სხვა იპოთეკარები ედავებიან. ეს საშინელი ხმებიც მან დაყარა.

— **რა სახლია ამისთანა, ასეთი ამბავი რომ გამოიწვიოს?**

— ერთ დროს ძალიან კარგი სახლი იყო. ახლა ნახევრად დანგრეულია. მიწისქვეშა და დანგრეულია და ამდენმა მემპატრონემაც. სახლი სომეხმა თათუზამ ააშენა და იმაზე გაავრცელეს ათასი ჭორი, საყვარელი მოკლა და სახლშივე დაასაფლავაო. ის სომეხი კაცი ამერიკაში წავიდა და მისი ასავალ-დასავალი აღარ ვიცი. თათუზამ სახლი 50-იანელების სექტის წარმომადგენლებს მიჰყიდა, მაგრამ ეს ჩვენ არ ვიცოდით. ეზოში დგას შენობა, რომელიც დარბაზივით არის. იქ გრძელი სკამები იყო ჩამწკრივებული და, როგორც ჩანს, შეკრებებისთვის იყენებდნენ. ეს იმხელა შენობაა, რომ გაგვეტყობა, ალბათ 10 ოთახი მაინც გამოვიდოდა. მერე ამ 50-იანელებისგან ლუკა კურტანიძემ იყიდა. ჩვენ კურტანიძისგან ვიყიდეთ სახლი და 8 წელი ვიცხოვრეთ. ამ ხნის განმავლობაში არასოდეს არაფერი შეგვინიშნავს. ჩემი ძმისშვილი, ახალგაზრდა ქალი, მარტო რჩებოდა ხოლმე ზაფხულობით იქ და არც მას უნახავს სული თუ აჩრდილი.

სახლის კედლები ლამაზი ნახატებით იყო გაფორმებული, კუთხეებში კი ანგელოზები იყო გამოსახული. ერთ ოთახში არყის ხეები იყო ლამაზად მოხატული. საუნა იყო ეზოში. ორი ავტოფარეხი, კიბის უჯრედში ერთი დიდი სათავსო... ხეივანის ტალავური ხიდივით იყო გაკეთებული და მეორე სართულიდან საუნაში გადასვლა იმით შეუძლებელია. ხელისგულივით ჩანდა მთელი თბილისი. ოთხი პალაო იდგა. აუზი გვექონდა. სახლს რკინიგზის რელსების მაგვარი რკინა ჰქონდა შემოვლებული. მანქანა რომ დაჯახებოდა, ვერაფერს დააკლებდა. გარსემოვლებული კედელი კი ოთხ მეტრზე მაღალი იყო. მეორე სართულზე სამი უზარმაზარი საძინებელი და ორი დიდი მისაღები, პირველ სართულზე კი დიდი სამზარეულო და სასადილო ოთახი... ოთხოთახიანი ბინა გავყიდეთ, ბანკიდან სესხი გამოვიტანეთ და იმით ვიყიდეთ ეს სახლი. რაც ვიშრომე და ვინვალე, ყველაფერი დავკარგე.

— **ამბობენ, რომ მღვდლებიც კი არ შედიან ამ სახლში, ვერ ვაკურთხებთო.**

— რას ჰქვია, ვერ ვაკურთხებენ?! ლუკა კურტანიძესაც ნაკურთხი ჰქონდა, კედლებზე ის ჯვრები იყო გამოსახული, რომელსაც კურთხევის დროს აკრავენ მოძღვრები. ჩვენც მაშინვე ვაკურთხეთ, როცა შევიძინეთ.

✓ **რუსუდან ადვაძე**

გაგაქაჯებინათვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქვილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის განმეხრედე უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

ქაიხი ქალბაგონი გონი

☎ 514-246-446. 218-48-99

„14 ალაიანი ღალის თბილისში, ვისაც ჰქრუგბა დათო საგანელიძე 7 ორბანო ამოულო“

„სახის“ ეს ნომეხი 50 ნეტი შეინახეთ და დასვენები მეხე გააკეთეთ!“



საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი, დავით საგანელიძე, პოლიტიკაში მედიაციიდან მოვიდა. მის ხელეშს უამრავი ქართველი ოპერაცია აქვს გაკეთებული, მაგრამ ერთ დღეს თეთრი ხალატი გაიხადა და ბიზნესში წავიდა. შემდეგ პოლიტიკაში, ოპოზიციურ ფლანგზე აღმოჩნდა და მას შემდეგ ბევრი წელი პოლიტიკური უმცირესობის ბანაკში იყო. უმრავლესობაში ბიძინა ივანიშვილის გუნდთან ერთად მოვიდა. მომავალში საკუთარ თავს მაინც ბიზნესში ხედავს, ოღონდ მანამდე აპირებს ისეთი ქვეყანა ააშენოს, როგორსაც თავისი შვილებისთვის ისურვებდა.

დიდხანს ითვლებოდა სასურველ სასიძოდ და ამ სტატუსს 50 წლის ასაკში დაემშვიდობა, როცა 30 წლით უმცროსი გოგონა შეირთო, პროფესიით ფარმაცევტი სოფო ფარცხალაძე. დაგვიანებული ქორწინება იმით ანაზღაურა, რომ ორი შვილი ერთმანეთს მიაკოლა — ნოდარიკო და ელენე. საბოლოოდ მაინც ყველაფერი მოასწრო და ახლა ბედნიერი ქმარი და მამაა.

ასეთია პოლიტიკოსის ცხოვრების ზოგადი მონახაზი, კონკრეტულად ტკბილ-მწარე გაკვეთილებზე კი დავით საგანელიძე თავად მოგვითხრობს:

— ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში რამდენიმე ეტაპია. განსაკუთრებით ბედნიერი ხანა რომ ბავშვობაა, ამაზე ლაპარაკი აღარც ღირს. სტუდენტობის წლები ყველაზე დასამახსოვრებელია. ახლა ბევრ რამეზე მეცინება, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში მაინც არაფერს შევცვლიდი. დღევანდელი გადასახედიდან მგონია, რომ ახალგაზრდობაში ბევრ სიგიჟეს და სისულელეს ჩავდიოდი, მაგრამ მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს სწორი იყო. ჩემს ცხოვრებაში რამდენიმე რადიკალური ცვლილება მოხდა, რომლის ინიციატორი და თავი და თავი მე ვიყავი.

— რადიკალური ცვლილებებიდან ერთ-ერთი ალბათ ქორუგის ხალაის გახდა იყო.

— თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვისა და ლენინგრადის სამედიცინო დაწესებულებებში ვისწავლე. აქ ჩამოსული ონკოლოგიის

ცენტრში ვმუშაობდი. ცნობილი ქირურგი ვიყავი, სერიოზულ ოპერაციებს ვაკეთებდი, კარგი პერსპექტივა მქონდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ვთქვი, მედიცინიდან მივიდვიარ-მეთქი და აბსოლუტურად წულიდან დავინწყე ბიზნესი.

— ეს ნაბიჯი რამ გადაგადგმევინათ?

— ამდენი წლის წვლებს, ამდენწლიანი სამედიცინო პრაქტიკის მიუხედავად, თვეში 50 დოლა-

ბიზნესში გამომადგებოდა.

— მერე კიდევ ერთი რადიკალური ნაბიჯი გადაგდა — ბიზნესიდან პოლიტიკაში. ამისკენ რამ გაბიძგათ?

— გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს სხვებთან ერთად ვაკრიტიკებდი შევარდნაძის ხელიწვლებას და რადიკალურ ცვლილებებს ვითხოვდი. მაშინ მქონდა პოლიტიკაში მოსვლის შემოთავაზება. ამბობდნენ, პოლიტიკაში მოვ-

„ამდენი წლის წვლების, ამდენწლიანი სამედიცინო პრაქტიკის მიუხედავად, თვეში 50 დოლარი მქონდა ხელფასი. ავადმყოფისთვის უნდა მეუყრებინა ხელეშში, რომ ჩემთვის ჯიბეში ფული ჩაუტენა.“

რი მქონდა ხელფასი. ავადმყოფისთვის უნდა მეუყრებინა ხელეშში, რომ ჩემთვის ჯიბეში ფული ჩაუტენა.

მაშინ საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იყო. გამოჩნდა კერძო კომპანიები, ბიზნესის დაწყების საშუალება გაჩნდა. პატარა ბიჭი აღარ ვიყავი, თავმოყვარეობა მქონდა. როცა დავინახე, ბევრი რამის შექმნა შემეძლო, ბიზნესის კეთება დავინწყე.

— აღვიღად ააწყვეთ ბიზნესი?

— საქართველოში პირველი ფასიანი სამედიცინო დაწესებულება მე გავესენი. მაშინ ვერავის წარმოედგინა, რომ მედიცინა შეიძლებოდა ფასიანი ყოფილიყო. მე კი ამ ნაბიჯით დღესაც ვამაყობ. მაშინ ძალიან ბევრი მაკრიტიკებდა, მათ შორის სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებიც, ამხელა ქირურგმა კაცმა ეს რა გააკეთეო. წლებმა დაგვანახა, რომ ეს სწორი გზა იყო. თავდაპირველად სამედიცინო ბიზნესით წავიდე, მაგრამ მერე მედიცინაში აღარ მივბრუნებულვარ.

ეს ჩემი ცხოვრების საკმაოდ რთული ეტაპი იყო — უცებ დავამთავრე ექიმობა, თეთრი ხალატი გავიხადე და ბიზნესში გადავიწვლიე. ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენი ვიყავი 1999 წლამდე, ანუ მანამდე, სანამ პოლიტიკაში წავიდე. ქართულ-ინგლისური კომპანიის ხელმძღვანელი გახლდით, რომლის წლიური ბრუნვებითც მაშინდელ საქართველოში ყველაზე დიდი იყო. ორი მსხვილი ბანკის „თიბისის“ და „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და აქციონერი ვიყავი. ყველა ის რთული პერიოდი საკუთარ თავზე გადავიტანე, რაც ჩვენს ქვეყანას გასული საუკუნის 90-იან წლებში მქონდა. მაშინ საქართველოში ბიზნესის კეთება ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. ხან ჩემი კაბინეტის სავარძელი იყო იარაღით დაცხრილული და ხან მატერორებდნენ. ვალიარებ, რომ მაშინ არ მქონდა ის განათლება, რაც ბიზნესს სჭირდებოდა, ამიტომ ეკონომიკური ფაუტლტებიც დავამთავრე, რომ ის ცოდნა მიმეღო, რაც

ღნე ახალი სახეები, ისინი, ვინც ბიზნესში ათასობით ადამიანი დაასაქმეს, ბიუჯეტს მილიონობით შემოსავალი მოუტანესო. ეს ახალი სახეები ვიყავით მე, ლევან გაჩეჩილაძე, ირაკლი იაშვილი, დათო გამყრელიძე.

ეს იყო ჩემი ცხოვრების რადიკალურად შეცვლა — ბიზნესიდან ახლა უკვე პოლიტიკაში აღმოვჩნდი. პოლიტიკა ის სფერო იყო, რომლისადაც არაფერი გამეგებოდა. ამ დროს პარლამენტში საკმაოდ გამოცდილი ადამიანები იყვნენ შუ-

სუფლება არაფერს აკეთებდა. იქიდან მოყოლებული დავრჩი ოპოზიციამ და ყოველთვის ერთი პოზიცია მქონდა — სანამ ქვეყანაში სიტუაციას არ შევცვლიდი, პოლიტიკიდან არ წავიდოდი. მართლაც, 2012 წელს ბევრი რამ შეიცვალა. ახლაც ვამბობ, სიამოვნებით წავალ პოლიტიკიდან, როდესაც დავინახავ, რომ ქვეყანაში ბიზნესი თავისუფალია. პოლიტიკაში გარკვეული მოთხოვნებიც წამომიყენა. პარლამენტში ყოფნას სულ სხვა ცოდნა, ჩვევები სჭირდება, ამიტომ იურიდიული ფაკულტეტიც დავამთავრე.

— საბოლოოდ ქორუგის ხარო, კეისინიშტა, ოურისტა თუ პალიტიკოსა?

— საბოლოო ჯამში, არც იურისტი ვარ და არც ეკონომისტი, მაინც ექიმად დავრჩი ბუნებით. ვერ წარმოვიდგინო, ჩემთვის რა რთულად გადასადგმელი ნაბიჯი იყო იმ პარტიის დატოვება, რომელიც მე შევქმენი („ახალი მემარჯვენეები“ ავტ.). პარტია იქამდე მივიყვანე, რომ არც ერთი არჩევნიდან დამარცხებული არ გამოვსულვარო. ბარიერს ყოველთვის ვლახავდი, ორჯერ ვიყავი მაჟორიტარი. ამ ისტორიის შემდეგ, როდესაც გენერალური მდივნის პოსტს ტოვებ, სასწრაფო მიდინარ და არანაირი განცხადებას არ აკეთებ, ძალიან ძნელად გადასატანია. დღემდე სიტყვა არ დამცდენია, რატომ წამოვედი პარტიიდან, რა იყო ამის მიზეზი. ამის გამო არაფერს გამიკიცხავს და არც არასოდეს გავკიცხავ. დემოკრატია იცის ყველაფერი და საზოგადოება დაინახავს, ჩემი ნაბიჯები სწორია თუ არა. მაშინ მხოლოდ პარტიიდან კი არა, პოლიტიკიდან წამოვედი. ვთქვი, როგორც ჩანს, ხელმოცარული პოლიტიკოსი ვარ, რადგან ამდენი ხნის მანძილზე სააკაშვილი თავის ბანდასთან ერთად ხელისუფლებას ვერ მოვაცილე-მეთქი. როდესაც დავინახე ძალა, რომელსაც ამ ყველაფერის გაკეთება შეეძლო, პოლიტიკაში დავბრუნდი. სანამ ბიძინა ივანიშვილი პირველ აქციას ჩაატარებდა, რამდენიმე დღით ადრე გავაკეთე განცხადება და ყველას მოვუწოდე, წყნა გადავდოთ, მანსი გვაქვს, ქვეყანა გადავარჩინოთ-მეთქი. ესეც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ჩემთვის. ერთი სიტყვით, შემძლია ვთქვა, რომ ცხოვრებაში საკმაოდ რთული ეტაპები გავიარე.

— დღევანდელ ეტაპზე რა ატყვით, კმაყოფილი ხართ მიღწეულით?

— საქართველოს პარლამენტში ვარ, ძალიან სერიოზული ფუნქციები, პასუხისმგებლობები და ვალდებულებები მაქვს. ვფიქრობ, რომ გუნდთან ერთად თავს გავართმევ. მიუხედავად ამისა, საკუთარ თავს მაინც არ ვხედავ ამ სფეროში, ჩემი ადგილი უფრო ბიზნესშია, ოღონდ



სოფო და დავითი ქორწინის დღეს

„გმონია, ხომ სოფო ჩემზე უფროსია. ზოგჯერ მიჯახდება, ბავშვებით იქევიო და მე ეს მომწონს.“

რამ უვანისა ხელმძღვანელობით. როდესაც მივიხედ-მოვიხედე და დავინახე, რა ხდებოდა, სამი თვის შემდეგ უმრავლესობა დავტოვე და ოპოზიციამში წავიდე. მაშინ გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა მეკავა. დავტოვე ჩემი თანამდებობა და უმრავლესობა, რადგან დავინახე, რომ მაშინდელი ხელი-

იმ ქვეყანაში, სადაც ნორმალური პოლიტიკური გარემოა, სადაც ბიზნესმენს ხელისუფლება არ ატეხონ რებს. მინდა, მომავალში სხვა საქმეებშიც გამოვცადო თავი. ამით არ დამითავრებია.

— კარიერის პარალელურად პირად ცხოვრებაში რა უტაბუხა და გაკეთილება გამოიარეთ?

— ერთ-ერთი სერიოზული ეტაპი ის იყო, რომ 50 წლის ასაკში გადავწყვიტე ცოლის შერთვა და თან ჩემზე საკმაოდ უმცროსი მოვიყვანე. მიმანია, რომ ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. ვისაც როგორ უნდა, ისე შეაფასოს. ერთი შემთხვევა ვთქვა, ჩემსა და ჩემს მეუღლეს შორის ის ურთიერთობაა, რომელსაც ბევრს ვუსურვებ. ჩემი ორი ანგელოზი, 2 წლის ნოდარიკო და 1 წლის ელენე, ალბათ მთელ ცხოვრებას და მთელ ქვეყანას მირჩენია. ოპტიმისტი კაცი ვარ და მგონია, რომ წინ ბევრი წელი დამრჩა გასავლელი. ამ წლებში ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ნოდარმა და ელენემ ჩემი გზა არ გაიარონ. ჩემს თაობამ საკმაოდ რთული პერიოდი გადაიტანა. მინდა, მათ შესაბამისი განათლება მიიღონ, ქვეყანაში ისეთი გარემო იყოს, რომ იმაზე არ უხედავდეთ ფიქრი, თავი როგორ დაიცვან ძალადობისგან. დარწმუნებული ვარ, შევძლებ ამ ყველაფრის გაკეთებას და არამარტო მათთვის, სხვების შვილებსთვისაც.

— შეგიძლიათ თქვით, რომ იდენტობა ადამიანს ხარის?

— არ ვიქნები პესიმიტი და საბოლოოდ გეტყვი, რომ საკმაოდ წარმატებული ადამიანი ვარ, ღმერთი მმფარველობს. სხვათა შორის, ჩემს ახალგაზრდობაში თუ რამე მომგებინა იყო, ყოველთვის ყველაფერს ვიგებდი. ერთხელ ერთმა მითხრა, მაგიტო ნუ ისარგებლებ, თორემ განგება დაგხვდისო. არასოფელს ვთამაშობ კაზინოებში, არ ვთამაშობ ფულზე. მაქვს ილბალი, მაგრამ სხვა რალაცევაში ვიყენებ და არა — თამაშში. დანარჩენს ცხოვრება გვაჩვენებს.

თქვენ ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით. ახლა მე და თქვენ შევთანხმდეთ, რომ 50 წლის შემდეგ ისევ მოხვალთ ჩემთან ინტერვიუზე და ჩემი ცხოვრების შემდგომ 50 წელზე ისევ თქვენ მოგიყვებით. მკითხველმაც შეინახოს ეს ურნალი და მერე შეადარონ, დასკვნები გააკეთონ, რა შეიცვლება ამ 50 წლის განმავლობაში. საინტერესო იქნება. შევთანხმდით?

— შევთანხმდით! გეტყობათ, რომ რისკზე წასვლა გიყვართ, მაგრამ ადრე თუ მოხალად საკუთარ თავზე ფიქრობდით, ახლა იანი პატარა შედის გყავთ.

— ბუნებრივია, ჩემში პრიორიტეტები რადიკალურად შეიცვალა. ადრე თუ ისე ვმოქმედებდი, როგორც მე მინდოდა, ახლა იმაზე ვფიქრობ, შვილებისთვის, ოჯახისთვის რა იქნება მნიშვნელოვანი. სიმართლე გითხრათ, ეს ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა. ჩემი ცხოვრება ისე გავატარე, რომ ბევრი რამ ვნახე, დედამინის სახე-ვარი შემოვიარე, მეორე ნახევარს

შვილებთან ერთად შემოვივლი. იმდენი პრობლემა და გაჭირვება მქონია, არავის ვუსურვებ და იმდე-



■ შვილებთან ერთად

„გავხიზნებულა და ზოგჯერ სამინდებ მდომებია სამაგიჟოს გადახდა, მაგამ მას შემდეგ, ხაც მიი ჰატახა მყავს, ყველა შევინდე“.

ნი წარმატება მქონია, ღმერთმა ყველას მისცეს. ისეთი პერიოდიც ყოფილა, როდესაც ჩემი თავი ყველაზე მაგარი მეგობარ, მაგრამ არც წარმატება ამვარდნია თავში და არ გავგოგოვებულვარ. ცხოვრებაში არაფერი გამიკვირდება. ყველაზე დიდი სიმდიდრე რაც მაქვს, ეს ჩემი ოჯახი, ჩემი მეგობრები, ახლობლები არიან, ისინი, ვისთან ერთადაც საერთო საქმეს ვქმსავრებ.

მე ყოველთვის მაქვს ჩემი პოზიცია, არასოდეს დავუშვებავს მარიონეტს. არც იმის მეშინია, თუ რამე განსხვავებულს ვიტყვი, წარსულიდან ჩემს ცუდ ნაბიჯს გამისვენებენ-მეთქი. ცხოვრებაში ისე მივიღვივარ, არაფერი მაშინებს. ყველაზე დიდი ძალა, რაც გამაჩნია, ეს ჩემი სულიერი თავისუფლებაა.

— დარწმუნებული ხართ, რომ წარსულის შეცდომებს ვერავის წამოგაბასქებთ, თუნდაც საკუთარი თავი არ გავახსენებთ?

— არც ერთი ჩემი გადადგმული ნაბიჯის არ მრცხვენია. არც ერთი ისეთი გადაწყვეტილება არ მიმიღია, რომ ღამე არ შემიძინოს და მანუხებდეს. ადამიანი შეცდომების გარეშე ვერ იცხოვრებს. ღმერთმა ნუ ქნას, მთელი ცხოვრება უშეცდომოდ გაიარო, რადგან გამოდის, რომ ვერაფერს ხედავ. ვისაც ჰგონია, შეცდომები არ დამიშვიაო, იმას ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. მეც საკმაოდ ბევრი შეცდომა დავუშვი, ალბათ იმიტომ, რომ, პირველ რიგში, ღმერთმა იწება და მეორე რიგში, ჩემმა ყველა შეცდომამ ბევრი რამ მასწავლა, დამაჩანა, რომ არასწორი გზა იყო.

— სოფოს ხასიათი თანამაზრე გეგბოთ თუ თანაზრე?

— არ ვიტყვი, რომ ოპოზიციაა, სოფო ბევრად უფრო ფრთხილია. ალბათ ქალის ბუნებაა ასეთი, ყველაფერს ძალიან განიცდის. ჩემი განცხადებები ვილაცას მოსწონს, ვილაცას — არა. ვისაც არ მოს-

წონს, ზოგი ზრდილობიანად ამბობს ამას და ზოგი რა ხერხს აღარ მიმართავს. ამ ყველაფერს კი სოფო ძალიან განიცდის. მეც მაქსიმალურად ვცდილობ, ასეთ თემებს ჩამოვაცილო და ვუბნები, პოლიტიკა შენი საქმე არაა, ბავშვებს მიხედ-მეთქი. სოფო გამორჩეულად კარგი დედა და ასეთივე კარგი მეუღლეა. ოპოზიცია იმ მხრივია, რომ ზედმეტად ემოციურია. სხვათა შორის, იმდენად საინტერესო რჩევებს და რეკომენდაციებს მაძლევს, ბევრიც რომ ვიფიქრო, მე შეიძლება ვერ მივხვდებ. შეიძლება მაშინვე არ შევიმჩნიო ეს, მაგრამ მერე აუცილებლად ვითვალისწინებ.

— თქვენ შორის ასაკობრივი სხვაობა იგრძნობა?

— ხანდახან ვსურვებ ხოლმე, მგონია, რომ სოფო ჩემზე უფრო სია-მეთქი. ზოგჯერ მიჯავრდება, ბავშვივით იქცევიო და მე ეს მომწონს. ბავშვივით მეც ყირაზე გადავიღვივარ. სულ ვამბობ, რომ ადამიანი იმ ასაკის ხარ, რამდენიცაა შენაგანად გრძნობ თავს და არა — იმდენის, რაც პასპორტში გინერია.

— ანუ რამდენი წლის ხართ შინაგანად?

— ვინც ჩემ გვერდითაა, იმის ასაკის ვარ. ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს მოხუცებთანაც, მათ ენაზე ვამბობ, მათი შესუფთვების და აზრების გაზიარება შემიძლია. ბავშვებთან სწორედ მათნაირად ვთამაშობ. შეიძლება საჯანყლებზე ვერ ვუტყვი, მაგრამ მაინც ვცდილობ. ყველა ასაკი საინტერესოა. დიდ ასაკს დიდი გამოცდილება აქვს და ეს პლუსია. ახალგაზრდობის უპირატესობა კი ისაა, რომ ახალი ტექნოლოგიები ბევრად უკეთ აქვთ ათვისებული.

— თქვენ შორის ასაკობრივი სხვაობა იგრძნობა?

— ხანდახან ვსურვებ ხოლმე, მგონია, რომ სოფო ჩემზე უფრო სია-მეთქი. ზოგჯერ მიჯავრდება, ბავშვივით იქცევიო და მე ეს მომწონს. ბავშვივით მეც ყირაზე გადავიღვივარ. სულ ვამბობ, რომ ადამიანი იმ ასაკის ხარ, რამდენიცაა შენაგანად გრძნობ თავს და არა — იმდენის, რაც პასპორტში გინერია.

— ანუ რამდენი წლის ხართ შინაგანად?

— ვინც ჩემ გვერდითაა, იმის ასაკის ვარ. ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს მოხუცებთანაც, მათ ენაზე ვამბობ, მათი შესუფთვების და აზრების გაზიარება შემიძლია. ბავშვებთან სწორედ მათნაირად ვთამაშობ. შეიძლება საჯანყლებზე ვერ ვუტყვი, მაგრამ მაინც ვცდილობ. ყველა ასაკი საინტერესოა. დიდ ასაკს დიდი გამოცდილება აქვს და ეს პლუსია. ახალგაზრდობის უპირატესობა კი ისაა, რომ ახალი ტექნოლოგიები ბევრად უკეთ აქვთ ათვისებული.

— სოფო ერთ-ერთი ინტერვიუში თქვა, ვერ ვიტყვი, რომ დათო მანუხებულა. ეს ასეა?

— ნამდვილად არ ვანებივრებ. არ ვიცი, ვისთვის რა არის განებივრება. ბევრისთვის თუ უცხოეთში, მაღალი იმედი და კლუბებში სიარულს ნიშნავს, ამ მხრივ სოფო ნამდვილად არ მყავს განებივრებული. სასიხარულოდ თუ სამწუხაროდ, ძირითადად სახლში, ბავშვებთან უნევეს ყოფნა. თუ ვილაცისთვის ისაა განებივრება, რომ გყავს ოჯახი, ქმარი, შშობლები, შვილები, ოჯახში იდილია სუფევს, ამ მხრივ ძალიან განებივრებულია. ორი პატარა ბავშვი იმას ნიშნავს, რომ დედა ვერ აძლევს თავს უფლებას, სულ გარეთ იყოს ან უცხოეთში იაროს. მე არც ფინანსური საშუალება მაქვს, რომ, როგორცაა გაუხარდება, ის შევუსრულო. ამასში არაა ბედნიერება, სულ სხვა რალაცევაშია და მიხარია, რომ სოფოც იმაში ხედავს ბედნიერებას, რაშიც მე.

— ოჯახიდან შორს, ქუთაისში შინად ვაქვეთ ყოფნა, ამას როგორ შეგვუთ თქვენ და თქვენს ცოლს?

— ეს ჩემთვის ყველაზე დიდი ტკივილია, მაგრამ ამაზე ლაპარაკი მერიდება. არ მინდა, ისე დანახონ, თითქოს ქუთაისში პარლამენტი იმიტომ არ მომწონს, რომ ან წასვლა მეზარება, ან იქაური კლიმატია ცუდი, ან ბავშვები არ მეთმობიან. როცა ვამბობ, ქუთაისში პარლამენტი არ უნდა იყოს-მეთქი, სუფთა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამოვიღვივარ.

ფსიქოლოგიური მომენტიც არის — ქუთაისში სახლში ღამე მივიღვივარ, ვწვები, ვიძინებ, ამ დროს კი სურვილი მაქვს, ბავშვებს მოვეფერო და ჩავესუტო, ოჯახში ვიყო.

— შედეგებს რა დარგებლებით გაზრდით, რომ იმათაც თქვენს სახით უკან გახედდეს არ შეეშინდეთ?

— ღირსება, ქვეყნის სიყვარული, პატიოსნება, ტრადიციები, უფროსების, ოჯახის პატივისცემა, სიყვარულით ცხოვრება — ესაა ჩემი ღირებულებები. ზოგს რომ შეხედავ, გიბლევს, ვიდრე კარგად არ გაგიცნობს. ზოგი თავიდანვე შეიძლება მიგიღებს, მაგრამ შეიძლება მერე გაუცრუვდეს იმედები. მე მეორე კატეგორიას მივეუბნებ — ყველას მიმართ თავიდანვე ძალიან ღია და გახსნილი ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრს გაუცრუებია ჩემთვის იმედები. ადამიანმა სიმართლით უნდა იცხოვრო. როგორი რთულიც უნდა იყოს სიმართლის თქმა, მაინც თქმა ჯობია. შეიძლება ატყინო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს ტყუილი უკეთესობისთვისაა. ქირურგი ვიყავი და 14 ადამიანი დადის თბილისში, ვისაც ქირურგმა დათო საგანელიძემ 7 ორგანო ამოუღო. მაშინ ძალიან ვატყინე, რამდენიმე თვე სანოლიდან წამოდგომის საშუალება არ ჰქონდათ, მაგრამ სამაგიეროდ გადარჩნენ. ხანდახან მკვახე სიმართლეს ვამბობ და მეუბნებიან, პოლიტიკოსისთვის დიდად კარგი თვისება არ არისო. ვალდებული ვარ, გავითვალისწინო, როგორ შეხედავს ჩემს ნათქვამს არასამთავრობო ტექსტორი, მაგრამ მე რაც ვარ, ეს ვარ.

— თაყადა ვინ არ რამ გატკინათ ყველაზე მეტად?

— ორ ნაწილად დავყოფ: არის ტკივილი, რომელსაც ვერაფერს უნამ, ვერ გამოასწორებ და ეს ახლობელი ადამიანებია დავკარგვა. ისეც ორნაირად ხდება, ერთი ოპოზიური, როცა ამქვეყნიდან მიდიან და შენ ვერაფერს გახდები და მეორეა მათი ისეთი საქციელი, რომელიც მათ თავს საშუალოდ გაკარგვინებს. გავზრახებულვარ და ზოგჯერ საშინლად მდომებია სამაგიეროს გადახდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ორი პატარა მყავს, ყველას შევუნდე და ღმერთმა ყველა კარგად ამყოფოს. არ აქვს მნიშვნელობა, მოწინააღმდეგეა თუ მომხრე, ყველას სიკეთეს დ ბედნიერებას ვუსურვებ.

✓ ქეთი დინოშვილი

„გაგობრის მამას უხმო ქალთან ნაპასნარი“

16 წლის გოგო ვარ და ასეთ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა ვარ, არასოდეს აღმოჩენილვარ. არც კი ვიცი, რა დავარქვა იმას, რასაც ახლა ვგრძნობ. სინდისის ქენჯნასთან ერთად უამრავი ადამიანი განმიკითხავს. მეუბნებიან, რომ მხოლოდ მე ვარ დამნაშავე იმაში, რაც ჩემი დაქალის ოჯახში ხდება.

ერთ დღეს ჩემი ბიძაშვილის მეგობრებმა რესტორანში დამპატიჟეს. უკვე შეღამებული იყო. ერთ-ერთ მაგიდასთან მეგობრის მამა შევნიშნე. ვილაყ ქალთან ერთად იყო, ელაპარაკებოდა. მერე კი კოცნა დაუწყო. გავშეშდი. კარგა ხანს იყვნენ ერთად და ურცხვად ეფერებოდნენ ერთმანეთს.



შევცდი და ნაუცბათევი გადანყვეტილებმა მივიღე. რატომღაც ვფიქრებ, რომ მეგობრის დედისთვის სასწრაფოდ უნდა შეთქვა ყველაფერი, რათა ქმრისთვის ის ქალი ჩამოეშორებინა. ცუდი განზრახვა ნამდვილად არ მქონდა, ფიქრობდი, რომ ამით მეგობრის ოჯახს გადავარჩენდი. სინამდვილეში კი სხვანაირად გამომივიდა.

რესტორნიდან პირდაპირ მეგობრის სახლში წავედი. დედამისს ვუთხარი, ძალიან მიჭირს ამის თქმა, მაგრამ თქვენი ქმარი უცხო ქალთან ერთად ვნახე-მეთქი. გარეგნობა რომ ავუნერე, მითხრა, მაგ ქალთან ერთი წლის წინაც მიილატა, მერე შემპირდა, რომ აღარ გაეკარებოდა და, როგორც ჩანს, მომატყუაო.

ჩემი მეგობარი სახლში არ იყო. დედამისმა მთხოვა, ახლა წადი, დიდი მადლობა, რომ გამაგებინეო. მეც მეგონა, რომ კარგი საქმე გავაკეთე, იქიდან მშვიდად წამოვედი. ამის შემდეგ კი თურმე საშინელი ამბები დატრიალებულა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჩემს მეგობარს ოჯახი დაენგრა. დედამისმა ქმარი სახლიდან გააგდო. თურმე უთხრა, შენი შვილის დაქალებისაც აღარ გერიდება, უკვე მათაც იციან და ამას არ გაპატიებო.

ჩემი მეგობარი სახლში მომეჭრა. გამნარებული მიყვიროდა, რა უფლება გქონდა, დედაჩემთან რომ მოხვედი და ყველაფერი ჩაუჭიკჭიკეო. დავაპირე, ამეხსნა, რისთვისაც გავაკეთე. მინდოდა, ყურადღებით ყოფილიყვნენ, რომ იმ ქალს მათი ოჯახისთვის არ ევენო, მაგრამ პირიქით გამოვივიდა. ის კაცი ახლა მართლაც იმ ქალთან ცხოვრობს. ჩემი მეგობარი კი ამას საშინლად განიცდის და დღემდე არ შეღამებია. ამ ყველაფერში იმ ქალს კი არა, მე მადანაშაულებს.

მამაჩემმა წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მომაცენა — ამხელა გოგო მცემა. დედამ კი იმის ნაცვლად, რომ დავეცავი, მომამახხა, მეტის ღირსი ხარ, სხვისი ოჯახის საქმეების ქეჭვას თავს დაანებებ და მეორედ ასე აღარ მოიქცევიო. სკოლაშიც ყველამ გაიგო, რაც მოხდა და ბავშვებმაც იგივე მითხრეს. განსაკუთრებით ბიჭები გადაირივნენ, ეს როგორ გავაკეთე, ვინ გეკითხებოდაო.

სიკეთის გაკეთება მინდოდა და ბოროტება გამომივიდა. მეგობრის მამა სახლიდან გავაქციე. ასე არ უნდა მოვექცეულიყავი, მაგრამ თავში ხელების წაშენა უკვე გვიანია.

თქვენი პრეტული ბიძაშვილი

გამოსამართლის მსარკველანი დახმარებები
გადაწყობა:
 296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იმითხმე ირინე მჭვლიძე
 ან ირა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
თქვენი ისტორიის გაგებას დახმარება უზიაროაოთ სანი გზით:
 1. **წვლით სანი sana.ge-ს, დაწვლით ღილაკს „მოგებარეთ“ და დაგებარეთ თქვენი ისტორია.**
 2. **გამოგებარეთ სს-ით მონებრა 93887 გებთიდან და 1779 გეოსეაღიდან.**
 1 სს-ის უსნია: გებთიდან 1 ლარი, გეოსეაღიდან 50 თებთი.
 3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru ანონებრა დასული**



„ერთი მიუვარს და მეორეს ვხვდები“

ერთი წელი არც არის, რაც შეყვარებულს დავშორდი. მე ძალიან მიყვარდა და ეს გრძნობა დღემდე არ გამწვლებია. ჩვენი დაშორების მიზეზი ლალატი იყო. მან სხვა გოგო მამჯობინა. ეს ტკივილი დღემდე ვერ მოვიშუშე. ახალი წლისთვის ჩემი მეგობრები შეყვარებულებისთვის საჩუქრებს ყიდულობდნენ, მე კი მოწყენილი ვიყავი, რადგან ჩემ გვერდით არავინ იყო, მაგრამ ახალი წლის ღამეს საოცარი რაღაც მოხდა.

12 საათს წუთები აკლდა, როცა ვილაყამ ზარი დარევა. კარი გავღეთ, მაგრამ არავინ დაგვხვდა, იქვე კი დიდი თოვლის პაპა იდო. სურჯინში ღამაში სამაჯური იდო და „სკაიპის“ ლინკი ეწერა. მამინე კომპიუტერს მივვარდი და ვნახე, ვინც იყო — ერთი ჩემი სკოლედი ბიჭი აღმოჩნდა. მის ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ვუყვარდი.

ამის შემდეგ მასთან ურთიერთობა დავიწყე. ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ვხვდებით. ის საოცრად კარგი ბიჭია, შეიძლება შეყვარებოდა კიდევ, ჩემი გული დაკავებული რომ არ იყოს. ძველი შეყვარებული უნდა დავივიწყო, მაგრამ ვერ ვახერხებ. ისე გამოდის, რომ სხვა მიყვარს, რომანი კი სხვასთან მაქვს. ვიცი, ეს ცუდი საქციელია, მაგრამ გულს ვერაფერს ვუხერხებ. სანამ იმ ბიჭთან ერთად ვარ, თავს კარგად ვგრძნობ. მისგან რომ მოვედივარ, ისევე ძველ შეყვარებულზე ვფიქრობ. დღე არ გავა, მისი ფოტოები არ დავათვალიერო.

ზოგჯერ ვფიქრობ, იმ ბიჭს სიმართლე ვუთხრა, რადგან ტყუილებს არ იმსახურებს, მაგრამ ისიც რომ ვერ ვნახო, ვერ გავძლებ. თავს საშინლად ვგრძნობ და ამაში ჩემი ძველი შეყვარებულია დამნაშავე, მან ცუდ გოგოდ მაქციო!

ბიძაშვილი, 18 წლის

„მეოვლას კონკიად ვუნდივარ“

სახლში სულ ჩემი ძმის სახელი იმისი, მას ეს უნდა, მას ეს სურს, მას მიუტანეთ, გაურეცხეთ, აჭამეთ... მე კი ადამიანად არ მთვლიან. მიუხედავად იმისა, რომ მასზე ორი წლით უმცროსი ვარ, მაინც ჩემს ძმას ათამამებენ. მამა სულ იმით ამაცობს, რომ ნამდვილი ვაჟკაცი უზრდებია. თუ გოგო არ უნდოდათ, რაღას მაჩენდნენ?! კონკია თუ უნდოდათ, მამონ ვინმე დამლაგებელი დაეირავებინათ!

ჩემი მშობლები დილიდან საღამომდე მუშაობენ. დედა უამრავ საქმეს მიტოვებს, ყველაფერი ჩემს კისერზეა. ხშირად სადილებსაც მე ვაკეთებ, სახლის დალაგება კი მთლიანად ჩემზე აქვს გადმობარებული. ჩემი ძმა საერთოდ არ მიფრთხილდება, სულ არ აინტერესებს, მე რამდენი ვინვალე, ყველაფერს აქეთ-იქით ყრის. რატომ არ შეიძლება, საქმელს რომ შეჭამს, თევშებს თუ არ გარეცხავს, ნიუარაში მაინც ჩაალაგოს? ამას არაბიჭურ საქციელად თვლის და მშობლებიც მხარს უბამენ. მე რატომ უნდა მოვემსახურო, მართლა კონკია ვარ?!



ახლა არდადეგები მოდის და დედა მურაბებსაც კი მე გამაკეთებინებს. ყველაზე ცუდი ის არის, რომ მავალდებულებენ. დედა მეუბნება, აბა, როგორ გინდა, გოგო ხარ და საქმის კეთება უნდა იცოდეთ. ჩემმა კლასელებმა რომ კარტოფილის შეწვაც არ იციან, ამას რატომ არ უყურებს? თანაც ჩემი ძმა ძალიან უმადურია. ერთ თბილ სიტყვასაც კი არ მეტყვის. მართლაც თავისი ძმაცაცევი სჭირდება, მე კი არაფრად მაგდებს. ამას წინათ იცით, რაზე მეჩხება? შარვალი რატომ არ გამირეცხეო. მითხარით, რატომ ვარ ვალდებული, 16 წლის ბიჭს მე გავურეცხო?! მისი დედა ვარ?!

გთხოვთ, გამომეხმარეთ?! 14 წლის გოგო მართლა ასეთ დღეში უნდა იყოს და ეს ნორმალურია თუ მართალი ვარ, როცა ვფიქრობ, რომ ოჯახში მონასავით მექცევიან?!

ბიძაშვილი

„დაქალის შეყვარებული მიყვარს“

3 იცი, ცუდად ვიქცევი, მაგრამ გამოსავლის პოვნა მიჭირს. დაქალის შეყვარებული მიყვარს და გულს ვერაფერს ვუხერხებ.

ის ბიჭი ჩემი დეიდაშვილის მეზობელია. ბავშვობიდან ვიცნობთ ერთმანეთს. სულ სხვანაირია, ჩვენი თანატოლებისგან გამოირჩევა. ბევრისგან განსხვავებით, მასთან შეგიძლია ყველაფერზე ილაპარაკო. ძალიან კარგი ადამიანი და მეგობარია.

ერთ დღეს დაქალმა მითხრა, ძალიან მაგარი ბიჭი უნდა გაგაცნო და მასთან ერთად მოვიდა. მეგობარს ვუთხარი, რომ მას უკვე ვიცნობდი. ამის შემდეგ ჩვენ სამი ერთმანეთს ძალიან დაეუახლოვედი. ჩემს დაქალს და მას ერთმანეთი შეუყვარდათ. მათ სიყვარულს თავიდან კი ვუთანაგრძნე, საკუთარ თავსაც დაეუმაღლე, რომ მეც მიყვარდა, მაგრამ ახლა საშინლად ვიტანჯები. როცა ვუყურებ, ერთმანეთს როგორ ეფერებიან, გული სიმწრისგან მეკუმშება. ზოგჯერ მინდა, რომ დაქალს დავშორდე. ისიც დავივიწყო და მისი შეყვარებულიც, მაგრამ მათ გარეშეც ვერ წარმომიდგენია თავი.

ჩემი ამბავი ერთ-ერთ სოციალურ ქსელში დავწერე და იქ ზოგმა მირჩია, სიმართლე თქვი, ასე აჯობებსო. ზოგმა კი მითხრა, ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი მათთან დაშორებააო. მე არც ერთის გაკეთება შემიძლია და არც მეორის. იქნებ მესამე გზაც არსებობს, რაც ამ სიტუაციიდან გამომიყვანს. „სარკის“ მკითხველების იმედი მაქვს, რომ რამეს მირჩევენ.

მკითხველი, 15 წლის

„დედა ვერ სვდება, რომ უკვე დიდი პოპო ვარ“

5 რც შეყვარებული მყავს, არც ვიპრან-ჭები და არც უზრდელი ვარ. დედა კი მაინც ყველაფერში მზღუდავს. მართო არც მალაზიამი მიშვებს, არც მეგობარ-თან და არც არსად! ჰგონია, რომ ამისთვის პატარა ვარ. ამას წინათ ჩვენს ქალაქში კონცერტი ჩატარდა. ყველა იქ მიდიოდა. დედას ვთხოვე, გამიშვი-მეთქი, მან კი ისე მიყვირა, შემეშინდა და აღარაფერი მითქვამს.

რაც უნდა ვუთხრა, ჩემი არაფერი ესმის, მაინც თავისას იმეორებს. იმ დღეს ჩემმა მეგობარმა დაურეკა და დედაჩემს სთხოვა, გამოუშვიო. მისი თხოვნაც არ გაითვალისწინა და სახლში დამტოვა. ყველა ჩემი მეზობელი კონცერტზე წავიდა. მეკითხებოდნენ, შენ რატომ არ მოდიხარო. მე კი ვაპყუებდი, ცუდად ვარ-მეთქი. აბა, ყველას ხომ არ აუუხსნი, დედაჩემი როგორი მკაცრი ქალია.

მირჩიეთ, რა ვუთხრა დედას, რომ მიხვდეს, უკვე გავიზარ-დე და დამოუკიდებლად შემიძლია რალაქების კეთება.

„სარკის“ მკითხველი, 13 წლის



გამოხმაურება

„ჩემი მზრუნველი ბებოც ძალიან „მანრახებდა“...“

9 ურნალ „სარკის“ 22-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „დედაჩემის გამო ბავშვები დამცინიან“. ეს პატარა გოგონა წერს, რომ დედა სულ უკან დასდევს, ცეკვებზე დაპყვება. გამეცინა, როცა წავიკითხე, ხან ხაჭაპურის ჭამას მაიძულებდა, ხან „პონჩიკისას“, სანამ მასწავლებელმა არ უყვირაო.

ამ ყველაფერმა ჩემი ბებო გამახსენა, რომელიც ცოცხალი აღარ არის. მას სხვა შვილიშვილებიც ჰყავდა, მაგრამ მე განსაკუთ-რებულად ვუყვარდი, სულ უკან დამდევდა. ალბათ იმიტომ, რომ შვილიშვილებს შორის ერთადერთი ბიჭი ვიყავი, შეიძლება სხვა რამის გამოც, რა ვიცი...

სუსტი აწმრთელობა მქონდა, გავცივდებოდი თუ არა, ფილტვების ანთება გამართებოდა, ამიტომ ჩემზე იყო მოჩენილი, რომ არ მერბინა, არ გავოფლიანებულიყავი. სკოლაში რომ მივედი, დერეფანში პირსახოცი ხელში იდგა, რამდენჯერაც გავირბენდი, მომვარდებოდა და მამშრალებდა.

თავიდან ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მერე ბავშვებმა დაცინვა რომ დამიწყეს, ბებოს საქციელი გავაპროტესტე. ამაზე გადარია. ჩემს კლასელებს მიუყვარდა, ჩემი ბავშვის დაჩაგვრა როგორ გაბედეთო. მისი შიშით ბავშვები ვერაფერს მუშენებოდნენ, მაგრამ უკვე მე ვხვდებოდი, რომ ბებოს საქციელი ნორმალში არ ჯდება, ამიტომ აღარ ვიკარებდი, ვტიროდი, უკან ნუ დამდევ-მეთქი. ის კი მაინც დიდი სიყვარულით იმავს აკეთებდა. მაშინ კი ვბრაზობდი, მაგრამ ახლა ისე თბილად მახსენდება... ნეტა, ცოცხალი იყო.

მერე მამამ მიშველა. უთხრა, ჩემს ბიჭს ქალად ზრდი და ამის უფლებას არ მოგცემ, გაუშვი, ირბინოს, რატომ ადვდლებო. მასსოვს, ბებოს დიდხანს ჰქონდა ეს სიტყვა ჩახვეული და იმეორებდა, რას ჰქვია, ვადვდლებ, ეს რა მითხრაო. მერე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა, ბუნებრივია, ყოველთვის ჩემ გვერდით ვერ იქნებოდა, ნეტა, ყოფილიყო...

ახლა ჩემი კლასელები რომ მხვდებიან, არ არსებობს, ბებოჩემი არ გახსენონ. მასზე ყოველთვის ღიმილით ვლაპარაკობთ. ზოგჯერ ისეთ ისტორიებს ვიხსენებთ ხოლმე, რომ სიცილით ვიგულებით.

პატარა მკითხველო, შენ რა უნდა გირჩიო? ჩემი ამბავი იმიტომ მოგიყევი, რომ დედა არ გაიკიცხო. იცოდე, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებს ან რასაც აშავეებს, შენი სიყვარულით მოსდის. ამ დროს ყველაზე კარგი გამოსავალია, გაილიმო. ასე რომ, გაილიმე, ჩემო პატარა!

ილი სიმკარულიძე, „სარკის“ პრემიული მკითხველი

„დედაჩემმა ოჯახი რწმენის გამო დაწვრია“

9 ურნალ „სარკის“ 21-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „დედა და მამა რწმენის გამო ჩხუბობენ“. ვერ წარმოიდგენთ, ამ წერილის ავტორს როგორ ვუთანაგრძნობ. ზუსტად ვიცი, ახლა როგორ მდგომარეობაშიც არის. თითქოს თვალწინ მიდგას ის კადრები, რაც მის ოჯახში ხდება. ეს იმიტომ, რომ სწორედ ჩემი მშობლების სხვადასხვა რწმენის მიზეზით მეც უამრავი რამ გადავიტანე. მაშინ სულ რაღაც 12-13 წლის გოგო ვიყავი, მაგრამ ყველაფერი ძალიან კარგად მახსოვს.

დედას სექტანტებმა ტვინი აურიეს. თავიდან მამა ამ ყველა-ფერს მშვიდად უყურებდა. ფიქრობდა, რომ ეს მისი დროებითი გატაცება იყო, მაგრამ მერე ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. დედა ფანატიკოსი გახდა. ერთ დღეს გამოაცხადა, ჩემს სულიერ ძმებთან ერთად კიევში კრებაზე მივდივარო. მამა გადარია, არაფრით გაგიშვებო. პირველი სერიოზული ჩხუბი მაშინ მოუვი-დათ. მამამ თავისი გაიტანა და უკრაინაში არ გაუშვა. დედა თითქოს შეეგუა ბედს, კარგად იქცეოდა, მაგრამ მერე სულ აურია.

ჩემი მამიდაშვილი ბიჭი საოცრად მორწმუნე და ეკლესიური იყო. ერთ დღეს კი მონასტერში წავიდა მორჩილად. დედა ამაზე გაგიჟდა, მამას ეუბნებოდა, შენი დისშვილი სატანააო. იცოდა, მამას დისშვილი როგორ უყვარდა და ასეთ სიტყვებს სპეციალურად ეუბნებოდა, რომ გაემწარებინა. ამის გამო ძალიან ჩხუბობდნენ.

ერთ დღეს ჩემი მამიდაშვილი მოვიდა და დედას გაესაუბრა. უთხრა, რომ ძველარ გზას ადგა და ბოროტი ებრძოდა. დედამ კი საშინელება ჩაიდინა, წვერში სწვდა ხელით, თან უყვიროდა, ლურა-ლერა დაგაცლიო. მასში იმ წუთში ნამდვილად იჯდა ბოროტი. ჩემმა მამიდაშვილმა პირჯვარი გადასწერა, თვითონაც გადაიწერა და მორჩილად გაცალა. იმის შემდეგ დედაზე სიტყვა არ დასცდენია. მამიდა ამბობს, რომ ის დედაჩემისთვის დღემდე ლოცულობს, მაგრამ ჯერჯერობით მასზე არაფერი ჭრის.

მამასთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა მისი საქციელი და უთხრა, სახლიდან წასულიყო. ჩემი უმცროსი და დედას გაჰყვა, მე კი მამასთან ყოვლა ვამჯობინე. ჩემი დაიკო სწირად მოდის ჩვენთან და მერე წახვლა უჭირს. ის ძალიან მეცოდება და უზომოდ მიყვარს. მე და ჩემი და რომ ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, ამაში დამნაშავე მხოლოდ დედაა. მან ყველა გაგვწირა.

გონს რომ მოეგებოდეს, მამა სახლში მიიღებდა, მაგრამ დედა მაინც ჯიუტად იმეორებს, რომ მართალი ის არის და ჩვენ ბოროტის გზას ვადგავართ. ღმერთს ვევედრებუ; დედას გონება გაუნათდეს და დაგვიბრუნდეს!

თამარი მკითხველი, 16 წლის

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მკვლადიძე

რატომ იყო შვილი ნანაეანი ირაკლი ჩარკვიანზე ქეთათ: „ნანა ზოგჯერ ისე გამოხედვს, ხომ იჩაყია!..“



დედა-შვილი

„ღმერთთან უნდა წავიდე და მამა გავათავისუფლო“ — თურმე ხშირად იმეორებდა ამ სიტყვებს ორწლიანხევრის ნანა ჩარკვიანი, მუსიკოს ირაკლი ჩარკვიანის პატარა გოგონა. მართალია, მათი მამაშვილობა ამქვეყნიდან ცოტა ხანს გაგრძელდა, მაგრამ ირაკლიმ შეძლო მის გვერდით სამუდამოდ დარჩენა თავისი მუსიკით, ნაწერებით, ფოტოებითა თუ მასზე მოგონებებით.

10 წლის ნანა ჩარკვიანი დედის, ქეთათოს და პაპის, გელა ჩარკვიანის მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა. დედა მის მიმართ იშვიათად იჩენს სიმკაცრეს. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ძილის, სწავლისა და კვების შესახებ მათი აზრები არ ემთხვევა. სხვა შემთხვევაში, ქეთათო ქალიშვილს ისე უყურებს, როგორც თანატოლს, მის რჩევებს ყურს უგდებს და უჯერებს კიდევ.

ქეთათო უახლოეს მომავალში ირაკლის სიმღერების ახლებური ვერსიების გამოშვებას გეგმავს. სულ ცოტა ხნის წინ, როცა ტელეკონკურს „საქართველოს ვარსკვლავის“ ტური ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედებას მიეძღვნა და კონკურსანტებმა ცნობილი სიმღერები საკუთარი ინტერპრეტაციებით შეასრულეს, ჟიურიში მინველ სტუმრებზე გელა ჩარკვიანი და ქეთათო იყვნენ. მათთვის ეს საღამო ძალზე ემოციური აღმოჩნდა. ინტერვიუც ამ თემით დავიწყეთ.

— ქეთათო, რა შთაბეჭდილებები გამოგყავთ „საქართველოს ვარსკვლავის“ კონცერტიდან, რომელიც ირაკლი ჩარკვიანის შექმნილებას მიეძღვნა?

— ძალიან სასიამოვნოა და ამავდროულად საპასუხისმგებლოც, როდესაც მთელი ტური ერთ კომპოზიტორს ეძღვნება.

კონკურსანტებზე არანაკლებად ვლელავდი. ჩემმა განწყობამ განსაკუთრებით მაშინ აინია, როდესაც სპეციალურად ამ ტურისთვის დამზადებული ირაკლის ვიდეორგოლი ვნახე. ჟიურისი ყოფნისას ვიცოდი, რომ ჩემთვის სიმღერების შესრულების ტექნიკურ მხარეზე მნიშვნელოვანი თითოეული კომპოზიტორის ახლებური მუსიკალური

„ქოხელ ნანამ მითხვა, იჩაყის ახ ვედაჰაყაუბი, ხოცა გვიძნავს, მოღის, სანოღთან გიჯება და სახეზე გეფეხა, მეუ ი, ხომ დამინახავს, ვუყუხებ, ქებაო. გაბაზუბუჯი იყო, მე ხაკომ ახ მიყუხებო“.

ინტერპრეტაცია, უანრობრივი გადაწყვეტილება იქნებოდა, რასაც დარჩენილი შვიდი, საკმაოდ ძლიერი კონკურსანტი, საკუთარი ვოკალური მონაცემებისა და სასცენო ნიჭის წყალობით, ახალ სიციცოტლეს შესქენდა. წინასწარ არ მომიზადებია ტექსტები, რაც ამ კონკურსზე ვთქვი. რასაც ვგრძნობდი, იმას ვამბობდი. ასე მგონია, ამ ტურმა ზოგადად ასწია მუსიკალური ტელეშოუების დონე და შემდეგ გადაცემებს ბევრად მომთხოვნი მყურებელი ეყოლება.

— კონკურსზე ირაკლის მამასთან, ბატონ გელა ჩარკვიანთან ერთად იყავით. თქვენთვის პასუხისმგებლობა იყო მის გვერდით ყოფნაში ჯდობა?

— გელა საერთოდ იშვიათად ჩანს ტელევიზიით. თუ თემა ირაკლის არ ეხება, ცდილობს, არ გამოჩნდეს. ჩემთვისაც და გელა ჩარკვიანისთვისაც პასუხისმგებლობა იყო, რომ ირაკლის რეპერტუარი სრულდებოდა და ჩვენთვის ეს გარკვეულ მლელვარებასაც უკავშირდებოდა. გელა ჩარკვიანი ის ადამიანია, ვისი აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველთვის ვითვალისწინებ. ყოველ-

„ბელა ჩაჩვიანი ის ადამიანია, ვისი აზრით ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველთვის ვითვალისწინებ. მიუხედავად იმისა, ხომ ჩემზე ბუჯად უფიხია, მასთან ახანაიხ ასაკობიხ ბაჩიხს ახ ვეძნობ“.

ბოდა და ჩვენთვის ეს გარკვეულ მლელვარებასაც უკავშირდებოდა. გელა ჩარკვიანი ის ადამიანია, ვისი აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველთვის ვითვალისწინებ. ყოველ-

დღიურ ცხოვრებაში ნებისმიერ სფეროსთან დაკავშირებით მაინტერესებს, რას ფიქრობს ის. მიუხედავად იმისა, რომ ჩემზე ბევრად უფროსია, მასთან არანაირ ასაკობრივ ბარიერს არ ვგრძნობ.

— პატარა ნანას ერთობლივად, ურთიერთშეთანხმებით ზრდით?

— ერთად ვფიქრობთ, როგორ გავზარდოთ ნანა. ამასთან დაკავშირებით სულ გვაქვს დიალოგი. გარკვეულწილად გადაწინააღმდეგე გვაქვს პასუხისმგებლობა. გელა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ნანამ კარგად იცოდეს ინგლისური. მე ვცდილობ, მას მუსიკალური გემოვნება ჩამოვუყალიბო — სხვადასხვა შემსრულებლები მოვასმენინო. ნანას ძალიან უყვარს ცეკვა, პლასტიკურია და ამაში ხელს ვუწყობ. ვცდილობ, თავისუფალი იყოს და ნაკლები კომპლექსებით ჰქონდეს. ვუბნები, რომ უნდა სჯეროდეს საკუთარი თავის და აზრის გამოთქმის არ უნდა ეშინოდეს.

— არის ისეთი თემა ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით, რასაც თქვენ და ბატონი გელა ვერ იანხმებდით?

— არა, რადგან ჩვენთვის მთავარია, როცა ნანა ზრდასრულ ასაკს მიაღწევს, მაღალი ხარისხის თავისუფლების განცდა ჰქონდეს, საკუთარი არჩევანის გაკეთება შეძლოს და თითოეულ ქმედებაზე პასუხისმგებლობა იკისროს. ვცდილობ, ნანას ურთიერთობა ჰქონდეს ჩემს მეგობრებთანაც — მუსიკოსებთან, მხატვრებთან, მწერლებთან. მას ამით მრავალფეროვნებას ვაჩვენებ. ეს მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ადამიანმა სამომავლოდ სოციალურად მასწავლებლად შეძლოს ადაპტირება. ბავშვის ქვეცნობიერში ინფორმაცია იღებება და საჭირო დროს თავის შედეგს გამოიღებს.

— შეიღისადმი დამოკიდებულებაში სად ავლენთ ზღვარს თავისუფლების მინიჭებას და აუცილებელ სიმკაცრეს შორის?

— ნანას მიმართ ზოგჯერ მკაცრი ვარ, თუნდაც მის კვებასთან თუ საშობთან დაკავშირებით. ნანას უყვარს ჯინსებსა და კედებში სიარული, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მინდა, კაბა და გოგონას შესაფერისი ფეხსაცმელი ეცვას. ამაზე მთელი ამბავი გვაქვს ხოლმე. საბოლოოდ მემორჩილება, მაგრამ მას ასევე ვაჩვენებ არჩევანის საკუთარ თავზე აღების პასუხისმგებლობას. ნანამ ლამის 10

საათზე უნდა დადიხნოს, დილის 7 საათზე გაიღვიძოს და ისწავლოს. თუ მას უნდა, რომ ლამის 11 საათზე გამოიყვებს იქ, სადაც მივდივარ, არ მიმიყვას. ბავშვის ფსიქიკისთვის ძილი აუცილებელია. არ არსებობს თემა, რაზეც მას არ ვესაუბრებდი ისე, როგორც თანატოლს. მთავარია, ბავშვს არაფერი მოატყუო. შე-



„იჩაყის უნოდა, ნანა ბუნებრივი ევბით გახდილიყო, მაგჩამ ჩამეწეხემ წავასნაიხ, ლამით ჩემად ბოტიდან აქმედა დამატებით, ბავშვს ახ მომიყვებო. გადახეჯი მამა იყო“.

იძლება რალაც მომენტში შეიღმა ვერ გაიგოს მშობლის ესა თუ ის გადაწყვეტილება, მაგრამ დროის გასვლის მერე ხვდება, რომ სიამოთღეს ეუბნებოდნენ.

— რა იცის ნანამ ამ პასუხისმგებლობის შესახებ, რასაც ირაკლი ჩარკვიანის შეიღობა ჰქვია?

— ნანა ამას თანდათან აცნობიერებს. მოსწონს, მისი მეგობრები ირაკლის სიმღერებს რომ მღერობენ. ქუჩაში ბავშვები რომ დაგვეწევიან და ავტოგრაფს მართმევენ, სიამოვნებს. თანდათან ხვდება, რომ ამის გამო გარკვეული პასუხისმგებლობა აქვს და კარგი გოგო უნდა იყოს. სულ ვუბნები, რომ მე, როგორც მშობელი, რაც შემიძლია, ვუკეთებ და დანარჩენი უკვე მასზე დამოკიდებულია. ამ ეტაპზე მთავარია, რომ ისწავლოს.

— ასსოვს მამა?

— ორწლიანხევრის იყო, როცა ირაკლი გარდაიცვალა. გიჟდებოდა მამაზე. ირაკლი ახალი გარდაცვლილი რომ იყო, საოცრებებს ამბობდა, რაზეც საკმაოდ ვლელავდი. მამა ხშირად ესიზმრებოდა. ერთხელ მითხრა, ირაკლის არ ველაპარავები, რო-

ცა გვიძინავს, მოდის, სანოლთან გიჯდება და სახეზე გეფერება, მერე კი, რომ დამინახავს, ვუყურებ, ქრებაო. გაბრაზებული იყო, მე რატომ არ მიყურებსო. ამბობდა, რომ ღმერთთან უნდოდა წასვლა და მამის გათავისუფლება. მე ამაზე ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. დროის სვლასთან

„უთი ჰეიოდი ნანა მეუბნებოდა, ხოცა ჩემთან სკოლაში მოდიხარ, ასე უფხადე ნუ გაცვიო. ახდა უკვე მოსწონს ისეთი ედა, ხოგოიხ ჰყავს. ხანდახან წამომბუნებდა ხოლმე, მაგამ, ხოგეხაც უხსნი ჩემს ჰოზიციას, ამა თუ იმ ქმედების მიზეზს, ყველაფერი გასაგები ხდება.“

ერთად იკლო მამის ხსენებამ და კითხვამ, თუ როდის დაბრუნდება ირაკლი. თუმცა ირაკლის იმდენი ვიდეო თუ აუდიოჩანაწერი, რომ სიმპათიური, თავგადაპარსული, სასიამოვნო ხმის ტემბრიანი მამის აჩრდილი მძაფრად აღბეჭდდა მის ცნობიერებაში.

— როგორი მამა იყო ირაკლი?
— ირაკლის უნდოდა, ნანა ბუნებრივი კვებით გაზრდილიყო, მაგრამ რამდენჯერმე წავასწარი, ღამით ჩუმად ბოთლიდან აჭმევდა დამატებით, ბავშვს არ მოშვიდესო. გადარეული მამა იყო. ყველანაირად მესმარებოდა — ნანას დაბანაში, ჩაცმანაში თუ გასეირნებაში.

— რითი ჰგავს ნანა ირაკლის?
— როდესაც ვუყურებ ნანას მხრებს, ხელებს თუ ფესტიკულაციას, პატარა ირაკლი წარმომიდგება. ზოგჯერ ისე გამოხედავს, რომ ირაკლია! ხმის ტემბრითაც, მიუხედავად იმისა, რომ გოგოა, ირაკლის წაგავს. სხვათა შორის, 10 წლის ნანას უყვარს სამზარეულოში ფუს-ფუსი და სტუმრების გამასპინძლება. ბევრი ქალური თვისება აქვს.

— რა თვისებების დანახვა გსურთ მასში?
— მინდა, მიზანმიმართული, სამართლიანი და რეალიზებული იყოს, უყვარდეს მეგობრები და იცოდეს შრომის ფასი. მისი გამორჩეულობის განმსაზღვრელი, ირაკლის შვილობასთან ერთად, პუმანურ პრინციპებზე დამყარებული მსოფლმხედველობა უნდა იყოს.

— როცა ამის დრო დადგება, ნანას პირად ცხოვრებაში თქვენი მონაწილეობა როგორ წარმოგიდგენიათ?
— მინდა, იმ დროისთვის ისეთი ურთიერთობა მოქონდეს

შენარჩუნებული შვილთან, რომ გულახდილი დიალოგი იყოს შესაძლებელი. მის პირად ცხოვრებაში არასოდეს ჩავერევი. როცა ადამიანს ბარიერებს უქმნი რაღაცის გამო, აკრძალული ხილის მიმართ მეტი ინტერესი უჩნდება.

— შშობლების მიმართ პროტესტი, წინააღმდეგობის გაწევს სურვილი შვილებში ჩვეულებრივი ამბავია. ნანასაც უკვე ხომ არ დაუდგა თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლის ასაკი?
— ერთი პერიოდი ნანა მეუბნებოდა, როცა ჩემთან სკოლაში მოდიხარ, ასე ფერადად ნუ გაცვიო. ახლა უკვე მოსწონს ისეთი დედა, როგორც ჰყავს. ხანდახან წამომბუნებდა ხოლმე, მაგრამ, როდესაც ვუხსნი ჩემს პოზიციას, ამა თუ იმ ქმედების მიზეზს, ყველაფერი გასაგები ხდება.

— თვითონ გაძლეოთ რჩევებს ან თქვენ კეთსებით?
— ყველაფერთან დაკავშირებით მაძლევს რჩევას. ზოგჯერ პოზიციებსაც კი ვიცვლით და ის ირგებს დედის როლს. მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია.

— მის ჰუსიკურ მადრეკილებებზე რას გავტყუით?
— ზოგადად ძალიან მუსიკალური ბავშვია. შეიძლება მომღერალი არ გამოვიდეს, მაგრამ მუსიკის კარგი მსმენელი ამ შემთხვევებში წამდვილად იქნება. რაც შეეხება ცეკვას, პლასტიკაში მამას, ბუბიას, მამიდას და მე დაგვემსგავსა.

— თქვენი აზრით, რა არის მთავარი დირებულება ზოგადად ადამიანისთვის, რასაც ნანასაც ასწავლით?
— თავისუფლებაზე დიდი ბედნიერება არაფერია — ეს არის მთავარი ღირებულება, რომელზეც ნანა იზრდება. საკუთარი აზრის დაფიქსირება და არჩევანის გაკეთება ცხოვრების ყველა ეტაპზე ერთნაირად მნიშვნელოვანია. მუდამ ვასწავლი, რომ არასოდეს დაჩაგროს სუსტი. ბავშვობიდანვე მივანვიც ცხოველების სიყვარულს, რაც ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩემთვის. განსაკუთრებული საჭიროების გარეშე ხის ტოტიც კი არ უნდა მოტეხოს, რადგან მცენარეებიც გრძნობენ ტკივილს.

— თქვენ როგორ გზრდისდენს — სიმკაცრით თუ თავისუფლებით?
— ჩემთან სიმკაცრით ვერაფერს გახდებოდი, ამას აზრი არ ჰქონდა. ამიტომაც ვარ ვამართლებ ალზრდის ამგვარ ხერხს. ადამიანებთან მაინც ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო.

✓ მანანა ნოღაა

ვასილ ივანოვ-ჩიქოვანს სახლში ჩასაფრებული ქრიტიკოსი ჰყავს დოდო: „ჩემი შვილი უეხნაღისტობისთვის ახ მემეტებოდა“



ქველქურნალისტ ვასილ ივანოვ-ჩიქოვანს სახლში ყველაზე დიდი კრიტიკოსი ჰყავს. დედა, მისი კოლეგა დოდო შონავა დადარაჯებულია, რომ შვილს შეცდომებზე მიუთითოს. ქალბატონ დოდოს ვასილის რჩევებიც ხშირად გამოსდგომია, განსაკუთრებით ახლა, როცა საზოგადოებრივ მაუწყებელში მნიშვნელოვანი საქმე ავალა. ის „მეორე არხის“ პროდიუსერი გახლავთ და ამბობს, რომ მალე მაყურებელი ისეთ ტელევიზიას იხილავს, როგორიც ხალხს ეყვარება.

ვასილის კარიერაში ისეც სიახლეა, ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ „მეცხრე არხი“ დატოვა (უფრო ადრე კი ჯერ „პირველ არხზე“, შემდეგ კი „რუსთავი 2“-ში მუშაობდა). მალე სხვა ტელეკომპანიაში გაიწვიდება, რომლის სახელსაც არ ამხელს. პირად ცხოვრებაში კი ყველაფერი სტაბილურადაა. მას და მის ტელეჟურნალისტ ცოლს, მაიკო ბოკერიას, 11 თვის ვაჟი დემეტრე ჰყავთ. ქალბატონი დოდო რძალს და შვილს ხშირად სტუმრობს, შვილიშვილს კი ბე-

ბებისთვის დამახასიათებელი უზარმაზარი სიყვარულით ანებივრებს.

— ურნალისტი დედა-შვილი — ვასილ, როგორ ფიქრობთ, ეს თქვენი თავის ტრადიციაა?
— ვასილი: მამაჩემსაც ტელევიზიასთან ჰქონდა შეხება. დრამატურგი იყო, მისი სცენარებით ოცამდე ფილმი გადაღებული. ტელევიზია ის სფეროა, რომელსაც ბავშვობიდან კარგად ვიცნობდი.

— ქიბობტისა დიდა, გინდოდათ, თქვენი შვილიც ურნალისტი გამდარიყო?
— დოდო: ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ ვასკას ცხოვრებაში არც მე ვერეოდი და არც ჩემი მეთლე. პატარაობიდანვე ისწავლა გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. მინდოდა, იურისტი გამდარიყო, რადგან ამ პროფესიის მოთხოვნებს ყველანაირად აკმაყოფილებს — ძალიან გონიერია, ლოგიკური აზროვნება აქვს, შრომისმოყვარეა და, რაც მთავარია, უყვარს ადამიანები და სამართლებიანია. ძალიან ვაქებ ჩემს შვილს, მაგრამ ამ შემთხვევაში ობიექტური ვარ.

ურნალისტობისთვის კი იმიტომ არ მემეტებოდა, რომ ეს საქმე უზომოდ დიდ შრომას მოითხოვს, მუდმივ სტრესში ხარ და ჩვენს ქვეყანაში ამის სანაცვლოდ თითქმის არაფერს იღებ. დაუფასებელი პროფესიაა, შეიძლება მთელი ცხოვრება გაქონ, მაგრამ მერე ერთი პატარა რაღაც არ გაპატონ და მთელი შენი შრომა წყალში ჩაიყაროს. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც ძალიან ხშირად იცვლება ხელისუფლება და მთავრობის ცვლილებას შეიძლება შენი კარიერაც გადააყვეს. მინდოდა, ვასკას სხვა

დოდო: „უეხნაღისტობა ნითეას ვიხიხივით ახის, ჩვენ, მიხივე, დაინდიციხებულები ვახით“.

დოდო: „უეხნაღისტობა ნითეას ვიხიხივით ახის, ჩვენ, მიხივე, დაინდიციხებულები ვახით“.



დარეზისტრილი
OXFORD HOUSE-ის
საზაფხულო სკოლაში

გაიარე 1 საფეხური მხოლოდ 5 კვირაში ინტენსიური კურსის საშუალებით. გაიუმჯობესე საუბრის, წერის, კითხვისა და მოსმენის უნარები უმოკლეს დროში. კურსის ბოლოს გაიცემა დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

რეზისტრასიისათვის დაგვიკავშირდით
0790 115 115 ან ანხით www.oxford.ge

პროფესია აერჩია, მაგრამ მანც ამ სფეროში მოხვდა. უურნალისტობა წითელას ვირუსივით არის, ჩვენ, ორივე, დაინფიცირებულები ვართ.

— ვასლა, ყოველთვის არის საფრთხე, შეკვლემა ცნობილი მშობლების ჩრდილქვეშ აღმოჩნდნენ. ეს გამოცემა თქვენც გააჩნია?

ვასილი: ეს უსიამოვნო მომენტი. რაც უნდა იყოს, ყოველთვის დიდი შონავეს და დევი ივანოვიჩიოვანის შვილად დავრჩები. რაღაც პროცენტით ყოველთვის დედასთან ვიქნები ასოცირებული. თავიდან არ მსიამოვნებდა, როცა ამბობდნენ, ეს დიდი შონავეს შვილიაო. მერე, როცა ამ პროფესიას ალლო ისე ავუღე, რომ საქმეს კარგად ვუმკლავდებოდი და ტელევიზიის შტატიანი თანამშრომელი გახვდი, პრობლემა არ მქონდა.

დოდო: მაშინ „მოამბუმი“ კასტინგი იყო გამოცხადებული და ისე მოვიდა, რომ არ ვიცოდი. ასევე იყო „რუსთავი 2“-ის შემთხვევაშიც. როცა კონკურსი გაიარა და დასტური მიიღო, რომ არსთან თანამშრომლებდა, მხოლოდ ამის შემდეგ გავიგე. ასე რომ, მის კარიერაში ჩემი ხელი არ ურჩია. მიმანია, რომ ექიმების შვილი უკეთესი ექიმი იქნება, ვიდრე სხვა, თუკი მას ამ საქმის ინტერესი ექნება. ასე რომ, ცუდს ვერაფერს ვხედავ ოჯახურ დინასტიებში. ოღონდ ადამიანი მშობლების სახელით არ უნდა სარგებლობდეს.

— თქვენ შირის წმინდა პროფესიული საუბრები?

დოდო: ძირითადად პროფესიულ საკითხებზე ვლაპარაკობთ. რაც მთავარია, ერთმანეთს შენიშვნებს ვაძლევთ. ვასკას ყოველთვის ძალიან ზუსტი შენიშვნები აქვს. ახლა „მეორე არხზე“ ახალი გადაცემები დავიწყეთ და ისეთი რჩევები მოგვცა, რომელიც ძალიან გამოგადგა. მეც მეკითხება რჩევებს, მაგრამ რომც არ მკითხოს, ყოველთვის ჩასაფრებული ვარ, აუცილებლად ვუზუნები, თუ რამე არ მომქონა. არ ვიცი, ვასკა დამოუდარებელი თუ არა, მაგრამ ჩვენ, დედა-შვილის გარდა, ძალიან კარგი მეგობრები ვართ.

ვასილი: შემოიღია თამამად დავადასტურო!

— ალბათ დედის რჩევები ყველაზე მეტად მასზე გქონდათ, როდესაც ურნალისტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამდით.

ვასილი: მაშინ თავი რაღაც მიქროდა, რეკლამული ციონერი ვიყავი. წინა-ალმდეგობის განვეცხადე სურვილი უფრო მიქონდა, ვიდრე მათთვის რაღაცის კითხვის. მშობლები რჩევებს ყოველთვის მაძლევდნენ, შეიძლება იმ წუთში არ ვეთანხმებოდი, მაგრამ მერე აუცილებლად ვფიქრობდი მათ ნათქვამზე და ვითვალისწინებდი.

დოდო: ჩემი მეუღლე ცოცხალი იყო, როდესაც ვასკა ტელევიზიაში მუშაობას იწყებდა. არ მინდა, ქმარი გადაჭარბებით ვაქო, მაგრამ ვინც დედის იცნობდა, აბსოლუტურად დამეთანხმება, რომ ის იყო უნიჭიერესი, ძალიან თანამედროვე ადამიანი, რომელიც



დედა-შვილი

ვასილი: „ხალა ჰხოცენატი ყოველთვის დედასთან ვიქნები ასოციებული“. თავიდან ახ მსიამოვნებდა, როცა ამბობდნენ, ეს დიდი შონავეს შვილიაო. მერე, როცა ამ პროფესიას ალლო ისე ავუღე, რომ საქმეს კარგად ვუმკლავდებოდი და ტელევიზიის შტატიანი თანამშრომელი გახვდი, პრობლემა არ მქონდა.

დოდო: მაშინ „მოამბუმი“ კასტინგი იყო გამოცხადებული და ისე მოვიდა, რომ არ ვიცოდი. ასევე იყო „რუსთავი 2“-ის შემთხვევაშიც. როცა კონკურსი გაიარა და დასტური მიიღო, რომ არსთან თანამშრომლებდა, მხოლოდ ამის შემდეგ გავიგე.

— თქვენ შირის წმინდა პროფესიული საუბრები?

დოდო: ძირითადად პროფესიულ საკითხებზე ვლაპარაკობთ. რაც მთავარია, ერთმანეთს შენიშვნებს ვაძლევთ. ვასკას ყოველთვის ძალიან ზუსტი შენიშვნები აქვს. ახლა „მეორე არხზე“ ახალი გადაცემები დავიწყეთ და ისეთი რჩევები მოგვცა, რომელიც ძალიან გამოგადგა. მეც მეკითხება რჩევებს, მაგრამ რომც არ მკითხოს, ყოველთვის ჩასაფრებული ვარ, აუცილებლად ვუზუნები, თუ რამე არ მომქონა. არ ვიცი, ვასკა დამოუდარებელი თუ არა, მაგრამ ჩვენ, დედა-შვილის გარდა, ძალიან კარგი მეგობრები ვართ.

ვასილი: შემოიღია თამამად დავადასტურო!

— ალბათ დედის რჩევები ყველაზე მეტად მასზე გქონდათ, როდესაც ურნალისტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამდით.

ვასილი: მაშინ თავი რაღაც მიქროდა, რეკლამული ციონერი ვიყავი. წინა-ალმდეგობის განვეცხადე სურვილი უფრო მიქონდა, ვიდრე მათთვის რაღაცის კითხვის. მშობლები რჩევებს ყოველთვის მაძლევდნენ, შეიძლება იმ წუთში არ ვეთანხმებოდი, მაგრამ მერე აუცილებლად ვფიქრობდი მათ ნათქვამზე და ვითვალისწინებდი.

დოდო: ჩემი მეუღლე ცოცხალი იყო, როდესაც ვასკა ტელევიზიაში მუშაობას იწყებდა. არ მინდა, ქმარი გადაჭარბებით ვაქო, მაგრამ ვინც დედის იცნობდა, აბსოლუტურად დამეთანხმება, რომ ის იყო უნიჭიერესი, ძალიან თანამედროვე ადამიანი, რომელიც

ზოგჯერ დროსაც კი უსწრებდა. ჩემს საქმიანობაში დევიც ბევრი მომცა, დიდი როლი ითამაშა ჩემი გემოვნების დახვეწაში, დრამატურგიის აწყობაში, რაც დღევანდელ ყურნალისტიკას აკლია. ვასკასაც საკმაოდ კარგ რჩევებს აძლევდა, თუმცა მისი ეთერი ერთხელაც არ უნახავს. იმდენად ნერვიულობდა, რომ მხოლოდ მე მეკითხებოდა მის შესახებ და ჩემი ნათქვამიდან გამომდინარე აძლევდა რჩევებს. მან არამარტო ჩვენს ცხოვრებაში, სხვა ბევრი ადამიანის ცხოვრებაში ითამაშა მნიშვნელოვანი როლი.

— „რეკლამული ციონერი“ შეგიძლიათ უთიხროთაბა მსელი არ იყო?

დოდო: ეს არ გახლდათ მწვავე კონფლიქტი. ვასკა იმდენად გონიერი ადამიანი იყო, რომ მას ვენდობოდი, არ გვიკვირდა, თუ ჩვენგან განსხვავებული აზრი ჰქონდა. ჩვენს ოჯახში ისეთი ფასეულობები იყო დამკვიდრებული, როგორცაა პატიოსნება და სიკეთე.

ვასილი: გაგიუბებული არ ვყოფილვარ, მაგრამ ჩვენ შორის თაობათა კონფლიქტი ნამდვილად იყო... თავიანთ აზრებს თავს არასოდეს მახვევდნენ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება მე მქონდა.

დოდო: ერთადერთი, რაც ჩვენს ოჯახში გადაჭარბებული იყო, ეს ჩემი ქმრის პატიოსნებაა. სხვებზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე საკუთარ თავზე. გვაწუხებდა ის, რომ დედის ნიჭი რეალიზებული არ იყო. ორწლიანი დასახევარია, ჩვენთან აღარ არის. მიმანია, რომ ჩემი და ვასკას მოვალეობაა, იმას მოვუაროთ, რაც მას დარჩა, რადგან გულუხვად არიგებდა თავის ნიჭს. ადამიანებიც უხვად ითვისებდნენ მის ნიჭიერებას.

— ბატონი დედის ვარდაცვალების შემდეგ ოჯახის უფროსი მამაკაცის ტყარით ალბათ ვასკას მსრუბზე გადაჯდა.

დოდო: კი, ასეა. ვასკას ერთი ძალიან კარგი თვისება აქვს — ყველაზე დიდი პრობლემის დროსაც ვერ იგრძნობ, რომ მას რაღაც აწუხებს. წყნარად და მშვიდად აგვარებს ყველაფერს. ფიქრობ, მისი მეუღლეც ბედნიერია. როცა ადამიანი პრობლემას კი არ ქმნის, არამედ დიდ პრობლემებსაც ისე აგვარებს, რომ არავის აწუხებს, როგორ შეიძლება მისი ცოლი ამის გამო ბედნიერი არ იყოს?!

— რძალ-დედამთის რთვონი უთიხროთაბა გაქვთ?

დოდო: რძალ-დედამთის შორის მაშინა კონფლიქტი, როდესაც ეს ორი თაობა ერთად ცხოვრობს. ქართველი დედისთვის საკუთარი შვილი ყველაზე კარგია და ამიტომ რძალს ეჭვის თვლით უყურებს, ჰგონია, რომ მის ვაჟს ისე არ უყვოს, როგორც თავად უყლიდა, ამიტომ ცოლ-ქმარი აუცილებლად ცალკე უნდა ცხოვრობდნენ.

ვასილი: მაგრამ ახლოს. ჩვენ ისე ახლოს ვცხოვრობთ ერთმანეთთან, რომ დედა მალ-მალე მოდის ჩვენთან.

დოდო: ჩემსა და მაიკოს შორის არანაირი კონფლიქტი არ არსებობს, რადგან ვხედავ,

რომ ამ ორ ადამიანს ძალიან უყვარს ერთმანეთი. ჩემთვის ესაა მთავარი. ვხედავ, რომ მაიკო ოჯახისთვისაა მომართული და ვასკას სახლში კომფორტს უქმნის, სიმშვიდე აქვს ოჯახში. ქმარს ზედმეტად არ აწუხებს. მაიკო

მატერიალისტი არ არის, ძალიან ცოტათი კმაყოფილდება. გადასარევი დედა-მამა ჰყავს. ყოველთვის ვოცნებობდი, ასეთ ოჯახთან დანათესავებული ვიყავი, ერთი ფასეულობები გვაქვს.

— ვასკა, თქვენს ბატონა ოჯახში რაიგონი უფროსი ხართ?

ვასილი: ოჯახს პიროვნულად არ შეუვცლივარ, უზრალად პასუხისმგებლობის გრძნობა მომემატა. ადრე მხოლოდ დედის, მამის, ჩემი დის წინაშე ვიყავი პასუხისმგებელი, ახლა ცოლი და შვილი დაემატნენ. უფრო მეტი ყურადღება ჩემი ცოლ-შვილისკენა მიმართული, დანარჩენებს კი დააკლდათ. ადრე თუ საღამოს სახლში არ გავრბოდი, ახლა უკვე ერთი სული მაქვს, როდის მივალ. ადრე თუ ჩემი გეგმების მთავარი პერსონაჟი მე ვიყავი, ახლა ოჯახზე უფრო ვფიქრობ.

— ქალბატონი დიდა, რომ ამბობენ, შეგიღწე საყვარელი შეგიღწედილია, შეგიღწედი თუ დადასტურებ?

დოდო: რა თქმა უნდა, ოღონდ არ ვიცი, ამ გრძნობას რა დავარქვავ, ეს სიყვარულზე მეტია. სულ მინდა, რაც ჩემს შვილებს დავაკვირებ, ამ ბავშვს უხვად მივცე. ვასკას შვილს რომ ვხედავ, მაკანკალავს. როცა ჩემთანაა, არავისთან მიდის, რადგან გრძნობს, რომ ძალიან მიყვარს. ეს სიამაყით მავსებს. თან ისეთი საყვარელი და გონიერია... ვიზუალურად არა, მაგრამ მამას სხვა ყველაფერთა შტაბს — ზნით, მადით... ტელევიზორში ყველა ბიჭ ნაყვანს მამას ეძახის.

ვასილი: აღმიქვამს თუ არა, არ ვიცი.

დოდო: უნდა ნახო, ეკრანზე რომ ხარ, როგორ გიღიმი.

— ქალბატონი დიდა, ბილი წლებში სახი-გადაიბრუნე მოუწყებელში დიდი ამბები იყო ატყენილი. ახლა რა მდგომარეობაა იქ?

დოდო: ჩემი მასურებელი სულ მალე განასახლებულ ტელევიზიას იხილავს. ძალიან დიდი ხანია ამ არსზე ვმუშაობ და ყოველთვის ვოცნებობდი, ისეთი ყოფილიყო, რომელიც ხალხს ეყვარებოდა და მის ინტერესს დააკმაყოფილებდა. ახლა ყველაფერი ისე იგეგმება, რომ სულ მალე ასეთ ტელევიზიას იხილავთ. ბოლო წლებმა და პოლიტიკურმა ორომტრიალმა მასურების გემოვნება ცოტათი გააფუჭა. მათ უნდა ეთერი სმაურნი, სახილო, ისეთი გადაცემების ყურება, რომლის დამთავრების შემდეგაც აზრს ვერ გამოიტანენ. ჩვენი გადაცემებიც ვამკვიდრებთ, რომ ყოველგვარი სკანდალის გარეშე ადამიანმა მოისმინოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის საჭიროა. მასურებელი ნელ-ნელა მიეწვევა ასეთ ტონს და ჩვენც შეიმობრუნდება.

— ვასკა, თქვენს რა სახსილუბია?

ვასილი: სიახლე მაქვს. „მეცხრე არხზე“ 6 თვე ვიმუშავე და წამოვედი.

— სხვა არსზე გადაწყვიტა?

ვასილი: მალე მასურებელი სხვა არხზე მიხილავს. ცოტა ინტრიგა დავტოვოთ და დავსვათ კითხვა: რომელ არხზე იწყებს მუშაობას ვასილი ივანოვიჩიოვანი?

— „მეცხრე არხთან“ რატომ წამოწყვიტა?

ვასილი: რა ვიცი. ზოდიქოს ნიშნით სასწორი კი ვარ, მაგრამ ბევრი ფიქრი არ მიყვარს და ასეთ დროს არც შეიძლება ყოყმანი. მარტივად და სწრაფად, იქ მივდივარ, სადაც მეტი პლუსია.

✓ ქეთი დინოშვილი

დინი ვირსალაძის კულინარიული იმპროვიზაციები



ინისტი დინი ვირსალაძის თქმის მისი ოჯახი ყოველთვის უფროსი იყო და დედა საჭიროდ არ თვლიდა, გოგონა სამინაო საქმეებით დაეჭვებინა, სამზარეულოში დახმარებდა ჰყოლოდა, მთელი მისი დრო და ენერჯია მუსიკას უნდა დაეთმო. ასე რომ, როცა გათხოვების დრო დაუდგა, დინი ამ საქმეში სრულიად გამოუცდელი აღმოჩნდა. ჯერ დედის მითითებებით შეუდგა კერძების კეთებას, შემდეგ მისგან დამოუკიდებლად გაართვა თავი, საკუთარი იმპროვიზაციული ნიჭი აქაც გამოადა და ახლა ახალ-ახალ კერძებს თვითონ იგონებს. აპლოდისმენტებს კულინარიულ ხელოვნებაშიც ისევე იმსახურებს, როგორც მუსიკალურში.

ქალბატონი დინი, სამზარეულოსთან თქვენი „დამკვიდრება“ როგორ მოხდა?

— ეტაპობრივად. დედა ჩემს დროს და ენერჯიას ზოგადად, ამიტომ სკოლის ასაკში ამ საქმით არ ვყოფილვარ დაკავებული. ელემენტარული რაღაცეების კეთება ვიცოდი, მაგალითად, ერბოკვერცხს ვწვავდი. სტუდენტობის ასაკში, როდესაც გავთხოვდი, მომიწია სადილების კეთება. თავდაპირველად დედას ვეკითხებოდი, რა როგორ მომეზადებინა, მერე კი მივხვდი, რომ კერძების კეთების პროცესი ძალიან მიტაცებდა. როგორც ყველაფერში, კულინარიისშიც იმპროვიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. არ მიყვარს რეცეპტებით ხელმძღვანელობა. ყოველთვის ჩემი გემოვნებით ვამატებ სხვადასხვა ინგრედიენტს და ამ პროცესით ვხალისობ. ცხოვრებასაც მეტყუარება, მაგრამ არ მიყვარს.

კონტრასტული გემოები თუ გამომყვინბათი ერთად?

— ბევრჯერ. მაგალითად, სალათის ფორმებს ცოტა მძარბოვანად ერთად თუ თავსაც დაუმატებთ, უგემრიელი იქნება. პიკანტურ გემოს აძლევს. ეს ჩვენს ტრადიციულ რეცეპტებში არ შედის, მაგრამ ბევრად მიღებულია.

იქნებ გავამხსნათ თქვენი რომელიმე სადილური კერძის რეცეპტს, რომელიც ძალიან მოგწონს.

— მიყვარს ხორცის რულეტის კეთება. საქონლის გატარებულ ხორცს მარილს, ცოტა შავ პილპილს ვუზამთ და ჰაერლუმის ტაფაზე გავაბრტყელებთ, ზემოდან შეგვიძლია ცოტა სოკო, წვრილად დაჭრილი მოხარშული კვერცხი დავაბრტყებთ. ზოგი კამას ან სხვა მწვანე ხეხილს უშვრება. ეს უკვე გემოვნების საკითხია. კამა პიკანტურ გემოს აძლევს. ბოლოს ამ მასას რულეტის სახით დავაბრტყევთ, ზემოდან კვერცხის გულს ნავუსვამთ, რომ პრილა იყოს. ჰაერლუმელში გამოვაცხობთ და დაჭვრით. ძალიან გემრიელი კერძი გასწავლეთ!

უცხოეთიდან ახალ-ახალი რეცეპტები ჩამოგაქვთ?

— ზოგჯერ მახსენდება, სადაც რაღაც რომ გავსინჯე და მომეწონა. მერე ვისხენებ, რისგან იყო მომზადებული და ვცდილობ, გავაკეთო. ვინერ კიდევ, მაგრამ კაფე-რესტორნის მზარეულები ძალიან ხშირად საიდუმლოდ ინახავენ რეცეპტებს.

თავადაც გიყვართ გემრიელად ჭამა?

— გურმანი ვარ. ძალიან მიყვარს გემრიელი კერძები, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის სამზარეულო, მაგრამ განსაკუთრებით ქართული უნდა გამოვყო. სულ მენტაზრება ჩვენი საქმელები. ცხიმოვანი და კალორიულია, მაგრამ როგორ შეიძლება ბაჟე, საცივი არ მიყვარდეს?! ჩვენს სამზარეულოს ძალიან ჰგავს ინდური კერძები, მაგრამ მათ ისეთი ცხარე საქმელები აქვთ, რომ მე ვერ გეხსლება. მეგრულზე ბევრად უფრო ცხარე საქმელები აქვთ.

სამზარეულოში წარუმატებლობა გამოგიცდიათ?

— მასხოვს, პირველად ტორტი რომ გამოვაცხე, ძალიან ბრტყელი გამოვიდა. ეს სკოლის პერიოდში იყო. გოგონებმა გადაწყვიტეს ტორტის გამოცხობა. საშინელება გამოვიდა, მაგრამ იხიბარნი მაინც არ გაუტყებთ, კრემი ნაფუსკით და გემრიელადაც გეხსლება.

გიყვართ ტუბილეული?

— ტუბილეულის მიმართ უცნაური დამოკიდებულება მაქვს. თუ არ ვხედავ, არასოდეს მახსენდება, მაგრამ, თუ ვხედავ, სიამოვნებით

ჩვენს ოჯახში ყოველდღიურად ერთად სადილი. გამოიხსენია, სახლში წვნიანი ახ იყოს, კომპოტი ახ დავაყოლოთ.

— მივირთმევ. ერთადერთი, რაც ყველაზე მეტად მიყვარს, ეს „ნაოლეონია“, მაგრამ არასოდეს მინატრია. საკმარისია, დავინახო, მაშინვე ძალიან მინდება. ჩემს მუუღლესაც უყვარდა.

თანამედროვე ცხოვრების რიტმმა თქვენი სადილ-განსმეების ტრადიცია შეაწირა, თუმცა ბევრი მაინც ცდილობს მის შენარჩუნებას. თქვენი თაქსის წერებები ხშირად ასეურსებთ სუფრასთან შეკრებას?

— ერთად სადილობას ვერ ვახერხებთ. ყველას სხვადასხვა რეჟიმში გვაქვს, მამა სხვა დროს ბრუნდება სახლში, მე ხან როდის მივდივარ და ხან — როდის. ეს ძალიან ცუდია და დიასახლისისთვის რთულიცაა. ჩვენს სახლში ძირითადად დედა დიასახლისობს. ჩვენს ოჯახში ყოველდღიურად კეთდება სადილი. გამოირცხვლია, სახლში წვნიანი არ იყოს, კომპოტი ან დავაყოლოთ. ამით დედა გვანებ

ბივრებს. უცნაურია, მაგრამ ის, რაც ბავშვობაში არ მიყვარდა და ძალიან მაჭმევდნენ, ახლა შემეყვარა.

„ახ მიყვარს ხეცვებით ხელმძღვანელობა. ყოველთვის ჩემი გემოვნებით ვამატებ სხვადასხვა ინგრედიენტს და ამ პროცესით ვხალისობ.“

სუპს ძალიან მაჭმევდა დედა, მაგრამ ახლა მიყვარს. ერთადერთი, რაც ბავშვობიდან არ მიყვარს, ეს მანანის ფაფაა. მანანის სუპს ვერ ვიტანდი, მაგრამ ახლა სიამოვნებით გეხსლება.

როცა თქვენ დგახართ გაზქურასთან, დედა უსინჯებს სიმარტო გადკლევთ?

— დედას უყვარს უსინჯების მოცემა, მაგრამ, როდესაც მე კერძის გაცემას ვინჯებ, ვამბობ, ახლა ტერიტორია გამითავისუფლეთ, სამზარეულოში მარტო დამტოვებთ. არ შემძლია სხვასთან ერთად ფუსფუსი.

თაქსის წერების შეფასებები როგორია?

— ჩემი გაცემული საქმელები უყვართ. ხშირად მაქებენ. როგორც ყველას, მეც ძალიან მიხარია, რომ ჩემი ნაშრომი წყალში არ იყრება და სიამოვნებით მიირთმევენ.

მოულოდნელად მოსულ სტუმრებს სახელდახლოდ რითი გაუმასპინდლებოდათ?

— გაჩნია, სახლში რა პროდუქტები მაქვს და რა პერიოდი. თუ სალათების სეზონია, რა თქმა უნდა, სალათს მოვამზადებ. მარტივადაც კეთდება და თან სასარგებლოა. უცებ შემძლია ხაჭაპურიც დავაცხო. ზოგჯერ მხოლოდ ხილიც საკმარისია.

ახლა ნახევარფაბრიკატების, შხა საქმელების „კულტურა“ შემოვიდა. მათი მომხმარებელი არ ხართ?

— ჩვენ ნამდვილად ვაქცევთ ყურადღებას ჯანსაღ კვებას. მე შემძლია წვნიანის გარეშე, მაგრამ მამამ აუცილებლად უნდა მიირთვას. უკვე ჩვევაში გვაქვს. ნახევარფაბრიკატების მომხმარებელი არ ვარ.

ბაზარში სარეული, პროდუქტის არჩევა, შეყვარება გუხერებათ? ამასაც თაქსებური ნიჭი სჭირდება.

— შევაჭრება — ყველაზე ნაკლებად. სასაცილოა ხოლმე, როდესაც 2 ლარიანი პროდუქტს 4 ლარს მიფასებენ, უცხოება, სახეზე მანერია, შევაჭრების ნიჭი რომ არ მაქვს. ეს ძირითადად მამაჩემის პრეროგატივაა. ის დედის ბაზარში, პრო-

დუქტებს ყიდულობს. მეც მიწვევს პროდუქტების ყიდვა, მაგრამ ან ქუჩებში გამოტანილ ხილს და ბოსტნეულს ვყიდულობ, ან სუპერ-მარკეტში რძის ნაწარმს. მამასაც არ ეხერხება შევაჭრება, მაგრამ ბაზარში სიარულის რიტუალი მას ყველაზე მეტად მოსწონს.

თაქსში დანაწილებული გქონდათ ფუნქციები.

— კი. რადგან მხოლოდ მე და მამა ვმუშაობთ, სამსახურიდან რომ ვბრუნდებით, ვრეკავთ, რა არის სახლში საჭირო, რა ნამოვიღოთ. ზოგჯერ არც ვრეკავ და იმას ვყიდულობ, რაც მინდა.

როგორ ფაქტობთ, ყველა ქალის მოვალეობაა, რომ კარგი მზარეული იყოს?

— არ ვიცი, აუცილებლად უნდა ეხერხებოდეს თუ არა, მაგრამ ალბათ მაინც უმჯობესია, თუ ქალმა კერძების კეთება იცის. მგონია, რომ ბევრისთვის ეს სასიამოვნო პროცესია. გაზქურასთან დგომა ხშირად არ მიწვევს და ალბათ ამიტომ მსიათხმენებს საქმელების კეთება. იყო წლები, როდესაც ქმართან ერთად ვცხოვრობდი, მაშინ ყოველდღიურად მე ვაკეთებდი სადილებს. ზოგი ვაჭგორიულად ვერ იტანს ამ საქმეს.

ალკოჰოლი თქვენს საოჯახო მენუში რა ადგილს იჭერს?

— არ მიყვარს და საერთოდ არ ვსვამ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ცოტა დაღვევა სასარგებლოა. ალკოჰოლის გემო არ მიყვარს, რასაც ვერ ვიტყვი ნატურალურ წვენებზე. სიმართლე რომ გითხრათ, ყველაფერს მაინც წყალი მირჩევია. იმდენს ვერ ვსვამ, რამდენიც საჭიროა, მაგრამ მაინც დიდი ოდენობით ვივლ. არ მიყვარს გაზიანი სასმელები. ზაფხულში ბევრ ხილს ვივლ, განსაკუთრებით — საზამთროს პერიოდში რომ მოდის. ვგიუდები, ძალიან მიყვარს.

დაბოლოს, მსუბუქი საზაფხული საღათის რეცეპტს გეჩვენებთ.

— უმი კომპოსტო წვრილად დაჭვრით, ასევე უმი სტაფილო გახეხეთ, მწვანე ვაშლი წვრილად დაჭვრით და ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ. შეგიძლიათ წვრილად დაჭრილი კიტრი და ბულგარული წიწვაც დაუმატოთ. ამ ყველაფერს ზეითუნის ზეთს მოასხამთ ცოტა მძარბოვანად ერთად. ბევრი მწვანე ძალიან უნდება, მე რუქანსაც ვუშვრები. ვისაც რა მწვანე იყვართ, ის ჩააჭვრით. ძალიან გემრიელია. სცადეთ და აუცილებლად მოგეწონებათ.

✓ ქეთი დინოშვილი

როგორ შეხვალა მარიტა როხვაძის ცხოვრება 21 კილოგრამის დაკლება

„მადლობა „სარკეს“, რომ მომეცით საშუალება, სიმართლე საჯაროდ ვთქვა!“

ახლაგაზრდა მომღერალ მარიტა როხვაძისთვის 2011 წელი გამორჩეული იყო. ამ წელს ის ჯეოსტარი გახდა და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა, ოღონდ უკვე საკუთარ თავზე — ზედმეტი 21 კილო წარსულს ჩააბარა. ახლა ისეთ ფორმაშია, თუ კარგად არ დააკვირდებით, ვერც კი იცნობთ, რომ თქვენ წინაშე ის პუტკუნა გოგონაა, რომელსაც მაყურებელი მთელი სამი თვის განმავლობაში გულშემატკივრობდა და ტურიდან ტურში გადაჰყავდა.

მარიტა ამბობს, რომ ახლა სხვა ადამიანია, უფრო ლალი და ბედნიერი. მართალია, ორი წლის განმავლობაში მუსიკალური კარიერის თვალსაზრისით წინ ვერ წაინა, მაგრამ მომავალს იმედით უყურებს. ელოდება იმ დროს, როცა პროექტში პრიზად მოგებულ სოლო ალბომს ჩაწერს. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ბოლო დროს გავრცელდა ხმა, რომ მისი და ზურა ნიქაბაძის სამწლიანი სიყვარული დასრულდა. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს, ამაზე ქვემოთ.

— მარიტა, ჯეოსტარი გახდით, მაგრამ მას შემდეგ არსად გამჩინდით. სიმ არ ფიქსობთ, რომ სურვილია და კანკუნსში მინაწილეობას აზრი არც ჰქონდა?

— არა, რადგან ამ პროექტმა ყველაზე დიდი რამ მომცა — ხალხის სიყვარული. ამას კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობ, მეფერებიან. „ჯეოსტარის“ მადლიერი ვარ და იქ გატარებული ყოველი დღე მენატრება.

— ახლა რას აკეთებთ, რას საქმიანობთ?

— მეორე კურსის სტუდენტი ვარ, თან ქუთაისის კულტურის სამსახურში ვმუშაობ, მთავარი სპეციალისტი გახლავართ. მუსიკალური კარიერის მხრივ მცირე ტიპი აუტი გამოიძინა, მხოლოდ კორპორატიულ საღამოებზე ვმღერი. რამდენიმე წლის წინ კომპოზიტორ გოჩა ლომთაძის ინგლისურენოვანი სიმღერა ჩაწერე. კლიპის გადაღება მიინდა, მაგრამ ჩვენს რეალობაში სპონსორები ძნელი საშოვნელია, ამიტომ ჩემი ძალეობით ვაპირებ ვიდეოგოლის გაკეთებას. „ჯეოსტარის“ შემდეგ ძალიან ბევრი შემოთავაზება მივიღე უცხოეთიდან, მინვედნენ მოსკოვში, უკრაინაში, იტალიაში, მაგრამ ყველა შემოთავაზებაზე უარი ვთქვი.

— ასეთ პერსპექტივაზე უარი რატომ თქვით?

— „ჯეოსტარში“ სოლო ალბომის ჩაწერა მოვიგე და მიინდა, ეს საქმე ბოლომდე მივიყვანო. ჯერ ოთხ ნემსადის ალბომის ჩაწერა არ დასრულებულა და ამას ველოდები. მომღერლისთვის ალბომი წინგადადგმული და კარიერისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯია. არ მიინდა, ეს შანსი ხელიდან გაუშვა და ველოდები, ჩემი ჯერი როდის მოვა. ყველა ქვეყნიდან ისეთი შემოთავაზება მქონდა, რომ კონტრაქტი, მინიმუმ, ერთ წელზე იყო გათვლილი. მშობლებს კი დიდი ხნით ვერ დავტოვებ. იცით, რომ დედისერთა ვარ და უჩემობას ვერ აიტანენ. ყველაფერთან ერთად მიჭირს ჩემი ქვეყნიდან უცხო გარემოში წასვლა და ყველაფერის თავიდან დაწყება.

— ორი წლის განმავლობაში რიგობ ვერ მისწინდა სილი ადობის ჩაწერა?

— როგორც კი ოთხ ალბომი დასრულდება, ჩემი ალბომისთვის დაიწყებენ მზადებას.



ნოდუკო ტატიშვილი „ჯეოსტარი 2009“-ის გამარჯვებულია და ჩვენი ერთ-ერთი კონცერტის დროს იყო მისი ალბომის პრეზენტაცია. ასე რომ, ჩემს ალბომსაც მოთმინებით ველოდები.

— პრიზად ასევე გვრგობთ ეგვიპტეში დასვენება და ბინა ბათუმში. ვიცით, რომ ეგვიპტეში წახვედით, მაგრამ ბინა თუ მიიღეთ?

— ამ ჩამონათვლიდან ჯერ მხოლოდ ეგვიპტის საგზური მივიღე. კონტრაქტში მინერია, რომ ბინას მშენებლობის დასრულებისთანავე გამოგვცემენ. არ ვიცი, ეს როდის მოხდება. არც ის ვიცი, ფართი რამდენი კვადრატულია ან რომელი სართულია. მართალია, ბათუმში ჩავედი და მშენებარე სახლი ვნახეთ, მაგრამ ამის იქით ვერაფერი გავარკვიე. იურისტი გვეუბნება, ბინის გასაღებს მშენებლის დასრულებისთანავე გამოგვცემთ. იმედი, ასეც მოხდება.

— რა პრიფესიას ეუფლებით?

— აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტზე ვსწავლობ. მსახიობობა ძალიან მინდოდა, მაგრამ მამაჩემი სასტიკ უარზე იყო და მის წინააღმდეგ ვეღარ წავედი. ახლა კი ვნანობ, მაგრამ... არც ტურიზმი ნაკლებად საინტერესოა, ძალიან პერსპექტიული პროფესია ავირჩიე. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა სამსახურში საქმეს მიაღვივებს.

— კულტურის სამსახურში მუშაობთ?

— კონცერტების დაგეგმვა, კულტურული ღონისძიებების მოწყობა, მრავალფეროვანი სამსახური მაქვს.

— სამსახურს დიდი დრო მიაქვს?

— ოო, ძალიან დიდი! დილის 9 საათიდან საღამოს 6-

„ახანაიხი ახალი გატაცება ახ ახებობს. მე და ზუჯას ისევე ისე გვიყვარს ქითანეთი, ხოგოც ახე.“

მდე სამსახურში ვარ. იქ ყველანაირად მიწყობენ ხელს, რომ უნივერსიტეტში ვიარო. — გარეგნულად ძალიან შეცვლილი ხართ — წინაშე საგრძნობლად დაიკვლით და

უფრო გალამაზდით. ამისთვის დიდი ძალისხმევა დაგჭირდა?

— ეგვიპტიდან რომ დავბრუნდი, მივხვდი, სარკეში ჩახედვის მრცხვენოდა. აღარაფერში ვეტოდი, კაბას ვერ ვიცვამდი, შარვალს ვერ ვიკრავდი, მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. საკუთარ თავს ვუთხარი, დროა ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელზეც ყველა ილაპარაკებს-მეთქი. დიეტა თვითონ

„კონსტაქტში მინეხია, ხომ ბინას მშენებლობის დასრულებისთანავე გამოგვცემენ. ახ ვიცი, ეს ხოცის მოხდება. ახ ის ვიცი, ფაჩითი ჩამდენი ეკვრება ან ხომელი სახითია. მათთან, ბათუმში ჩავედი და მშენებარე სახლი ვნახეთ, მაგრამ ამის იქით ვეხადევი გაუხეხეთ.“

მოვიფიქრე, ვჭამდი მხოლოდ წინიბურას და ჭყინტ ყველს. 4 თვის განმავლობაში ასე ვიკვებებოდი, 2 თვე კი მხოლოდ საზამთროს გეხლებოდი. პირველ 2 თვეში 17 კილოგრამი დავიკვიე, შემდეგ 2 თვეში — 4 კილო. 81 კილო ვიყავი, ახლა 60 კილო ვარ.

— აღობო თავს სულ სხვა ადამიანად გრძნობთ.

— კი, ნამდვილად ასეა. უკვე იმას ვიცვამ, რაც მინდა. ყოველთვის მიყვარდა მოკლე კაბა, თურთ შარვალი, მაგრამ ჩემი წინიდან გამომდინარე, ვერასდროს ვიცვამდი.

— ძველ გარდერობს რა უქნით?


— ტანსაცმლის ნაწილი გავაჩუქე, ზოგი გადაყვარე, ზოგიც დავწვი. ახლა ჩემს გარდერობში ყველანაირი ფერის სამოსია, ყოველი დღის გათენება მიხარია. თუმცა ზოგმა

მითხრა, ის პუტკუნა მარიტა უფრო მოგვწონდაო. მაშინ 18 წლის ვიყავი, ახლა 20-ის ვარ და დროული იყო თავის ფორმაში მოყვანა. ფექტობრივად „ჯეოსტარის“ პერიოდში

მოვიმატე, ვწვრივობოდი, ვჭამდი და უცებ აკვრივ წონა. მიხარია, რომ ასეთი დიდი ნებისყოფა მაქვს. დაბალწევნიანი ვარ, პე მოგლობინი საგრძნობლად დამივარდა, მაგრამ მერე ვიკვრნალე. სადაც დავდიოდი, კონტინენტით მიმქონდა უშაქრო, უცხიმო წინიბურა.

ქორწილში, დაბადების დღეზე მხოლოდ ლიმონს და ზეთისხილს ვჭამდი.

ყველას ვთხოვე, ჩემი კვების რაციონში არ ჩარეულიყვნენ. დედას მხოლოდ წინიბურას მობარშვას ვავალდებულებ-



მარიტა და ზუჯა

საკითხებს მარტო არ ვწყვეტ. ახლა საბუკა ფეხბურთზე დამყავს. უნდა, მამასავით სპორტსმენი გამოვიდეს. ანანოს კი მოდელია სურს.

— ესე იგი ფეხბურთელისა და მოდელის ოჯახმა გაამართლა?

— ფაქტია, რომ მსოფლიოში ფეხბურთელებისა და მოდელის დანაწილების ტენდენციაა. ალბათ ფეხბურთელებს კარგი გამოვლება აქვთ.

— ოჯახის შექმნის შემდეგ პიდიუმს სიმ არ დაუშვებოდა?

— არა, ახლაც გამოვდივარ თბილისის მოდის კვირეულებს ჩვენებებზე, მაგრამ თვითონ მირჩენია, პატარა თაობას დავუთმო ასპარეზი. თუ ძალიან მთხოვენ ჩემი მეგობარი დიზაინერები, მაშინ გამოვდივარ.

— ქმარი სიმ არ ეჭვიანობს, როცა პიდიუმზე გსვამო?

— არა, რადგან საბაბს არ ვაძლევ. არ გვაქვს ისეთი ურთიერთობა, რომ რამეში შემზღულდოს.

— არც თქვენ ეჭვიანობთ შორს მყოფ ფეხბურთელ ქმარზე?

— ეჭვიანობას ბევრი ცუდი მოაქვს, ამიტომ ვცდილობ, ამ თემაზე არ ვიფიქრო. ჩემს ქმარს ვენდობი.

— ხანგრძლივი განსივრებების შემდეგ ალბათ განსაკუთრებულ სურათს იტანს?

— სიურპრიზების მოწყობა არ ხერხდება. წინასწარ ვხვდები, რას მარტულებს და ამაზე სულ ბრახდება. ამისულა რომანტიკული არ არის, ამის დრო არ რჩება.

— რა სწორდება ამისულას სახელში იმისთვის, რომ თავი კარგად იგრძნოს?

— ბავშვებთან ერთად დიდ დროს ატარებს. ეს მისთვის დასვენება და განტვირთვაა. ძალიან კარგად ვაკეთებ სპაგეტის. ქართულ კერძებს არ ვამზადებ, ამაზე

სახლის მომვლელი ზრუნავს. რუსეთში როცა ვართ და ამისულას ქართული კერძი მოვინატრებ, მაშინ ვამზადებ. მეგრული ვარ და, მაშასადამე, გურმანიც.

— შეგიძლიათ ელარჯი გააკეთოთ?

— როგორ არ შემიძლია! არ მიყვარს, როცა ამბობენ, რომ კვერცხსაც ვერ წვავ. ორსულობის დროს თურქეთში ყოფნისას ძალიან მომინდა ელარჯი და პოლანდიური ყველით გავაკეთე. სიმ წარმოგიდგენიათ, რა იქნებოდა, მაგრამ მე მომეწონა. ამისულას არ გაუსინჯავს.

— თქვენი შეხედულებები და აზრები ყოველთვის ემთხვევა ერთმანეთს თუ კამათიც მოგვით რაიმე თემაზე?

— ამისულა ზოგადად არ არის კონფლიქტური, არც მე ვარ ძალიან ჯიუტი, ამიტომ ერთმანეთს ვუთმობთ. რა თქმა უნდა, არსებობს თემები, რაზეც შეიძლება უთანხმოება მოგვივიდეს, მაგრამ ეს გლობალური მასშტაბის არასოდეს არის.

— რა არის თქვენი საერთო თვისება?

— ორივეს ძალიან გვიყვარს ნიგნების კითხვა, მუსიკაც ერთნაირი მოგვწონს.

— როცა ქმარი თქვენთან არის, თბილისში, ალბათ განსაკუთრებით ადვილდება დაყავს?

— არ გვიყვარს კლუბებში სიარული, მით უმეტეს, თბილისში. შეიძლება რესტორანში დავსხდეთ მეგობრებთან ერთად და ვისაუბროთ. ამისულას არ უყვარს სმა, მიუხედავად იმისა, რომ კახელია.

— შეგრული ცოლი და კახელი ქმარი — კუთხური განსხვავებულობა ოჯახში თავს რაით იჩენს?

— არა, ეს ოჯახში არ იგრძნობა. დედამთილ-მამამთილთან ვმეგობრობ. ისინი თელავში ცხოვრობენ, მშობლიური სახლი არ მიატოვეს.

— ორ შვილს დამოუკიდებლად წრდით?

— დედაჩემი სახლში თუ არ მყავს, ვერაფერს ვაკეთებ. როცა დასასვენებლად მივივარ, ბავშვებს მხოლოდ დედას ვანდობ. მისი მადლიერი ვარ.

— ქართველი ფეხბურთელების ცოლები მეგობრობთ?

— კი. ანუკი არეშიძესთან, სალომე



ნინი და ამისულა

ლვინიაშვილთან და სხვებთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს. სულ ერთად ვართ. ნაკრების თამაშებს ვესწრებით. ყველამ იცის სამეგობროში, რომ ძალიან ემოციური ვარ. არ შემიძლია, თამაშს მშვიდად ვუყურო. სულ მეშინია, ამისულამ ტრავმა არ მიიღოს.

— შეგომჩნევიათ, რა განსხვავებაა ქართველი და უცხოელი ფეხბურთელების ცოლებს შორის?

— რუსი ფეხბურთელების ცოლებს განსხვავებით, ჩვენ ვმეგობრობთ. რუსი სპორტსმენების ცოლები ერთმანეთის კონკურენტები არიან, ვის უფრო კარგად აცვია და ა.შ. ქართველები გემოვნებიანი

„ჩუნი სპორტსმენების ცოლები ერთმანეთის კონკურენტები არიან, ვის უფრო კარგად აცვია და ა.შ. სტადიონზე საგულშემატკივროდ ისეთი გამოპრანჭულები მიდიან, თითქოს რაიმე საღამოზე იყვნენ.“

ერი ვართ. რუსი სპორტსმენების ცოლები სტადიონზე საგულშემატკივროდ ისეთი გამოპრანჭულები მიდიან, თითქოს რაიმე საღამოზე იყვნენ.

— თქვენც ერთ-ერთი მოდურად ჩამცმული ხართ თბილისში. თქვენი ქმარისც ერკვევა მოდაში?

— ჰო, ძალიან მიყვარს ჩაცმა. შოპოპოლიტი არ ვარ, მაგრამ მიყვარს კარგი აქსესუარები, ჩანთები და ფეხსაცმელები. ამისულა სამოსთან დაკავშირებით რჩევეს არ მამძღვეს. ის საათებში

ერკვევა ძალიან კარგად და ასეთ დროს ვეკითხები რჩევას. ისე კი თავადაც ძალიან კარგი გემოვნება აქვს.

— ორი შვილის დედას ისევე მოდელის ფიგურა გაქვთ შენარჩუნებული. ამას როგორ ახერხებთ?

— გენეტიკურად არ ვარ სიმსუქნისკენ მიდრეკილი, ამავდროულად საღამოს საათებში ჭამას ვერიდები და ვვარჯიშობ. სახის კანისთვის ჩემი ასაკის შესაფერის საცხს ვიყენებ. პლასტიკური ქირურგიისთვის არასოდეს მიმიმართავს. ჯერჯერობით მხოლოდ ეს არის ჩემი რეცეპტი.

— რა განსხვავებაა ოჯახური ცხოვრების დასაწყისსა და თქვენი ცხოვრების ამ ეტაპს შორის?

— თავიდან ორი უცხო ადამიანი ცდილობს, ერთად იცხოვროს, გაიცნოს ერთმანეთი და ერთმანეთის წესები. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ ამისულა უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე წლების წინ.

✓ მანანა ნოდია



ჯაბა კილაქეს პატარა მანქანების ფოტო აქვს

„ავტომობილი ჩემთვის დამატებითი ფუნქცია“

დასახიობი ჯაბა კილაქე პატარა ზომის მანქანის საჭესთან არასდროს მჯდარა. თავიდანვე, ანუ 6 წლის წინ, დიდი „როვერი“ აირჩია. მანამდე მანქანასთან შეხება არ ჰქონია, ახლა კი ავტომობილის გარეშე საკუთარი თავი ვერ წარმოუდგენია. ის მისთვის გადაადგილების საშუალებაც არის და ფულის დაზოგვისაც.

— **ჯაბა, რა ადგილი უჭირავს მანქანას თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

— ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში ავტომობილს ყველაზე დიდი სტრატეგიული დანიშნულება აქვს. იმდენად საჭირო რამ არის, რომ მას ფუფუნების საგანსაც ვერ ვუწოდებ. ისეთი-ვეაუცნილებელია, როგორც მობილური ტელეფონი.

— **და ეს როდის იგრძენით?**

— როცა საჭესთან დავჯექი, მივხვდი, რამხელა ბედნიერებასთან მქონია საქმე. დღე-ღამე სამ ადგილას მაინც ვერ წასასვლელი, თუ ნორმალური ხელფასი გაქვს და ტაქსით სიარული შეგიძლია, კიდევ არა უშუაღვ, მაგრამ ხარჯი ნამდვილად მეტია. თან 1 ან 2 ლარად არავის დაპყავხარ, 3 ლარად წახვალ და იმასაც დაგაყვედრის მძღოლი. მანქანა კი ამ ყველა პრობლემას გიგვარებს. ჩათვალეთ, რომ ავტომობილი ჩემთვის დამატებითი ფუნქციაა.

— **დიდი ხანია, რაც საჭესთან წახარო?**

— 2007 წლიდან დავდივარ მანქანით, მანამდე კი საერთოდ შეხებაც არ მქონია. საჭესთან დამსვიო, ვილაცხა რომ სთხოვე, ეს საშინლად არ მიყვარს. ავტომობილის ძალიან დიდი გაფრთხილება სჭირდება. როგორც შენი კედი არ უნდა ჩაიცვას სხვამ მხოლოდ იმიტომ, რომ შენს ფეხზეა მორგებული, ასევე მანქანაც. თუ დიდ აუცილებლობას არ ვხედავ, ალბათ არც ვათხოვებ. მე თვითონ სულ საქმე მაქვს და მანქანის გარეშე არც შემიძლია.

— **თქვენი პირველი ავტომობილი ვაიხსენებ?**

— პირველად სედანის ტიპის „როვერი 75“, ბრიტანული დიდი მანქანა მყავდა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ გამოუცდელი მძღოლი ვიყავი, ამ საქმის პროფესიონალები კარგ შეფასებას მაძლევდნენ. „როვერის“ შემდეგ „პაჯეროს“ დიდი ჯიბი მყავდა. ყოველთვის დიდი მოცულობის მანქანებს ვანიჭებ უპირატესობას. რატომღაც პატარა ავტომობილების ფობია მაქვს. ერთი პერიოდი ფინანსურად ვერ ვიყავი კარგად. ის ჯიბი გაყვიდე და შედარებით დაბალკლასიანი ჯიბი შევიძინე. ერთი წლის წინ კი ვკლასის „მერსედესი“ ვიყიდე და, თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე გაყვიდა და კარგი ჯიბის ყიდვა მინდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა ვერ არ მაქვს.

— **მანქანის სალონში წყისრაგს რამდენად დიდ ყურადღებას აქცევთ?**

— მიყვარს ავტომობილში წესრიგი, მაგრამ ჩემს სალონში, ისევე როგორც ჩემს ოთახში, ყოველთვის უნესრიგობაა, მილაგება-მოლაგება გამუდმებით მეზარება და სხვის მოწესრიგებულ მანქანას რომ ვხედავ, მშურს. ძალიან მეზიზღება, როცა ავტომობილს ატუნინგებენ და ზედმეტ რაღაცებს უკეთებენ. არც ჩემი მანქანის სერია ნიშნავს რამეს. როცა ვიყიდე, „ბუმ 888“ მქონდა, მაგრამ ამ სერიით სიარული ისე მრცხვენოდა, სადმე რომ მივდიოდე, შორს ვაჩერებდი. ასეთი რაღაცეები მაგრად მძაბავს, ამიტომ ჩვეულებრივად, არაფრისმთქმელი სერია ავიღე — „პეკ 770“.

— **ნაწილებში კრეკვით?**

— მე თუ მკითხავთ, როცა მანქანა გყავს, ნაწილებშიც კარგად უნდა ერკვეოდე. ერთხელ კვირად ღეიყო, ხელოსნები არ მუშაობდნენ და ჩემს „მერსედესს“ სანვავის ფილტრიც კი გამოვუცვალე. საკმაოდ რთული ოპერაცია ჩავატარე. „კარგ“ სანვავს რომ ვასხამთ საქართველოში, ეს იმის დამსახურებაა. ფილტრი რომ ამოვიღე, მივხვდი, რა სანვავზე დადის ჩემი მანქანა, მაგრამ, რაც მთავარია, ფასი ხომ არის ევროპული სტანდარტის შესაფერისი!

— **გზებზე სისწრაფე გყავართ?**

— ზომიერად. ქალაქგარეთ ერთხელ „მერსედესით“ 220 კმ/სთ სიჩქარით ვიარე, მერე კი მივხვდი, რომ სისულელეს ვაკეთებდი. სიმართლე გითხრათ, იმდენად მაგარი მანევრი აქვს, ბოლომდე მივწვდი და არც შემშინებია. „ბუმევი“-ს ასე ნამდვილად ვერ ვწვდობოდი. ძალიან სწრაფად ჩვენს ქალაქში ვერც ივლი, თან კანონმორჩილი მძღოლი ვარ. ხანდახან კი მიწვევს დარღვევა, რადგან მაინც თბილისია და თუ არ დარღვევ, შეიძლება ვილაცხადარტყას. თბილისის მერე კიაროში გამაგიჟა მანქანების მოძრაობამ. იქ უბრალოდ

••••• „თბილისის მეხე კაიხომი გამაგიჟა მანქანების მოძრაობამ. იქ უხეილდ მოხუცა, ავტომობილს გზის დათმობის ნიშნად მიახყა და გაიხიო“.

მოსულა, ავტომობილს გზის დათმობის ნიშნად მიარტყა და გაიარო. მე ვთვლი, რომ თუ თბილისში დადის მანქანით, ყველგან შეძლებ სიარულს.

ყველაზე დიდ დისკომფორტს მძღოლების უაზრო გადაწყვეტილებები მიქმნის. სწრაფმავალ ზოლში მისეირნობენ, არადა ხომ შეუძლიათ, პირველ ან მეორე ზოლში იარონ და მოძრაობა არ შეაფერხონ? ეს ყველაზე მეტად მაგიჟებს!

— **ქალ მძღოლებზე თქვენც სწრაფი მამაკაცები ვართ ფაქტობით?**

— თალსაც გააჩნია, მაგრამ მათ მიმართ აგრესიით ნამდვილად არ გამოვირჩევი. არის ვილაც, ვისაც ტარება არ შეუძლია. ამას წინათ ვუყურებდი, ავტოსადგომზე ქალი რომ მანქანას აყენებდა და იტანჯებოდა. არადა იმხელა ადგილი ჰქონდა, ერთი მოძრაობით უნდა ჩაეყენებინა. იმდენი იწვალა, ვერ წინ მდგომ მანქანას მიარტყა და მერე უკან მდგომს. პარკინგი თუ არ შეგიძლია, შეეშვი, რა, მანქანას! როგორ შეიძლება, ასეთმა მძღოლმა ექსტრემალურ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება მიიღოს?! გამოვიტყულო! როცა ვხედავ, რომ საჭესთან ქალია, ყველა ვარიანტში დისტანციას ვიცავ ან ცვდილობ, რაც შეიძლება მალე გავასწრო, რადგან ნამდვილად ვერ ვწვდობი. არ მინდა, მაინცდამაინც ქალ მძღოლებზე გავაკეთო აქცენტი, ავარიული სიტუაცია კაცსაც ბევრჯერ შეუქმნია და ქალზე უარესი მანევრიც ჩაუდენია.

— **ეს პირადად გაქვთ გამოცდილი?**



ერთხელ დიდი „პაჯეროთი“ მივდიოდი კახეთის გზატკეცილზე. იქ არის ადგილი, სადაც მოხვევა არ შეიძლება, მაგრამ ვილაცხევი არღვევდნენ წესს. მესამე ზოლში ვმოძრაობდი და სპორტული, ძალიან დაბალი გამავლობის „ჰონდა სივიკომ“, რომელიც ჩემს მანქანას ბორბლებამდე სწვდებოდა, გზა ყოველგვარი ციმციმას გარეშე ძალიან ცუდად მომიჭრა. ალბათ მძღოლს რაღაც ინტუიცია მართლა აქვს. ისე მოძრაობდა, მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც ცუდი უნდა ჩაედინა. კიდევ კარგი, სვლა შევანეღე, თორემ კი არ დავარტყამდი, უბრალოდ გავჭყლუტდი. სწრაფად დავამუხრუჭე და მანქანა ისე ახლოს გავუჩერე, იმ ტიპის სახე ახლაც მახსოვს. უფლის წყალობით, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაქციები მაქვს.

— **აგარაში არასოდეს მოყოლილხართ?**

— ერთადერთხელ. ღამით წვიმაში მოვიდოდი დოლიძის ქუჩიდან. მანქანაში ოთხნი ვისხვიდი. სწრაფად მომავალი, ფარებანთებული მანქანა მოცურდა, ჩემს მხარეს შემოასკდა და ბოლომდე შემოვიდა. იმან გადამარჩინა, რომ დიდი „პაჯეროთი“ ვიყავი. საბედნიეროდ, არაფერი დამეზავებია.

— **პატრული რა შექმნევაში გაჩერებთ?**

— ღამის ცხოვრებით ვცხოვრობ და პატრულიც უფრო მეტად გადამოწმების მიზნით მაჩერებს. ჩემი აზრით, ეს სწორიც არის, რადგან ამ დროს უამრავი ცუდი შემთხვევა ხდება, საჭესთან ნასვამიც ბევრი ჯდება. ნასვამი საჭესთან არასოდეს ვმჯდარვარ. პატრული რომ მხედავს, პატივისცემას ყოველთვის ვგრძნობ და არ მინდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდო. ის იმიტომ არის, რომ წესრიგი დაამყაროს და მე რომ ჩემი ცნობადობით ვისარგებლო, არ ვიქნები მართალი. ჩემ მიმართ ძალიან კეთილგანწყობილი არიან და, სიმართლე გითხრათ, თავხედ და უზრდელ პატრულს ვერ არც შევხვედრივარ.

— **პარკირების საშისურისადმი როგორი დამოკიდებულება გაქვთ, მათი დამსჯელი ზომები გამოიცდიათ?**

— ამ კომპანიასთან პირადად მე საშინელი დამოკიდებულება მაქვს. აქამდე წინა ხელი-სუფლება ლობივებდა და თავს ბევრის უფლება მისცეს. ჩემი აზრით, ყაჩაღები არიან და ვერ ვხვდები, ახლა მაინც რატომ არ სთხოვენ პასუხს. კინო „რუსთაველთან“ ერთ მხარეს შეიძლება გაჩერება, მაგრამ მეორე მხარეს თუ დააყენებ მანქანას, აღარ დაგხვდება. აბა, რა ვქნა? მაშინ მითხრან, სად გავაჩერო და ისე შევალკინოში. თუ ავტომობილს ორი კილომეტრის მოშორებით დავაყენებ და დანიშნულების ადგილას მებროთი მივალ, რაღად მინდა მანქანა?! ისე, რამდენჯერმე ნაიყვანეს კიდევ ჩემი მანქანა. ამ კომპანიაში სამარცხვინოდ ცუდი ხალხი მუშაობს.

✓ **სოფო ბოჭორიძე**

ქეთუსია იგნატოვა: „ქმარი არაფერს იშურებს, რომ კარგად გამოვიყურებოდე“



როფესიით მხატვარ-გრაფიკოსი, საზოგადოებისთვის ჟურნალისტიკად ცნობილი ქეთუსია (ქეთევან) იგნატოვა, ოჯახში ისე აღზარდეს, რომ თავს არასოდეს აძლევს უფლებას, თუნდაც სახლში მოუწესრიგებელმა იაროს. იმ რეჟიმს, რასაც ბებიამ ზავშვობაში შეაჩვია, დღესაც იცავს. გემოვნება და გარეგნობა მშობლებისგან ერგო. ასაკს არ უფრთხის და მტრად არ მიიჩნევს, პირიქით, თვლის, რომ ყველა ასაკში ქალს თავისი ხბული აქვს, მით უმეტეს, თუ მოყვარული ქმარი მისით ყოველთვის აღფრთოვანებულია და ქათინაურებს არ აკლებს.

— ქალბატონო ქეთევან, ხანამ უშუალოდ ჩვენს ჟურნალს შეეცნობით, მცირე გადასცემა გააკეთებ. მხატვარი ბრძანდებით, მაგრამ თქვენს ცხოვრების საქმედ ჟურნალისტიკა იქცა. მიგაყვებით, ეს რაგონი მისდა.

— მიმანია, რომ ჟურნალისტიკა ძალიან საინტერესო, სიღრმისეული, რთული და თამამი პროფესიაა. მას საკმაოდ მყარი, სპეციალური განათლება სჭირდება, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამაჩნია, ამიტომ ვერასოდეს ვამბობ თამამად, რომ ჟურნალისტიკა ვარ. განათლებით მხატვარ-გრაფიკოსი გახლავართ. ეს ჩემთვის საინტერესო და საამაურო პროფესიაა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი რეალიზება ვერ მოვახდინე. ამაზე ალბათ იმ ფაქტორებს იმოქმედებს, რომ კარგი მხატვრების შვილები (ქეთევან იგნატოვა ცნობილი მხატვრის, ნიკოლოზ იგნატოვის ქალიშვილია. ავტ.) უმეტეს შემთხვევაში იჩაგრებიან და ჩრდილულ ქვეყნებში.

ჟურნალისტიკა დაგვიანებით ასაკში ჩემი ესპრომტი იყო. ჩემ მიერ მორიგი ამბის მოყოლისას მეგობარმა შემომთავაზა, ეს საქმე შეცადა. ერთ-ერთი გაზეთში მიიყვანა და ასე გავეხვე წერას. მხატვრობა დღეს ჩემი ჰობიაა.

— თქვენი წარმომავლობის შესახებაც ვისაუბროთ. რაგონი მოხდენს იგნატოვები საქართველოში?

— მამაჩემის მამა, იური იგნატოვი, როგორც თვითონ ამბობდა, სამსახურიდან კავკასიაში გააანაილეს. კარგი შესახედაობის, არისტოკრატიული გარეგნობის მამაკაცი გახლდათ, რომელსაც საქართველოში ბებიამეძი, გვარად ჩიქოვანი, შეუყვარდა. ასე დარჩა აქ. მამაჩემი გვართან დაკავშირებით ყოველთვის ამბობდა, რომ რუსული გვართი და რუსი მამით აბსოლუტურად ქართველი მხატვარი იყო.

— თქვენს ოჯახს ქალიშვილის პარიონულ-გარეგნულ ჩამოყალიბებაში რა როლს თამაშობდა?

— მამას დიდი გავლენა ჰქონდა ჩემზე. ბოლო ათი წელი, რაც მამა აღარ არის, უფრო ვხვდები, თუ რა წვლილი შეიტანა ჩემს პიროვნულად ჩამოყალიბებაში. მას ძალიან ვგავარ გარეგნულად თუ ხასიათით.

ჩემს ვიზუალურ მხარეზე დედა უფრო ზრუნავდა, მამა კი სუბიექტურად ყოველთვის აღფრთოვანებული იყო ჩემით. ერთდღერთი შენიშვნა მახსოვს მამისგან, როცა სახლში ხალათით

მნახა და მითხრა, ასე არასოდეს მეველო. იმის მერე ჩვევად მაქვს, სახლშიც მოწესრიგებული ვიყო.

— დედათქვენს, ნინა ალექსი-მესხიშვილს, ერთ-ერთ ლამაზ ქალად იხსენებენ მისი თაობის წარმომადგენლები.

— დედა ქალაქში, თავის თაობაში მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული გარეგნობის ქალი იყო. დახვეწილი გემოვნება, თავისი სტილი ჰქონდა. ძალიან განებივრებული იყო იმით, რომ საფრანგეთში საკმაოდ შეძლებული ნათესავები ჰყავდა, რომლებიც მას ფაქტობრივად ყოველ თვეში პარიზიდან ამანათებს უგზავნიდნენ — სამოსს და პარფიუმერიას. ელენ რუბინშტეინი, მამინდელი კოსმეტიკის მაგნატი, მილიონერი, დედაჩემის ბიძის ცოლი გახლდათ. ის დედას ყველანაირ კოსმეტიკას უგზავნიდა დიდი ყუთებით. ძალიან კარგად მახსოვს, დედა ყველა ამხანაგს ურეკავდა

„ძალიან მოწესრიგებული ვაი და მოწესრიგებულად ჩაცმად მიყვარს. ასაკთან ერთად ყველაფერი ხორციელდება, მხოლოდ გახეივანობაზე ველახ ხახ დამოკიდებული“.

ამ ამანათების მიღების შემდეგ და ასაჩუქრებდა. შემდეგ რუბინშტეინთან კავშირი დაიკარგა, რადგან მისი მეუღლე გარდაიცვალა.

— დედა თქვენს გაყალიბებას გემოვნებას?

— ბევრი რჩევა მახსოვს მისგან. ჩვენ არამარტო დედაშვილური, მეგობრული ურთიერთობაც გვქონდა. სადმე თუ მივდიოდი, დედას აუცილებლად უნდა შეეხედა ჩემთვის და დეტალები შეეცნორებინა. სულ მეუბნებოდა, უნაკლო ადამიანს ვერ ნახავ, არსებობს ქალი, რომელმაც ზუსტად იცის, რა ნაკლი აქვს და როგორ დამალოს და პირიქით, იცის საკუთარი ღირსებების შესახებ და მისი წარმოდგენა შეუძლია. ახლა ჩემს შვილებს იმავეს ვასწავლი... მამა ონკოლოგიური დაავადებით გარდაიცვალა, დედა — ინსულტით. სამწუხაროდ, მათი ბოლო დღეები მძიმე იყო, ამიტომ სულ ვვდილობ, ის პერიოდი გავიხსენო, როცა ისინი ჯანმრთელები და ლამაზები იყვნენ.

— თქვენს ქალიშვილებს რა ურჩევთ ან რა შესწავლის აძლევთ გარეგნულ აერთან დაკავშირებით?

— ძალიან მოწესრიგებული ვარ და მოწესრიგებულად ჩაცმაც მიყვარს, ახალგაზრდა თაობა კი უფრო იოლად იცვლება. საერთოდ ასაკთან ერთად ყველაფერი რთულდება, მხოლოდ გარეგნობაზე ვეღარ ხარ დამოკიდებული. ჩემს შვილებს ყოველთვის ვუბნებ, მეტი დრო დაუთმონ ვიზუალს. არ მიყვარს ზედმეტად ჩამაჩული ჯინსი ან დაკუჭული მაისურა. ალბათ ჩემს ასაკში ისინიც მეტი ყურადღებას მიაქცევენ ამგვარ დეტალებს.

— ქრისტიან რაიდას იდეები განსაკუთრებულ ქაითნაურებს?

— ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამომართვათ და მისგან კომპლიმენტებს სმირად ვიღებ. ბევრი ქართული კაცისგან განსხვავებით, ძალიან მიწი-ყობს ხელს, რომ კარგად და ეფექტურად გამოვიყურებოდე. ამისთვის არაფერს იშურებს.

— თქვენს ბებუბები რაგონი უკვდიდეს თვას, რა განსხვავებით მათგან?

— მამინ სულ სხვა დრო და საშუალებები იყო. სახეს მჭადის ფეკელით იბანდნენ, თმას კი — სარეცხი საპნით და შემდეგ ძმარს ივლებდნენ. მამის მხრიდან ბებია ქართველი იყო, ხოლო დედის მხრიდან ბებია გვარად მაღიჩი გახლდათ — ქართული და სერბული სისხლის მქონე. მისი შედგენილი რაკიონით ვიზრდებოდი, ყოველდღე ვწვინი უნდა მიმელო და აუცილებლად საათობრივი რეჟიმით მეჭამა. არ მამლევედა საშუალებას, გვიან დამეძინა და გვიან ავმდგარიყავი. შუადღი-

სას კი აუცილებლად უნდა დამესვენა და თუ უარს ვუტყვოდი, მძასუზობდა, მამინ წამონქეი და ნიგნი წაიკითხო. ეს ჩვევები დღემდე გამომეცა. არასოდეს ვიძინებ გვიან და არც გვიან ვდგები.

არ მიყვარს ნამცხვრები და ტკბილეული. გენეტიკურადაც, გვარში სიმსუქნისკენ მიდრეკილი არავინ არის. მაინც ვცდილობ, საღამოს ნაკლებად კალორიული საკვები მივიღო. ზომიერად ვიკვებები.

— როცა ძიების, საკუთარი თავის შეცნობის ასაკი გქონდათ, ექსპერიმენტებს თუ ატარებდით გარეგნობაზე?

— ყველანაირი ექსპერიმენტი ჩავიტარე თმაზე მამინ, როცა თამამი ძიებების ასაკში ვიყავი. არ მიყვარს ვულგარულად ჩაცმა, თუმცა იყო დრო, როცა ძალიან მოკლე კაბებით დავდიოდი, მაგრამ ყველა ასაკს თავისი წესი აქვს.

— რა ფერებს ანიჭებთ უპირატესობას?

— ჩემს გარდერობში შავი დომინირებს. ისე კი, როგორც გასავერიც უნდა იყოს, ასაკის მატებასთან ერთად ნათელი ფერები მომინდა. ცოტა ხნის წინ ნიუთი პიჯაკი შევიძინე. ათი წლის წინ ფერადი ტანსაცმელი ფაქტობრივად არ მქონდა. მამაჩემი იცინოდა, ბავშვებს ექვს წლამდე მუქ-ლურჯ ფერებში აცემვთ და მერე — შავ ტონალობებში.

— რა არის თქვენი ქალური სისუსტე?

— აქსესუარები და, განსაკუთრებით, სამაჯური რები. ყველანაირი ფორმის და ზომის სამაჯური მაქვს.

— კანის მოვლა ქალისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. რაგონი უკლით მას?

— მყავს კოსმეტოლოგი, ვისთანაც სისტემატურად დავდივარ. პერიოდულად სახის მასაჟს და ნიღბებს ვიკეთებ. ვთვლი, რომ რადიკალური ზომების მიღებამდე, ანუ პლასტიკური ქირურგიის დანის ქვეშ დანოლამდე, ეფექტურია სისტემატური სიარული კოსმეტოლოგთან. მისი რჩევებით, გარუჯვის მერე სახის კანს ვიტენიან.

— პლასტიკური ოპერაციას გაკეთებზე ვიფიქრებთ?

— ერთხელ კურორიზით დამემართა: ერთ-ერთ ტელეარხზე პლასტიკურ ქირურგისთან დაკავშირებით გადაცემაში მიმინვიეს, როგორც ამ მეთოდის მოწინააღმდეგე, რადგან არასდროს

„ცოტა ხნის წინ ნიუთი პიჯაკი შევიძინე. ათი წლის წინ ფერადი ტანსაცმელი ფაქტობრივად არ მქონდა“.

არაფერი გამიკეთებია და იფიქრეს, რომ ქირურგების ოპონენტი ვწინებოდი. გადაცემის მსვლელობისას აღმოჩნდა, რომ სიამოვნებით გავიკეთებდი ბევრ ოპერაციას.

— თმას რაგონი უკლით?

— თმას კარგი საღებავით ვიღებ. თუ მისი დავარცხნა დანისე, მერე ამას ძალიან ეჩვევი. ახლა დავარცხნილი თმის გარეშე მოუწესრიგებელი მგონია თავი, ამიტომ ორ დღეში ერთხელ სილაამ-ზის სალონს ვაკითხავ და მყავს სტილისტი, რომელსაც სრულიად ვანდობ ჩემს თმაზე ზრუნვას. — დაბოლოს, ჩვენი ტრადიციული შეკონსეკთ დაკასრულეებ ინტერეუსს ვის ვაყურებთ სარკიდან?

— ბედნიერი ქალი, რომელსაც ჰყავს არაჩვეულებრივი ოჯახი, უამრავი მეგობარი და აქვს ინტერეუბი. ვხედავ, რომ სარკიდან 50 წელს მიღწეული ქალი მიყურებს, რომელიც არც სხვაზე უკეთ გამოიყურება და არც სხვაზე ნაკლებად. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ყველა ასაკს აქვს თავისი ხბული და ეს ნებისმერმა ქალმა უნდა იცოდეს.

✓ მანანა ხოჯია

ვის და რაბომ დაეკარგა ესპანეთში რუსუდან ბოლქვაძე

დასახობი რუსუდან ბოლქვაძე ალპინის-ტმა მამამ ბავშვობიდან მიაჩვია საქართველოს კუთხე-კუნჭულებში ხეტიალს და მშობლიური მთა-ბარი შეაყვარა. ზურგჩანთით მოგზაურობა სტუდენტობაშიც განაგრძო ალპინიადებზე და კარგების რომანტიკა დღეს ტკბილად ახსენდება. შემდეგ კი, როცა მსახიობი გახდა, „უცხოეთსაც“ გაუგო გემო, უამრავი ქვეყანა ნახა და გაიცნო თავის მამულებთან, მაგრამ, რაც მთავარია, ბევრგან დღემდე პატარა საქართველო.

ქალბატონო რუსუდან, რას ნიშნავს თქვენთვის მოგზაურობა?

— მოგზაურობა ძალიან მიყვარს. თვითმფრინავითა თუ სხვა ტრანსპორტით მგზავრობა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მოგზაურობა მაინცდამაინც უცხოეთში წასვლას არ ნიშნავს. ღვთის წყალობით, ისეთი ქვეყანა გვაქვს, მთელი მსოფლიო მოდის მის სანახავად. სამწუხაროდ, ჩვენ უფრო ნაკლებად ვიცით ჩვენი ქვეყანა, ვიდრე ტურისტმა. მე რომ მკითხოთ, ადამიანმა მოგზაურობა თავისი სამშობლოთი უნდა დაინწყოს. ადამიანმა ჯერ თავისი უნდა გააცნობიეროს, შეიყვაროს, იცოდეს და მერე ნახოს სხვა ქვეყანა, მით უმეტეს, როცა სილამაზით, კულტურით, ისტორიით ასეთი მდიდარი ქვეყანა გვაქვს. სხვას რომ ნახულობ, ეს ყველაფერი უფრო ფასეული ხდება.

საქართველო მთლიანად მოკლილია გაქვს?

— ხევსურეთი, ხევი, თუშეთი, რაჭა, სვანეთი... ყველა კუთხე მოკლილი მაქვს. მამჩემი მთამსვლელი იყო, ხეტიალი უყვარდა და ბავშვობაში ხშირად დაგვატარებდა. სტუდენტობის პერიოდში კი ალპინიადები ეწყობოდა და მთაში ზურგჩანთებითა და კარგებით ხშირად დავდიოდით. შეიძლება მწვერვალები არ დამიპყრია, მაგრამ ჩემი ქვეყანა ვნახე. როცა ჩვენ ვმოგზაურობდით, სასტუმროებში ისეთივე პირობები იყო, როგორც კარავში. კარავი რაღაც თვალსაზრისით უკეთესიც გახლდათ, სუფთა ჰაერს მაინც ვსუნთქავდით.

მერე კი, საბედნიეროდ, მოხდა ისე, რომ ჩვენი თეატრი, მისი გენიალური სპექტაკლების წყალობით, ბევრჯერ იყო საგასტროლო მოგზაურობაში.

რადის დასწყო თუმანიშვილის თეატრმა მოგზაურობა?

— რასაც საზღვარგარეთ სიარული ჰქვია, 1987 წელს დავიწყეთ, მანამდე კი მაშინდელი საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქი გვქონდა მოკლილი — მოსკოვი, ლენინგრადი, ასევე ბალტიისპირეთის ქალაქები, ბაქო, ერევანი... შემდეგ იყო შოტლანდია, ინგლისი, ესპანეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები... ეს ისეთი მრავალფეროვნებაა, ვერც ერთს გამოვიყოფ.

სხვადასხვა ქვეყანაში მამულებელიც სხვადასხვაანარი იქნებოდა გემოვნებით, ტემპერამენტით.

— მამულებელი თავის ქვეყანას ძალიან ჰგავს. სადესტივალო მამულებელი ცოტა ჭრულია, რადგან სხვადასხვა ეროვნების ხალხი შეიძლება იყოს დარბაზში, მაგრამ ძირითადი მამულებელი მაინც ადგილობრივი მკვიდრია, რომლისგანაც კარგად იგებ იმ ქვეყნის სულს, ტემპერამენტს, ხალხის ცხოვრებას. 2

საათის განმავლობაში დახურულ სივრცეში იმ ერის პატარა ფრაგმენტია მოქცეული. მათი რეაქციები, მხურვალეობა, აპლოდისმენტები ყველაფერზე მეტყველებს.

ყველაზე დიდი აპლოდისმენტები ხად მიიღეთ?

— ყველაზე თავშეკავებული მამულებლისგან მქუხარე ტაში უფრო მეტს ნიშნავს. ლათინურ ამერიკაში ერთობ ემოციური მამულებელი დაგვხვდა, საოცრება ხდებოდა, ეს ჩვენთვის განსაკუთრებული დღე იყო. თუმანიშვილის ერთ-ერთი შედეგია, „დონ ჟუანი“ გვქონდა ნაღებული. გზაში დეკორაცია დაიკარგა, სპექტაკლს ვერ ჩამოუშნო და წარმოდგენის შეცვლა მოგვიხდა. ამ გასტროლზე ბატონი მიშა არ გვახლდა, ჯგუფის ხელმძღვანელი ნუგზარ ბაგრატიონი იყო. მან გა-

„გასტროლი ჩვენ სამმა გადავიჩინეთ. მახსოვს, მაშინ ძალიან ვინჯიყიყე. დასამშვიდებლად აუზზე გავდი, ნიხიცილობისგან მზეზე დამეძინა და საშინლად დავინვი“.

დაწყვიტა, სახელდახელო წარმოდგენა გაგვემართა და მე, თაზო თოლორაიას და ნინო ბურდულს ქართული სიმღერით, ცეკვით და სპექტაკლის ნაცვლად 20 წუთიანი ვოდველი „ბნელ ოთახში“ გვეთამაშა. ესპანურად ფრა-



დარბაზში რეაქცია არავის აქვს, მერე კი მქუხარე ტაშით გაჯილდოებენ. სამხრეთის ქვეყნებში ემოციური მამულებელია და შუა სპექტაკლის დროს იცინიან კიდეც, მსახიობებთან კონტაქტშიც შემოდიან და ტაშსაც ხმაურიანად უკრავენ. როცა გასტროლის დროს ქვეყნის გასაცნობად ნაკლები დრო გვაქვს, მამულებლის საშუალებით მაინც ვეცნობით.

ქალაქი, რომელიც გულში სამუდამოდ ჩაგრჩათ, რომელია?

— თავისებურად ყველა ქალაქი ძალიან ლამაზი და საინტერესოა, ედინბურგზე კი შეყვარებული ვარ, ჩემთვის ზღაპრული ქალაქია ვინჩრო, დაგრეხილი ქუჩებით.

საზღვარგარეთ მუშაურობის სიარული გიყვარს?

— რა თქმა უნდა. ვაშინგტონში, საფრანგეთში, ესპანეთში ან კიდეც სხვაგან როგორ შეიძლება მუშაურობაში არ შევიდო?! საყოველთაოდ ცნობილი მუშაურობები და შთაბეჭდილებები ერთია და პატარა-პატარა მუშაურობები კიდეც სხვაა. გლაზგოს უნივერსიტეტს ძალიან კარგი საგამოფენო დარბაზები აქვს, სადაც ბევრი იმპრესიონისტის ტილოა დაცული. სალვადორ დალის არაჩვეულებრივი „ქრისტეს ჯვარცმაც“ იქ ინახება, ზედხედიდან რომ აქვს დახატული. დერეფნის ბოლოში ეკიდა და სრული შეგრძნება მქონდა, ერთ ნაბიჯსაც თუ გადავდგამდი, შეიძლებოდა ჩავვარდნილიყავი.

საფრანგეთში რატი დაგამასსოვრათ თაკა?

— ლუვრზე რომ აღარაფერი გითხრათ, ლევილი ქართული ემიგრანტებთან დაუვიწყარი საღამო გავატარეთ, გულისამაჩუყებელი შეხვედრა იყო. ასევე დაუვიწყარი იყო ვიქტორ ხომბრიკთან და მის დიდ ოჯახთან დამეგობრება.

ქართველი ემიგრანტები კიდეც ხად შეგხვდნენ?

— არგენტინაში ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, აკაკი პაპავას ქალიშვილების, ტურფა და მზია პაპავების ოჯახის წევრებს, ან გარდაცვლილ ლეო და



თურქეთში თეატრის დასთან ერთად

ზები ვისწავლეთ და რუსული რომანის ნაცვლად ესპანურად „ბესამე მუჩო“ ვიმღერე, რაზეც მამულებელმა ძალიან იხალისა. ეს ჩემთვის განსაკუთრებული დღე იყო, რადგან, ფაქტობრივად, გასტროლი ჩვენ სამმა გადავიჩინეთ. მახსოვს, მაშინ ძალიან ვინერვიულე, დასამშვიდებლად აუზზე გავდი, ნერვიულობისგან მზეზე დამეძინა და საშინლად დავივიცა.

ლიტვაში, ვილინუსში საოცარი მამულებელი დაგვხვდა, ტაქტიანი და თავშეკავებული. ჩრდილოეთის ხალხს სხვა ტემპერამენტი აქვს, წარმოდგენის დროს ცდილობენ, ხმაური არ გამოიწვიონ. სპექტაკლის განმავლობაში

საშა ჭეიშვილებს შევხვდით. მათ ოჯახში ქეთევან დედოფლის ხელით ნაქარგი ინახებოდა, რომელიც შემდგომში რეზო თაბუკაშვილს საქართველოში გამოატანეს.

ყველგან, სადაც ჩავედით, ჩვენი პატარა საქართველო დაგვხვდა. ვაშინგტონში მცხოვრებ ბატონ პეტრე ხვედელიძესთან შეხვედრაც დაუვიწყარი იყო. ეს ადამიანი ისტორიული პიროვნებაა — „ამერიკის ხმის“ პირველი წამყვანი, რომელიც ქართულად გადმოსცემდა. მასთან მეგობრობას დღემდე ვაგრძელებ და ამით ბედნიერი ვარ.

— დიდ მანქანასთან, მისეულ თუმანიშვილთან ერთად მოგზაურობა როგორ გახსენდება?

— თუმანიშვილი ჩვენთან ერთად იშვიათად დადიოდა, თვითმფრინავის ეშინოდა. მასთან ერთად მოგზაურობა საინტერესო და სახალისო იყო. ფრენისას რომ არ ენერვიულა, ცოტა კონიაკს დალევადა, გამხიარულდებოდა და სრულიად სხვანაირი ხდებოდა.

„თუმანიშვილი ჩვენთან ერთად იშვიათად დადიოდა, თვითმფრინავის ეშინოდა. ფრენისას ხომ ახ ენერვიულა, ცოტა კონიაკს დალევადა, გამხიარულდებოდა და სხვანაირი ხდებოდა. ასეთი თუმანიშვილი ჩვენ იშვიათად გვინახავს.“

ბოდა და სრულიად სხვანაირი ხდებოდა. ასეთი თუმანიშვილი ჩვენ იშვიათად გვინახავს. არ გვტუქსავდა, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა, საგასტროლო მოგზაურობის დროს ფორმა შეგვენარჩუნებინა და საზღვარგარეთაც რეპუტიციებს გავცვლიათ.

ერთხელ პარიზში სპექტაკლამდე საკმარისი სარეპუტიციო დრო არ მოგვცეს. როგორც მას სჩვეოდა, ისეთ რეპუტიციას ვერ ასწრებდა, ამიტომ შეგვეკრიბა და გველაპარაკა. მიუხედავად სპექტაკლი მოგვიყვია, რა იყო მთავარი და იქ რისთვის ვიყავით ჩასული. ამაზე ისე ლაპარაკობდა, რამდენიმე წუთი გაოგნებულები ვიყავით. საუბარი რომ დაასრულა, ხმას ვერ ვიკრებდით, როგორც მოგვადრებულები, ისე ავდექით და სცენაზე გავედით. მის დარიგებას ლამის ტაში დავეკარი, ეს მონო სპექტაკლი უფრო იყო. იცით, რას ჰგავდა? მხედართმთავარი ან მიფე ომის წინ ჯარს რომ დალოცავს.

მოსკოვში იყო ცნობილი რეჟისორი ანატოლ ეფროსი, თუმანიშვილის მეგობარი და რუსული თეატრის ერთ-ერთი სერიოზული ფიგურა. მისი გარდაცვალების წლისთავისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მისი კოლეგები, რეჟისორები ჩადიოდნენ და მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ თითო სპექტაკლს თამაშობდნენ. ჩვენც ბატონ მიშასთან ერთად ჩავედით, „ჩვენი პატარა ქალაქი“ ვითამაშეთ, სადაც მესამე მოქმედება სასაფლაოზე, იმქვეყნად ხდება. ბატონ მიშას რიტუალები უყვარდა, რიტუალების კაცი იყო. სპექტაკლის ბოლოს თეატრის სახელით ზურა ყიფშიძეს სიტყვა უნდა ეთქვა, ერთგვარი შესანდობარი. სპექტაკლმა მაყურებელზე ძალიან იმოქმედა. სანთლების ფონზე საგალობლები შევასრულეთ და მასსოვს, დარბაზი აბსოლუტურად გაოგნებული, გაშეშებული იყო. იმდენად დიდი იყო შთაბეჭდილება, რომ ტა-



ანაკრას აკომპოტში

ში ვერავინ დაუკრა და ჩვენ არ ვიცოდით, სცენიდან როგორ უნდა გაგსულიყავით. აქაც ბატონი მიშას ჯადოსნურმა ხელმა იმუშავა. ის კულისებში იდგა და ეტყობა, იქიდან რაღაც მუხტი გამოგვიგზავნა, რომელიც ყველამ ერთდროულად დავიჭირეთ. როგორც მოჯადოებულები, ყველა ერთად, უჩუმრად მოვტრიალდით და სცენიდან გავედით. მაყურებელი კი გაშეშებული დიდხანს იდგა, ისე გავიდნენ, ტაში არც არავის დაუკრავს, სკამის დაკეცვის ხმაც არ გავიგონია.

როცა რაღაცას ვარგავ, მერე კიდევ უფრო აფასებ. თუმანიშვილი დიდი ხელოვანი იყო და უზარმაზარი ბედნიერებაა, როდესაც ცხოვრებაში თუნდაც ერთი ეპიზოდი გაქვს, როცა ასეთ ადამიანს ეხები.

— მარტო გასტროლებით შექმნილად თქვენს საზღვარგარეთული მოგზაურობა თუ ტურისტულადაც წახულხართ სადმე?

— მეგობრებთან ერთად ბევრ ქვეყანაში ვარ წამყოფი ტურისტად. სადაც ჩავდივარ, პირველ რიგში, ქუჩაში უნდა გავიდე.

— კარგი ორიენტაციის უნარი გაქვთ?

— მარტო როცა დავდივარ — კი, მაგრამ თუ ვინმესთან ერთად ვარ, მოვდუნდები და მას მივმდებარებ. ჯგუფში ერთი ხდება სოლმე აქტიური და ყველა მას მიჰყვება. დავკარგულვარ კიდევ. მასსოვს, ერთხელ შეგნებულად დავიკარგე. ძალიან მიყვარს, რომ დაიკარგები და მერე დაბოდილობ. ესპანეთში გრანადასთან ძველი სასახლეა, რომელსაც ალაამბრა ჰქვია. უზარმაზარი ტერიტორიაა. ავდექი და დავიკარგე. მაშინ პროტესტი მქონდა — გასტროლზე ყოველთვის ვილაც „ამხანაგი“ გვახლდა უშიშროებიდან, რომელიც სულ დაგვდექდა, რომ არ „დავკარგულიყავით“. ჩემი დაკარგვით ვის რას დავუშავებდი, მაგრამ პროტესტი ამით გამოვხატე. ამ დროს ძალიანაც რომ მდომებოდა, მაინც ვერ დავიკარგებოდი, უშიშროების სამსახური გვიცავდა. 2 საათი კი ვიბოდილა.

უცხო ქალაქში რუკის თანხლებით ყოველთვის მარტო დავდივარ. მასსოვს, ერთხელ ედინბურგში გია აბესალაშვილმა მითხრა, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე წავიდეთ, ვიცი, რომელი ავტობუსიც მიდისო. წავედით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ავტობუსმა სულ სხვა მხარეს წავგიყვანა... იქ კი მართლა დავიკარგეთ. ედინბურგის თემქაზე აღმოვჩნდით, სასაფლაოები იყო. მივიხედ-მოვიხედეთ, მივხვდით, რომ ზღვა არსად იყო და არ მოგვეწონა. უკან დასაბრუნებელ გზას ძლივს მივაკვივით.

— ქალებს მადანაგებოდა სიარული ძალიან გვიყვარს, საზღვარგარეთ სო — მით უმეტეს თქვენც აცლით შიპინგისთვის?

— ჩვენს ქვეყანაში უკვე ყველაფერია და საზღვარგარეთ აღარავინ გავკვირვებს. ადრე კი ყველაფერი გვიკვირდა, არც ფული

გვექონდა იმდენი, რომ საყიდლებზე გვევლო, ამიტომ უფრო სუვენირებს ვყიდულობდით. იმ პერიოდში, როცა ჩვენ გასტროლებზე დავდიოდით, მოგზაურობა ადვილი არ იყო, ამიტომ იქიდან ყოველთვის განსაკუთრებული რამ ჩამოგვექონდა. ერთხელ ფული არ მქონდა, ავდექი, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ნიჟარები მოვაგროვე და წამოვიღე. ასეთ უცნაურ ნიჟარებს შავი ზღვაზე ვერ ნახავთ. მერე ჩემმა მეგობარმა დახვრიტა და ამ ნიჟარების განულამაზესი ყველსაბამი გაიკეთა.

1985 წელს ესპანეთში ვიყავით. კოქტეილის სანრუში ჩხირები, ისეთი, თავი რომ ელუნება, მაშინ პირველად ვნახე და საჩუქრად ჩამოვიტანე.

— კაცა, ფოტოგრაფიით ხართ გატაცებული, ალბათ საზღვარგარეთაც ბევრ სურათს იღებთ.

— ფოტოები მოგზაურობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. შეუძლებელია, ყველაფერი დაიმახსოვრო, ფოტო კი ამის საშუალებას გაძლევს. ქუჩების, სახლებისა და პეიზაჟების გადაღება ძალიან მიყვარს, მაგრამ კადრში მე რომ ვწანავარ, ეგ უკვე დიდად არ მხიბლავს. ერთხელ ტოლედოში ავტობუსით ხიდაზე გადავიდიოდით. საპირისპირო მიმართულებით მოტოციკლით ბიჭი მოდიოდა, წამებში უნდა ჩამეჩხაკუნებინა, რომ კადრში სიმეტრია დამეცვა. მოვასწარი. არ ვიცი, ასე უცებ როგორ ამოვიღე ფოტოაპარატი და როგორ გადავიღე.

თუმთში პატარა ვირუკელაც მყავს გადაღებული. მაშინ ციფრული აპარატები არ არსებობდა, ფირზე ერთი კადრილა მქონდა დარჩენილი. სახლებში ვიწრო გასასვლელი იყო. ჩაუფსაფრდი ვირუკელას, გამობაკუნდა და კარგი კადრიც დავიჭირე, ვედლებს შორის ცალი ფეხი და ყურები ჰქონდა შემოყოფილი.

— უცხო ქვეყნებში კულინარული აღმოჩენები არ გაგაყვებოდა?

— ნებისმიერი ქვეყნის სამზარეულოს იოლად ვეგაფები, ოღონდ, თევზის გარდა, ზღვის

„ერთხელ ფული ახ მქონდა, ავდექი, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ნიჟარები მოვაგროვე და წამოვიღე. ასეთ უცნაურ ნიჟარებს შავი ზღვაზე ვერ ნახავთ.“

პროდუქტები არ მიყვარს. ვაშინგტონში მეგობრები გავიჩინე და მათ მზღვარების პატარა ქალაქ ანაპოლისში წამიყვანეს. განსაკუთრებულად მომზადებული კიბორჩხალები ვჭამებთ.

ჩინური სამზარეულო ძალიან მაინტერესებდა. ჩინეთში არ ვყოფილვარ, მაგრამ მადრიდში ჩავედით თუ არა, ჩინურ რესტორანს ვესტუმრეთ, გველის წვნიანის დაგემოვნება გვინდოდა. მენუზე ესპანურსა და ჩინურ ენაზე იყო, ამიტომ მიმტანა აუხსენიათ, რა გვიწოდოდა. როგორც ჩანს, ვერ გავაგებინეთ, სულ სხვა რაღაც მოგვიტანა, მაგრამ არც ის იყო ცუდი.

— ამ წაფხულს აპირებთ სადმე გაგზავრობას?

— მთა ძალიან მიყვარს. დიდი ხანია, იქ არ დამისვენია და ვგრძნობ, რომ უკვე რაღაც მკვლია. მთაში ყველაზე კარგად ვისვენებ. ახლა ჯანი აღარ მომდგამს, რომ ზურგჩანთა ვათრიო, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი მთა უკვე კარგად მომწყო. ძალიან მიყვარს ბუნებაში დაგდება.

✓ სოფიო ბოჭორიძე

კაპრი – კურორტი ანტიკური ხანიდან

მწვანეში ჩაფლული კლდოვანი კუნძული კაპრი იტალიას ეკუთვნის და ტირენიის ზღვაში, ნაპოლის ყურეში მდებარეობს. კუნძული ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში წარმოადგენდა კურორტს. სწორედ აქ ისვენებდნენ რომის იმპერატორები და იმ პერიოდიდან უამრავი არქეოლოგიური ძეგლია შემორჩენილი. კაპრიზე მდებარეობს ორი ქალაქი — კაპრი და ანაკაპრი. მალაზები, ბარები, რესტორნები და გასართობი ცენტრები სწორედ კაპრიშია განთავსებული, ხოლო ანაკაპრი უფრო მშვიდი დასვენების მოყვარულებს იზიდავს.

კაპრის პირველ მცხოვრებლებს ბერძენი კოლონიზატორები წარმოადგენდნენ და სახელწოდებაც სწორედ ბერძნულიდან მოდის — კაპროს გარეულ ტახს ნიმნავს.

ელიმატი

კუნძულზე ზღვის კლიმატი ვრცელდება. კაპრიზე ცხელი ზაფხული და გრილი ზამთარი იცის. მაისიდან მოყოლებული საკმაოდ ცხელია. კარგ პერიოდად მაისი და ივნისი ითვლება, ხავერდოვან სეზონად კი — სექტემბერი და ოქტომბერი. არნახული სიცხეები ივლისში იწყება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება. ტემპერატურა ხანდახან 45 გრადუსსაც აღემატება.

დეკემბერი საკმაოდ თბილია, ხოლო ზამთრის დანარჩენ თვეებში ტემპერატურა 5 გრადუსზე დაბლა თითქმის არასოდეს ჩამოდის. წვიმები პერიოდულად მთელი წლის განმავლობაში მოდის, თოვლი კი იშვიათობაა.

ენა

უძველესი დროიდან მოყოლებული, იტალიური ოფიციალური ენაა. საერთაშორისო ენის შემდეგ ყველაზე პოპულარული გერმანული და ფრანგულია.

უელი


2002 წლიდან ევრო იტალიის ოფიციალური ვალუტაა. მანამდე მიმოქცევაში იტალიური ლირა იყო. დოლარს ან სხვა ფულს, როგორც წესი, ბანკებში ბევრად უფრო მაღალი კურსით გადაგისურდავენ, ვიდრე ქუჩაში.

ბანკომატები ყველა კუთხეშია და პრობლემა ნამდვილად არ შეგექმნებათ. საკრედიტო ბარათების გამოყენებასაც ყველგან შეძლებთ.

გადაადგილება

კაპრიზე მოსახვედრად უნდა ჩახვიდეთ ნაპოლიში, საიდანაც დღის განმავლობაში რეგულარულად მოძრაობენ ბორნები და მოტორიანი ნაუბი. აქ ორი მნიშვნელოვანი ნავსადგური მდებარეობს — მარინა-პიკოლა და მარინა-გრანდე, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში ემსახურება მგზავრებს. ნაპოლიდან კაპრიზე ბორნით მგზავრობა 16 ევრო დაგიჯდებათ და დანიშნულების ადგილზე ზუსტად 40 წუთში ჩახვალთ.

თითქმის მთელი კუნძულის შემოკლას ფეხითაც შეძლებთ. ტურისტებში ძალი-



კაპრი



ან პოპულარულია საბაგირო. იქ ავტობუსიც ფუქციონირებს, ერთჯერადი მგზავრობის ღირებულება კი 1,6 ევროა. მანქანისა და ველოსიპედების დასაქირავებლად განკუთვნილი სააგენტოები ყოველ ნაბიჯზეა, მაგრამ მანქანის დაქირავებას ჯობია, ტაქსი დაიქირაოთ, რადგან მიუვალ ადგილებს ადგილობრივი მძღოლები გაცილებით კარგად იცნობენ. ტაქსი მთელი დღის განმავლობაში 40-50 ევროდ მოგემსახურებათ.

სამზახელო

იტალიელებისათვის ეროვნული სამზარეულო ხელოვნების ნიმუშია. ღვინო და ყველი იტალიური სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია. ისინი მართლაც რომ გემრიელ და განსხვავებულ კერძებს ამზადებენ. პირველ რიგში, გირჩევთ, პიცერიას ესტუმროთ და ნამდვილი იტალიური პიცა გასინჯოთ. რისოტო, არანჩინი, პოლენტა და სხვა საფირმო კერძები დაუვიწყარ გემოს დაგიტოვებთ.

ტრადიციული კერძებიდან აღსანიშნავია სპაგეტი ალა კარბონარა, რომელიც კვერცხითა და ყველით მზადდება. როგორც ამბობენ, ძალიან ბევრი გურმანი კაპრის კალცონეს (დატენილი პიცის) დასაგემოვნებლად სტუმრობს. ეს გახლავთ ხაჭაპურის მსგავსი, პიცის ცომითა და მოცარელას ყველით დამზადებული საჭმელი. ყველის ნაცვლად შეიძლება იყოს სორცი ან ბოსტნეული.

იტალიური ღვინო მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში კარგად ნაცნობია. იტალიელები ყველა კერძთან შესაფერის ღვინოს მიირთმევენ. ამ მხრივ „დელაპასა“ შეუდარებელია, რადგან ის ნებისმიერ საჭმელს უხდება. კუნძულის სანაპიროზე ლუდის ბარებიც მრავლადაა, მაგრამ, ღვინოსთან შედარებით, იტალიურ ლუდს ნაკლები მომხმარებელი ჰყავს.

ადგილობრივები 100-მდე სახეობის ყავას შემოგთავაზებენ, პირველ რიგში კი, ნორმალეს ან ესპრესოს მოგართმევენ, რადგან თვლიან, რომ ისინი ამ ორს ყველასაგან

განსხვავებულად და გემრიელად ამზადებენ.

ლიხსმესანიშნაობები

ტურისტების სიმრავლით კაპრი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია მსოფლიოში. იქიდან გამომდინარე, რომ კუნძული კლდოვანია, პლაჟები ძირითადად კენჭოვან-ქვიანი პლატფორმებია.

მარინა პიკოლა ყურეში ყველაზე კეთილმოწყობილი პლაჟებია, ხოლო ბანი ტიბერიოს პლაჟები ბავშვებისთვისაა იდეალური, რადგან ზღვა ნელ-ნელა ღრმავდება. ლა ფონტელინა კლდოვანი სანაპიროა, რომელიც ძალიან პოპულარულია, იქ მდებარე რესტორნის წყალობით.

კუნძულზე ყოფნისას აუცილებლად უნდა მოინახულოთ ზღვის სანაპიროზე მდებარე ულამაზესი ლურჯი გამოქვაბული, რომელიც კაპრის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს. ეს სახელი წყლის ფერის გამო ეწოდა. გამოქვაბულში სინათლე მხოლოდ რამდენიმე ხვეულიდან შედის. იქ შესვლა მხოლოდ ნაგებობათა შესაძლებელია.

ქალაქი მუდმივად ზეთისხილისა და ლიმონის სურნელითაა გაჟღერებული. ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია იმპერატორ ტიბერიუსის ვილა თავისი ბალებითა და უძველესი ნანგრევებით, აგრეთვე მთა სოლარო.

კაპრიში ცხოვრება ლამით იწყება — ლამპიონები ყოველთვის ჩართულია, ქუჩები სავსეა, ბარებსა და რესტორნებში წვეულებები იმართება.



ლურჯი გამოქვაბული

უსაფიქრობის ნესები

კაპრიზე ფეხით სიარული, განსაკუთრებით კი ლამის საათებში, მცირე რისკთანაა დაკავშირებული. საშიშროებას მხოლოდ ჯიბის ქურდები წარმოადგენენ. გირჩევთ, ნივთის შექმნისას გამოიყენოთ ფასზე წინასწარ შეუთანხმდეთ.

კაპრის მცხოვრებლები, როგორც ცემ-მარტი სამხრეთელები, ქართველებს მსგავსად თბილი და ემოციური ხალხია. თუ ზრდილობიანი და კეთილი იქნებით, კუნძულზე პრობლემებიარ შეგექმნებათ.

უბის ნიგნაი

ქვეყანა — იტალია;
 კუნძული — კაპრი;
 ფართობი — 10,4 კვ.კმ;
 მოსახლეობა — 12.200;
 ენა — იტალიური;
 ფული — ევრო.

✓ მოამზადე თათია ბოჭორიძემ

რა ხდება იქ, სადაც სხოველებს ნაგებობთ კლავნი

„ძალს თუ ახვენებთ, რომ მასზე ზრუნავთ, თქვენ მიმართ სიბოხს გამოხატავს“

ტამდენიმე ხნის წინ თბილისის ცენტრში, მუშტიადის ბაღთან, მოქალაქეებმა ხის კენწეროზე, წვრილ ტოტებში გახლართული კატა შეამჩნიეს. ცხოველი ქვემოთ ვერ ჩამოდიოდა. ერთ-ერთმა მოქალაქემ თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციის მართვის სააგენტოს მიმართა. მასველთა ბრიგადამ კატა გადაარჩინა. ეს ერთ-ერთი შემთხვევაა მრავალთაგან, როცა ცხოველებს მასველები დაღუპვისგან იხსნიან და ზოგჯერ საკუთარ სიცოცხლესაც კი უქმნიან საფრთხეს. გადარჩენილი ცხოველები მათ სპეციალურ თავშესაფარში მიჰყავთ.



■ ვეტერინარი დამო მთარაშვილი და ნორა მარაძე

რამდენიმე წლის წინ ორხევის ტერიტორიაზე არსებობდა ორგანიზაცია, რომელიც მანანალა ძაღლებს სადისტური მეთოდებით იჭრდა და ხოცავდა. ეს სასტიკი მიდგომა შეიცვალა და ახლა სწორედ იმ ადგილზე არსებობს ზემოაღნიშნული სამსახური, რომელიც უპატრონო ცხოველებს ჰუმანურად ექცევა, სპეციალურ თავშესაფარში მათთვის გამოყოფილი მანქანებით გადაჰყავს, უკეთებს გამოკვლევებს და სტერილიზაციას. ცხოველებთან 24 საათის განმავლობაში ვეტქიმი, კინოლოგი და მომვლელი მუშაობენ. თავშესაფარში ლაბორატორია და საოპერაციო ოთახიც ფუნქციონირებს, თანამშრომელთა მუშაობას კი სათვალთვალ კამერები აკონტროლებს.

ამ სამსახურს თბილისის მერიის საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს შინაური და გარეული ცხოველების კონტროლირებისა და რეგულირების განყოფილება ეწოდება. მისი უფროსი, **თემურ ფხალაძის** მონაყოლით მიხვდებით, რომ მიუსაფარ ცხოველებსაც, ისე როგორც ყველა სულდგმულს ამქვეყნაზე, თავისი ცხოვრება და, წარმოიადგინეთ, საინტერესო თავგადასავალი აქვს. მათ ისტორიებს „სარკეში“ გავცნობით.

— **ბატონო თემურ, როდის დაარსდა ცხოველთა თავშესაფარი და რამდენ ადგილზე გათვლილი?**

— ეს თავშესაფარი წინა წელს აშენდა და 250 ადგილზეა გათვლილი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მეტიც დაეძგება. 50-მდე ვოლიერია. სანამ ცხოველების კონტროლისა და რეგულირების საკითხი მერიას გადაეცემოდა, ეს დაწესებულება შპს იყო, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ცხოველებს სადისტური მეთოდებით, მათებით იჭრდა და მერე მათ ხოცავდა. საზოგადოებას ამ დაწესებულების მიმართ ცუდი განწყობა ჰქონდა. საკმაოდ ბევრი შრომა დაგვჭირდა, რომ ხალხისთვის ჩვენი კეთილგანწყობილება დაგვემტკიცებინა.

— **ახლა როგორ იჭერთ ცხოველებს?**

— ბადით ან ხაფანგი-გალიებით უვნებლად ვიჭერთ. აგრესიული ან მშიშარა ძაღლებისთვის შპრიცსასროლი თოფები გვაქვს, რომელთა საშუალებითაც ძაღლს დროებით ვაბრუებთ და აქ მოგვყავს.

— **როგორ ხვდებით ძაღლებს თავშესაფარში, მათ მიუღია ქალაქში ექვით და პოულობთ?**

— გამოძახების შემთხვევაში მივდივართ და ჩვენს საქმეს ვაკეთებთ. ჩვენი დახმარება ძირითადად მამინ სჭირდებათ, როცა ძაღლმა ადამიანი დაკბინა ან როცა ცხოველი

ავადა. ძაღლი შეიძლება არც არავის ეჩხოდეს, მაგრამ არსებობენ ადამიანები, ვისაც სადარბაზოდან გამოსვლის ეშინიათ, თუ ეზოში ძაღლები არიან. ქუჩის ძაღლებს სტერილიზაცია-კასტრაციას ვუკეთებთ, რომ ალარ გამრავლდნენ, ვაქცინაციასაც ვუტარებთ და ადგილზე ვაბრუნებთ.

— **ცხოველებისთვის კიდევ რა ხსნის დახმარების გაწევა გოჭვით?**

— ეს თავშესაფარი მხოლოდ იმისთვის არ არის, რომ ძაღლი დავიჭიროთ და მოვიყვანოთ, გამოძახებები სამაშველო ოპერაციებზეც ხდება. თუ ძაღლს შველა სჭირდება, დაუყოვნებლივ მივდივართ და ვეხმარებით.

— **კონკრეტულად რა ხსნის დახმარებები აღმოცენისათ?**

— რამდენიმე შემთხვევა გვქონდა, როცა ძაღლი ჭაში ჩავარდა და ამოვიყვანეთ. რამდენიმე კვირის წინ „ფისბუქზე“ დაიდო

„ბელი 2 თვის იქნებოდა, სანოვხაითი ვაქმევეით. თამამ-თამამში დამკბინა კიდევ. ბოლოს გამოჩნდა ადამიანი, ხომელმაც დათვი მონასტეხში წაიყვანა“.

ინფორმაცია, რომ ზემო ფონიჭალაში შეამჩნიეს ლეკვი, რომელსაც მანქანამ დაარტყა და ორი დღე წვიმაში გაუჩმრევლად იწვა. ლამის საათები იყო, როცა სამაშველო მანქანას პირადად გავეყვი და ლეკვი აქ მოვიყვანეთ. თავშესაფარში ლაბორატორიულ გამოკვლევებსაც ვაკეთებთ და ოპერაციებსაც, მაგრამ, სამწუხაროდ, რენტგენის აპარატი არ გვაქვს. ლეკვი მეორე დღესვე რენტგენზე წავიყვანეთ და აღმოჩნდა, რომ მენჯის ძვალი ჰქონდა ამოვარდნილი. მისი სიცოცხლე კითხვის იმნიშის ქვეშ იდგა, მაგრამ კინოლოგებმა და ვეტქიმებმა იზრუნეს, რომ კარგად გამხდარიყო. მასაუბიც კი გავუკეთეთ. საბედნიეროდ, ოპერაცია აღარ დასჭირდა. ისე ვუშეშეშეშეშე, ძვლები თავისით შეუხორცდა და ძაღლი გამოჯანმრთელდა, ჭამა და სიარულიც დაიწყო და უკვე თამაშის ხასიათზეც არის. კარგი იქნება, თუ მას პატრონი გამოუჩნდება.

— **ყველაზე მძიმე შემთხვევა რა იყო თქვენს პრაქტიკაში?**

— მოქალაქემ დარეკა, ძაღლი ხევში ჩამივარდა და ვერ ამოწყავსო. საჩხუბრად ჩასულა, სხვა ძაღლებს დაუგლეჯიათ და

საწყალი ვეღარ ამოდიოდა. დამჭერი ბრიგადა გამოძახების ადგილზე გავიდა და ხევში ჩასვლა თოვებით მოუწიათ. ძაღლი იშხელა და ისეთი სიმძიმის იყო, მისი ცალი ხელით დაჭერა შეუძლებელი აღმოჩნდა, მასველს ორივე ხელით ეჭირა. ვერ ახერხებდა, რომ კლდისთვის ცალი ხელი მიეყრდნო, არც ძაღლს უშვებდა ხელს. დიდი წვალების შემდეგ ორივე ამოათრია. მასველს სახის ცალი მხარესულ გადაყვლეფილი და დასისხლიანებული ჰქონდა. ის ძაღლი ჩვენს სამოვიყვანეთ, პირველადი დახმარება აღმოუჩინეთ და პატრონს დაუბრუნეთ.

— **ძაღლები უბრალოდ სამკურნალოდ მოჰყავთ თავშესაფარში?**

— რა თქმა უნდა. როცა პატრონს საშუალება არ აქვს, ძაღლი მოგვყავს და მკურნალობის კურსს ვუტარებთ. ყოფილა შემთხვევა, როცა ლეკვობაში ყელზე თოკი ჰქონდა გაკეთებული და რომ წამოიზარდა, ზედ შეეხორცა. ასეთი ძაღლებისთვის ოპერაციაც გავიკეთებთ და პატრონისთვის დაგიბრუნებთ.

— **რის მიხედვით ანაწილებთ ძაღლებს ვოლიერებში?**

— ძაღლმა თუ ადამიანი დაკბინა, 10 დღის განმავლობაში ინტენსიურ დაკვირვებას საჭიროებს და, რა თქმა უნდა, ის ცალკე ვოლიერში გვყავს.

— **ოჯახები თუ მოგმართავენ მხოლოდ იმით, რომ ძაღლი აღარ უნდათ?**

— ოჯახებიდან ბევრი ისეთი ძაღლი მოგვიყვანია, რომლებიც ჩვენთან უფრო კარგად გრძობენ თავს. ამას წინათ საბურთალოდან დაგვირეკეს, ჯიშის ძაღლი ვიპოვეთ. მივაკითხეთ და კურცხლის ჯიშის ძაღლი ქუჩაში ხეზე იყო მიბმული. საცოდავი ცხოველი ასაკოვანი იყო და ალბათ მხოლოდ ამის გამო მიატოვა პატრონმა. ოჯახებიდან ბევრი გამოძახება გვაქვს, ამიტომ ბოლო პერიოდში ვცდილობთ, ალარს წამოვიყვანოთ, თუ რაიმე საგანგებო მდგომარეობა არ შეიქმნა. არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ვცდილობთ, ამ პრობლემაზე ვიმუშაოთ. პატრონმა უნდა იცოდეს, რომ ძაღლი სულ სათამაშო ლეკვი არ იქნება და გაიზრდება. ისიც უნდა იცოდნენ, რომ მას მოვლა სჭირდება. ხშირად ძაღლი ოჯახის წევრსაც კბენს. გვქონდა შემთხვევა, როცა აზიური ნაგაზი კარში იწვა და პატრონს გარეთ არ უშვებდა, საკბუნად იწვევდა. გამოგვიძახეს და თავშესაფარში გადმოვიყვანეთ.

— **ასეთ აგრესიულ ძაღლს როგორ ათვისებენ?**

— მათთან კინოლოგი მუშაობს. ძაღლი აგრესიული ბევრი რამის გამო ხდება, მათ შორის, მიზეზი შეიძლება პატრონიც იყოს. როცა ის შინაური ცხოველს უდიერად ეპყრობა, სცემს ან სულ სიცხეში ჰყავს დაბმული, ძაღლი აუცილებლად აგრესიული გახდება. თავშესაფარში ვეფერებით, უუკლით და ისეთი თვინიერებით ხდებიან, ვერც შეამჩნევ, ოდესმე თუ აგრესიული იყო. თუ ძაღლის ეს პრობლემა ვერ მოვგვარებთ, სამწუხაროდ, მისი დაძინება გვიწევს, რადგან მას ვერც ქუჩაში გავუშვებთ და ვერც ვერავის ვაჩუქებთ.

— **რა პრიციპლებს გადის ძაღლი თავშე-**

საფარში მოყვანის დროს?

— შემოყვანისთანავე საკარანტინო, დროებით ოთახში თავსდება. უტარდება ყველანაირი ლაბორატორიული გამოკვლევა — სისხლზე, ბუნებზე, შარდსა და ფეკალიაზე. თუ ძალიან ჯანმრთელია, ვოლიერში ვათავსებთ, თუ ავად არის და მკურნალობას არ ექვემდებარება, მაშინ ვაძინებთ.

— თავშესაფარში ძალიან კარგი პირობებია, ეს როგორ მოახერხეთ?

— რამდენიმე დღის წინ გერმანელი ვეტეჩიმები გვყავდა სტუმრად და მათაც იგივე გვკითხეს. არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს, ცხოველთა უფლებების დამცველებთან ვთანამშრომლობთ, მათგან კონსულტაციებსაც ვიღებთ. გერმანელებმა ჩვენი თავშესაფარი დაათვალიერეს და აღნიშნეს, ნამდვილად არ მოველოდით, საქართველოში ცხოველთა ასეთი თავშესაფარი თუ იარსებებდაო. სისუფთავე და მუშაობის მეთოდები ძალიან მოეწონათ. ძაღლები სპეციალური საჭმლით და ხორცის კონსერვებით იკვებებიან, ესეც მერიის მეთვალყურეობით ხდება. თავშესაფარში მოქმედებს სათვალავო კამერები, ცხოველები 24 საათიანი დაკვირვების ქვეშ იმყოფებიან. კამერების დაყენება ერთმა ინციდენტმა განაპირობა. რამდენიმე ხნის წინ თავშესაფარის გარეთ მკვდარი ლეკვები ვიპოვეთ, რაც ბადებდა ეჭვს, რომ თავშესაფრიდან იყო გადაყრილი.

თავშესაფარისა და მანქანების ყოველდღიურ დეზინფექციას ვატარებთ. ახლა მთლიანი შენობის რეკონსტრუქციას ვაპირებთ. როგორც ნახეთ, თავშესაფარში ლაბორატორიაც გვაქვს და საოპერაციოც. ძაღლებთან ყოველდღიურად ექიმი, კინოლოგი და მომვლელი მუშაობენ. ძაღლს თუ აჩვენებ, რომ მასზე ზრუნავ, თქვენ მიმართ სითბოს აუცილებლად გამოხატავს.

— ძაღლების სახლში წაყვანის მსურველეთა არ არიან?

— გვაქვს „ფეისბუქის“ გვერდი, სადაც გასაჩუქებელი ცხოველების ფოტოებს ვათავსებთ. თუ გავაჩუქეთ, ხომ კარგი, თუ არადა, იძულებულნი ვხდებით, ძაღლს ყურზე ნიშანი გავუკეთოთ, რომ ჯანმრთელი და უსაფრთხოა, ვუკეთებთ ოპერაციას, რათა არ გამრავლდეს და ბუნებაში ვუშვებთ. ამ წელს თავშესაფარში 438 ძაღლია შემოყვანილი, აქედან 110 გაჩუქებულია. ძალიან ბევრი ლეკვი გვყავს და მათი გაჩუქება გვიჭირს.

— სხვა ცხოველებსაც პატრონობთ?

— ერთხელ ფრინველის დასახმარებლადაც გამოგვიძახეს. პატარა მიმინო მესუთე სართულის კედლებს შორის იყო გაჩხერილი. მოქალაქემ დაგვირეკა და დახმარება გვთხოვა. ძაღლდამჭერი ბრიგადა გავუშვით, მაგრამ ძაღლს ვერ ავიდნენ. ოპერაციაში სპეციალური მანქანითაა გვყავდები ჩაერთვნენ. მათ მეცხრე სართულიდან მოუწიათ თოკით დაშვება და მიმინოს გათავისუფლება.

— როგორც გავუგე თავშესაფარში დათვის ბუდის გყოფილია. ის როგორ მოხვდა თქვენთან?

— ხარი შემოვიდა, დათვი გვყავსო და წამოვიყვანეთ. სულ



თეიმურ ფხალაქი ნაპარჩევ ლეკვთა ერთად

„შეამჩნიეს ლეკვი, ხომელსაც მანქანამ დაახტა და მიხიღე წვიმაში გაუნძივლად იწვა... მისი სიცოცხლე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. მაგჩამ კინოლოგებმა და ვეტეჩიმებმა იხიხუნეს, ხმმ ჯახგად გამხდაჩიყო. მახაეუბიც კი გაუკეთეთ“.

რალაც 2 თვის იქნებოდა, საწოვარაი ვაჭმევდით. ძალიან საყვარელი იყო. თამაშ-თამაშში დამკვინა კიდეც. ბოლოს გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც დათვებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება ჰქონდა და ჩვენი დათვის ბული მონასტერში წაიყვანეს.

— ბატონო თეიმურ, ცოტა რამ თქვენ შესახებაც გვთხოვთ. ძაღლები უბრალოდ გიყვართ თუ მათზე ზრუნვა თქვენა პრაქტიკაა?

— პროფესიით იურისტი ვარ. დაოჯახებული ვარ და შვილებიც მყავს. ოჯახი ჩემი ცხოვრების გრაფიკს შეჩვეულია, რადგან იცნა, რომ ცხოველები ძალიან მიყვარს და ვარგ საქმეს ვაკეთებ. ამჟამად სახლში ერთი უნგრული მონადირის ჯიშის ძაღლი და ერთი თავშესაფრიდან წაყვანილი მეტისი მყავს. მინდა გითხრათ, რომ მეტისი უჭკვინანესი ჯიშია და ამტანებიც არიან. რამდენიმე დღის წინ ჩემი მონადირე ისე ცუდად მყავდა, ლამეებს ვუთენებდი და

ექიმებში დავარბენინებდი. ბოლოს სამი ძაღლი წაიყვანე სახლში, ჩემმა ცოლმა აბანავა და დროებით ისევ თავშესაფარში დავაბრუნე, რადგან ეზოს ვაკეთებთ. მეზობლებისთვისაც ხშირად მიმიყვანია ძაღლები.

თავშესაფარში ცხოველებზე ვეტეჩიმი დათო ომარაშვილი ზრუნავს. ერთხელ ძაღლს კიდურების ამპუტაციაც კი გავკეთა.

— ცხოველებს ძირითადად სტერილიზაციას ვუკეთებთ, რაც საშვილოსნოს ამოჭრას გულისხმობს, რომ აღარ გამრავლდნენ. ყველაზე რთული ოპერაცია, რაც გავაკეთებია, კიდურების ამპუტაციაა, რომელიც ნაავარივე ძაღლს დასჭირდა. ძაღლებში ასევე ხშირია სიმსივნური წარმონაქ-

მნები, უფრო ხშირად სარძევე ჯირკვლებში, რომელიც ასევე ოპერაციას საჭიროებს. ოპერაციები, რა თქმა უნდა, ნარკოზით კეთდება, — გვიამბო დათო ომარაშვილი. კინოლოგი ბექა ყურამშვილი კი ძაღლებს ფსიქოლოგიურად ამზადებს, რომ საჭირო უნარ-ჩვევები გამოიშუშონ და ახალ პატრონებთან შეგუება არ გაუჭირდეთ.

ბამა მურაშვილი:

— ჩემს მოვალეობაში შედის ძაღლების კვება, ჯიშების გარკვევა, ვოლიერებში სქესის მიხედვით განთავსება და ვიზუალურად ავადმყოფობის დადგენა. ძაღლებს გასერი-ნების დროს ფსიქოლოგიურად ვამზადებ. მეტისი შეიძლება „დაჯექი, ადექის“ სწავლებას არ საჭიროებდეს, მაგრამ ახალ პატრონთან შესაგუებლად ფსიქოლოგიურად ვამზადებთ. მანანალა ძაღლებს ბევრ რამესთან უჭირთ შეგუება, თუნდაც საყვ-ლურებთან.

— აგრესიულ ძაღლებთან მუშაობა რამდენად რთულია?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არ არის რთული, რადგან ძაღლი არ არის დამნაშავე, თუ ის აგრესიას იჩენს. საერთოდ, აგრესიას არქმევენ, თორემ ეს ძირითადად ნერვული აშლილობაა, რომელიც ისევ და ისევ პატრონისგანაა გამოწვეული. მან ძაღლის ხასიათი აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

✓ სოფო ბოჭორიძე

❖ XXI საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად 80 მილიონამდე ადამიანით იზრდება. ყოველ წაში იზრდება 4 ადამიანი, კვდება — 2. მაქსიმალური შატების მაჩვენებელით გამოირჩევა ინდოეთი, სადაც მოსახლეობა ყოველწლიურად 16 მილიონით იზრდება.

❖ მსოფლიოში სიღარიბის ზღვრად მიჩნეულია მდგომარეობა, როცა ერთ სულ მოსახლეზე დღეში 1 ელვარზე ნაკლები შემოსავალი მოდის. ასეთი მსოფლიოში 1,2 მილიარდი ადამიანია.

❖ ყოველწლიურად დედამიწაზე შიმშილით 13 მილიონი ადამიანი იღუპება, აქედან 12 მილიონი ბავშვია.

❖ ყვავილებს თუ მუსიკას „მოვას-მენინებთ“, უფრო სწრაფად გაიზ-

ქს იცოდით?

რდებიან.

❖ ბროკოლი ერთადერთი ბოსტნეულია, რომელიც ყვავილებსაც მიეკუთვნება.

❖ ავსტრალიაში კენგურუების რაოდენობა ორჯერ აღემატება მოსახლეობის რიცხვს.

❖ კატებისგან განსხვავებით ვეფხვებს ცურვა უყვართ.

❖ სპილოებს შეუძლიათ სარკეში საკუთარი თავი იცნონ.

❖ მსოფლიოში დღემდე ნაპოვნი ყველაზე გრძელი ლოკოკინა 91 სანტიმეტრი სიგრძისაა.

❖ ღორს შეუძლია გალოთდეს.

❖ სპილოები თანამომის სიკვდილის ადგილზე მიდიან და დასტირიან.

❖ ფუტკრის საყვარელი ფერი იისფერია.

❖ ჟირაფს შავი ენა აქვს.

❖ სვავს შეუძლია 6 საათი იფრინოს ფრთების მოძრაობის გარეშე.

❖ ძაღლს შეუძლია სახის 100 განსხვავებული გამომეტყველება მიიღოს.

❖ ინდოეთში ძაღლზე ქორწინება ლეგალიზებულია.

❖ სანამ საშლელს გამოიგონებდნენ, მის როლს პურის გული ასრულებდა.

❖ მსოფლიოში ანანასის ექსპორტის 1/3 ჰავაიზე მოდის.

❖ მსახიობი ჯეი ჩანი დედის მუცელში 12 თვე იყო.

❖ ცნობილი ამერიკელი მომღერლის, მერაია ქერის ფეხები, ავილიონ დოლარადა დაზღვეულია.

❖ ლეგენდარულ ბრიტანულ ანსამბლ „ბითლზის“ ლეგენდარულ წევრ ჯონ ლენონს უკანასკნელი სურათი თავის მკვლელთან, მარკ ჩეპმენტთან ერთად აქვს გადაღებული.

❖ როკის მეფეს, ელვის პრესლის, სიმღერა არასდროს დაუნერია.

ნიშნები, რომლებიც საყვარელ მამაკაცში დავალულ ტირანს აქვლავნებს

სურთ, საყვარელი მამაკაცი თქვენი დამცველი კედელი, საყრდენი და ოჯახის თავი იყოს, თქვენ კი — სუსტი ქმნილება, რომელსაც გადანყვებილებების მიღება და რაღაცისთვის ბრძოლა არ სჭირდება. ძლიერი ხელის პოვნით გახარებული ხართ, მაგრამ მოგვიანებით გაცნობიერებთ, რომ ტოტალური კონტროლის ქვეშ მოექცეით. ცოტა ხნის წინ საყვარელი მამაკაცი ახლა ისე გექცევით, როგორც ნივთს. მის მიმართ ნდობა და საყვარელი შიშმა შეცვალა. მოკლედ, შინაურ მოძალადეს შეეჯახეთ. არის თუ არა გამოსავალი?



ლოგოი ამოვიცნოთ შესაქეთ?

ყურადღებას ითხოვს, ყოველთვის ის უნდა აკეთოთ, რასაც იტყვის.

ნებისმიერი საბაბით მითითებებს იძლევა, მათ შორის, რა ჩაიცვათ და როგორ შეიღებოთ.

ვერ იტანს, როდესაც ინიციატივას იჩენთ. სურს, ყველაფერი თვითონ გადაწყვიტოს.

დანვრილებით კითხულობს, დღე როგორ გაატარეთ, ვისთან გქონდათ ურთიერთობა, სად იყავით.

თქვენამდე ჰქონდა ხანგრძლივი ურთიერთობები, რომლებიც ქალების ინიციატივით დამთავრდა, ის კი ირწმუნება: „თვითონ წამოვიყვანე“.

ყოფილ მეგობარ ქალებს ცუდად მოიხსენიებს: „სწორედ ამ კახებმა მასწავლეს, ქალთა სქესის მიმართ მკაცრი ვიყო“.

დედამისს უპატივცემლოდ ეპყრობა. ალბათ არც თქვენ დაგაფასებთ.

ქალების შესახებ განზოგადება უყვარს: „ყველა ქალი...“ დარწმუნებულია, ყველა მის წინააღმდეგაა განწყობილი.

თქვენ მიმართ ემოციურ დამოკიდებულებას ავლენს: „მხოლოდ შენ გეცემის ჩემი“. მისი აზრით, ორივე ერთი მთლიანი ხარის და იწყებს თქვენს მართვას ისე, როგორც საკუთარი ხელის მართვას არის მიჩვეული.

დასვენები გააკეთეთ

ბევრი ნიშანი დამთხვავა? დაფიქრდით, თქვენთვის რამდენად აუცილებელია ეს ურთიერთობები. მამაკაცი ტირანი შეიძლება გამოვლინდეს არა მამნივე, არამედ ოჯახური ცხოვრებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. მრავალწლიანი ქორწინების მერე დასორება მნიშვნელოვნად ძნელი იქნება. ფხიზლად იყავით!

ყვავა ხისკი ანონ-დანონთ

შეგიძლიათ ითამაშოთ ვენებიანი წყვილი, ცხარედ იკამათოთ და შერიგდეთ. ეს კარგია გარკვეულ დრომდე. საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგება, როდესაც ოჯახში ბავშვი ჩნდება. შეიძლება გააკეთოთ ყველაფერი, რასაც მამაკაცი ითხოვს, მაგრამ რალაც მომენტში მოგინდება ის, რის ნებასაც არ იძლევა. შეიძლება მთელი ცხოვრება მისი გამართლება ექნებოთ და იმედი იქონიოთ, რომ გამოსწორდება. ეს განწყობთ?

თავზე იხუნეთ

თუ ძალმომრეობის გამოვლენას შეეჯახეთ, ეს მიზეზია მოძალადისგან რაც შეიძლება სწრაფად და შორს გაიქცეთ. გაცნობიერეთ, რომ სასჯელს მაინც ვერ გაექცევით, მაშინაც კი, თუ მტკიცედ გადაწყვეტთ და მასთან დარჩებით.

1. გაყვარეთ.
2. ტელეფონის ნომერი შეცვალეთ.
3. ყოველგვარი კონტაქტი შეწყვიტეთ. თუ საერთო მეგობრები გყავთ, დროებით მათთან ურთიერთობისგან თავი შეიკავეთ.
4. შეცვალეთ მარშრუტები, რომლებითაც, ჩვეულებრივ, სარგებლობდით.
5. თქვენ მიმართ მუქარა იყო? პოლიციაში განცხადება დატოვეთ.
6. ნუ გადადებთ ფსიქოლოგთან ვიზიტს. ასეთ სიტუაციაში საუკეთესო მეგობრებსაც კი ყოველთვის არ შეუძლიათ, მოვლენებს საღად შეხედონ.



5 მკლავრი არგუმენტი სიბერების წინააღმდეგ

სურთ, ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ? იპოვეთ თქვენში ძალა და მავნე ჩვევა დაგმეთ. ალბათ ბევრი გასმენიათ თამბაქოს მავნებლობის შესახებ. ჩვენ კიდევ რამდენიმე არგუმენტს დავუმატებთ. მამ, ასე რა მოხდება, თუ სიგარეტის

მონევას თავს დაანებებთ?

1. ახალგაზრდულ გარეგნობას შეინარჩუნებთ.

სიგარეტის ბოლით, პირველ რიგში, გარეგნობა იტანჯება. სტაჟინ მწველ ქალებს ტუჩების ირგვლივ ხშირად ვერტიკალური ნაოჭები უჩნდებათ. გარდა ამისა, თამბაქოს ბოლი კანს აშრობს და აბერებს. მაგრამ, თუ ამ მავნე ჩვევას თავს დაანებებთ, უკვე ერთი კვირის შემდეგ სახეს ჯანსაღი ფერი დაუბრუნდება. ხოლო 2 კვირის შემდეგ ორგანიზმში მავნე თავისუფალი რადიკალების რაოდენობა შემცირდება, უანგბადის შემცველობა გაიზრდება, მეტაბოლიზმი გაუმჯობესდება. რამდენიმე წლით უფრო ახალგაზრდა გამოჩნდებით.

2. თვითშეგრძნებას გაიმჯობესებთ.

მოწვევისთვის თავის დაწებებიდან უკვე ორ დღეში სუნთქვა მსუბუქი გახდება: სისხლძარღვების ნორმალური ტონუსი აღდგება, ორგანიზმიდან ფილტვების ფუნქციის დამორჩენი ნაწილი-როორუანგი და მსუთავი აირი გამოვა. სამი დღის შემდეგ სუნს უფრო მკვეთრად აღიქვამთ, გემოს შეგრძნებები უფრო ნატიფი გახდება, შრომისუნარიანობა და მესხიერება გაუმჯობესდება. 2-3 კვირის შემდეგ მოწვევის სურვილი გაქრება.

3. თავს დაავადებებისგან დაცავთ.

მონევა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ფილტვების კიბოს ინვესს, წყლულოვანი დაავადებების მიმდინარეობას აუარესებს. კუჭის, ღვიძლის, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლების, საყლაპავი მილისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს, მეორე ტიპის დიაბეტისა და ოსტეოპოროზის განვითარების რისკი იზრდება. მონევა საშიშობა მცირე დოზებშიც კი. დღეში 1-4 სიგარეტი გულს დაავადებებისა და ფილტვის კიბოს აღმოცენების ალბათობას 3-ჯერ ამალლებს. მაგრამ მონევაზე უარის თქმისთან 5 თვის შემდეგ ფილტვების კიბოსა და ოსტეოპოროზის განვითარების რისკი ქვეითდება.

4. ფულს დაზოგავთ.

მონევა ძვირი ჯდება არამხოლოდ ჯანმრთელობისთვის, ასევე საფულისთვისაც. გამოთვალეთ, წელიწადში რამდენ თანხას დაზოგავთ.

5. ჯანმრთელ შვილს გააჩნთ.

სიგარეტის დაგმობა ღირს, თუ გსურთ, დედა გახდეთ. მწველი ქალები უფრო მიდრეკილები არიან უნაყოფობისკენ, მუცლის მოშლისა და ნაადრევი მშობიარობისკენ. გარდა ამისა, მონევა შეიძლება ნაყოფის პათოლოგიები გამოიწვიოს. ქალეში, რომლებმაც მონევა თავი დაანებეს ბავშვის ჩასახვის წინ, ნაყოფის მცირე წონით დაბადების რისკი დაბალია.

გახსოვდეთ: თამბაქოს ბოლი მავნე არამხოლოდ თქვენთვის, ასევე თქვენი ახლობლებისთვისაც. პასიური მონევა განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისთვის!

საინტერესო ფაქტები

ანთებული სიგარეტი ფაბრიკაა, რომელიც 3 ათასზე მეტ ქიმიურ ნაერთს აწარმოებს. აქედან 60-ზე მეტი კანცეროგენულია (კიბოს გამომწვევი). თამბაქოს ბოლის შემადგენლობაში არის რადიოაქტიური ელემენტები (ტყვია, პოლონიუმი).

თამბაქოს ბოლი უსაფრთხო რომ გახდეს, საჭიროა სუფთა პაერით 38400-ჯერ გაზავდეს.

თამბაქოს ბოლის ტოქსიკურობა ავტომობილის გამონაბოლქვი აირების ტოქსიკურობას 4-ჯერ აჭარბებს.

ადამიანი, რომელიც დღეში 1,5 კოლოფ სიგარეტს ეწევა, მთელი წლის განმავლობაში იღებს დასხივებას, რომელიც რენტგენზე 300-ჯერ დასხივების ტოლია.

თითო ღერი მონეული სიგარეტი სიცოცხლეს 12 წუთით ამცირებს. ეს ნიშნავს, რომ დღეში 10 ღერი სიგარეტი 10 წლის განმავლობაში სიცოცხლეს 9 თვით ამოკლებს.

✓ მოაჩხადა აზა გავთშიძე

რატომ აქვთ ბავშვებს სივი ხელ-ფეხი

თქვენს შვილს ხელ-ფეხი თითქმის ყოველთვის ცივი აქვს, მაშინაც კი, როცა ცხელა? ჭირვეულობს ამინდის ცვალებადობის დროს, მგზავრობისას? ეს ყველაფერი ნეიროციტოპულარული დისტონიის ნიშნებია.

ბევრი დედიკო შვილის ამ მდგომარეობას ავადმყოფობად და პათოლოგიად არ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, არ თვლის საჭიროდ მკურნალობის ჩატარებას. საჭიროა ყველა დედა იცოდეს, რომ ეს შვილის ნერვული სისტემის დისბალანსის შედეგია.

ვიზიტი ნევროლოგთან

ამ პრობლემის დროს მნიშვნელოვანია ბავშვის მდგომარეობის შემსუბუქება სკოლამდელ ასაკამდე, რადგან შემდგომში ძვლოვანი სისტემის დატვირთვამ შესაძლოა დისტონიის გართულება გამოიწვიოს, რაც, თავის მხრივ, ხელისშემშლელი იქნება სწავლის პროცესში. რთულია პატარასთვის სწავლის ნორმალური პროცესის წარმართვა მაშინ, როცა თავი სტიკვა და თავბრუ



ესმის. ამ ყველაფრის უყურადღებოდ დატოვების შემთხვევაში, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ზრდასრულ ასაკში მაღალია გულის დაავადებების რისკი. ამიტომაც აუცილებელი ნევროლოგის კონსულტაცია.

ციაგნოზის დასმა

დისტონიის ამოცნობა რთული არაა, ამისათვის რამდენიმე შევითხვავებ პასუხის გაცემაა საკმარისი. ბავშვს აქვს ცუდი მადა, ხშირად ანუხებს მუცლის შებერილობა და ჭარბი აირების დაგროვება, მნიშვნელოვნად ჩაბორჩება თანატოლებს სიმაღლეში, მგრძობიარეა ამინდის ცვლებადობის მიმართ, ანუხებს ალერგია, ხშირად ავადმყოფობს... რაც უფრო მეტ დადებით პასუხს გასცემთ, მით მაღალია დისტონიის ალბათობა.

იზოგის დაქვებში

დისტონია რომ დავამარცხოთ, მნიშვნელოვანია ბავშვის დღის განრიგის სწორად და გონივრულად დაგეგმვა. იმისათვის, რომ მადა მოემატოს, მიეცით საშუალება, ხშირად იყოს სუფთა ჰაერზე, ითამაშოს თანატოლებთან ერთად ეზოში, ჭამამდე 10-15 წუთით ადრე მიეცით ვაშლი, ასევე ცოტა მჟავე კომბოსტო და საერთოდ, მჟავე სახის საკვები პროდუქტები, რომლებიც ბუნებრივად ალუძრავენ შიმშილის გრძნობას.

კარგია, ბავშვი პატარა ასაკიდანვე ატაროთ აუზზე და ასწავლოთ ცურვა, რაც მის გაცაუებას შეუწყობთ ხელს. გაცაუება და ძლიერი იმუნიტეტი კი დისტონიას ადვილად ამარცხებს.

სასარგებლო რჩევები

- ფეხსაცმელმა წინდებს ფერი რომ არ შეუცვალოს, საჭიროა ფეხსაცმლის დამუშავება თმის ლაქით და შემდეგ მისი განწმენდა მშრალი ტილოთი.
- თუ სალექი რეზინი ტანსაცმელზე მიგნებათ, ცოტა ხანს სამოსი საყინულეში შედეთ. როცა გამოიღებთ, სალექი რეზინი ადვილად მოსცილდება.
- თუ ჭარბი წონის პრობლემა გაქვთ, გირჩევთ, ჭამამდე 20 წუთით ადრე ჭიქა ცივი წყალი დალიოთ. ასე მადას დათრგუნავთ და ზედმეტის ჭამისაგან დაცული იქნებით.

როგორ ავითარებს ბავშვს თამაშები

სათამაშო და თამაშის პროცესი უარესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ასაკის ბავშვისათვის. გარდა იმისა, რომ თამაშის დროს პატარა ერთობა, გარკვეული სახის გამოცდილებას იღებს, ახალ საგნებთან შეხების და მათი გამოყენების საშუალება ეძლევა. ამის წყალობით კი, ბავშვი ვითარდება — სწავლობს აზროვნებას, ლოგიკურად მსჯელობას.



როგორც სპეციალისტები ამბობენ, სათამაშოების ყიდვისას მათი შერჩევა ბავშვის ასაკის გათვალისწინებით ის პირობაა, რომლის დაცვაც აუცილებელია. სხვაგვარად შესაძლოა, მშობლების მონდომება ამაო აღმოჩნდეს და შეძენილი სათამაშო ბავშვისთვის უინტერესო აღმოჩნდეს.

ველოსიპედი, ბეხი

ველოსიპედი ერთნაირად უყვართ გოგონებსაც და ბიჭებსაც. ის გართობის საშუალებაცაა და ჯანმრთელობისთვისაც კარგია. ველოსიპედის ტარებისას ბავშვის ორგანიზმის ყველა კუნთი სრულად არის ჩართული პროცესში და აქტიურად მუშაობს. ის განსაკუთრებით კარგია ქალაქგარეთ გასვლის შემთხვევაში. მთავარია, სანამ არ დარწმუნდებით, რომ კარგად იცის ტარება, თქვენ განამოუკიდებლად ველოსიპედზე დაჯდომის უფლება არ მისცეთ. მკაცრად დაიცავით უსაფრთხოების ზომები, რადგან ველოსიპედის ტარებას ხშირად ახლავს სერიოზული ტრავმები.

ბურთიც პატარების საყვარელი სათამაშოა. რაც მთავარია, ბურთით პრაქტიკულად ყველა ასაკის ბავშვი თამაშობს. კარგია, თუ ვაჟს გარკვეული პერიოდი კალათბურთის ან ფეხბურთის სექციებზე ატარებთ. ეს გააძლიერებს მის ჯანმრთელობას და კოლექტივში ადაპტირების პროცესს გაამარტივებს, გუნდური პრინციპით თამაშსაც ისწავლის და გუნდურ აზროვნებასაც.

ხატვა და ძეხნვა

გარკვეულ ასაკში ნებისმიერ ბავშვს სიამოვნებს ხატვა და ძეხნვა და ამ საქმეს დიდი ენთუზიაზმით ეკიდება. ძეხნვა კარგია მოტორიკის განვითარებისათვის, აზროვნებისთვის, ლოგიკისთვის. იმავეს თქმა შეიძლება ხატვაზეც, რომელიც ბავშვისთვის დამამშვიდებელი პროცესია.

იმპროვიზაცია

ბევრი ბავშვი გარკვეულ ასაკში სათამაშოებზე მეტად სხვა ნივთებით ირთობს თავს, რაც მშობლებისთვის გასაკვირია. ეს პატარების მხრიდან იმპროვიზაციაა, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ბევრ მშობელს გაახსენდება, როგორ თამაშობდა თვითონაც პატარაობისას სახლობანას, მასწავლებლობანას... თამაშის წესებსაც თავად, იმპროვიზებულად, თანატოლებთან ერთად აწესებდა.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამგვარი თამაშების სურვილი და მათი არსებობა კარგია პატარების განვითარებისთვის — სწავლობენ ურთიერთობებს, შეთანხმებულად მოქმედებას, კომპრომისზე წასვლას... ყველა იმ მნიშვნელოვან თვისებას, რომლებიც მოზრდილ ასაკში გარშემომყოფებთან კომუნიკაციაში დაეხმარებათ.

მშობლებმა თამაშების საშუალებით ბევრი რამ შეიძლება ასწავლონ შვილებს. მაგალითად, ითამაშეთ მასთან ერთად მზარეულობანა, რაც, რა თქმა უნდა, სხვადასხვა კერძის მომზადებას მოითხოვს. ანუ აქვს მნიშვნელობა, გოგოა თუ ბიჭი, რადგან ასეთი გართობა ყველათვის საინტერესოა. გარდა იმისა, რომ ასეთი „თამაშები“ სახალისოა, პატარა ნელ-ნელა შეიძენს გამოცდილებას, ისწავლის, რა დროს რისი გამოყენებაა საჭირო და მართებული.

დაბოლოს, რაც უფრო მეტად მისცემთ შვილებს საშუალებას, ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილონ, განვითარდნენ, იაზროვნონ, მით უკეთესი. თუ ამ ყველაფერს ასაკის შესაბამისი სათამაშოებითაც გაულამაზებთ, გაცილებით უკეთესი შედეგის მომტანი იქნება.

✓ მოამზად ნათია ტოტიკაშვილმა

აპთო პარსიანაშვილი: „ჩემი სოფლა ოჯახის გამოკიანისტობაზე უარი თქვა“



მთავარია ოჯახის შესანარჩუნებლად ყველა წევრი მობილიზებული იყოს, ეს კი სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით ხდება.

— თქვენი შესჯერებით, როგორია მკაცრად ქალი?

— ის მეუღლის დიდი მეგობარი უნდა იყოს, მისი პრობლემების კარგად უნდა ესმოდეს, ყველაფერი უნდა გაითავისოს. როცა ოჯახში ყველა თემა საერთო ხდება, მაშინ ურთიერთობებსაც აღარ ეშუქრება საფრთხე.

— დღეს როგორია ქალაქი პოპულარული?

— პოპულარობას ყველანაირი გაგებით ამრებით ვუყურებ. ჩემთვის პოპულარობა პაპსა და ვილაცისთვის თუ ქალი გარკვეული ჩაცმულობით არის პოპულარული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფასეულია. ქალის შინაგანი სამყარო ყოველთვის უფრო ღირებულია ჩემთვის.

— ცოდვისთვის ან ქალისთვისისთვის ჩაცმასთან დაკავშირებით შენმა მსგავსებამ?

— შეზღუდვები არ მწყევია, მათთვის არც მოკლე კაბები დამიშლია და არც ჯინსები. ვთვლი, რომ ელისოც და მარიამიც საკმაოდ გემოვნებითაა ქალები არიან. ისე იცვამენ, როგორც მათ შეეფერებათ. ქალმა, ისევე როგორც კაცმა, ის უნდა ჩაცვას, რაც შეეფერება და არა ის, რაც მოდაშია. ქალს არ შეიძლება ყველაფერი უხდებოდეს, რაც რომელიმე ურნალშია მოცემული ან ვილაცის მიერაა შექმნილი.

ბიანი ქალები არიან. ისე იცვამენ, როგორც მათ შეეფერებათ. ქალმა, ისევე როგორც კაცმა, ის უნდა ჩაცვას, რაც შეეფერება და არა ის, რაც მოდაშია. ქალს არ შეიძლება ყველაფერი უხდებოდეს, რაც რომელიმე ურნალშია მოცემული ან ვილაცის მიერაა შექმნილი.

— არსებობს ქალური ან არაქალური პრინციპები, საქმისათვის?

— არ არსებობს საქმე, რომელიც ქალს არ უხდება (მძიმე სამუშაოს არ ვგულისხმობ). თუ გულთ აკეთებს და მისი მოთხოვნილებაა, იმ საქმის კეთების პროცესში ულამაზესი გამოჩნდება.

— ბილი პრინციპში ოჯახის „მამა-მარჩენლად“ ქალი იქცა, მშვენიერი სქესის ფუნქციები გაიზარდა. მოგწონთ ეს ცვლილება?

— ამ შემთხვევაში ქალებზე ისევე მაღალი აზრის ვრჩები, კაცებზე კი გული მწყდება. ვთვლი, რომ მამაკაცები, რომლებიც ქალებს ამუშავენ, დაკნინებულები არიან. ქალების აქტიურობას კი მივესალმები, მაგრამ კაცები რომ „დაჩმორდნენ“, ამაზე მართლა გული მწყდება.

— ყველაფერს თავისი მიზანი აქვს. ძლიერი სქესის დასუსტება რამ გამოიწვია?

— ვფიქრობ, რომ „დაჩმორდული“ კაციც და ქალიც ყველა პერიოდში იყო. ვერ გეტყვით, რომ დღეს ეს განსაკუთრებულად გამოიკვეთება, უბრალოდ დღევანდელი სოციალური პირობების გამო მეტად ჩანს. იმ ქალების მიმართ, ვინც ოჯახს პატრონობენ, დიდი პატივისცემით ვარ განმსჭვალული და ძალიან უარყოფითად ვუყურებ კაცებს, რომლებსაც არ ძალუძთ, თავიანთ მეორე ნახევრებს მხარში ამოუდგინენ და უფრო მეტი თუ არა, იგივე მაინც გააკეთონ, რასაც ისინი აკეთებენ.

— ქართველი მამაკაცები უმეტესობას მსახიობი (ქალი ან მსახიობი ქალიშვილი ვერ წარმოუდგენია. ეს რისი ბრალია?

— ეს უკვე მენტალობის საკითხია, როცა კაცი ამბობს, რომ ქალი მსახიობი არ უნდა

თვის რჩევები არაერთხელ მიმცია და გაუთვალისწინებია კიდევ. მარიამი უკვე 5 წელია საფრანგეთში ძმასთან ერთად ცხოვრობს.

— საქართველოდან შორს ცხოვრებთ თქვენი შვილები ქართულ ტრადიციებს ხომ არ დააშინა?

— ჩემი ორივე შვილი თხემით ტერფამდე ქართველია და საქართველოში დაბრუნებაც უნდა. ქართული ტრადიციები შენარჩუნებული აქვთ, რაც უმთავრესად სამშობლოსადმი დამოკიდებულებით გამოიხატება.

— სამამათილიად ან სამამაზად ხომ არ ეშვადები?

— როგორც ვიცი, მარიამი შეყვარებული არ არის. გიორგის საცოლოე — არა, მაგრამ შეყვარებულები ალბათ ეყოლებათ.

— როგორია ქალი წარმოადგენათ თქვენი ვაჟის გვერდით? როგორც მამაკაცი მამაკაცს რა ნიშნებს მისცემთ?

— ისეთი სარძლო მინდა, რომელსაც ჩემი შვილი ეყვარება და ჩემს გიორგისაც ეყვარება. მთავარია, მათი რომანი სიყვარულზე ალმოცნდეს. ჩემი პირველი მოთხოვნა ეს იქნება. მის ცხოვრებაში არ ჩავერევი, მაგრამ, როცა ვილაცხავე მეუბნებიან, ეს გიორგის თავყანისმცემელიაო ან გოგოზე მანიშნებენ, გიორგის მოსწონსო, მაშინ ობიექტურ შეფასებას ვიძლევი — მომწონს ან არ მომწონს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე ჩემი აზრი გაითვალისწინოს.

— თქვენი აზრით, სტაბილური ოჯახის შესაქმნელად მსილიად სიყვარულია საკმარისი?

— პირველ რიგში, სწორედ სიყვარულზეა დამოკიდებული, რადგან ეს გრძნობა პატივის-

„სმის შემთხვევაში ხელოვანი ადამიანი საკუთარ ახრევანში კომპიომისზე ახსნის მიღის, ამიკომაც ინგეჟა ოჯახები ან სხვა ოჯახებში მიდიან. მსახიობები გადანყვებილების მიღებაში უფრო თავისუფალი არიან“.

ცემას ბადებს, რომლის გარეშეც ოჯახი ვერ იარსებებს. სიყვარულის შემდეგ ოჯახის შესანარჩუნებლად ბევრი კომპონენტის დაცვაა საჭირო.

— რამდენიმე კომპონენტთაგან ჩამოვითავალო.

— ყურადღება, საკუთარ ქმედებებსა და ოჯახზე პასუხისმგებლობა. მატერიალურ მხარეზე არ ვლაპარაკობ, რადგან ესეც იმ შენი პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს. ოჯახსა და ოჯახურ პრობლემებს თუ პასუხისმგებლობით ეკიდები, მაშინ ყველაფერი გამოდის. სავალდებულო არ არის, „ფერარი“ გყავდეს და მონტე კარლოში სახლი გქონდეს.

1985 წელს რიგაში თბილისიდან გასტროლოგზე ჩასული რუსთაველის თეატრი სპექტაკლ „რიჩარდ მესამეს“ მართავდა. როცა სპექტაკლი დამთავრდა და დაბრუნებაში აპლოდისმენტებმა იქუხა, ახალგაზრდა რეჟისორ ავთო პარსიანაშვილის ყურადღება მომხიბვლელი გოგონას ხმამ მიიქცია, რომლის „ბრაუო“-ც რაღაც ქართულად ჟღერდა. ის გოგონა, ელისო ორჯონიკიძე, ერთი წლის შემდეგ უკვე ავთო პარსიანაშვილის ცოლი იყო. მას შემდეგ ერთმანეთის გარეშე ერთი დღეც არ ყოფილან. ახლა უკვე მონიფული ქალ-ვაჟის მშობლები არიან.

განვლილი წლებით დაგროვილმა გამოცდილებამ რეჟისორს ასწავლა, რომ ოჯახის სიმყარე იმაზეა დამოკიდებული, ცოლ-ქმარი ერთმანეთის პრობლემებს რამდენად ითავისებენ, აქვთ თუ არა გვერდით დგომის უნარი. ყველაზე დიდ ღირებულებად კი ის პიროვნულ თავისუფლებას მიიჩნევს, რაზეც ცოლ-ქმრული და ზოგადად ოჯახური ცხოვრება შენდება.

— ბატონო ავთო, პირველ რიგში, გკითხვით, როგორ შეხვდით თქვენი ცხოვრების მთავარ ქალს, თქვენს მკორე ნახევარს?

— ჩემი მეუღლე ელისო ორჯონიკიძე გახლავთ. ერთმანეთს 28 წლის წინ შევხვდით. მაშინ ახალგაზრდა რეჟისორი ვიყავი და რიგაში რუსთაველის თეატრის გასტროლზე გახლდით. ელისო კომპოზიტორ გია ყანჩელის ოჯახს ჰყავდა ნამოყვანილი. პირველად მაშინ დავინახე, როდესაც სპექტაკლი „რიჩარდ მესამე“ დამთავრდა და ხალხი „ბრაუო“-ს ყვიროდა. ამ სიტყვაში ქართული აქცენტი დავიჭირე, მოვტრიალდი და გოგო დავინახე. მაშინ ელისო 17-ის იყო, მე 24 წლის გახლდით... ერთი წლის შემდეგ ვიქორწინეთ კიდევ.

— დანახეთ თუ არა, მისიხილი?

— პირველ ეფექტს ალბათ გარეგნობა ახდენს. გარეგნულად ძალიან მომეწონა, შემდეგ კი მისმა შინაგანმა კულტურამ და რაფინირებულმა ინტელიგენტობამ მომხიბლა. თან ჩვენი აზრები და შეხედულებები ერთმანეთს ბევრ საკითხში დამთხვავა, ასე იბადება ურთიერთობებიც. მას შემდეგ სულ ერთად ვართ. 27 წლის გიორგი და 25 წლის მარიამი გყავს.

— რადგან ეს რუბრიკა ქალებს ეძღვნება, ქალიშვილზეც გვამბობთ. მის აღზრდაში რა წვლილი შეიტანეთ?

— მარიამი, პირველ რიგში, თავისუფალ პიროვნებად აღვზარდე. ვფიქრობ, ადამიანის ყველაზე დიდი ღირსება სწორედ ეს გახლავთ. მარიამი თავისუფლად მოაზროვნე და ზრდილობიანია.

— თავისუფლება ყველას სწავლასწავარად ესმის. თქვენი რა არის?

— როცა პატივს სცემ პიროვნებას და ცდილობ, ისე იცხოვრო, როგორც საჭიროდ თვლი, ოღონდ ისე, რომ გარშემომყოფთაგან შეურაცხყოფა არავისმიაყენო.

— მარიამს და თქვენს გაცხადებ ურთიერთობა გაქვთ?

— ჩემი ძალიან ახლო მეგობრები ვართ და ვფიქრობ, არც არაფერს მიმალავს. ამჟამად ის მთლიანად სწავლა-განათლებლაზეა კონცენტრირებული, საფრანგეთში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობს, პარალელურად სამხატვრო გალერეაში მუშაობს. მის-

იყოს. სხვათა შორის, ამგვარი რამ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში არ ხდება და ეს მართო ქართველების სენი არ გახლავთ. კაცები ფიქრობენ, რომ, თუ მათი შეყვარებული ან მეუღლე მსახიობი იქნება, ის ოჯახისათვის ვეღარ მოიცილის. თუ გარყვნილებზე გვაქვს საუბარი, მე ძალიან კარგად ვიცნობ მსახიობ ქალებს და ვიცი, რომ მათში ზუსტად ისეთივე პროცენტით არის გარყვნილება, როგორც ექიმებში, იურისტებში ან კიდევ სხვა პროფესიის ადამიანებში. არ მგონია, რომ ამ შემთხვევაში მის მორალურ მდგომარეობას პროფესია განსაზღვრავდეს. კაცი, ვისაც პროფესიის მხოლოდ იმიტომ არ მოჰყავს, რომ ის მსახიობია, ვფიქრობ, შეუძლებელი პიროვნებაა და არც საკუთარი ძალების სჯერა. ასეთი კაცები ჩემს თვალში ბოთურები არიან.

— **კაცების ამგვარ შესვლაზე ისიც ხომ არ მოქმედებს, რომ მსახიობებს თავსებად სწორად ეჩვენებოდა?**

— ამას ვერ დაგიდასტურებთ. მსახიობებს გადასარევედ ვიცნობ და ოჯახის დანგრევის პროცენტული მაჩვენებელი იგივეა, რაც სხვა პროფესიის ქალებში. ხელოვანი ადამიანი, იქნება ეს მსახიობი, მხატვარი თუ მუსიკოსი, უფრო თავისუფალია, ვიდრე ტექნიკური პროფესიის პიროვნება. ხშირ შემთხვევაში ხელოვანი ადამიანი საკუთარ არჩევანში კომპრომისზე არასდროს მიდის, ამიტომაც ინგრევა ოჯახები ან სხვა ოჯახებში მიდიან. მსახიობები გადაწყვეტილების მიღებაში უფრო თავისუფალი არიან.

— **გამართლებდით მსახიობ ქალებს, ქმრებს და პროფესიას შორის არჩევანი მკითხველს სახარებლად რომ გაეკეთებინათ?**

— აბსოლუტურად მართალი იქნებოდა, რადგან, თუ ქმარს არ ესმის ის, რომ ცოლისთვის მისი პროფესია ძალიან მნიშვნელოვანია, მაშინ ასეთი კაცი მის გვერდით არ უნდა იყოს. როგორც გითხარი, ოჯახში ურთიერთპატივისცემა და გაგება უნდა არსებობდეს. თუ ქმარს ცოლის არ ესმის და მის არჩევანს პატივს არ სცემს, მაშინ არც სიყვარული ყოფილა.

— **გიჟიერიათ, დღეს რა პრიბლეკები აწუხებთ ქალებს?**

— ქართველ ქალებს, ისევე როგორც კაცებს, სოციალური პრობლემები აქვთ. აწუხებთ ის, რომ იმდენი საშუალება არ აქვთ, საკუთარ თავს მიხედონ. ეს უფრო ქვეყნის პრობლემაა და არა — ქალების. საბედნიეროდ, თეოკრატული სახელმწიფოში არ ვცხოვრობთ, რომ ქალების დაჩაგრვის მცდელობა გამოკვეთილად ჩანდეს.

— **გენდერული ბალანსი რამდენად არის ჩვენს ქვეყანაში დაცული?**

— ჩვენ ხშირად გვგონია, რომ საქართველო იმდენად უნიკალური ქვეყანაა, ყველაფერში უნიკალურები ვართ. საქართველოშიც იმ დონეზეა გენდერული ბალანსი დაცული, როგორც სხვა ნებისმიერ ქვეყანაში. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში გენდერული ბალანსი ირღვევა, მაგრამ ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება, სხვაგანაც იმავეს ნააწყდებით, რადგან კაცები უფრო აქტიურები და ხშირ შემთხვევაში პროდუქტიულები ვართ. ესეც იმის გამოა, რომ ქალებს ოჯახში ყველაზე მთავარი საქმე — შვილების გაჩენა და აღზრდა აწევს მხრებზე, რის შედეგადაც მისი პირადი პროფესიონალური მიღწევები მეორე პლანზე გადადის. ჩემი მეუღლე პროფესიით პიანისტი და გადასარევი მუსიკოსია, მაგრამ მის შემთხვევაშიც იგივე მოხდა. ძალიან რთულია, იყო პიანისტი და ორი შვილი აღზარდო, ამიტომ მან თავისი საქმე მიატოვა და შვილებზე გადაიტანა ყურადღება. დღეს მას საკუთარი საბავშვო ბაღი აქვს და ბავშვებთან ურთიერთობაც ძალიან უყვარს.

— **ქართველი ქალები პოლიტიკურ ასპარეზზე უფრო და უფრო აქტიურებიან. მიგწონთ ეს ტენდენცია?**

— ძალიან! ჩვენ რამდენიმე ქალი პოლიტიკოსი გვყავს, ვინც შეიძლება მომწონდეს, ვის პოლიტიკურ შეხედულებებს ვიზიარებდეთ ან არ ვიზიარებდეთ, ფაქტია, რომ ისინი საკმაოდ აქტიურნი არიან. საქართველოში ყველაზე ჭკვიანი პოლიტიკოსი ქალის დასახელება გამიჭირდება, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ძლიერ პოლიტიკოს ქალად ალბათ ყველა მარგარეტ ტეტჩერს მიიჩნევენ.

— **რას უსურვებდით ქართველ ქალებს?**
— **უსუსურვებდი, მათ მამაკაცებს ყოველთვის ჰქონდეთ იმის ხალისი, რომ ყურადღება არ მოაკლდეს და სულ პატივისცემაში ჰყავდეთ.**

✓ სოფიო ბოჭორიძე

ტანგო

რუმინულად

ყველაზე ტიტულოვანი რუმინული კლუბის, „სტიაუს“ ფეხბურთელებმა ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „ბრაშოვის“ წინააღმდეგ მეტოქის კარში გატანილი გოლები მეტად უჩვეულოდ აღინიშნეს. პირველი გოლის შემდეგ ორმა მოთამაშემ ერთმანეთს ხელი გადახვია და ტანგოს ცეკვა დაიწყო, დანარჩენებმა კი მათ გარშემო წრე შეკრეს და მოცეკვავეები წრის ცენტრში აღმოჩნდნენ. ამ უჩვეულო ზეიმის ვიდეორჩანაწერი იუთუბზეა განთავსებული.



მეორე გოლის აღსანიშნავად კი „სტიაუს“ ფეხბურთელებმა ბოულინგი განასახიერეს. ათმა მოთამაშემ კეგლის როლი შეასრულა, ხოლო მეტერთმეტემ ფეხბურთის ბურთი აიღო და მათ ბოულინგის ბურთითვის ესროლა, რის შემდეგაც ათივე მოთამაშე წაქცეული კეგლებივით ძირს დაეცა.

მატჩი „სტიაუს“ გამარჯვებით დასრულდა, ანგარიშით 4:0.

მარისუანა სპორტსმენებისთვისაც ლეგალიზდება

სოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტოს (WADA) აღმასრულებელმა კომიტეტმა 10-ჯერ გაზარდა ორგანიზმში მარისუანას შემცველობის ზღვარი, რის შედეგადაც დადებითად ჩაითვლება სპორტსმენის შარდის ანალიზში მილილიტრში 15-დან 150 ნანოგრამამდე ამ ნივთიერების აღმოჩენა. ინფორმაციას ამის შესახებ ანტიდოპინგური სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. გადაწყვეტილება WADA-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა ახლახან მონრეალში ჩატარებულ სხდომის დროს მიიღო.

ახალი წესით, სპორტსმენებს შეეძლებათ, მარისუანა შევიზრებამდე ერთი დღით ადრე ისე მოწიონ, რომ დასჯის არ შეეშინდეთ. ამჟამად კი სპორტსმენს, რომელიც ამ მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებაზე „ჩაჯარდება“, ექსთენიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანტიდოპინგური სააგენტო საკმაო ლოიალობას იჩენს მარისუანასადმი დამოკიდებულებაში და ხშირად დისკვალიფიკაციას „საზოგადოებრივი გაკიცხვით“ ცვლის. მაგალითად, 2009 წელს ანტიდოპინგურმა სააგენტომ რეაგირება არ მოახდინა ინტერნეტში გავრცელებულ სურათზე, რომელზეც სახელგანთქმული ამერიკელი მოცურავე მაიკლ ფელსი (იმ დროისთვის 14 გზის ოლიმპიური ჩემპიონი) მარისუანას ეწევა. სპორტსმენი სამთიანი დისკვალიფიკაციით მხოლოდ ამერიკის ცურვის ასოციაციამ დასაჯა.

ასევე აღმასკომის სხდომაზე განიხილებოდა შესწორებების შეტანა ახალ ანტიდოპინგურ კოდექსში, რომელსაც, სავარაუდოდ, 2015 წლის ნოემბერში მიიღებენ. კერძოდ, ანტიდოპინგური კანონების დარღვევისთვის სასჯელის ვადა 2-დან 4 წლამდე გაიზრდება. ასევე დაგეგმილია იმ პირთა წრის გაზრდა, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან სპორტსმენის მიერ დოპინგის მოხმარებაზე. ასე, მაგალითად, დაისჯება სპორტსმენის მომსახურე პერსონალი, თუ დადასტურდება, რომ მათ სპორტსმენს აკრძალული ნივთიერებების მიღებაში შეუწყვეს ხელი.

გულშემატკივარმა მწვრთნელს კბილის პროთეზი ესროლა

არგენტინული საფეხბურთო კლუბის „არგენტინოს ხუნიორსის“ გულშემატკივარმა გუნდის მთავარ მწვრთნელ კარუსო ლომბარდის კბილების პროთეზი ესროლა. ამ ინფორმაციას ინტერნეტის ადგილობრივი ვებგვერდი ავრცელებს.

ასეთი რეაქცია ჰქონდა კლუბის



ფანს მისი საყვარელი გუნდის მორიგ დამარცხებაზე. „არგენტინოს ხუნიორსმა“ ზედიზედ მეხუთედ წააგო. მან საკუთარ მოედანზე „ბელგრანოსთან“ მატჩში მარცხი იწვნია ანგარიშით 1:3 და ქვეყნის ელიტურ დივიზიონში ადგილის შენარჩუნების შანსი დაკარგა.

მატჩის მიმდინარეობისას „არგენტინოს ხუნიორსის“ თამაშითა და გუნდის მთავარი მწვრთნელის მოქმედებით უკმაყოფილო გულშემატკივრებმა მოედანზე რამდენჯერმე მისროლეს მამუხალები და მხრჩოლავე საგნები. ბოლოს კი უცნობმა ფანმა კლუბის მთავარ მწვრთნელს კბილების პროთეზი ესროლა.

„იუთუბზე“ განთავსებულ ვიდეორჩანაწერში კარგად ჩანს, რომ ლომბარდი ამ საქციელს ირონიული ლიმილით შეხვდა. კარუსო ლომბარდი „არგენტინოს ხუნიორსს“ სათავეში 2013 წელს ჩაუდგა. 51 წლის მწვრთნელის კარიერაში ეს რიგით მეს-13 კლუბია, ამასთან, მას რამდენიმე კლუბში რამდენჯერმე მოუწია მუშაობა.

✓ მთაბადა კახა ხატიაშვილი

როგორ გავანეიტრალოთ საკუთარი პალიზიანება



როში თავხედურად მოგექცნენ, თქვენ კი არაფერი უპასუხეთ. შესაძლებელია მთელი დღე უკმაყოფილო იყოთ საკუთარი თავით იმის გამო, რომ შეურაცხყოფელს საკადრისი პასუხი არ გაცემთ, არ მოიგერიეთ. ნერვებმოშლილი გაღიზიანდებით იმაზეც, რასაც სხვა სიტუაციაში ყურადღებას არ მიაქცევდით. ამიტომ მნიშვნელოვანია, თქვენი მზარდი გაღიზიანება დროულად შენიშნოთ და განსაზღვროთ, რით არის გამოწვეული.

უკმაყოფილების დეაქტივი

მაშ ასე, გაღიზიანებული ხართ. როგორ მოექცეთ?

1. შეამოწმეთ, ფიზიოლოგიური მიზეზებით ხომ არ არის ეს გამოწვეული. ხშირად გაღიზიანებულები ვხდებით, როდესაც ჭამა ან დაძინება გვსურს, სიცხისა და ჩახუთულობისგან გული გვიღონდება, მოუხერხებელ პოზიში ვზივართ, თავს ცუდად ვგრძნობთ და ა.შ.

2. გულისყურით მოუსმინეთ საკუთარ სურვილებსა და მოთხოვნილებებს. იმის მიღების შეუძლებლობა, რაც გვსურს, ან იმის კეთების აუცილებლობა, რაც არ გვინდა, გაღიზიანების კიდევ ერთი გავრცელებული მიზეზია. მაგალითად, მეგობარი ახალ შენაძენს გიჩვენებთ. თქვენ ბრაზობთ, რომ შოპინგი თქვენც გასურთ, მაგრამ ახლა თავს ამის უფლებას ვერ მისცემთ და თან საქმე ისაა, რომ მასთან სულ სხვა თემაზე სასაუბროდ მიხვედით.

3. თუ უკმაყოფილების მიზეზის აღმოჩენაში ეს ორი ნაბიჯი არ დაგეხმარათ, მაშასადამე, ის არა — ანყოში, არამედ

წარსულშია. გაიხსენეთ, სახელდობრ, როდის დაიწყეთ გაღიზიანება, რა ხდებოდა ამ პერიოდში. შეიძლება წვეულებაზე ნაცნობმა რაღაც სანყენი გითხრაო, თქვენ კი გაჩუმდით, ბრაზი ჩაყლაპეთ, სხვებისთვის განწყობა რომ არ გაგეფუჭებინათ.

4. ახლა, როდესაც უკვე მიზეზი იპოვეთ, ეცადეთ, ის მოიცილოთ. პრაქტიკულად ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება საკუთარი დისკომფორტის რაღაც დონით შემცირება: პოზა შეიცვალეთ, თათბირიდან ერთი წუთით გარეთ გასვლა ითხოვეთ და შოკოლადის ნატეხი ან რაიმე სასუსნავი ჭამეთ, საუბრის თემა შეცვალეთ.

ციპხი სიკუცეები და მათი

გადაქნის საშუალებები

შემანსხვლოდ ხმაურიანი კომპანია

სიტუაცია. საღამოს შინ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ბრუნდებით. მძიმე სამუშაო დღე გქონდათ, დაიღალეთ, სიმშვიდე და სიჩუმე გსურთ. თქვენ გვერდით ახალგაზრდები ძლიერ ხმაურობენ, ხარხარებენ, ერთმანეთს ხელს ჰკრავენ.

გამოსავალი. ეს კომპანია არასაკმაოდ მშვიდობიანი გეჩვენებათ? მაშინ თავაზიანად მიმართეთ, უთხარით, რომ დაიღალეთ და სთხოვეთ, უფრო წყნარად იყვნენ. თუ ფიქრობთ, რომ ისინი თქვენს თხოვნას არ შეასრულებენ, მაშინ მათთან გამოლაპარაკება არც იფიქროთ! ასეთი შემთხვევებისთვის ყურსასმენები იქონიეთ, რათა გაიკეთოთ და რაიმე სასიამოვნო მუსიკას მოუსმინოთ.

ზოგონი მყიდველი

სიტუაცია. შეხვედრავს გაგვიანდებათ. ამავედროულად მალაზიაში უნდა შეიაროთ რაღაცის საყიდლად. თითქოს ჯიბურზე, თქვენ წინ რიგში მდგარი მყიდველი აუჩქარებლად ეკითხება გამყიდველს პროდუქტებზე და არჩევანს ვერაფრით აკეთებს.

გამოსავალი. თუ სასურველი საქონელი შეარჩიეთ და მხოლოდ საფასური უნდა გადაიხადოთ, ბოდიში მოიხადეთ, რომ გაგვიანდებათ და მყიდველს სთხოვეთ, წინ გაგიშვათ. თანახმა არ არის და უკმაყოფილებას გამოხატავს? ბრაზს ნება არ მისცეთ, დაგეფუფლოთ. ნაცნობს დაურეკეთ და გააფრთხილეთ, რომ ცოტას იგვიანებთ. თუ ერთმა არ გაგიგოთ, მეორე გაგიგებთ. ვიღაც ყოველთვის მოდის შესახვედრად.

უსიამოვნო საუბარი

სიტუაცია. მეგობრებთან სტუმრად მიხვედით. იმედი გქონდათ, საღამოს კარგ კომპანიაში სასიამოვნოდ გაატარებდით. მაგრამ იქ პოლიტიკაზე თავგამოდებით საუბარი დაიწყეს, ცდილობენ, კამათში თქვენც ჩაგითრონ.

გამოსავალი. პოლიტიკაზე საუბრები ახლობელი ადამიანების წრეშიც კი ხშირად ჩხუბით მთავრდება. ვინაიდან ამ თემამ ვითარება დაძაბა, მოსინჯეთ, საუბარი სხვა კალაპოტში გადაიყვანოთ ან მეგობრებს შესთავაზეთ, თემა შეცვალონ. ერთმანეთი დიდი ხანია არ გინახავთ, ასე რომ, განსახილველი ბევრი საკითხი გექნებათ.

✓ მოაჩხადა აზრ გავოშიტემ

ტოგორ მოვიქცეთ, თუ გარშემომყოფების რაიმე სიტყვას ან ქცევას მოთმინებიდან გამოყვავართ? რა მოუხერხოთ გაღიზიანებას, საქმე ჩხუბამდე რომ არ მივიდეს? მოდით, ყველაფერში თანმიმდევრობით გავფრკვეთ.

ფეთქებადსამი ნეგატივის გუნდა

გაღიზიანება — ეს არის დისკომფორტით გამოწვეული უკმაყოფილება, რომელსაც რაღაც მიზეზით იძულებით უნდა შეეგუოთ: ან არაფრის გაკეთება შეგიძლიათ, ან ვერ ბედავთ. მაგალითად, მოგშივდათ, მაგრამ თათბირის გამო წახემსებაზე უარი თქვით. გასაკვირი არაფერია, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ყველაფერი გაგაღიზიანებთ, რასაც ხელმძღვანელი ან თანამშრომელი ამბობს, მაშინაც კი, თუ მასთან კარგი ურთიერთობა გაქვთ და ის საქმეზე საინტერესოდ საუბრობს.

როდესაც გაღიზიანებას ვყლაპავთ, ის არ ქრება, პირიქით, მხოლოდ გროვდება და შედეგად, ხშირად ამოიფრქვევა მასზე, ვინც უკანასკნელ წვეთს დაამატებს. როდესაც რაღაცამ თქვენი უკმაყოფილება „აამოქმედა“, ამ შექანიზმის შეჩერება ადვილი არ არის. გაღიზიანება თოვლის გუნდასავით იზრდება, რადგან მისთვის ახალი მიზეზები ყოველთვის გამოიძებნება. მაგალითად, მეტ-

ტელევიზორი — ცალკე, ჭამა — ცალკე

ჩართული ტელევიზორის წინ ჭამა ფსიქიკისთვის, საქმლის მონელებისა და ფიგურისთვის მავნეა. სასარგებლო რა არის? გულისყურის მიპყრობა იმაზე, რასაც ჭამთ.

სასიამოვნო არომატები, ლამაზად გაწყობილ მაგიდაზე მადის აღმძვრელი კერძების ცქერა, საქმლის მონელებელი წვენი გამოყოფას ხელს უწყობს. თუ წარამარა ტელევიზორის ეკრანს უცქერით, უნებურად ბევრს ჭამთ, თანაც ცუდად ამუშავებთ. ეს კუჭნაწლავის ტრაქტის მუშაობაში უთანხმოებას წარმოშობს. ამავედროულად, დანაყრების შეგრძობა მნიშვნელოვნად იგვიანებს, რაც ზედმეტი ჭამის კიდევ ერთი მიზეზი ხდება. როგორ გადაეჩვიოთ ამ მავნე ჩვევას?

თავს პირობა დაუდეთ, სამი კვირა ტელევიზორს არ უყუროთ. სწორედ ამდენი დროა აუცილებელი ნებისმიერი ახალი ჩვევის ფორმირებისთვის. თავდაპირველად გაგიჭირდებათ, მაგრამ ძალისხმევა ამაღ ღირს. სუფრა ლამაზად გაშალეთ, ოჯახის წევრებთან, მეუღლესთან ისაუბრეთ, წარსული დღეები გაიხსენეთ, მომავალი დაგეგმეთ. კარგია, ვახშამი საღამოს რიტუალად იქცეს.

თუ უცებ ტელევიზორზე უარის თქმა არ გამოგდით, ულუფის ზომა წინასწარ მოამზადეთ. ჭამეთ და მორჩა, ამაზე გაჩერდით.

სიტუაციაში, როდესაც მტანჯველი შიმშილი გრძნობა შემოგიტევთ, კალორიულ ბუტერბროდებზე უარი თქვით, უპირატესობა ხილსა და კენკრას მიანიჭეთ. საქმელი სასმელი შეცვალეთ, ბალახეული ჩაი დალიეთ.

დაე, თქვენს ცხოვრებაში ბევრი საინტერესო მოვლენა მოხდეს. ცეკვებზე, იოგაზე ჩაენერეთ, ისეირნეთ, სტუმრად იარეთ, იმოგზაურეთ. მაშინ ბევრი რამ გექნებათ ვახშამის დროს საყვარელ ადამიანებთან განსახილველი.



ჩაის პრიოცედურები თქვენი სილამაზისთვის

თუ თვალები დაგინითლდ და დაილალა, ჩაის წყალში ბამბის ტამპონი დაასველეთ და ქუთუთოებზე დაიდეთ.



ჭარბოვანად ამცირებს მაგარი ჩაის ნაყენით დაზღვა-განწმენდა. ფეხების ოფლიანობის დროს გამოიყენეთ ჩაის და მუხის ქერქის ნაყენი. 4 ჩაის კოვზ ჩაის 1 ჭიქა დაფქული მუხის ქერქი დაუმატეთ.

ჩაის აბაზანა კარგად ატონიზირებს. 4 ჩაის კოვზ შავ მწვანე ჩაის 1 ჭიქა მდულარე დაასხით, 10 წუთი დადგით და აბაზანაში ჩაუშვით.

კანის სიმკვრივის ასამაღლებლად, საჭიროა ყოველდღიურად 1-1,5 ლიტრი სუსტი ჩაი დალიოთ რძით ან ლიმონით. შიგნიდან ასეთი „დატენიანება“ კანს სინაზესა და ელასტიკურობას უნარჩუნებს.

მწვანე ჩაის მაგარი ნაყენი ლიმონის წვენი დანამატით გამოიყენეთ ანთების, ფოროვანი და ცხიმოვანი კანის დროს კომპრესისთვის, ხოლო ფერიმჭამელებიანი კანი კარკადეს ნაყენით გაიწმინდეთ.

მწვანე ჩაის ყინულის კუბიკები კანს სინორჩეს მატებს, ანთებისა და დაღლის კვალს აქრობს.

როგორ შეაფხომო დედამთილს

ყველამ იცის, რძლისთვის დედამთილთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ადვილი რომ არ არის. ორი დიასახლისისთვის ერთი სამზარეულო ყოველთვის ვინროა. ამას ემატება ისიც, თუ დედამთილს მძიმე ხასიათი აქვს, მბრძანებლობა უყვარს და თანაც არ მოსწონხართ. მართალია, ამას პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ყველაფერი უსიტყვოდ ნათელია. როგორ მოიქცეთ? აუჯანყდეთ? რა თქმა უნდა, არა. უფრო გონივრული მოქმედება გმართებთ.

1. უნდა გაიგოთ, კარგად გააცნობიეროთ და რაც შეიძლება ხშირად იმეორეთ, რომ დედამთილს თქვენი არაფერი მართებს, მოვალე არ არის, ისე უყვარდეთ, როგორც თავისი შვილი, ვალდებული არ არის, დაგეხმაროთ. თუ თავისი სურვილით რამეს გაგიკეთებთ, ამისთვის მაღლობა გადაუხადეთ. მალე ერთმანეთს შეეჩვევით და პატივისცემით მოეპყრობით.

2. ასევე მეტად მნიშვნელოვანია ნებისმიერი პრობლემა მაშინვე გადაჭრათ, სანამ უკმაყოფილებასა და გულისწყრომაში გადავა.

3. თავი მის ადგილას წარმოიდგინეთ.

სახლის ყველაზე უსუფთაო ადგილების რეიტინგი

II ცით, რომელია სახლში ყველაზე უსუფთაო ადგილები? ალბათ ფიქრობთ, ეს უნიტაზის დასაჯდომია? სულაც არა. ამერიკელმა მეცნიერებმა ყოველდღიური მოხმარების საგნებზე მიკრობების რაოდენობა გამოთვალეს და შედეგად სახლში ყველაზე უსუფთაო ადგილები გამოავლინეს. ამ სიაში უნიტაზი საერთოდ არ მოხვდა. სამაგიეროდ, პირველ ადგილზე მოულოდნელად აღმოჩნდა ბოსტნეულისა და ხორცეულის დასაქუცმაცებელი დაფა.

1. **დასაჭრელი დაფა.** მასზე მიკრობების რაოდენობა 200-ჯერ მეტია, ვიდრე უნიტაზის დასაჯდომზე. პარაზიტული მიკრობების დაგროვების თავიდან ასაცილებლად, დროდადრო დაფა ცხელი წყლით გარეცხეთ და 5%-იანი ძმრით ან სპირტით დაამუშავეთ, შემდეგ გააშრეთ. კარგი იქნება, ცალ-ცალკე გქონდეთ დანები და დაფები ხორცისთვის, თევზულისა და ბოსტნეულისთვის. დაფა ნახევარ წელიწადში გამოცვალოთ.

2. **ტელეფონის ყურმილი.** აპარატი, განსაკუთრებით ყურმილი, 2-3 დღეში ერთხელ ჯერ სველი, შემდეგ მშრალი ხელსახოცით აუცილებლად გულმოდგინედ გაწმინდეთ.

3. **ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი.** თუ ყოველდღიურად ბევრი ჭურჭლის დარეცხვა გინევთ, ღრუბელი ყოველ კვირაში გამოცვალოთ.

4. **აბაზანის ფარდა.** ტენიანი ჰაერის გამო, მასზე უამრავი მიკრობი გროვდება. თვეში ერთხელ გარეცხეთ და ხშირად შეცვალოთ.

5. **ნავის კალათა (ვედრო).** თვეში 2-ჯერ სპეციალური საშუალებით კარგად გარეცხეთ.

6. **ჭურჭლის სარეცხი მანქანა.** მანქანის რეზინის თასები სპეციალური საშუალებით ორ კვირაში ერთხელ უნდა გარეცხოთ. ეს ასევე ეხება მაცივრის კარის რეზინას.

7. **სარეცხი მანქანა.** გარეცხვის შემდეგ გადარჩენილი მიკრობები სარეცხ მანქანაში თავს შესანიშნავად გრძნობენ. ამიტომ სასურველია, ცხელი წყლითა და ძმრის ან ლიმონმჟავას დამატებით, ციკლი თვეში ერთხელ ააშუშაოთ. თვეში ერთხელ რეზინის თასები სპეციალური საშუალებით გარეცხეთ.



ნის თასები სპეციალური საშუალებით გარეცხეთ.

8. **სასაპნე.** უსუფთაო სასაპნე არამხოლოდ ესთეტიკურად უსიამოვნოა. ის ხშირად კანდიდას ტიპის ბაქტერიების კერად ითვლება. ცნობილია, რომ ეს ბაქტერიები რძინას, გინგივიტისა და სტომატიტის პროვოცირებას ახდენენ. მოცემულ შემთხვევაში საპნის ანტიბაქტერიული თვისებები ვერაფერს გახდება. საერთოდ სასაპნე თავის საპნიანი ხსნარით, მიკრობებისთვის შესანიშნავი ადგილსამყოფელია. თუ ნატურალური საპნით სარგებლობთ, მის შემადგენლობაში არსებული გლიცერინი, ხილისა და მცენარეების ნაწილაკები, ნატურალური ეთერზეთები ინფექციების გამრავლებას კიდევ უფრო უწყობს ხელს. ასე რომ, სასაპნე იდეალურად სუფთა უნდა იყოს, ან თხევადი საპნი გამოიყენეთ.

9. **პულტები.** ტელევიზორის, მუსიკალური ცენტრის, კონდიციონერის პულტი ბაქტერიების ბუდეა. ფრთხილად, მოწყობილობა რომ არ დაზიანდეს, მიკრობების გასანადგურებლად კვირაში ერთხელ ისინი სპეციალური ხსნარით გაწმინდეთ.

10. **საფულე.** მათზე ყველანაირი მიკროორგანიზმი ბინადრობს, რომლებიც იქ ფულთან ერთად ხვდება. დროდადრო საფულე შიგნიდან სპირტიანი ხელსახოცით დაამუშავეთ.

11. **ტუალეტი.** კარგი დიასახლისი ტუალეტს ისე ასუფთავებს, რომ მიკრობებს შანსი არ აქვთ, გადარჩენენ, მაგრამ მთელ ძალას სანტექნიკისა და იატაკის სისუფთავეზე ვხარჯავთ და ხშირად ჰაერს არ ვანიავებთ. საქმე ისაა, რომ გაუნიავებელ შენობაში ჰაერი გუბდება, მაშასადამე, მიკრობები არსად მიდიან. ხოლო სპრეებისა და ჰაერის გამასუფთავებლების გამოყენება ალერგიულებისთვის საშიშია. ამიტომ ტუალეტში განიავების კარგი სისტემა სისუფთავის ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

12. **კბილის ჯაგრისი.** ის შეიძლება შესანიშნავი ადგილი გახდეს ასობით მილიონი ბაქტერიისთვის, რომელთა შორის შეიძლება იყოს კანდიდა, სტრეპტოკოკები, სტაფილოკოკები, ნაწლავის ჩხირი. თუ ტუალეტი და აბაზანა ერთად გაქვთ, მაშინ კბილის ჯაგრისზე შეიძლება უნიტაზიდან დამატებით დაგროვდეს პათოგენური ბაქტერიები. ჩარეცხვის დროს ისინი ჰაერიდან ირგვლივ ყველაფრის ზედაპირზე გადადიან, მათ შორის აბანოს პირსახოცზეც. ამიტომ უნიტაზს თავსახური აუცილებლად დააფარეთ, ხოლო კბილის ჯაგრისი მისგან არანაკლებ 2 მეტრის დაშორებით მოათავსეთ. სასურველია, ჯაგრისი ყოველ თვეში შეცვალოთ.



✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



კანი-ლოკოკინა


38 წლის ჩინელი ლიუ ლინჩაო ბამბუკისა და ზენრებისაგან ამენებული 60 კილოგრამიან ფაცხას ზურგით ეზიდება და იქ მიდის, სადაც მოესურვება. ფაცხის შიგნით ლიუ საჭმლის მოსამზადებლად ცეცხლსაც კი ანთებს და არც წვიმისა და სიცივის დროს ექმნება დისკომფორტი.

ლიუმ ეს სახლი 5



წლის წინ ააგო და მას შემდეგ მასში ცხოვრობს. მოხეტიალე ცხოვრების მოყვარული კაცი ამჟამად სამხრეთ კორეაშია და ვაჭრობით ირჩენს თავს — მეორადი მოხმარების ბოთლებს ყიდის.

მსოფლიოში ყველაზე მაღალ ატრაქციონზე პირველად კოსმონავტი დაჯდა



შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში ახლახან მსოფლიოში ყველაზე მაღალი ატრაქციონი გაიხსნა. მისი სიმაღლე 120 მეტრია. 12 ადგილიანი ატრაქციონი 3 მეტრი სიგრძის ჯაჭვებზეა გამობმული, სავარძლები კი ატრაქციონის წვერზე სპეციალურ ამწეს ააქვს.

ატრაქციონის პირველი სტუმარი შვედი ასტრონავტი არნე კრისტერ ფუგლესანგი გახლდათ.



კაბა 17,6 მილიონ დოლარზე

მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კაბა დუბაიში შეკერეს, რომლის ფასი 17,6 მილიონი ამერიკული დოლარია.

მუსლიმ ქალთა ტრადიციული სამოსი, ანუ აბაი, აბრეშუმისგან შეკერეს და სხვადასხვა ორნამენტით მოქარგეს. სამოსი რეკორდების მოყვარული შეიხების შეკვეთა იყო და ბრიტანელმა დიზაინერმა შეკერა.

კაბა 1899 წვრილი და 100 მსხვილი შავი ბრილიანტითაა გაფორმებული. ამას გარდა, წითელი ლალებითაც, რომელთა საერთო ღირებულება 8 მილიონი დოლარია. მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი კაბა

13 კილოგრამს იწონის.

სახლის დემონტაჟის დროს ნაპოვი განძი



მინესოტას შტატში მცხოვრებმა 34 წლის დევიდ გონსალესმა სახლის დემონტაჟის დროს კედელში ჩამალული 1938 წელს გამოცემული კომიქსი იპოვა. კომიქსის გარეკანს ამშენებდა სურათი, სადაც სუპერგმირი მანქანას ჰაერში ორი ხელით ეწეოდა.

დევიდმა „განძი“ ონლაინ აუქციონზე გაიტანა და კომიქსი 10.000 დოლარად გაყიდა. აღსანიშნავია, რომ სახლი, რომლის დემონტაჟსაც ის ახდენდა, სწორედ 10.000 დოლარად ჰქონდა შეძენილი.

30 საათიანი ინტერვიუ



ნორვეგიელმა მწერალმა პანს ოლაგ ლაპლუმმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — მან ყველაზე ხანგრძლივი ინტერვიუ მისცა, რომელმაც 30 საათზე მეტს გასტანა.

მწერალი ინტერვიუს დროს მხოლოდ რამდენიმეწამიან პაუზას იღებდა შესასვენებლად. ის ყველა თემას შეეხო, დაწყებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტიდან საკუთარი გამოგონილი პერსონაჟებით დამთავრებული. ეს ინტერვიუ გინესის რეკორდების წიგნში უკვე შევიდა.

68 სანტიმეტრიანი „ცოცხალი თოჯინა“

5 წლის შარლოტა ჰარსაიდი მსოფლიოში ყველაზე პატარა გოგონაა. მისი სიმაღლე სულ რაღაც 68 სანტიმეტრია, ხოლო წონა — 5 კილოგრამი.



შარლოტას დაავადებას ექიმებმა ჯერ-ჯერობით სახელი ვერ მოუფიქრეს. დაბადებისთანავე ისეთი პატარა იყო, ჯიბეში ეტეოდა. ექიმებმა მშობლებს უთხრეს, რომ მათი შვილი 1 წლამდე ვერ მიიღწევდა, მაგრამ შარლოტა გადარჩა და ჩვეულებრივი ბავშვივით ცხოვრობს. ის სკოლაშიც დადის. მეგობრები კი ცოცხალ თოჯინას ეძახიან.

მკურნალი ექიმის განმარტებით, შარლოტას 3 წლის ბავშვის გონებრივი შესაძლებლობები აქვს. როგორც გაირკვა, მშობლები ამასაც არ ელოდნენ.

ქაღს 8 900 ვინი პუპი „ჰყავს“



დიზაინერი ქალი, 48 წლის დები ჰოფმანი, ვინი პუპის სათამაშოების ყველაზე დიდი მოყვარულია. 8 900 ვინი პუპის თოჯინა მისი სახლის 4 ოთახს იკავებს.

დებიმ სათამაშოების შეგროვება 2 წლის ასაკიდან დაიწყო და დღემდე აქტიურად აგრძელებს ამ საქმეს. როგორც თავად აცხადებს, გაჩერებას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი კოლექცია მსოფლიო რეკორდების წიგნში უკვე შესულია.

ყველაზე ბრძალი კაბა



ლონდონში ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით ინგლისელმა დიზაინერმა ჰენრი ჰოლანდმა მსოფლიოში ყველაზე გრძელი კაბა შეკერა, რომლის სიგრძეც 15 მეტრს აღწევს და სვაროვსკის უამრავი კრისტალითაა მორთული. მისი დემონსტრირება საზეიმო გახსნის ცერემონიაზე მოხდა.

რეკორდული სიგრძის კაბა აკრობატმა კოლექტოროუსმა ჩაიცვა.



ყინულის კაფე უდაბნოში

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ცხელ ქალაქ დუბაიში ყინულის კაფე გაიხსნა, სადაც ტემპერატურა -6 გრადუსია. აქ ყველაფერი ყინულისაა — სკამები, მაგიდები, ჭალები, ფარდები... კაფე ისეთი ნათურებითაა განათებული, რომლებიც სითბოს არ გამოყოფს. ასე რომ, ქალაქის მცხოვრებლებს, სადაც ხშირად ტემპერატურა 40 გრადუსსაც კი აჭარბებს, გასაგრილებლად შესანიშნავი ადგილი აქვთ.

ალსანიშნავია, რომ ყინულის სკამები სპეციალური ზედაპირითაა დაფარული ისე, რომ სტუმრებს ერთი ნაწილის გაყინვის საშიშროება არ ემუქრებათ.



მეცხაქემ დათვი შიშველი ხელებით მოეცა

ბოსნიელმა 48 წლის მეცხვარემ, ბლაზო გროვიკმა, შიშველი ხელებით მოკლა დათვი, რომელიც მისი ცხვრის ფარას თავს დაესხა. ის დათვს უკნიდან მიეპარა და ყელში იქამდე უჭერდა ხელებს, სანამ ძირს არ დასცა.



დათვმა მეცხვარისთვის გარკვეული დაზიანებების მიყენება მოასწრო. ორთაბრძოლის შემდეგ ბლაზომ მოახერხა, ძმისთვის დაერევა, რომელმაც ის ახლომდებარე საავადმყოფოში მიიყვანა.

რამდენად ეშმაკი ხართ?

1. როცა რაღაც უსიამოვნოს თქმა გსურთ, უფიქრდებით იმას, რომ ეს შეიძლება გარშემომყოფთათვის უხერხული მოსასმენი იყოს?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 10

2. როცა სადღაც აგვიანებთ, ცდილობთ, ისე შეხვიდეთ შენობაში, რომ ყურადღება არ მიიქციოთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 10

3. მიგაჩნიათ, რომ აზარტულ თამაშებში ჯობია, სამართლიანად წააგოთ, ვიდრე ეშმაკობით მოიგოთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 10

4. როცა ვიღაცას ეხუმრებით, ის მაშინვე ხვდება თქვენს ჩანაფიქრს?

- ა) დიახ — 10
- ბ) არა — 0

5. შეგიძლიათ იცრუოთ, რათა თანამოსაუბრე გულწრფელად დაგელაპარაკოთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 10

6. სკოლაში შეგეძლოთ, კლასელისაგან ისე გადაგეწერათ დავალება, რომ მას ვერ შეეშინა?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 10

7. ყოველთვის პოულობთ საშუალებას, რომ ის მიიღოთ, რაც გსურთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 10

8. შეგიძლიათ, ისე იეშმაკოთ, რომ ამას ვერავინ მიხვდეს?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 10

შედეგები:

0-20 ქულა — თქვენ უბრალოდ



ეშმაკი კი არა, ნამდვილი ცრუბენტელა ხართ. არ არსებობს თქვენთვის მიუღწეველი რამ, მაგრამ ამას ერთი მინუსი აქვს — ეშმაკობა გარშემომყოფებთან ურთიერთობებში არაგულწრფელ დამოკიდებულებას იწვევს. ალბათ ჯობია, უფრო გახსნილი გახდეთ.

30-50 ქულა — ეშმაკობა შეგიძლიათ, მაგრამ მიზნის მისაღწევად ამ ხერხს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იყენებთ. ბოროტად არავის ეხუმრებით და იცით, ვისთან როგორ მოიქცეთ, ვის ეხუმროთ, ვისთან იეშმაკოთ და ვისთან აბსოლუტურად გულწრფელი იყოთ. ეს ცხოვრებისადმი იდეალური მიდგომაა.

60-80 ქულა — თქვენ იმ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნებით, ვისაც ეშმაკობა არ შეუძლია. სულ პატარა, არავისთვის ზიანის მიმყენებელი ტყუილის თქმაც კი არ შეგიძლიათ, მაშინვე წითლდებით, ნერვიულობთ და სახეზე განერიათ ყველაფერი. საქმეში ეშმაკობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ასე ცხოვრება ძნელია.

გასასიათო აფექტურობა?

1. წყენა დიდხანს გამახსოვრდებათ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

2. მუდმივად ვიღაცასთან ურთიერთობებს არკვევთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

3. როცა ვიღაც განწყენებთ, გესიკვდილებათ, შერიგებისკენ პირველმა გადადგათ ნაბიჯი?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

4. თქვენდამი უსამართლო დამოკიდებულების გამო დათრგუნული დიდი ხნის განმავლობაში რჩებით?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

5. უსიამოვნებების შესახებ ახლობლებს უყვებით, რათა მათგან თანადგომა იგრძნოთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

6. გონებაში ხშირად არკვევთ ურთიერთობებს ადამიანებთან, რომლებმაც განწყენინეს?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

7. თუ ახლობელთან უსიამოვნება მოგივიდათ, შეგიძლიათ, დიდი ხნით გაებუტოთ და არ დაელაპარაკოთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

8. სამსახურში მომხდარი კამათის გამო განცდები დიდხანს მიგყვებათ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

9. ჩხუბის შემდეგ ისე ნანწყენდებით, რომ ყველა თქვენს დასახულ გეგმაზე უარს ამბობთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

10. ხშირად გიჭირთ დაძინება იმის გამო, რომ დღის განმავლობაში მომხდარი უსიამოვნებები თავში გიტრიალებთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 1

შედეგები:

0-4 ქულა — აფექტის მდგომარეობაში ადვილად ვარდებით. შესაძლოა გადაიღალეთ, ან საგაზაფხულო დეპრესია მოგეძალოთ. ნებისმიერ შემთხვევაში დასვენება, სულის მოთქმა გჭირდებათ და, რაც მთავარია, ბევრი დადებითი ემოცია.

5-10 ქულა — აფექტის მდგომარეობაში იშვიათად ვარდებით. ეს ან თქვენი მშვიდი და განონასწორებული ხასიათისა და ნერვების ბრალია, ან ძალიან სწორად ცხოვრობთ, რაც მისასალმებელია.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სულოკუს პასუხები იხ. გვ. 78

ს უ დ ე ტ ა ვ უ

სულოკუს არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გზირდებათ.

№ 1

1		4		3		
	6		2		5	
		8		5		7
		4	9			1
	9			7		8
5	3			2	6	
	1			8	7	
7			5		9	
		2	6			4

№ 2

2			4			9
		6		2		1
	5			3	8	
	7		5			
1				9	4	3
8	4			6	2	
		8		6		5
	1		8			2
		9	7	4		

სულოკუს შედგება 9-9 კორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ კორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

თქვენ და თქვენი სოფლები

1. ხდება ისე, რომ ჩუმად, ისე, რომ არავინ დაგინახოთ, რაიმე გემრიელ სასუსნავს მიირთმევთ?

- ა) დიახ — 5
- ბ) არა — 0

2. ოდესმე გიფიქრიათ, რომელიმე თქვენი ახლობელი რომ არ არსებულებოდა, თქვენი ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნებოდა?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 5

3. ოდესმე სუბერმარკეტიდან ჩუმად რაიმე სასუსნავი ხელისთვის გაგიყოლებიათ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 5

4. ისეც ხდება, რომ ვიღაც საიდუმლოს გაგანდობთ, თქვენ კი სხვებს უყვებით?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 5

5. ოდესმე პარტნიორისთვის გილაღობათ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 5

6. გაგჩენიათ დაუოკებელი სურვილი, ოთხფეხა მეგობარი გეწვავდებინათ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 5

7. ახლობლისთვის დახმარებაზე უარი გითქვამთ მაშინ, როცა ეს მას ძალიან სჭირდებოდა?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 5

8. ხშირად ცრუობთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 5

9. სანაძლეოს მოგების მიზნით შეგიძლიათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე გაშიშვლდეთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 5

10. ოდესმე მშობლებისთვის ფული თუ მოგიპარავთ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 5

შედეგები:

0-20 ქულა — ცოდვებით დამძიმებული ხართ. ალბათ გსიამოვნებთ, კარგების ჯიბრზე ცუდი იყოთ. მოდი, მოინანიეთ, გვერწმუნეთ, გულზე მოგეშვებათ და ცხოვრებას გაცილებით მშვენიერი იქნება.

25-35 ქულა — ჩვეულებრივი ადამიანი ხართ, არც უცოდველი და არც ისეთი ცოდვილი, პირდაპირ ჯოჯოხეთისკენ რომ აქვს გზა. მეტი სულიერება არ განწყნდათ.

40-50 ქულა — თუ ტესტის პასუხების მიხედვით ვიმსჯელებთ, თქვენ წმინდანი ხართ. ნუთუ მართლა ასეა?!

თვითშეფასება სოციალურ გზაჯვარედინზე



1. რამდენად ხშირად გაქვთ განცდა, რომ რაღაც არ უნდა გეთქვას, არ უნდა გაგვეკეთებინათ?

- ა) ხშირად — 0
- ბ) ხანდახან — 10

2. თუ ხუმარა ადამიანთან საუბრობთ, ცდილობთ...

- ა) აჯობოთ ხუმრობაში — 10
- ბ) შეჯიბრს არ მოაწყობთ, მას „გამარჯვებულად“ აღიარებთ და „არენას“ ღირსეულად დატოვებთ — 0

3. ჩამოთვლილი მოსაზრებებიდან ერთ-ერთი ამოირჩიეთ.

- ა) ის, რაც მავანს ბედის წყალობად ეჩვენება, სინამდვილეში თავჩაუხრელი, დაუღალავი შრომის შედეგია — 0

ბ) წარმატებას ხშირად ხელსაყრელი გარემოებები განაპირობებს — 5

გ) რთულ სიტუაციებში არა იღბალი და მიზანდასახულობაა მთავარი, არამედ ადამიანი, რომელიც დაგამშვიდებს და სწორ მიმართულებას მოგცემს — 10

4. თქვენზე შექმნილი შარჟი ან პაროდია გაჩვენეს, თქვენ...

- ა) გაიცინებთ და გაგიხარდებთ, რომ თქვენში არის რაღაც ორიგინალური — 0
- ბ) ეცდებით, პარტნიორში თქვენც მოძებნოთ რაიმე სასაცილო — 5
- გ) განაწყენდებით, მაგრამ არაფერს შეიმჩნევთ — 10

5. მუდმივად გეჩქარებთ, არასოდეს გყოფნით დრო და ისეთ საქმეებს ეჭიდებით, რომელთა შესრულება ერთი ადამიანის ძალეზე აღემატება?

- ა) დიახ — 5
- ბ) არა — 0
- გ) არ ვიცი — 10

6. მეგობრისათვის საჩუქრად სუნამოს არჩევთ...

- ა) იმას იყიდით, რომელიც თქვენ მოგწონთ — 5
- ბ) ისეთ სუნამოს აარჩევთ, რომელიც მას მოეწონება, თუმცა თავად თქვენ მისი რომელიც მაინცდააინც არ გსიამოვნებთ — 0
- გ) აარჩევთ სუნამოს, რომელსაც ახლახან კარგი რეკლამა ჰქონდა — 10

7. გიყვართ ისეთი სიტუაციების წარმოდგენა, რომელიც სულ სხვაგვარად იქცევიდა და არა ისე, როგორც რეალობაში?

- ა) დიახ — 10
- ბ) არა — 0
- გ) არ ვიცი — 5

8. ღიზინდებით, როცა თქვენი ახალგაზრდა კოლეგები უფრო მეტს აღწევენ, ვიდრე თქვენ?

- ა) დიახ — 0
- ბ) არა — 10
- გ) ხანდახან — 5

9. გსიამოვნებთ, როცა ვიღაცას ენინააღმდეგებით?

- ა) დიახ — 5
- ბ) არა — 0
- გ) არ ვიცი — 10

10. დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ 3 ფერი. ჩამოთვლილთაგან ამოირჩიეთ ის, რომელიც ყველაზე იოლად წარმოიდგინეთ?

- ა) ლურჯი — 0
- ბ) ყვითელი — 10
- გ) წითელი — 5

შედეგები:

0-30 ქულა — საკუთარ თავთან ჰარმონიაში ცხოვრობთ. არაჩვეულებრივად იცნობთ საკუთარ „მეს“ და, რაც მთავარია, მას ენდობთ. საოცარი უნარი გაქვთ, გამოსავალი იპოვოთ რთული სიტუაციებიდან როგორც პირად ცხოვრებაში, ისე გარემომყოფების შემთხვევაშიც. თქვენი თვითშეფასების ფორმულა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: „კმაყოფილია საკუთარი თავით, კმაყოფილია გარემომყოფებით“. თქვენ ნორმალური, ჯანმრთელი თვითშეფასების უნარი გაქვთ. შეგწევთ უნარი, საკუთარ თავს თანადგომა გაუწიოთ, ენერგიით აავსოთ, მისცეთ სტიმული და რაც მთავარია, ამას სხვების ხარჯზე არ აკეთებთ.

35-65 ქულა — თვითშეფასებაში ცოტა აჭარბებთ, თვლით, რომ თქვენნიერი ამქვეყნიად არავინაა. საკუთარი თავისადმი ასეთი მიდგომა ცხოვრებაში და ურთიერთობებში ხელს გიშლით, რაც გაღიზიანებთ, მაგრამ ამის ნამდვილ მიზეზს ვერ ხვდებით, უფრო სწორად, არ გინდათ გაცნობიეროთ, რომ ამის მიზეზი თქვენი ქედმაღლობა და საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენაა. ეცადეთ, უფრო უშუალო და გულწრფელი გახდეთ გარემომყოფებისადმი.

70-100 ქულა — საკუთარ თავს სათანადოდ ვერ აფასებთ. გვერწმუნეთ, იმაზე გაცილებით უკეთესი ხართ, ვიდრე გგონიათ; იმაზე გაცილებით მეტი შეგიძლიათ, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ცოტა მეტი სითამამე, გახსნილობა, მკვეთრი ნაბიჯები და ყველაფერი წესრიგში იქნება.

კოჟრი სასუმარო არ არის

კოჟი თითქოს უმნიშვნელოა, დაავადება ახ ახის, მაგამ ნებისმიერი ოთოპედი ამტყიცებს, ხომ ძველი, ფესვადგმული კოჟი შეიძლება ჯანმთებობასთან სეხოზელი უთანბროების მიზეზი გახდეს. თუ ზომებს ახ მიიღებთ, თითქოსდა ეხთი შეხედვით ამ ნეხიღმანის გამო, შეიძლება მენჯ-ბახიდაყის სახსახი და ხეხემალი დაიგანვოს.

ბევრმა საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ კოჟრი არსებობს მშრალი და სველი. სველის დროს, მასში დაგროვილი სითხის გამო, ჭრილობა ძალიან მტკივნეულია, სანამ ბუშტი არ გასკდება. სხვათა შორის, საჭიროა ყველა საშუალებით მისი რაც შეიძლება სწრაფად „გაშრობა“.



მშრალი კოჟრი იზბარება და მასში მაშინვე ბინას იღებს ანთების გამომწვევი მიკროორგანიზმები. ის არამხოლოდ კანის ზეგით იზრდება, არამედ სიღრმეშიც და ტერფის დეფორმაციას იწვევს. მშრალ კოჟრთან ბრძოლა საჭიროა ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით.

პლასტიკი დაგეხმარებათ

კოჟრის მოსაცილებელი ყველაზე მარტივი საშუალება პლასტიკია. სუფთა და მშრალ კანზე არანაკლებ ორი დღე-ღამისა უნდა დაიდოთ. საჭიროების შემთხვევაში პროცედურა გაიმეორეთ.

მეორე არანაკლებ ეფექტური საშუალებაა ცხელ წყალში კოჟრის დარბილება და პემზით აფხევა, მაგრამ, ფესვადგმულისა და შიგნით ჩაზრდილის შემთხვევაში, პემზა ვერ დაგეხმარებათ, კოჟრი ისევ და ისევ გაიზრდება.

ხალხური საშუალებები

მშრალი კოჟრი

ძილის წინ ფეხები ცხელ წყალში ჩაყავით, კარგად გაიმშრალეთ და კოჟრზე ლიმონის ქერქი ცოტაოდენი რბილობით დაიმარეთ. 3-5 დღე სახვევით იარეთ, სანამ კოჟრი არ გაქრება.

ალოეს ფოთოლი სიგრძეზე გაჭერით, რბილობის მხრიდან კოჟრზე დაიდეთ და მთელი ღამე გადახვეული გქონდეთ.

ძილის წინ კოჟრზე ლიმონის ქერქი რბილობით დაიმარეთ. 2-3 დღის განმავლობაში პროცედურა გაიმეორეთ. მეოთხე დღეს ცხელ წყალში სოდა ჩაუმატეთ და ფეხები დაირბილეთ. შემდეგ კოჟრი აკურატულად მოიცლიეთ. პროცედურის შემდეგ, კოჟრისგან გათავისუფლებულ ადგილზე ბავშვის კრემი წაისვით. ლიმონის მაგივრად შეგიძლიათ შემწვარი ნიორი გამოიყენოთ.

სველი კოჟრი

დასაწყისში ფეხი (ან ხელი) ცივ წყალში ჩადეთ, შემდეგ ბარდა მწვანე ჭოტთან ერთად დალექეთ და კოჟრის ბუშტს დაადეთ. შეიძლება ეს მეთოდი არცთუ ძალიან ესთეტიკურია, სამაგიეროდ მოქმედია. ფაფა არამხოლოდ ტკივილს აქრობს და აშუშებს, ასევე დაზიანებული კანის გაუხეშებას აბრკოლებს.

მტკივნეული ადგილი სპირტით ან ოდეკოლონით დაიმუშავეთ და ნემსით (წინასწარ სპირტით გაასუფთავეთ ან ცეცხლის ალზე მოათარეთ) ფრთხილად უჩხვლიტეთ. გახსნილი ბუშტის კანი არ მოჭრათ — დამატებითი დაცვის როლს შეასრულებს. შემდეგ ბრილიანტის მწვანე წაისვით, სხვაგვარად ჭრილობა შეიძლება დაჩირქდეს და შედეგად დიდხანს შეუხორცებელი წყლული გაჩნდეს. „ოპერაციის“ დასასრულს ანტიბაქტერიული პლასტიკი დაიდეთ.

ექიმი ბაბუაწვერა



უძველესი დროიდან ბაბუაწვერა სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება. ცნობილი სპარსელი ფილოსოფოსი და ექიმი ავიცენა ამტყიცებდა, რომ ბაბუაწვერა წყალმანკის, კუჭ-წნაღავისა და ღვიძლის დაავადებების

დროს ეხმარება. მას სიცოცხლის ელექსირს უწოდებენ, ვინაიდან ძალასა და მხნეობას მატებს.

ბაბუაწვერათი მკურნალობა შეიძლება გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. მასში იყენებენ ყვავილებს, ზაფხულში — ფოთლებსა და ღეროებს, შემოდგომაზე — ფესვებს. ამ სარეველას ნალველმდენი, საფალარათო, სიცხის დამწევი, ამოსახველებელი, ოფლმდენი, დამამშვიდებელი და მსუბუქად ძილის მომგვრელი მოქმედება აქვს. აგრეთვე ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს, საჭმლის მონელებას აუმჯობესებს, სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებს, ნერვულ სისტემას ატონიზირებს და მთელ ორგანიზმს აახალგაზრდავებს.

ქოლესტერინის დონის შესამცირებლად

ფესვები დაფქვით და დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, 1/2 ჩაის კოვზი მიიღეთ. თაფლით დაატკბეთ ან თაფლიანი წყალი დააყოლეთ.

ღიაბეტისა და ქოლესტიტის დროს

1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ფესვებს 1 ჭიქა მდულარე დაასხით, ადუღებამდე მიიყვანეთ, გადმოდგით და 2 საათი დადგით, გაწურეთ. დღეში 3-ჯერ, ჭამის წინ, 1 სუფრის კოვზი მიიღეთ. მკურნალობის კურსი 1 თვე.

გამაახალგაზრდავებელი ჩაი

2 ჩაის კოვზ წვრილად დაჭრილ ქორფა ფოთლებს 1 ჭიქა ცივი წყალი დაასხით, ადუღებამდე მიიყვანეთ, 1 წუთი ადუღეთ. 10 წუთი დადგით, გაწურეთ. ბაბუაწვერას ჩაი თითო ფინჯანი დღეში 2-ჯერ დალიეთ ერთი თვის განმავლობაში. ასეთი კურსის შემდეგ თავს ჯანმრთელად და ახალგაზრდულად იგრძნობთ.

უკუჩვენება: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობა, ფალარათისკენ მიდრეკილება.

ხილი სწორად ვჭამოთ



კრავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ენერგიით სწრაფად ავსებაში ხილი გვეხმარება. ხილი შაქრის სწორედ ის წყაროა, რომელიც დღის განმავლობაში პერიოდულად გვესაჭიროება. ორგანიზმში ხილის შეთვისება სწრაფად ხდება, მაგრამ სარგებლობა რომ მოგვიტანოს, საჭიროა რეკომენდაციების დაცვა.

ხილი ჭამეთ ძირითადი კვების შუალედებში. მათი მიღებიდან შემდეგ ტრაპეზამდე არანაკლებ 30 წუთისა უნდა გავიდეს.

ხილთან ერთდროულად არავითარ შემთხვევაში არ ჭამოთ კანფეტი, შოკოლადი და შაქრის შემცველი სხვა პროდუქტები!

✓ მოაჩხადა აზა გავთშიძე

გვჯახებოხონს ექიმი



— ფეხმძიმობის შედეგად მკერდი ძალიან დაბლა დამეწია, რა გავაკეთო, რომ ისევ ძველი ფორმა დაუბრუნდეს?

— მკერდის ფორმის შეცვლა მხოლოდ პლასტიკური ოპერაციით შეიძლება.

— ვარ 30 წლის, გაუთხოვარი, მაქვს ქავილი და გამონადენი. რას მარჩევთ?

— აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს, ჩაიტარეთ ნაცხის ანალიზი და მკურნალობაც შესაბამისი დაგეგმილია. გამონადენი და ქავილი შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც სოკოვანი დაავადებით, ასევე ტრიქომონითაც, საჭიროა დროული მკურნალობა.

— ვარ 26 წლის, მაქვს ვეგეტარიანული ნეკრობატიოლოგიის დანაშნულმა წამლებმა აღერვათ მამცა. ფაქრი იმაზე, რომ არ გავიყუდე არ მასვენებს. მარჩიეთ რაზე?

— აუცილებლად მიმართეთ ნევროპათოლოგს, რომ დანიშნულება შეგიცვალოთ და სხვა წამლები დაგინიშნოთ. რადგან აკვირებული ფიქრები გაქვთ, თვითნებური მკურნალობა შედეგს არ მოგცემთ. ამიტომ დროულად მიმართეთ ექიმს.

— მარცხენა მხარეს, ბუჭის არეში მაქვს ტკივილი, განსაკუთრებით მაშინ, თუ ვინერგოვლე ან მძიმე ავსუე. რას მარჩევთ?

— აუცილებელია კარდიოლოგის კონსულტაცია. ზეპირად რჩევის მოცემა არასწორი იქნება.

— რამდენად სასარგებლოა გლიცერინის და ბუსკოპანის საწილები და რამდენჯერ შეიძლება დღის განმავლობაში გავიყუდე ვქმის ვარეშე?

— დღეში სამჯერ შეგიძლიათ გამოიყენოთ. საწილის გავითების შემდეგ 5-10 წუთი წამოწეით.

— ვარ 14 წლის, მენსტრუაცია მიცდება სამი თვით, მაქვს ასევე თვითი გამონადენი. როგორ ვამკურნალო?

— პირველ რიგში, უნდა გითხრათ, რომ თეთრი გამონადენი მენსტრუალური ციკლის დარღვევას არ გამოიწვევს. გამონადენი გამოწვეულია ანთებითი პროცესით, უნდა ჩაიტაროთ ნაცხის გამოკვლევა, რადგან გამონადენის მიზეზი ხშირად სოკოა და ჩაიტაროთ შესაბამისი მკურნალობა. რაც შეეხება მენსტრუაციის არასტაბილურობას, მას ჰორმონალური დარღვევა იწვევს, მაგრამ, თქვენნი ასაკიდან გამომდინარე, შეიძლება მკვეთრი ჩარევები არ იყოს საჭირო. აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს, თუ ექიმი საჭიროდ ჩათვლის, ჰორმონალურ გამოკვლევას ჩაგიტარებთ. მკურნალობა უნდა დაინიშნოს ზუსტად, რათა შემდგომში გართულებები არ დაერთოს.

— რა არის სასქესო ორგანოთა ჰერპესი?

— სასქესო ორგანოთა ჰერპესი ამ ვირუსის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მამთიდან და 1779 ჯამთილიდან.

1 სმს-ის ფასია: მამთიდან 1 ლარი, ჯამთილიდან 50 თეთრი.

მისი გამომწვევია მარტივი ჰერპესი მეორე ტიპი. ვლინდება კანის ჰიპერემიით და წვით, შემდგომში კი მტკივნეული ბუშტუვების გამოყრით სასქესო ორგანოზე. საკმაოდ სერიოზული დაავადებაა და დიდ ყურადღებასა და პერიოდულ თერაპიულ მიდგომებს მოითხოვს. ამას, რა თქმა უნდა, სპეციალისტთან ვიზიტი სჭირდება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მისი სიმძიმე და გადაწყდეს, ჩაატარდეს თუ არა მკურნალობა. თუ ორსული არ იყო ინფიცირებული მარტივი ჰერპესის ვირუსით და ორსულობის პერიოდში პირველად დაემართა, ამან შეიძლება ნაყოფისთვის რალაც პრობლემები შექმნას. თუ ქალი ორსულობამდე იყო ინფიცირებული ჰერპესივრუსით და ორსულობისას გაუმწავდა, ამ შემთხვევაში დაავადება შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს და მკურნალობის ტაქტიკას ექიმი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად არჩევს.

— მაქვს კისტა. შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში დაფეხმძიმება?

— აუცილებლად მიმართეთ გინეკოლოგს.

ლოგს. კისტა არსებობს სხვადასხვაგვარი. ეს დამოკიდებულია მის წარმოშობაზე, აგებულებაზე. არსებობს კისტა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში გაიწოვება. მაგრამ დერმოიდული კისტის შემთხვევაში ხშირად ოპერაციული ჩარევაა საჭირო. გამოკვლევის გარეშე არ გირჩევთ დაფეხმძიმებას.

— გამოყვითლდა ფრჩხილი, მალამოებმა არ მიშველა. რას მარჩევთ?

— მხოლოდ გაყვითლება სოკოვანი დაავადების ნიშანი არ არის, აუცილებლად მიმართეთ დერმატოლოგს, საჭიროა შინაგანად მისალევი პრეპარატების დანიშვნაც.

— რა აწვევს პირში უსიამოვნო სუნს და როგორ ვუმკურნალო საწლის პარიტეზმა?

— პირში უსიამოვნო სუნი მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ბუნებრივია, პირველ რიგში, პირის ღრუში თუ არის პრობლემა, უნდა მოწესრიგდეს. უსიამოვნო სუნის მიზეზი შეიძლება კუჭნაწლავის პრობლემიდან მომდინარეობდეს. პირის ღრუში ჩაიდეთ ერთი კოვზი თაფლი და წუნეთ, თუ ღრძილების ანთებითი პროცესი მიმდინარეობს, პრობლემა ნაწილობრივ მოგიწესრიგდება. გამოივლეთ საღბის ნაყენი. მაგრამ, თუ პრობლემა შინაგანი ორგანოებიდან მომდინარეობს, სპეციალისტს მიმართეთ.

თხტასქმთან მეტმბტმა კანს და თეგქას ქსტმა



ნებისმიერი ადამიანი, ვინც ოხრახუში „თანამგზავრად“ გაიხადა, კარგად გამოიყურება და თავს მშვენივრად გრძნობს. მთავარი — საჭირო არ არის დიდი დროს დახარჯვა განსაკუთრებული კერძების მომზადებაზე. უბრალოდ, 1-2 ლერი ოხრახუში ქამის შემდეგ დაღეჭეთ, შედეგად, კუჭი საკვებს ადვილად გადაამუშავებს, სუნთქვა სუფთა და გრილი გახდება.

ან ასეთი ვარიანტი: საღამოს ოხრახუშის ფოთლები წვრილად დაჭრით, 1 ქიქა კეფირი ან მანონი დაუმატეთ, აურიეთ და დალიეთ. მეტი არაფერი მიიღოთ. რა თქმა უნდა, პირველად კანის ფერის ცვლილებებს ვერ დაინახავთ, მაგრამ, თუ ამას მუდამ გააკეთებთ, ეფექტი გაგაოცებთ. სხვათა შორის, თუ ამ კოქტეილში კოჭას და კამას დაუმატებთ, ამით ორგანიზმში გაცეხის პროცესებზე ზემოქმედებას მოახდენთ. საბოლოო ჯამში, ზედმეტი ნონა გაქრობას დაიწყებს.

არსებობს ოხრახუშის გასახდომი კოქტეილის კიდევ ერთი რეცეპტი: 1 ქიქა მინერალურ წყალში 20 გრამი ოხრახუში, 20 გრამი კამა, 1 დიდი კიტრის და ნახევარი ლიმონის წვენი ჩაუმატეთ. დღის განმავლობაში, როდესაც ქამა მოგინდებათ, ეს კოქტეილი დალიეთ. შეგიძლიათ დღეში 1 ლიტრამდე დალიოთ, მეტი — არა.







მატდა — მწვანე მუქნალი

კანადელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მწვანე ბარდის შემადგენლობაში არსებული ცილები დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობაზე, სისხლის წნევას არეგულირებს. ამიტომ ეს პროდუქტი მეტად მნიშვნელოვანია ჰიპერტონიკებისთვის. ამ პარკოსანში ბევრია მინერალური მარილი, მიკროელემენტი, ვიტამინი, განსაკუთრებით B ჯგუფის. ასევე არის ასკობინის მჟავა, ფოლიუმის მჟავა და რკინა. სწორედ ამიტომ ანემიის დროს ექიმები გვირჩევენ, ამ ბოსტნულს მივეძალოთ. გარდა ამისა, ბარდა მდიდარია იოდით — აუცილებელი ელემენტი, რომელიც ჩიყვის (ფარისებური ჯირკვლის გადიდება), ათეროსკლეროზისა და სიმსუქნისგან გვიცავს.

ბარდა გამოიყენება ხალხურ მედიცინაშიც. მწვანე ბარდისგან ფავა მოამზადეთ, კვერცხის ცილა შეურიეთ და ჭრილობაზე, ფურუნკულზე დაიდეთ — სწრაფად მოაშუშებს. 3-4 ქორფა მარცვალი (ან გამხმარი და წყალში დამბალი) ქამეთ — გულმმარვას ხსნის.

1. კომბოსტოს სახე-ობა; 2. ერთგვარი ღოღანა-შო; 3. ... კრუზი; 4. ისრის წვერი; 5. დიდი ჩაქუჩი; 6. შხამიანი გველი; 7. დირი-ვაბლების იტალიელი კონ-სტრუქტორი; 8. ფულის მიღება მრწმუნებლის და-ვალებით; 9. ტომის მეთა-ური; 10. ამქვეყნიური სი-ამოწმებებისგან განდგომი-ლი ადამიანი; 11. დამხმარე თეორემა; 12. ბერძნული ანბანის ასო; 13. ღვთის სადიდებელი შეძახილი; 14. მდინარე შვეიცარიაში; 15. ჯარი, ლაშქარი; 16. ტრო-პიკული ნესვის ხე; 17. უწმანური ნახატი, ფოტო; 18. რომის პაპის გვირგვინი; 19. ჭირვეულობა; 20. სამხედრო იარაღის საწ-ყობი; 21. სახობო ლექსი; 22. ქალაქი დასავლეთ სა-მოაში; 23. საარჩევნო ...; 24. ცეცხლის ანადენი; 25. საკუთარ თავზე დიდი წარ-მოდგენა; 26. კაპიტალიდან მიღებული რეგულარული შემოსავალი; 27. ... ორჯო-ნიკიძე, პოეტი; 28. ...-ტაგი-ლი; 29. სუსტი არაყი; 30. კრივის მოედანი; 31. ქა-ლაქი შვეიცარიაში; 32. საგნის კონტური; 33. კავ-შირი, გაერთიანება; 34. მალალი თანამდებობა; 35. ფრანგული ავტომობილი; 36. ძველფრანგული ოქ-როს და ვერცხლის ფული; 37. ... ქარი; 38. სცილა და ...; 39. დაუძლეველი ნდო-მა, სურვილი; 40. ინდური ლიტერატურის ძეგლების უძველესი ნაწილი; 41. სა-ხელმწიფო აზიაში; 42. ბი-ლიარდის ჯოხი; 43. ტაძა-რი თბილისში; 44. საერ-თო ევროპული ვალუტა; 45. ალოე ძველქართულად; 46. ... რიშარი; 47. შტატი აშშ-ში; 48. ნოტიო, ჩახუ-რებული ფქვილი; 49. გე-მებზე ხმარებული ქერე-ლის თოკი; 50. იერარქიუ-ლი კიბე; 51. ლითონის საულარუნებელი; 52. სო-ფელი გორის რაიონში; 53. ... კოლინზი; 54. ალგო-რითმული ენა; 55. ალუმი-ნის პატარა სამგზავრო ჭურჭელი წყლისთვის; 56. დაბალი, ხშირი ბუსუსები ზოგ ქსოვილებზე; 57. მდი-ნარე პირენეის ნახევარ-კუნძულზე; 58. ფრანგი კომ-პოზიტორი; 59. დავა, პაექ-რობა; 60. სუფრის წინამ-ძღოლი; 61. უხრეღის ბირ-თვის შეღებილი ნაწილი; 62. კარტი; 63. ... იოსელი-ანი.



სიყვავი-კოდი

1	2	3	4	5	6

უაზრო, გაუთავებელი ღაპარაკო

წინა ნომერი გამოყენებული კოდიანი სკანორკლის პასუხები

1. პატენტი; 2. ტიტანი; 3. ნეო; 4. ფრესკა; 5. კრონა; 6. იო; 7. რასელ; 8. ნაიბი; 9. კოკაინი; 10. ალაფი; 11. ანჰარი; 12. სარაგოსა; 13. მის; 14. ომარი; 15. ფრი; 16. ტრისტოტი; 17. ფრივოლური; 18. კაშენი; 19. ავმარა; 20. ავა; 21. ლაინერი; 22. ნამი; 23. ბის; 24. ნივა; 25. მასრა; 26. ორლი; 27. ელი; 28. კონიაკი; 29. აი; 30. კოლტი; 31. კონინ; 32. აქსიომა; 33. კროლი; 34. ომარ; 35. მარინა; 36. ზეკარი; 37. მუმეი; 38. ანოა; 39. ყირმიზი; 40. ელა; 41. ოზმა; 42. აბაჟური; 43. თერაპია; 44. არყა; 45. ფათომი; 46. თხა; 47. ალექ; 48. სიმულაცია; 49. ელ; 50. ლიზოციმი; 51. ხანა; 52. სვია; 53. სენაჟი; 54. რაფია; 55. უნ; 56. ხორშაკი; 57. ფრაბტი; 58. წიგნი; 59. ბრიჯი; 60. ქიში; 61. რო; 62. ონაგრი; 63. ჯონკა. **სურათებზე:** ტაირა ბენქსი; კიმ ალექსისი; კრისტი ბრინკლი; შანია ტვეინი.

კუდი: ეუვასი

მეზანე სკანოკრიდი



1. ტაბლეტი

2. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი

3. ბატონო ინგლისურად



↓	↙	4. ქართველი მხატვარი	5. პატივი, პატივისცემა	→								
6. ჯომო-ლუნგმა	→									7. ატმოსფერული მოვლენა	8. თავნება	
										↓	↗	
			9. ქალაქი სამეგრელოში	↖	10. ... ჩაპლინი							
		11. ვაჟიშვილი	↖	12. თბის ჯოგი	↘	13. გომბეშო	↖	14. პოლიგუდელი ორთაბროძელის ოსტატი	↗	15. ფერფლი	16. მსუბუქი ნამცხვარი	17. ... ჯუნკაი, ჩინელი დემოკრატი
↖	18. კენის მსხვერპლი	19. ღამის ფრინველი	↗							20. ... კოსტავა		↗




21. ბოლო ნოტი

22. ნაბიჯი ბალეტში



წინა ნომერში გამოქვეყნებული მეზანე სკანოკრიდის პასუხები

1. სე; 2. ფა; 3. რა; 4. „ჩაი“; 5. არკადა; 6. არ; 7. ჭა; 8. ალვი; 9. უსწრაფესი; 10. აშული; 11. უხა; 12. საუნა; 13. რემბო; 14. მენიუ; 15. ირმის; 16. რუ; 17. ამია; 18. ინდრა; 19. ია; 20. ინა; 21. ავი; 22. ანრი; 23. ირი; 24. აისი; 25. კუ; 26. ხეკორძულა; 27. ხე. სურათიშვა; მარწყვი; ლეღვი; ვაშლი; ყურძენი.



8 ფაქტი ჯვერცხის ირგვლივ

1. ჯვერცხი დეკუჩია

კვერცხის გული უნიკალური პროდუქტია მათთვის, ვისაც გახდომა სურს. მხოლოდ 100 კკალორიას შეიცავს. ამინომჟავები მთელი დღით დანაყრების შეგრძნებას იძლევა.

2. საჯები ცვინისთვის

კვერცხის გული ბევრ ლიცეტინს შეიცავს. ის სასარგებლოა არამხოლოდ ლვიძლისთვის, ასევე ყურადღების კონცენტრაციას მნიშვნელოვნად ზრდის.

3. ჯვერცხის ბუმი

დაახლოებით 215 კვერცხს მიირთმევს წელიწადში დიდი ქალაქების თითოეული მცხოვრები. საოცარია, ბევრ კვერცხს ვჭამთ არა აღდგომას, ძირითადად ეს არის კვერცხზე მომზადებული ნამცხვრები, ტორტები და სოსუსები.

4. სიცოცხლის სიმბოლო

ჩინეთში კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა. როდესაც ოჯახში ახალი წევრი იბადება, ბედნიერების ნიშნად კვერცხს წითლად ლებავენ.

5. ფეხს მნიშვნელობა აქვს

ის, რომ თითქოს თეთრი კვერცხი ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე მუქი ფერის, ცრურწმენაა. სხვადასხვა ფერის ნაჭუჭის ქიმიურმა ანალიზმა მათ სარგებლიანობაში არავითარი სხვაობა არ გამოავლინა.

6. სიყვარულის ელექსირი

ომლეტი, ერბოკვერცხი, თოსლო ან მაგრამ მოხარული კვერცხი... სულ ერთია საყვარელ მამაკაცს საუზმეზე როგორ მოუშაბდებთ. მთავარი ისაა, რომ კვერცხი მამაკაცის ჯანმრთელობისთვის ყველა აუცილებელ ელემენტს შეიცავს.

7. განმტკიცებელი დღე

- მოაწყვეთ ერთდღიანი განმტკიცებელი დღეა.
- დილა: 2 ცილის ომლეტი, გრეიბფრუტი.
- დღე: 2 მაგრად მოხარული კვერცხი. გრეიბფრუტი.
- სალამო: 2 გრეიბფრუტი, 1 კვერცხი.

8. სიმახილე ქოლესტერინის შესახებ

ერთი კვერცხი 300 გრამ ქოლესტერინს შეიცავს, რაც ადამიანის დღიურ ნორმას შეესაბამება. თუ ჯანმრთელობის პრობლემა არ გაქვთ, შეგიძლიათ კვერცხი თქვენს ყოველდღიურ რაციონში ჩართოთ.

როგორ «ვიპოვოთ» დაკარგული მადა

ყმაღობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ორგანიზმის სისუსტესთან ან მის ავადმყოფურ მდგომარეობასთან. ხშირად მადის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი პირობაა ძალის აღსადგენად და კარგი თვითშეგრძნებისთვის. გთავაზობთ ხალხურ რეცეპტებს, რომლებიც საჭმლის მიმართ სიყვარულს დაგიბრუნებთ.

2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ აბზინდას ბალახს 300 მლ მდულარე დაასხით. ღამე თერმოსში დატოვეთ და ჭამამდე 15 წუთით ადრე 100-150 მლ დალიეთ.

ხორცსაკვებ მანქანაში ალოეს 4-5 მსხვილი ფოთოლი გაატარეთ, 250 გრამი თაფლი დაუმატეთ და მიღებული ნარევი 25 წუთი წყლის აბაზანაზე მოხარშეთ. ცხელ ნარევი კიდევ 100 გრამი ზეითუნის ზეთი დაუმატეთ. ნარევი მაცივარში შეინახეთ და დღეში 3-4-ჯერ 1 სუფრის კოვზი მიიღეთ.



კეთილი ზანანი

ბანანი ერთადერთი ხილია, რომლის ჭამაც გასტრიტის დროს შეიძლება. სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა უკმარისობის, ჰიპერტონიის, თირკმლების, ლვიძლისა და ნალღის ბუშტის დაავადებების დროს. კალიუმის მაღალი შემცველობით, მნიშვნელოვანი მატონიზირებელი მოქმედება აქვს, გულის კუნთს ამაგრებს, ფიზიკური და გონებრივი დატვირთვის შემდეგ ძალას სწრაფად აღადგენს. ბანანის ჭამის შემდეგ, სისხლში გლუკოზის შესვლის ხარჯზე, ენერჯის ძლიერ მუხტს ვიღებთ. თუ განწყობის ამაღლება გსურთ, ბანანი ჭამეთ.



ეს ხილი აგრეთვე ეფექტური კოსმეტიკური საშუალებაა. მისი ნიღაბი თმას აცოცხლებს, მტვრევადს ამაგრებს. ბანანი დასრისეთ, კვერცხის გული შეურიეთ და თმაზე დაიდეთ. 20 წუთის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ, გამოიყენეთ შამპუნი. ნიღაბი კვირაში 2-ჯერ გაიკეთეთ.

ქალის მკარდის მთავარი მტრები



დადგენილია, რომ ქალის მკერდს თავისი „მტრები“ ჰყავს. მათ შორის ყველაზე მთავარია ულტრაიისფერი სხივები, ცხელი წყალი, ცუდი ტანადობა (მოკუზულობა) და მარილი.

1. მზე. რა თქმა უნდა, ზომიერად გარუჯვა (სოლარიუმშიც კი) გარკვეულწილად სასარგებლოც არის, მაგრამ ყოველდღიურად ხანგრძლივად დაწვას არავის ვურჩევთ. ეს არამხოლოდ მკერდის კანს აშრობს, ასევე კიბოს განვითარების რისკს ამაღლებს.

2. სითბო. აბაზანის ან შხაპის მიღების დროს, ძლიერ ცხელი წყალი კანს ადუნებს, მკერდის სიმკვრივეს ამცირებს. ამიტომ რეკომენდებულია წყლის პროცედურები 36-38 გრადუს ტემპერატურის წყლით ჩაიტაროთ. თუ გათბობა ძალიან გსურთ, ცხელ წყალში არაუმეტეს 15 წუთისა დაჰყავით, შემდეგ გრილი გადაივლეთ.

3. წელში მოხრილობა არამხოლოდ ულამაზოა, ასევე მკერდს ვნებს, მოშვებულ-ჩამოკიდებული ხდება. როდესაც ხერხემალში გამართული ხართ, ზურგი სწორად გიჭირავთ, მკერდის კუნთები ბიუსტს ბუნებრივი წესით იცავს.

4. მარილი. მკერდს ასევე ძლიერ ვნებს მარილის ჭაბი მოხმარება. ის ქსოვილებში სითხეს აკავებს, შეშუპებას იწვევს და კანის გაჭიმვა-განელებს ხელს უწყობს. ნღების მატებასთან ერთად, მარილის გამოყენება სულ უფრო შეამცირეთ.

ჭკვიანი აზრები

„სიმდიდრე ჭკვიანისთვის მსახურია, ხოლო სულელისთვის — ბატონი“.

ფილიპინი

„დილა რომ არ გვალვიძებდეს ახალი სიამოვნებისთვის და საღამო რაიმე იმედს გულში არ გავიტოვებდეს, ტანისამოსის ჩაცმა და გახდა შრომადაც არ ეღირებოდა“.

ვოლფ

„ამქვეყნად ყველაზე სასაცილო ისაა, როდესაც სულელი მეტიჩარა გაბუტული დადის“.

ზუსტი

„ლამაზი ქალი თვალს მოსწონს, კეთილი — გულს. პირველი — ლამაზი ნივთია, მეორე — საუნჯეა“.

ბონაპარტი

✓ მოამზადა ანა გავიშვიძე

ქართული ანაკლოზები



— ვაიმე, ხოგოხ ჰგავხართ, ბაკონო, ჩემს მეხუთე ქმარს!
— სულ ხამდენი ქმარი გყავდათ, ქა-ბაკონო?
— ოთხი.

— ქალო, რატომ მიწოდებ ხალხში უტვინო?
— შენ გგონია, ხალხმა არ იცის?
— გამარჯობა, აპოლონა შენი, — ეუბნება რაჭველი მე-ზობელს.
— ქვე გაგიმარჯოს, შე კაცო!
— ჩემი ვალი რომ გაქ, ხომ არ დაგაიწყდა?
— შენ გადახდა არ მთხოვო, თუ არა, მაგას რა დამავინყებს, შე კაცო?!



ექიმი ჰატიენცს ნა-მაცს ენახს:
— აი, ეს აბები მიი-ღეთ დღეში სამჯერ, ქა-მის შემდეგ.
— ესე იგი დღეში იხიხედ!

— გახარებული ცოლი სა-ლამოს სახლში დაბრუნებულ ქმარს ეულურტულება:
— ჩემო ვასიკო, შენ მალე მამა გახდები.
— აუუ! მაინც დაგირეკა იმ ბოზმა, შენი ქმრისგან ვარ ორსულადო?
— თინაია, შენ შემოგვე-ლე, დანეცი რა ჩემთან ას დოლა-რად!
— არ გამოვა ეგ საქმე, ჩემო კარგო.
— ვაიმე, ძაან მჭირდება ასი დოლარი რა, თინაია!

— ოსი ქალი მიცვალებულ ქმარს დასტირის:
— ჩინგიზა, რატომ მი-დიხარ, რატომ... იბრაგმა რომ მომადგება სამ დღეში, რა ვუთხრა? ადრე ვეუბნებოდი, არ შეიძლება, ქმარი მყავს-მეთქი, ახლა რა მიზეზით ვუთხრა უა-რი?!


— ქალო, რას აკეთებ?
— ვლივინებ ჩემთვის.
— მე კიდევ მეგონა, კარი ტყვილა დაგვზეთე-მეთქი.
— ქუთაისელმა სილამაზის სალონი გახსნა და კარზე აბრა დაკიდა:
„რას გავხარ, შე ჩემო, შემოი!“
— მისოვ, როგორია შენი ცოლი?
— მაგაი თხოვის დღე დეიქციე... ჩემი „ჟიგულის“ პაკ-რიშკასავითაა ეგ შობელქალდი ეგა, სულ ლურსმან ეძებს, რო შაირჭოს.

— ცოლი, კაცო?
— არა, პაკრიშკაია... მაგ-რამა შენა, ჯო, გადატანითი მნიშვნელობა არ გისწავლია სკო-ლაში?
— პოლიციაში აღელვებულ ქალი შევარდა:
— მიშველეთ!
— რა მოხდა, ქალბატო-ნო!
— ვილაც კაცი მომდევს, ჩემი გაუპატიურება უნდა!
— გილოცავთ, ქალბატო-

— მამი, ახ-სოდეხ ნამოვად შენი „ვიგელით“ სასეიხნოდ, — საყვედურობს ახ-ხელს შვიდი.
— ბუჟი ნუ და-ჰაიჯობ და მა-ნუქი, შე შობე-ძალდო, შენა!



ნო, გილოცავთ!
— ვერ მოგიყვან ცოლად, ჩემო მზიკო, განათხოვარი ხარ.
— მოიცა, ლოგინში რო-გორი ვარ?
— გადასარევი.
— აგაშენა ღმერთმა, მე-რე მაი საქმე მე გეპეიში კი არ მისწავლია.
— შენი აზრით, ვინ იქნე-ბა ჩვენი პრეზიდენტი? — ეკით-ხებიან გურულს.
— ვინცა!
— მერე ჩვენ რა გვემე-ვლება?
— რაცა!



— ხოგოხ იქნა, გა-დავაჩიე ჩემი ქმარი ფიხილებს უწევას.
— ხოგოხ?
— აბილის ჰხოთუხი დავემსხვიე ნანღი-ნა-ნიღ.

— ტყეში მიმავალ ტურისტს გიდი არიგებს:
— ტყეში ყოფნისას თან იქონიეთ ჩართული მაგნიტო-ფონი, დათვის გარდა ყველა ნადირს აფრთხობს.
— როგორ გავიგო, დათ-ვი სადაა?
— ფუნას უნდა დაუკვირ-დეთ.
— ეგ როგორ? როგორ გამოვიცნო, რომ დათვისაა?
— დათვის ფუნაში აუცი-ლებლად იქნება მაგნიტოფონი.



— მიმიყო, აი, შენ ჰატახა დაიყო მოგიყ-ვანა ნეხომ.
— ნეხო სადაა, ე-ვი?
— ხესკოხანში ღვი-ნით სელება, შვილო...

— კაკოია, შენ ცოლს რომ ტყუპისცალი და ჰყავს, მამენტ ხომ არ გეშლება ხოლმე? — ეკითხებიან გურულს.
— დებილი კი არ ვარ ჩემი ქვისლივით.
— უკაცრავად, თქვენ ზან-გი ხართ?
— დიას... როგორ მიხ-ვდით?
— აქცენტზე.
— ქალო, მიდი, ლოგინი გაასწორო, — ეუბნება მისო ცოლს.
— გავასწორო, თორე შენ რომ ნუხელ ჩალუნე, შენმა მზე!

— რაც თავში შევიდევო, ყველაფერი მახსოვს, — ეტრება-ხება გურული მეზობელს.
— ჩემი ვალი გახსოვს?
— მაგას თავში რა უნდო-და, ჯიბეში ჩევიდებდი!
— შე ლოთო, შენა, შენ რომელი ჭკვიანი გამოგყვება ცო-ლადა! — ქოქოლას აყრის კახე-ლი შვილს.
— სულელი იყოი, რა! ღამეში ძალიან არ გამოჩნდეს.

— ორი პენსიონერი სკვერ-ში ზის. გამოიარა შხვართმა გოგომ.
— აუ, რა გოგოა! ნეტა, ახლა 18 წლის ვიყო! — წამოი-ძახა ერთმა.
— გაგიჟდი, კაცო? და მერე სამოცი წელი ისევ ყარაუ-ლად უნდა იმუშაო რაცხა სამი წუთიზა?!

შეკრება
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

გენადი ფორთოვნი

გულთამყრობელის

ვიზიტი

ფაფხულის თბილ დღეს ბინების ქურდი იგორ დვორიანცევი, მეტსახელად გრაფი, გრძელ სკამზე იჯდა და ყურადღებით ისმენდა, რასაც კოლკა შტირი ეუბნებოდა. მოპირდაპირე სახლში მათ ერთი მდიდარი ბინა შეარჩიეს და აი, ახლა გრაფი თავისი მაცნესგან უკანასკნელ ინფორმაციას იღებდა.

შტირის თქმით, ბინის დიასახლისი, ახალგაზრდა ქალი მარტო ცხოვრობდა. დაახლოებით ერთი წლის წინ ქმარს, მდიდარ მენარმეს გაეყარა, რომელმაც მას ავეჯით სავსე ბინაც დაუტოვა და, რა გასაკვირიც უნდა ყოფილიყო, ყოფილ ცოლს დღემდე ფინანსურადაც ეხმარებოდა. ასე რომ, რამეს გამოჩინა ალბათ შეიძლება. როგორც შტირმა თქვა, ყოველ მეორე შაბათს, დღის პირველ ნახევარში, ქალი სადღაც მიემგზავრებოდა, უკან კი კვირას, ნასადილევს ბრუნდებოდა.

ანაზღად ეზოში მაღალი, ლამაზი, კარგად ჩაცმული ქალი შემოვიდა და იმ სახლისკენ გაემართა, რომელზეც შეთქმულები ლაპარაკობდნენ.

— გრაფ, ისაა, — თქვა შტირმა ხმადაბლა.

— უჰ! — გრაფმა ენა გაანკლაპუნა, — მაგარი ქალი ყოფილა.

აქ დამიცადე, კოლია.

ის წამოდგა, ქალისკენ წავიდა და როცა მათი გზები თითქმის გადაიკვეთა, თავაზიანად მიმართა:

— უკაცრავად... მითხარი, თუ შეიძლება, რომელი საათია?

ქალმა დრო დაუსახელა, მერე კი უცებ ჰკითხა:

— მე რატომ მეკითხებით? საათი ხომ თქვენც გიკეთიათ!

— მაღამ, როცა თქვენ დაგინახეთ, ჩემს გულთან ერთად

საათიც გაჩერდა.

— თუ ჩემი გაცნობის იმედი გაქვთ, დროს ტყუილად კარგავთ,

— ცივად მიუგო დამამ, — იმათაგანი არ ვარ, იოლად რომ უახლოვდებიან.

— არც მე ვარ იმათაგანი, იოლად რომ შორდებიან. ჩემთან საქმის დაჭერა ახლა არ გსურთ, მაგრამ, დამიჯერეთ, გაივლის ცოტა დრო და, ჩემი სულიერი სილამაზით მოხიბლული, შესძახებთ: „ღმერთო ჩემო, თურმე რა ბრმა ვიყავი!“. რომ იცოდეთ, რამდენ ქალს წამოუძახია ეს.

გრაფი კარგი არტისტი იყო. ქალის მიუჯარებლობა ცნობის-მოყვარეობამ შეცვალა:

— ანუ... ლოველასი ხართ?

— ჩემი აზრით, ეს არც ისე კარგი განსაზღვრებაა და არც შემეფერება. მე გულთამყრობელი ვარ. თუ ქალი მომეწონა, მისი გული აუცილებლად ჩემი გახდება.

— ვნახოთ, ვნახოთ, — დამა უკვე ილიმებოდა, — აბა, კარგად, გულთამყრობელო! წარმატებას გისურვებ.

ქალი წავიდა თუ არა, იქვე შტირი გაჩნდა:

— შენ რა, გასულელდი?! რა სიყვარულობანა აგიტყდა?

— კოლია, ჩვენ ჩვენს კლიენტებს ცოტა ყურადღებას ვუთმობთ, — გრაფი კარგ გუნებაზე დადგა, — უსულო საგნების მიღმა ცოცხალ ადამიანებს ვერ ვხედავთ.

— მგონი, მართლა გააფრინე! ზონა ხომ არ მოგენატრა, შერევილო?

— კოლკა, ენა დაიმოკლე, თორემ გავბრაზდები, — გააფრთხილა გრაფმა, მერე კი დაამატა, — კარგი. ახლა ისევ საქმეზე გადავიდეთ. მამ, შენ ამბობ, რომ შაბათს ის სახლში არ იქნება?

— ჰო, ასეა.

— ანუ, ასე და ამგვარად, ზეგ საქმეს შევუდგებით.

ბრაფმა საკმაოდ სწრაფად შეაღწია გამიზნულ ბინაში, განაფული მზერა მოავლო ინტერიერს და სამოქმედო გეგმაც

წარმოიდგინა.

გრაფი ყოველთვის სწრაფად და აკურატულად იქცეოდა — გაქურდული ბინა სანყის მდგომარეობაში მოჰყავდა, პატრონები დაუპატიჟებელი სტუმრის ვიზიტის შესახებ უცებ რომ არ მიმხვდარიყვნენ.

ნივთებს, რომელთა არყოფნა თვალშისაცემი იქნებოდა, ხელს არ ახლებდა, ძირითადად კი ფული და ძვირფასეულობა აინტერესებდა. რალაც ნადავლი ჯიბეში უკვე ეყო, მთავარი სამუშაო კი ჯერ წინ ელოდა.

უცნაოდ შემოსასვლელის მხრიდან გაჩხაკუნების ხმა მოესმა. გრაფი გაისუსა და სმენად იქცა. არა, არ შემცდარა — ბინაში ვილაცა შემოვიდა.

ის ფანჯარას ეცა და გრძელ ფარდებს ამოფარა, თან ისე, რომ მათ შორის მცირე ლიობიდან დაენახა, რა მოხდებოდა.

ოთახში ბინის დიასახლისი შემოვიდა. გრაფს იმედი ჰქონდა, რომ ქალს რალაც დარჩა და მის წასაღებად შემობრუნდა, მაგრამ არა — ქალი მეზობელ ოთახში შევიდა, იქიდან კი საშინაო ხალათით გამოვიდა. მან განუთქვამ ფარდებს შეხედა და ფანჯრისკენ დაიძრა. გრაფს სუნთქვა შეეკრა და მხოლოდ ის გაიფიქრა, რა დღეს დააყრიდა შტირს, აქედან თუ გააღწევდა.

ანაზღად კარზე ზარის ხმა მოისმა. ფანჯარასთან არმისული დიასახლისი შეტრიალდა და გასაღებად წავიდა. შემოსასვლელიდან მამაკაცის სასიამოვნო ხმა მოისმა:

— მამაკეთ, ელენა ვსილენა... თქვენთან თქვენი ყოფილი მეუღლის ევგენი პეტროვიჩის დავალებით მოვედი...

— რა გნებავთ?

— მთხოვა, თქვენთვის ფული გადმომეცა.

— კი მაგრამ, მისგან ახლახან მივიღე დახმარება, — მიუგო ქალმა და უცებ შემინებული ხმით შესძახა, — რას შვრებით?! კარს რატომ ვეჭავთ?

გრაფმა დაინახა, როგორ შემოვიდა ოთახში დიასახლისი უკანვლით, მას კი, ასე, ორმოცდაათი წლის ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცი შემოჰყვავა. ის მაღალი იყო და ძლიერი აღნაგობის, ხელები კი ისე გაეშვირა წინ, თითქოს ქალს ამშვიდებდა.

— დაწყნარდით, — თქვა უცნობმა რბილი, ძილისმომგვრელი ხმით, — ასე რამ აგაღელვათ?

და უცებ, მოკრივის მკვეთრი მოძრაობით, მზის ნწულში დარტყმა მიაყენა. ქალმა შეჰკვივლა და წელში მოიხარა. მომდევნო სცენა კომპარულ სიზმარს ჰგავდა: ვიზიტორმა ქალი სავარძელში ჩასვა, ჯიბიდან სკოჩი ამოიღო და სწრაფი მოძრაობით პირიც აუკრა და ხელ-ფეხიც გაუკავა.

მოვლენათა ამგვარი განვითარებით გაშტერებულმა გრაფმა კინალამ დაუსტვინა, როგორც ეს ამ კატეგორიის ტიპებს სწვევიათ ხოლმე. ის მიხვდა, ხათაბალაში რომ გაება და რომ ამ ყველაფრის გამო შტირს მართლა მაგრად მოხვდებოდა.

დარტყმის შემდეგ გონსმოსული ქალი ჯერ სკოჩისგან თავის გათავისუფლებას შეეცადა, მერე კი, ღონემისდელი, სავარძელში მივიყვანა და თვალებიდან ცრემლები ლაპალუპით წამოსცივიდა.

ამასობაში ვიზიტორი ქალის დამამცირებელ, უწმანურ ხუმრობებს აფრქვევდა, რომ დაეთრუნა და შეეშინებინა. ის ტაკიმასხარასავით იქცეოდა, იგრიხებოდა და იმანჭებოდა. მანიაკი, როგორც ჩანს, თავისი მსხვერპლის ტანჯვით ტკბობისთვის ემზადებოდა, მანამდე კი მისი სასონარკვეთა ნიბლავდა. სახე, რამდენიმე წუთის წინ ინტელიგენტურს რომ ჩამოჰკავდა, გამხეცებული არაკაცის სიფათად იქცა.

ფარდის უკან მდგარი გრაფი გამალებით ფიქრობდა, რა ექნა. მოვლენებში არჩარევა, ბოლომდე დაცდა, მერე კი წასვლა არ შეიძლებოდა — ეს საშინელი დანაშაული შეეძლოთ მისთვის აეკიდებინათ. ბრძოლაში ჩართვაც უაზრობა იყო — ფიზიკურად აშკარად მანიაკი აჯობებდა.

თავისი თავშესაფრიდან გრაფი ოთახს ყურადღებით ათვალიერებდა, რამე საგანი რომ დაენახა, რომელსაც იარაღად გამოიყენებდა, მაგრამ ამგვარი ვერაფერი შენიშნა. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ბუნებით არააგრესიული გრაფი ამგვარ საზიზარ

ტიპებს უკიდურესად სასტიკად ეპყრობოდა.

გრაფი ფიქრობდა, მანიაკი კი თავის მონოლოგს აგრძელებდა:

— როცა გართობას მოვრჩებით, გულს გამოგაცლი, შევწვავ და შევჭამ, გულისმჭამელი ვარ და იმიტიომ! — მოსულელო ხმით განელა მან.

ქალს თავი გვერდზე მოექცა.

— არა, არა, ასე არ ვარგა, — დატუქსა დაუბატიყებელმა სტუმარმა, — ნარკოზის ქვეშ არ ვაპერირებ.

რალაც პერიოდის მანძილზე ის მხედველობის ზონიდან გაქრა, მერე კი ისევ გამოჩნდა ყვავილებიანი ლარნაკით ხელში. ყვავილები გვერდზე მოისროლა, წყალი სახეზე დაასხა ქალს, ლარნაკი კი ჟურნალის მაგიდაზე დადგა. ეს ერთ-ერთი იმ ლარნაკთაგანი იყო, რომელთა მასიური ფსკერიც მათ წონასწორობას უზრუნველყოფდა.

დიასახლისი წამოინია და თვალები გაახილა. ის საოცრად უსუსური და საბრალო ჩანდა. გრაფმა უცებ მძაფრად იგრძნო მისი მდგომარეობის მთელი საშინელება და ბრაზი მოერია. ციხეში გატარებული წლების მანძილზე არაერთხელ გამხდარა იმის მოწმე, თუ როგორ უსახიჩრებდნენ იქაური „ძმაცაცები“ ცხოვრებას გაოსებს მიღმა შემთხვევით თუ საკუთარი სიბრიყვით მოხვედრილ ადამიანებს, ამ მანიაკის მსგავს ნაძირლებს კი ცალ-ცალკე კამერებში სვამდნენ და ისე დარაჯობდნენ, როგორც პრეზიდენტებს. მერე იწყებოდა იდიოტური დავა სიკვდილით დასჯის თაობაზე. სულ ზედმეტი იყო ეს დავა! ჩაესვათ „პრეზიდენტები“ საერთო კამერაში და მორჩა! იქ მათ განაჩენსაც გამოუტანდნენ და აღასრულებდნენ კიდეც.

გამოფხიზლებული მსხვერპლის დანახვაზე მანიაკმა თქვა:

— ასე ჯობია. ჯერ შენ აქ მარტო იქნები, მე კი სამზარეულოში გავალ: გაბჭურას ავანთებ და დანას შევარჩევ.

ის გავიდა. გრაფი თავისი სამალავიდან გამოხტა, ლარნაკს ხელი დასტაცა და სამზარეულოს კართან დადგა.

როცა მანიაკი დაბრუნდა, მძლავრად მოქნეული ლარნაკის მასიური ფსკერი თავში მოხვდა და ძირს დასცა, მის ირგვლივ კი სისხლის მოზრდილი გუბე გაჩნდა: „ინტელიგენტი“ მანიაკი მკვდარი იყო.



ქლენა ვასილენას ფართოდ გახეილი თვალები ახლა შიშზე მეტად გაოცებას გამოხატავდა. გრაფი მასთან მივიდა:

— მისმინეთ. ახლა გაგათავისუფლებთ, ოღონდ შემპირდით, რომ არც ყვირილს დაინწყებთ და არც ისტერიკას ატყებავთ.

ქალმა გამალებით დააქნია თავი, მერე კი, როცა გრაფმა სკოჩები შეხსნა, თვალები აუცრემლდა და მისუსტებული ხმით თქვა:

— თქვენ გადამარჩინეთ... თავად ღმერთმა გამოგზავნათ...

— ქალბატონო, თქვენი სიტყვები მკრეხელობაა. ნუთუ ვერ ხვდებით, აქ რომ თქვენს გასაქურდად შემოვიპარე?

— ნაიღეთ! ყველაფერი ნაიღეთ, რაც გინდათ! არავის არაფერს ვეტყვი... — ქალს ლაპარაკი უჭირდა.

— გმადლობთ, მაგრამ ჩემი წასვლის დროა, თქვენთან კი ერთი თხოვნა მექნება.

— მთხოვეთ, რაც გინდათ.

— მე რომ წავალ, პოლიციაში ათი წუთის მერე დარეკეთ, კარგი?

— არა! — იყვირა ქალმა, — არ წახვიდეთ! ამ ურჩხულთან მარტო ვერ დავრჩები!

— ის ხომ მკვდარია...

— მერე რა? მაინც ურჩხულია! არ მიმატოვოთ... არ...

ქალს კიდეც უნდოდა რალაცის თქმა, მაგრამ ველარ მოახერხა. გაფითრდა, სავარძელში გადაწვა და გონება დაკარგა.

— ჯანდაბას! — დაიღრინა გრაფმა, — გინდა-არგინდა, თავად უნდა დავრეკო!



ბამომძიებელი არც ცდილობდა გალიზიანების დაფარვას. ეს გაპარანჭული თოჯინა წონასწორობას აკარგინებდა.

— ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ ჩემგან? — მტრული გამოხედვა მიაპყრო ქალს, — გავუშვა რეციდივისტი, რომელზეც ორი წელი ვნადირობდი? გამოირიცხულა! და საერთოდ, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!

— კი მაგრამ, მან ხომ გადამარჩინა? საკუთარი თავისუფლე-



ბის ფასად გადამარჩინა, არადა, შექმლო უბრალოდ წასვლა...

— არ შექმლო, არა! — ხმას აუწია გამოძიებელმა, — თქვენ, ზრდასრული ქალი, რალაც ზღაპარს მიყვებით კეთილშობილ ქურდზე. ამ ადამიანებისათვის მხოლოდ ერთი კრიტერიუმი არსებობს, საკუთარი გამოჩენა და დვორიანცვი გამოკვლისი არ არის.

— ის ხომ მხოლოდ ქურდია. განა შეიძლება შევადაროთ...

— ეს თქვენთვისაა მხოლოდ ქურდი, — ისევ განწყვეტინა გამოძიებელმა, — სხვებისთვის კი ნამდვილი ქურდია. თქვენი აზრი გასაგებია, რადგან გაჭირვება არასოდეს გამოგიცდიათ, მე კი ათასობით მაგალითის მოყვანა შემიძლია, როცა ადამიანები წელეზე ფეხს იდგამენ, ვალებში ვარდებიან, ყველაზე აუცილებელი რომ შეიძინონ, მერე კი რომელიმე „მხოლოდ ქურდი“ გამოტყვევება და ცარიელზე დატოვებს. ზოგჯერ ეს გაუბედურებული ადამიანები თავსაც იკლავენ, თქვენ კი მეუბნებით, მხოლოდ ქურდით.

— კარგი, კარგი, აღარ შეგანუხებთ. მშვიდობით!



ბამომძიებელიდან წამოსულმა ქალმა ტრამვაის გაჩერებას მიაშურა. იქ ორი გოგონას საუბარს მოჰკრა ყური.

— იცი, კოსტიას ტყუილად დაუშეგობრდი, — თქვა ერთმა, — არასანდო ტიპია. გაერთობა და მიგატოვებს. ტიპური გულთამპყრობელია.

— ნეტავ, სანდო ვინაა? — იკითხა მეორემ.

— არც არავინ, — მიუგო პირველმა, — თუმცა... ვიცი ერთი, გრაფს ეძახიან. როგორც ამბობენ, კოსტიასთან მეგობრობდა და ერთადაც ქურდობდნენ თურმე. მერე კი გამოსწორებულა.

— ვინ, გრაფი?

— ჰო.

— არ მჯერა. არც ქურდები სწორდებიან, არც ლოთები და არც ნარკომანები.

აქ უკვე ქალი ჩაერთო:

— გულს ნუ გაიტყებთ, გოგონებო. ქვეყნად რა აღარ ხდება!

დასასრული

✓ თარგმანა გურამ ჩხევიანი, ქეთი ხარატიშვილის ნახატო



ღიღი ბებების საეჭვო გაგაჩივება

ეიზორია

დასაწყისი №7-22

მესამე ნაწილი

გადმოვედი სახლში. ასე გადავწყვიტეთ, რომ ქორ-
ნივებამდე ჯობია, ცალ-ცალკე ვიცხოვროთ. სან-
დროს დიდი ქორნილი უნდა, მთელი ამბებით
და, პრინციპში, რატომაც არა?! ხომ შეიძლე-
ბა, ერთხელ მაინც სწორად გავაკეთო ყველა-
ფერი. გოგოები ავანრიალე და მთელი დღეა კამათობენ, რა ფერის
კაბები უნდა ეცვათ მეჯვარეებს. ჩემთვის, აი, სულ ერთია. მთავარია,
ჩემი კაბა იყოს შეუდარებელი. მახსოვს, ადრე ვუყურებდი გადაცემას
საქორნილო კაბებზე და რამხელა თანხებს იხდიან კაბაში. სანდროს
ფასი არ უთქვამს, მაგრამ ვიცი, რომ რამდენიმე ათასი პრობლემა
არ იქნება. შესარჩევი იქნება დარბაზი, სიმღერა, ფოტოგრაფი,
ოპერატორი, ტორტი.

ცივი ოფლი მასხამს. მე მჭირდება ამ ყველაფრის ორგანიზატორი.
ვინ არის ჩემს სადაქალოში ისეთი, რომ ამას თავი გაართვას? ირა
არც გაეკაროს! ნანუკამ ჯობია, მე მამშვიდოს ძირითადად. თათას
ან სოფოს შემოიღია ვიზიოვო, ან ორივეს. ანკას ამის დრო არ ექნება.
დედაჩემიც ჩაერთვება უეჭველი და ალბათ სანდროს დედაც.
თამარასთვის ფული მაქვს დასაბრუნებელი და დღეს დაუურევავ და
ავალ მათთან. დროა, მგონი, რძალივით ვიქცეოდე.

ტვინი არეული მაქვს, მაგრამ ეს ბედნიერი ფორიაქია. მე გადავალ
სანდროსთან და ამ ბინას დავეტოვებ გოგოებს, სანამ
ცხოვრებას აიწყობენ. ან თუნდაც მუდმივად იცხოვრონ. ზოსის
წყევანა მინდა, მაგრამ ალბათ არ გამატანენ, ისე უვლიან. პირველი
ნაბიჯი ალბათ მაინც თარიღის დათქმაა. ვუყურებ ულამაზეს
ბეჭედს, რომელიც თითზე მიკეთია და ვიღიმი. ნუთუ ყველაფერი
დალაგდა? დალაგებული ოჯახი მექნება და ბავშვსაც გავაჩენ.
დავარქმევთ ორ სახელს, ქართულს და იტალიურს. ან რამე ისეთს,
რაც ორივე ენაზე კარგად უღერს. გაბადრული სახით ვზივარ და
ვიყურები ფანჯარაში.

- ლენა, იყოს ვარდისფერი? — მეკითხება ნანუკა.
- რა ვარდისფერი? — ვფხიზლდები.
- ჩვენი კაბები.
- ანუ ხუთივე ერთნაირ კაბებს იცვამთ?
- კი და ულამაზესი იქნება.
- და ცეკვა უნდა დავდგათ, — ერთვება ირა.
- უეჭველი. სვანცალიკები და ამბავი, — უხარია ნანუკას.
- სანდროს უნდა შევუთანხმო ცეკვის ამბები, — ნეტა, ენდომება?
- დარბაზი გვინდა რამე კაი.
- გოგო და სანდროსთან დაჩაზე?
- ხალხი ისე რამდენია?
- სანდროს მეჯვარე ვინ იქნება?
- „დევიშნიკი“ გვექნება?
- ფეხსაცმელი ქუსლზე გინდა?
- თმას შავო გიკეთებს?
- შენი ნათესავეები დაახლოებით რამდენი იქნებიან?
- იცი, ერთხელ ქორნილი ვნახე, სადაც ცოცხალი გოჭი ჰყავდათ.
- ეგ კინოში იყო.
- ხო, კინოში ვნახე...

ისევ ვიყურები ფანჯარაში და ვერც კი ვიგებ, რომელი რა
შეკითხვას მისვამს. არც იმათ უნდათ ჩემი პასუხი. უბრალოდ
ლაყბობენ. მე კიდევ ბედნიერი ვუყურებ ხეებს. ზოსი ჩემს ფეხებთან
წევს და პერიოდულად მკბენს ჩუსტზე. ყველას რაღაც თუ არ
დავავალე, გავაფრენ. ხვალ სამსახურში მივალ, დოდოს ვუამბობ და
უეჭველი მასაც ენდომება ვარდისფერი კაბის ჩაცმა.

ზვივარ ოფისში. სანდრომ საყვარელი მესიჯი მომწერა, რომე-
ლიც ასჯერ გადავიკითხე. საქმეები აქვს დღეს და ვერ ვნახავ, მაგრამ
ეს პრობლემას არ წარმოადგენს. კარზე კაკუნია და შემოდის დოდო.

— არ ვიცი, რა საქმეზე იყავი ეს ერთი კვირა, მაგრამ
ცენტრალურიდან მადლობის წერილი მომწერეს და ბონუსს
შეგპირდნენ წლის ბოლოს.

ვიღიმი ისე, რომ თვალებიც კი მეჭუტება. ოლონდ არ ჩამეძიოს,
რა საქმეზე ვიყავი.

— დოდო, ნახე! — ვაჩვენებ ბეჭდიან თითს.
დოდო წამით შეშდება, შემდგომ მონადირე ბაბუნის გამომეტ-
ყველებას იღებს და ბოლო ხმაზე „ყივის“:

— ვაიძვე!

მეტყვება და კიდევ კარგი, ვასწრებ სკამიდან ადგომას, თორემ
„მიმასვარებდა“ ზედ. დოდოს ხმაზე შემორბიან თანამშრომლები.

— ლენა, თხოვდება! გესმით? — არ ჩერდება დოდო.

— გილოცააავთ! — გვანცაცო გულში მიკრავს და დამათრევს
წრეზე. გზადაგზა სხვა თანამშრომლებიც მკოცნიან და მეხვევიან.
ზოგმა, მგონი, ორ-ორჯერაც მაკოცა. საოცრად თბილი კოლექტი-

ვია. საოცრად! თავბრუ მეხვევა.
შევდივარ სახლში. ვაგდებ ჩანთას ძირს და ვეხეთქები ტახტზე.
ზოსი „რაზგონით“ მახტება ზედ, იწყებს ჩემი ცხვირის ტლევას.

- დაილაღე? — მეკითხება ნანუკა.
- ხო, რა ვი, ჯერ ამ მოლოცვებმა დამაგდო და მერე საქმეც
იყო ბევრი.
- ირა ნასულია „დევიშნიკის“ ამბის მოსაგაგრებლად.
- რა დროს „დევიშნიკია“? თარიღიც არ ვიცი ქორნილის.
- ჩვენ ეს ამბავი მოვილიოთ და ქორნილი იყოს, როცა იქნება.
- ტინგიცი გინდათ თქვენ და მეტი არაფერი.
- თუნდაც, — ნანუკა ჩემს ფეხებთან ჯდება.
- როგორც გინდათ, — ვცდილობ, ზოსი დავამშვიდო.
- სანდროსთან ყველაფერი ასიანზეა?
- კი, ამჯერად ნამდვილად.
- მე პირველი დღიდან სანდროს მხარეს ვიყავი.
- ვიცი, ნანა, მაგრამ ალბათ ასე იყო საჭირო.
- გეტანხმები.

მესმის კარის ხმა და ირა ქარიშხალივით ვარდება ოთახში.

- აუუ, თქვენ არ იცით, ეს რა იქნება!
 - ლენამ არც უნდა იცოდეს.
 - ხო, კაი, წამო, შენ მოგიყვები.
- ირა და ნანუკა სამზარეულოში გადიან. მესმის მათი ხორხოცი
და ნანუკას ტანის დაკვრა. დამერხა! ვიხდი ფეხზე, ვიხუტებ ზოსის
და მეძინება.

მალეძებს მობილურის ზარი. ძილბურანში ვპასუხობ. ნეტა,
რომელი საათია?

- ლენა ბრძანდებით?
- დიახ.
- მე და ჩემს მეგობარს კონსულტაციის გავლა გვინდა თქვენთან.
- კი, ბატონო, — ალბათ მარკეტინგის საკითხებში.
- მაშინ შეგხვდებით ხვალ, თუ მოიცლით?
- კი, თავისთავად. უბრალოდ დამიკონკრეტეთ, რაშია საქმე.
- იცით, რა... — გოგონა ყოყმანობს, — ჩემს საქმროს შვილი
ჰყავს და ვერ ვეგუები ამას.
- როგორ? — ფართოდ ვახელ თვალებს.
- დიახ, ძალიან მიჭირს.
- და, დიდი ბოდში, მაგრამ მე რითი უნდა დაგეხმაროთ?
- თქვენ ფსიქოლოგი ლენა ჰპაპავა არ ხართ?
- არა, გენაცვალე, გეშლებათ.

უცებ მივიდებს ყურმილს. ალბათ ვილაცამ შეცდომით მისცა ჩემი
წომერი. მე კი გამომაფხიზლა. ვდგები და გადავივარ ჩემს
საწოლში.

დილა. სამსახური. მთქნარება. თვალების ფახული. ყავა. ვაიძე,
როგორ მეძინება. შემოდის დოდო და მოჰყვება ახალგაზრდა
სიმპათიური ქალბატონი.

- ლენა, გაიცანი ნინია. ჩემი ნათესავი ქობულეთიდან.
- ვესალმები და ქალბატონები სხდებიან.
- რამდენიმე დღით ჩამოვიდა ჩემთან და სამსახურშიც
გამოვიყოლე.

- თქვენ რას საქმიანობთ? — ვეკითხები.
- მე ქობულეთის პოლიციაში ვმუშაობ, გამოძიებელი ვარ.
- რა საინტერესოა, — ვამბობ პირდაფრენილი.
- ძირითადად კი, თუმცა გიჟიც გამოერევა ხოლმე.
- რას გულისხმობთ?
- მაგალითად, საჩივარი შეიძლება შემოვიდეს, ჩემს ცოლს
„ოდნოკლასნიკებში“ ვილაცა ხუთიანებს უწერს და გამოიძიეთო.
ერთ ხმაში გვეცინება სამივეს.
- ერთხელ გესტუმრებთ, ჩემო ნინია, თუ დაგვრთავ ნებას.
- საიმოვნებით გამასპინძლებთ.
- ძალიან მიყვარს ქობულეთი, — მართლაც ასეა. ბავშვობაში
ხშირად ვისვენებდით იქ მთელი ოჯახი.
- ვჭორაობთ დაახლოებით ერთი საათი და ქალბატონები მიდიან.
- ვუბრუნდები სამუშაოს.

სალამოა. გამოპრანჭული ველოდები სანდროს. ვუსმენ ჯორჯ
მაიკლის სიმღერას. გოგოები სამზარეულოში არიან გამოკეტილი,
უკვე ოთხივე. ანკასთვის ჯერ არ დამირეკია. ნეტა ვიცოდე, რას
მიმზადებენ.

შევდივართ რესტორანში. სანდროს მაგია და მუდამ ელოდება.



ყველა ეპეკლუცება. პირველი შემთხვევაა, რომ მე ეს არ მანუხებს. მაგის დედაც ვატირე. ვუკვეთავთ საქმელს. მშვენიერ ხასიათზე ვართ ორივე. სანდრო რალაც ისტორიებს მიყვება და მაცინებს.

- თარიღი არ დავთქვამთ? — მეკითხება სანდრო.
- დავთქვამთ.
- რა დრო გინდა მოსამზადებლად?
- ნუ, ალბათ 6 თვე მაინც.
- კარგი. იყოს 3 თვე.
- სანდრო! — მეცინება.
- ვიცი მე შენი ამბავი, ბევრი დრო არ უნა მოგცე, თორემ აურევ რამეს.

სანდრო ღვინოს მისხამს და ვუჭახუნებ.

- ჩვენ ბედნიერ მომავალს გაუმარჯოს!
- გაუმარჯოს!

მშვენიერი საღამო იყო. შევთანხმდით, რომ ხვალ საღამოს ჩემებთან შევივლით და მერე სანდროსთან ავალთ. შევდივარ სახლში. ზოსი იღვიძებს და ყვფს. სახლში სიჩუმეა. გოგოები არ ჩანან. ალბათ გავარდნენ სადმე, იდეების დასატესტად. ვიხდი და აბაზანაში შევდივარ. კაი დასვენება მინდა. ისე, ნეტა, თაფლობის-თვეს სად წავალთ? მალდივებზე? გამოვდივარ აბაზანიდან და 5 გამოტოვებული ზარი მხვდება. ანკა. ვურეკავ.

— რატომ არ იღებდი? გავსკვი რეკვით, — მეუბნება გალიზი-ანები.

- გოგო, ვბანაობდი. რას შვრები?
- რა ვი, რალაც პატარა პრობლემა მაქვს და მინდოდა დახმარება.

- აბა, რა ხდება?
- კოკის ვილაცა ჰყავს, ლენ,
- ლამის ტირის ანკა.
- არ გადამრიო!
- ხოდა, აგარაკზე არიან ახლა მისი ძმაცაცის და მარტო არ მინდა წასვლა, ძალიან წერვებზე ვარ. მინდა, რომ გამომყვ.
- კი, 10 წუთი მინდა.

სწრაფად ვიცვამ, ვაჭმევ ძალღს და კიბზე ჩავრბივარ. ვხტები ანკას მანქანაში. დასიებული აქვს თვალები ტირილისგან. მივკრი-ვართ წყნეთის მიმართულებით. მთელი გზა ვცდილობ, გავამხნე-ვო. იმედია, ცდება და კოკი იქ არ არის.

ვაჩრებთ მანქანას და ჩუმად ვიპარებთ ეზოში. სახლში ყველაფერი ჩამქრალია. ალბათ სძინავთ.

— ლენა, გული მაქვს ცუდად. შენ შედი პირველი, — მიჩურჩულებს ანკა.

ძალღს ვიკრებ და სახლში შევდივარ. სიბნელე და სიჩუმე. უეცრად ინთება შუქი, ბოლო ხმაზე ირთება „Hall and Oats — Maneater“ და ჩემ წინ ჩნდება პოლიციელის ფორმაში გამოწყობილი დაკუნთული ბიჭი. შოკირებული ვაფასულებ თვალღს. გვერდით ოთახებიდან შემორბიან გოგოები. 30 ადამიანი მაინც იქნება. ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი და მდებარია, ყველა აქ არის. ანკა სკამს მიდგამს და ვჯდება. მესტრიბიზე მამაკაცი ქუღს იხდის და მე მაფარებს. მესმის სტვენა და გოგოების კივილი. ნეტა ვიცოდე, თბილისში როგორ იპოვებს ამ პროფესიის მამაკაცი.

— რით გავახაროთ პატარძალი? — ყვირის ბოლო ხმაზე.

გოგოები ბლავიან და უფრო უსტვენენ. ამ კაცს თუ შემოვარტყი ახლა, მერე ნახონ პატარძლის გახარება!

— პატარძალი ისედაც გახარებულია! — ვამბობ კრიჭაშვიტს.

მესტრიბიზე მიხვრა-მოხვრით იხდის პერანგს და გოგოებს ესვრის. ასეც ვიცოდი: ბენვით გადაჭადილი გულმკერდი. კიდევ კარგი, ბუჭები გადაურჩა ტყის გაშენებას. მესტრიბიზე ჩემ გარშემო ბზრიანობს და მეც იდოტივით ტაშს ვუკრავ. უი, ფული! ვიქექები ჩაბიზე. ვპოულობ ერთ განარცხს 5 ლარიანს და ვცდილობ, გავუტეო შარვალში. აი, წელისა და საჯდომის გადაკვეთაზე კაი ჯუნგლები შეიმჩნევა. მესტრიბიზე შარვლის გასნას იწყებს და მე დენდარტყმულივით ვხტები სკამიდან.

— პატარძალ უნდა, რომ მის საუკეთესო მეგობარს მიაღწევს კალთის ცეკვ! — ყვირი ბოლო ხმაზე. ვამჩნევ ირას და ვსვამ სკამზე ჩემ ნაცვლად. ყველა კმაყოფილია. აქტიური ხვარხვალი გრძელდება. ანკა არაყს მანვღის და ვიყუდება.

მესტრიბიზე გვიკი, რა კაი სახელი ქვიებულა... რქმიები? ქვიები? მაგარი მთვრალი ვარ. ხო, მესტრიბიზე გვიკი კაი ხანია წავიდა. მე ვარ გატიალებული, ისევე, როგორც ყველა. წინ მიდგას

ვილაც გოგო, ალბათ ჩემი ნაცნობი, რომელიც მიყვება თავის ქმარზე.

— ...წინაზე ღამე ვერ გავალვიძე და ჩავარტყი, ადექი, ბიჭო, მეზობლები მოვიდნენ, კარი გაულე-მეთქი. ხო წამოხტა, თავი აარტყა თაროს და იგინებოდა, რა დროს მოსვლა ღამეო. მერე კი გავახარე, რომ სხვა საქმეზე ვალვიძებდი...

თავს ვუქნევ და გონზე არ ვარ, რატომ მიყვება ამ სისულელეებს. ძალიან მეძინება. აღარ ვუსმენ ამ გოგოს. მივდივარ საძინებლის მოსაძებნად. სადღაც შევდივარ და ვასკვები საწოლზე.

დღლა. მეღვიძება საშინელი თავის ტკივილით. არ უნდა დამელია ამდენი. ვაიძე, სამსახური. ვხტები საწოლიდან და ვავრბივარ ოთახიდან. არავინ ჩანს.

— ალოოო! — ყვირი გამწარებული.

არავის ხმა არ მესმის. სადაა ჩემი მობილური? ან ჩემი ჩანთა სადაა? ვინყებ ძიებას. კარი იღება და შემოდის ასაკოვანი ქალბატონი.

— არ ვიცოდი, აქ თუ ვინმე იყო, — მეუბნება შეშინებული.

— ბოდიშს მოგიხდით, ხომ ვერ დამარეკვინებთ? — ვეკითხები მორიდებით.

- ჩანთიდან მობილურს იღებს და ვრეკავ ნანუკასთან.
- დაა, — მპასუხობს მძინარე.
 - და კი არა, სად ხართ?
 - ლენა, შენ ხარ?
 - შენი წერა ვარ, პასუხი გამეცი.

— გოგო, სახლში ვართ, რო ვერ გიპოვეთ, ვილაცამ თქვა, სანდრომ წაიყვანაო.

— დამაგდეთ აქ მარტო? დაგბო-ცავთ ყველას!

— აუ, ლენა, „სორი“, რა.

ბოლო ხმაზე ვიგინები. ვანვდი ქალბატონს მობილურს.

— შვილო, ნუ იწერვილებ. მე უნდა დავალაგო აქაურობა და ყავასაც მოგადულებ. შენ კი ტაქსი გამოიძახე.

ცოტა ვმშვიდდები. უფულოდ როგორ გამოვიძახო? სანდროს არ დავურეკავ, სირცხვილია.

სამსახურში მოვედი. მოვასწარი სახლში გასვლა, ფულის ალღება და გოგოების გალანძღვა. ასპირინმა თავი ცოტა გააყუჩა. თანაც რამდენი საქმე მაქვს. ჩემებთან დღეს აღარ გავალთ, მამაჩემს და დედა-

ჩემს ტელეფონით გავახარებ და ოფიციალური შეკრება მერე. ასჯერ მომცეს უკვე თანხმობა ამ გათხოვებაზე. თამარასთან და რაულთან კი მოგვიწევს გასვლა. ვკავდები ანგარიშგებით.

ავრბივარ სახლში. ვიცვლი. კიდევ ვლანძღვ გოგოებს. ვიღებ თამარას ფულს და ვიდეტ ჩანთაში. დღეს უუჭევდი უნდა დავუტოვო. ჩავრბივარ დაბლა და ვჯდება სანდროს მანქანაში. სანდრო შეუდარებლად გამოიყურება. თუმცა, ამას ხაზგასმა აღარ სჭირდება. ვსმენ „Fever 105 — Act Like You Know“-ს და მივკრივარ.

უნდა დავიხსნო მარანძანების სასახლესთან. სანდრო მანქანის კარს მიღებს. მკლავში ხელს ვუყრი და მივდივარ კართან. კარს გვიღებს რაული. როგორი ნატიფი კაცია ეს რაული, თანაც ძალიან სასიამოვნო. შევდივარ შიგნით. თამარას აცვია თეთრი სარაფანი, რომელიც ძლივს უფარავს ბოხორია მუსხლეს.

— შვილებო! — გვეგებება და გვეხუტება.

ვსხდებით სასტუმრო ოთახში და მოახლე წვენებს გვანვღის.

— როგორ მისხარია თქვენი ამბავი, შვილო, — თამარა ანათებს. სანდრო და რაული იტალიურად საუბრობენ.

— თამარა, ერთი წუთით გავიდე, თუ შეიძლება.

გავდივარ და ფულს ვუბრუნებ.

— მადლობა, შვილო, მაგრამ არ იყო საჭირო.

— რას ლაპარაკობ, არც უნდა დაგეტოვებინათ საერთოდ.

— მთავარია, საქმე გაკეთდა, — მეუბნება ღიმილით, — სანამ რამის თავი მაქვს, მალისეთ შვილიშვილი.

ვუღიმი დაღრეჯილად და არ ვიცი, რა უნდა ვთქვა. მესმის ზარის ხმა. ვბრუნდებით ოთახში. შემოდის მოახლე.


— ბატონო სანდრო, ვილაც ქალბატონი გკითხვლობთ.

— ვინ ქალბატონი? — ეკითხება სანდრო.

— გადმოგვით, რომ ნატალიაა.

სანდრო პრაქტიკულად ხტება სკამიდან. თამარა ილუშება. მე კი ჭიქა ხელიდან მივარდება და წვენის სხეფები მესხმება კაბაზე. დავილუშე!

ბარბოლა ჟიჟა ნომერი





სერილი

დაახლოებით ერთი წლის წინ ახალ ბინაში გადავედი საცხოვრებლად მე და ზაზა. ახალი რა, პირიქით, ძალიან ძველი ბინაა, მაგრამ ჩვენთვის ახალია. ბინის ყიდვის გადაწყვეტილება ერთად მივიღეთ. ოღონდ ცალკე ყოფილიყავით და თუნდაც ცულის ტარზე ვიცხოვრებდი მასთან ერთად. აბა, როგორია, გაცყევი და თითქოს სკაში ამოყავი თავი, სადაც დედა ფუტკარს ემორჩილებოდნენ მუშა ფუტკარები! ისე, თავლად კი იღვრებოდნენ, ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მინდოდა, გადაწყვეტილებები მე და ზაზას მიგველო, ჩვენ დაგვეგმემა ჩვენი ცხოვრება. როგორც ჩანს, ზაზასაც ეს უნდოდა და ერთ მშვენიერ დღეს გამოაცხადა კიდევ, ბინა უნდა ვიყიდო და ცალკე გადავიდეთ საცხოვრებლად. რა თქმა უნდა, სკა აზუზუნდა, განსაკუთრებით დედა ფუტკარი, მაგრამ ზაზამ ერთ ყურში შეუშვა მათი ზუზუნი და მეორედან ისე გაუშვა, კვალაც კი არ დაიტოვა.

— ვაშა! რა მაგარი ქმარი მყავს! მიდი, ზაზა, მიდი! — ყვიროდა გახარებული, ოღონდ ჩუმად, გულში. არ მინდოდა, ყველაფერი ჩემთვის გადმოებრალებინათ, თუმცა ალბათ ამის გარეშეც მებრალვებდნენ, ოღონდ არც ისინი შეუბნებოდნენ ამას ხმაშალა.

— ჩვენგან ერთ თეთრსაც ვერ მიიღებ, — მხოლოდ ეს თქვა საბოლოო სიტყვად დედა ფუტკარმა და ირიბად გადმომიხედა, ნესტარი ჩამარჭო.

„მაგ ნესტარს დავეძებ? — გავიფიქრე, — ოღონდ ჩემი სახლი მქონდეს და თუ გინდა, მთელი სკა დამეხვიეთ მერე თავზე“, — გავიფიქრე, ისე კი უცოდველ ბეკუასავით შეხედე დედა ფუტკარს. ხომ ვაპბობ, არ მინდოდა კონფლიქტი, ამკარად დამამარცხებდა.

— მე თავად მივხედავ ამ საქმეს, — მშვიდად უთხრა ზაზამ.

ჰოდა, მეორე დღიდანვე დავიწყეთ ბინის ძებნა. დავდიოდით და ყველა შეგულებულ ბინას ვათვალიერებდით. ძვირს არ ვეძებდით, დიდი თანხა არ გვეკონდა, მაგრამ მყურად — კი. არ ვინც, რატომ, მაგრამ პირველად ამ ბინის სანახავად რომ მოვედი, მაშინვე გავიფიქრე — სწორედ აქ უნდა მეცხოვრა, აქ მომეწყობა ბუდე და გამეზარდა შვილები. მერე შვილები დაოჯახებდებოდნენ, თავიანთ ბუდეს მოიწყობდნენ. მერე მეყოლებოდა შვილიშვილები და მე ისევ ამ ბინაში ვიცხოვრებდი, ისინი კი მოვიდოდნენ ჩემთან სტუმრად. მაქმანია სუფრის შემოღება-სხდებოდათ, ჩაის დაველვით ფაიფურის ფინჯნებიდან, ჩემს გამომცხვარ ვაშლის ან ალუბლის ღვეზულს მივირთმევდით და მე მოვყუყუებოდი შვილიშვილებს ჩემს ბავშვობაზე, მინდვრებზე, სადაც მხიარული მწერების კონცერტებს ვესწრებოდი; ტყეებზე, სადაც თოჯინების თეატრს დგამდნენ ცხოველები და იმ თოჯინების თეატრში წითელქუდა აუცილებლად მე ვიყავი; მდინარეზე, რომელთან ერთადაც მთებიდან ქალაქში მივდიოდი...

— ნამდვილი მეზობარე ხარ, შარლ პერო მომიყვანია ცოლად და არ ვიცოდი, — გაეცინა ზაზას, როცა საღამოს ჩემი დაგემილი მომავალი საოჯახო ფოტოალბომივით გადავუშალე.

— მართლა ასე ვფიქრობდი, იქ რომ ვიყავი, — ვუთხარი მე.

— ასე რომც არ გეფიქრა, მე მგონი, მაინც მაგ ბინის ყიდვა მოგვიწევს. ჯერჯერობით ყველაზე მისაღები ვარიანტია ჩვენთვის. ან ეგ ბინა უნდა ვიყიდოთ, ან აქ დავრჩეთ.

— არა, ოღონდ აქ არა, რა, გეხვენები! — წამოვიძახე.

ძლივს ჩემი ოცნება სრულდებოდა, ცალკე ვინყებდით ცხოვრებას.

— რა გაცივრებს, — გაეცინა ზაზას, — მეც მაგას ვაპბობ. მაგ ბინას ყვიდულობთ.

მეორე დღესვე ხელმეორედ წავედი ბინის სანახავად. ახლა უკვე საფუძვლიანად გადავწყვიტე მისი დათვალიერება. კი, ნამდვილად მომწონდა, უკვე მის დიასახლისად ვგრძობოდა თავს.

— აღარ მინდა აქ ცხოვრება, საერთოდ,

თბილისში აღარ მინდა ცხოვრება. სოფელში ვაპირებ გადასვლას. არადა არასდროს მიცხოვრია სოფელში. მე ვმევიდ თაობის თბილისელი ვარ, მაგრამ, ეტყობა, ასაკს მოაქვს, რა ვიცი, — მითხრა ბინის პატრონმა.

გამიკვირდა, სადაც 60 წლამდე იქნებოდა, არც კი, თან ისეთი ქალბატონი ჩანდა, ძალიან ძნელად თუ წარმოიდგენდი სოფელში მის ცხოვრებას — მოვლილი, რაღაც სხვანაირად ხიბლიანი. მძიმე, მასიური ვერცხლის ბუტები ეკეთა სერდოლიკისა და მარჯნის თიხებით და ვერცხლის მასიური გულსაკიდი, აშკარად დაღესტნური, თანაც ძველი. კარგად ვიცნობდი ასეთ სამკაულებს, ჩემი გარდაცვლილი დეიდა იყო მათი ტრფილი. შეიძლება დეიდისთან შორეულმა მსგავსებამაც გამიჩინა ამ ქალბატონისადმი განსაკუთრებული სიმპათია. მოკლედ, წარმოუდგენლად მივიჩნიე მისი სოფლად ცხოვრება, მაგრამ რა ჩემი საქმე იყო. მე ბინა მინდოდა, ის ბინას ყიდდა და აქ მთავრდებოდა ყველაფერი.

— რას ბრძანებთ? — ეს კი ვუთხარი, — რა დროს თქვენს ასაკზეა საუბარი.

— რა გქვია? — გაეცინა და მკითხა.

— ელენე, — ვუბასუხე ლიბილით.

— მეც ელენე მქვია, — მითხრა ქალბატონმა.

— მართლა? — ისე გამიხარდა, თითქოს დიდი ხნის დაკარგული ახლობელი ვიპოვე.

— კი, მართლა. ჩემს დროს იშვიათად არქმევდნენ ელენეს, მეც არ დამარქმევდნენ, ბებია რომ არა. მერე ელისო უნდა დაექანათ, მაგრამ ბებიათ თავი გაიგიჟა, სად ელენე, სად ელისო, სანამ ცოცხალი ვარ, ყველა ელენეს დაუძახებოდა. ასე დავჩრქი ელენედ და ძალიანაც კარგი, — მოგვიყვა ლიბილით და მერე ჩაიზე დამეწვიეთო, გვთხოვა.

ჰოდა, სამზარეულოში რომ შევედი და იქ მაქმანის სუფრაგადაფარებული მაგიდა დავინახე, სწორედ ისეთი და ისე განწყობილი, როგორც ცოტა ხნის ვიცნებობდი. მორჩა-მეთქი, გავიფიქრე, სულ რომ უეჭოთსი ბინა ვნახოთ, მე სხვაგან არ ვიცხოვრებ-მეთქი.

ბევრი აღარც გვიფიქრია, ბინა ვიყიდეთ, გადავვადით, დავლაგადით, ჩვენც გავიხარეთ და ჩვენმა მეგობრებმაც. გეკონდა გაუთავებული სტუმრიანობა, მუსიკა, სიცილი, ხმაური... ზუსტად იმ დოზით და ისეთი, როგორიც ახალშექმნილ, უფროსებისგან ცალკე მყოფ ოჯახს შეეფერება.

მაღე ცოტა ფული კიდევ მოვაგროვეთ და კოსმეტკური რემონტიც დავიწყეთ.

ჩვენი ბინის მისაღებ ოთახში მწვანედ მოპირკეთებული, გაუქმებული კედლის ლუმელი იყო, ისეთი, როგორიც ძველ სახლშია და რადგან ორივეს, მეც და ზაზასაც ძალიან მოგვწონდა, გადავწყვიტეთ, არ მოგვეშალა.

— ხელოსანს მოვიყვან და გავიგებ, შიგნით რა ხდება. იქნებ განმეზღა შეიძლება, ხანდახან მაინც გავახურობ, რას იტყვი? — მკითხა ზაზამ.

— ვაიმე, რა კარგია! — გავიხარე მე, — წარმოიდგინე, ჩვენ გვექნება სახლი, რომელიც შეიძლება კედლის ლუმელით გათბეს.

— არა, მაგდეს ალბათ ვერ გაქანავს, მაგრამ მაინც გავწმინდოთ, რა იცი, რა ხდება, — გაეცინა ზაზას და მეორედ დღესვე მოიყვანა ხელოსანი.

როგორც ჩანს, ლუმელი იმდენ ხანს იყო უმოქმედო, რომ ხელოსანმა რკინის ურდული ძლივს ახსნა და კარი გამოიღო.

— ოჰ, ეს სამალავ ყოფილა, — თქვა მერე და ლუმელიდან წინგი გამოიღო.

— კი მაგრამ, რაღა ეს წინგი შეგადეს აქ? — გამიკვირდა მე.

არაფერი წინგი არ იყო, რაღაც რუსული სახელმძღვანელო, კონსტრუქციებით და ნახაზეებით სავსე. მგონი, სულაც გასული საუკუნის. ნაცრისა და მტვრისგან გვარიანად შელანძლული.

— ალბათ დასაწავად შეგადეს, რა ვიცი, — მხრები აიჩჩა ხელოსანმა და ისევ ლუმელს მიუჭრიალდა.

სხვათა შორის, ჩემდა გასაკვირად, გამწოვი წესრიგში იყო და თავისუფლად შეგვეძლო ლუმელის ანთება. ისე გამიხარდა, წინგის არსებობა სულ მიმავიწყდა. მხოლოდ რემონტის დასრულებისას ვნახე, სამშენებლო ნაგავსა და ათას ხარახურას რომ ვუყრიდი ერთად თავს.

გადაგდებდა დავაპირე, მაგრამ რაღაცამ შემეჩერა, თითქოს წინგის შიგნიდან ვილაცქემდა. წინგი გადავშალე და იქიდან უკვე გაყვითლებული ფურცლები ჩამოცვივდა. მაშინვე წამოვკვირე და თვალი გადავავლე: წერილი იყო.

უნდა ვაღიარო, რომ ძალიან ცნობისმოყვარე ვარ. სიამოვნებით ვკითხულობ ცნობილი ადამიანების მიმოწერებს, მაგრამ ეს წერილი რომ დავინახე, მისი ნაკითხვა, ცოტა არ იყოს, მეუხერხულა და წინგი თავის წერილიანად ისევ სამშენებლო ნაგავზე დავდე. „მერე რა მოხდა, ასე წლის წინანდელი წერილია, ამის დამწერი შეიძლება ახლა ცოცხალიც აღარაა, დიდი აშბავი, თუ ნაკითხისა“, — ვუბნებოდი ჩემს თავს.

„და თუ ეს ელენეს წერილია? აი, იმ ქალის, ვინც ამ სახლში ცხოვრობდა? ან მისთვის მიწერილი?“, — კითხვებს მაყრიადა თავი.

„მერე რა, მიმწვინდოვანი რომ ყოფილიყო, აქ კი არ დამოკვდება“, — ისევ ვუბასუხებოდი.

მოკლედ, აქეთ მე ვიქანებოდი, იქით — ის...

გაფუარე და გამოფუარე წინგს, გაფუარე და გამოფუარე, ვითომ ვერ ვხედავდი, ვითომ არ არსებობდა, მაგრამ ცდუნებას მაინც ვერ გაფუარედი. სავარძელში მოკვალაადი, გვერდით სასუსნავში მოვიმარაგე, ზაზას დავეურვე, როდის მოხვალ-მეთქი, მეგობართან ფეხბურთის უყურებდა და ალბათ ლეგდაც წრუდავდა. ცოტა სინდისის ქენჯნით, მაგრამ მაინც დავიწყე წერილის კითხვა.

ქამედ არასდროს გამჩენია სურვილი, წერილი მომეწერა შენთვის. არც ვიცი, ახლა რატომ მომინდა ამის გაკეთება. იქნებ აღარჩენილი დღეებს ვითვლი ან იქნებ ვჭაჭრებ კიდევ, აბა, რა გითხრა? ხვალ ოპერაციას ვიკეთებ, ალბათ ამიტომაც გწერ. მინდა, იცოდე, რატომ მოხდა, რაღაც მოხდა, რაც იყო საერთოდ. თუ მოკვადები, ამ წერილს მხოლოდ მაშინ ნახავ. იმ წიგნში ვდებ, რაც შენგან დარჩა ამ სახლში, ისიც სრულიად შემთხვევით, წიგნს კი მაგიაღზე ვდებ. რა მიმწვინდობა ექნება მერე, ვინ იპოვის პირველი? შენამედ მაინც მოაღწევს, ვიცი. თუ გადავრჩი კიდევ, დავხევა და გადავყრი ან სულაც დავწვავ, რომ ნაკითხვის სურვილი არ გამიჩნდეს. ძნელია საკუთარი ტკივილის კითხვა. დავხევა, რომ სულმა არ წამძლიოს და არ გამოვიგზავნო, ან ეს რა საქიროა... რა საქიროა, ჩემს სიცოცხლეში იცოდე ის, რასაც წლებს განმავლობაში ვფიქრობდი და ახლაც, ამ წუთსაც ვფიქრობ შენზე? იქნებ არც უნდა გითხრა, უკვე ეგეტ აღარ ვიცი, მაგრამ ხვალ შეიძლება აღარ ვიყო და ძალიან მინდა, იცოდე, რა მოხდა და მაინც როგორ მიყვარდი...

სულ მიყვარდი და ყველაფრის მიუხედავად, ახლაც მიყვარხარ... ეს არის ის, რასაც ვნახობ და რაც მაგიყვებს — საკუთარი უმწეობა, რომ ჩემში ვერ დაგამარცხე... მიყვარხარ... განა საქიროა ამის თქმა, მაგრამ იცი, როგორ ვარ? მარტო, სულ მარტო, ყველას და ყველაფრის გარეშე და ამ სიმარტოვოს ფანჯრებიდან მხოლოდ შენ ჩანხარ ისევ ისეთი, როგორიც იყავი. მოდიხარ ახლოს, შენთვის გაღებულ დარბაზებში და ხელს მინჯდი, უბრალოდ მინჯდი... გახსოვს, როგორ მექახდი?

— ელიიი, ელიიი, — რალა ცნაირად, თითქოს ღიღინებდა და მე კი ამ ღიღინში სულ ვხედავდი, როგორ ისხნებოდა ჩემ ნინ ფორთოხლის ბალებს მძიმე, ჩიტებში მოჩუქურთმებული რკინის ჭიშკარი — სურნელით, ტოტებზე ასხმული შუადღის ცხელი, თავკარა მზეებით და ბინდიანი სიმწვანით დატბორილი.

— რა რომანტიკოსი ხარ, მაგიყებ, რამ მოგაფიქრებინა ეს სიტყვები? — გაუცინა მეგის, პირველად ეს რომ ვუთხარი. არადა, რომანტიკოსი კი არა, შეყვარებული ვიყავი. არა, უფრო მეტი, უფრო მეტი, ვიდრე შეყვარებული. ხომ იცი, მე და მეტი დებივით გავიზარდეთ. ჩვენმა დედებმა ერთად იმობობიარეს და მას შემდეგ სულ ერთად ვიყავით. ერთ ბაღში, ერთ სკოლაში, ერთ ინსტიტუტში... უკვირდათ, როცა იგებდნენ, რომ მხოლოდ მეგობრები ვიყავით და არა ნამდვილი, სისხლისმძიერი დები. ალბათ გაგიკვირდება, რატომ ვწერ ამას ახლა, რატომ გისხნი, ეს ხომ ისედაც იცოდნი...“

— ეჰ, მეგო! — ნამოვიცახე, — დამთხვევაც ასეთი უნდა, თავად ჩემი სახელი ჰქვია, ელენე, მის საუკეთესო მეგობარს კი ჩემი საუკეთესო მეგობრის სახელი, მეგა. პლედირი შემოვიკვეცე და უფრო ინტერესით გავაგრძელე კითხვა.

— უმცა ამაზე ოდნავ ჭკვიით... საკუთარ თავზე მეშლება ნერვები. რატომ, რატომ მიყვარდი ასე? რატომ გაგაღმერთ შენ? — ჩვეულებრივი ადამიანი, ამ იმის მერე რატომ მიყვარდი... ალბათ გაგიკვირდება, მხრებს აიჩქჩავ, თუ ასე მიყვარდი, რატომ გაგიშვი ჩემგან. გაგიშვი ისე, რომ უკან მოხედვის საშუალება არ მოგეცა, გაგიშვი გაოგნებული, გაურკვეველი, გაბრაზებული, იმით, რომ გითხარი, სხვა მიყვარს და მასთან ბედნიერი ვარ-მეთქი.

მასხოსვს შენი სახე — უცებ აბრიალდი, ნაიშაღე, ყველა ნაკვითი ნაგეშაღა. — ვინ? — გამოსცერი გამწარებულმა. — არ არის საჭირო, იცოდე, — ვცადავ, მშვიდად მეტყვა.

მეტი არაფერი მითქვამს, არაფერი დამცდენია. ახლაც მივიკის, როგორ არ მომეცა მშობნი, როგორ არ გამარტყი... იდეები გაოგნებული, შურისაძვირებელი, გახადგურებული, ისეთი, როგორიც მინდოდა, რომ დამენახე. მერე მიტრიალდი და სახლის კარი გაიჯახუნე. ამ სახლის კარი, სადაც ბედნიერები ვიყავით ერთად — მე და შენ და სხვა არავინ. ცოტა ხნით, მაგრამ ბედნიერები... როგორ მიყვარდა ეს სახლი, ჩვენი პატარა, მყუდრო ბინა. გახსოვს, რომ ვყიდულობდით, რა გითხარი? მაშინ დამცინე და დიდი მუზაპრე მიწოდე, მე კი მართლა ასე ვფიქრობდი, რომ სწორედ აქ უნდა მეცხოვრა, აქ მომეწყობუდე და გამეზარდა შეილები. მერე შეილები დაოჯახდებოდნენ, თავიერთ ბუდეს მოიწყობდნენ. მერე მეყოლებოდა შეილიშვილები და მე ისევ ამ ბინაში ვიცხოვრებდი, ისინი კი მოვიდოდნენ ჩემთან სტუმრად, მაქმანიან სუფრას შემოვუსხდებოდით, ჩაის დავლევდით ფაიფურის ფინჯებებიდან, ჩემს გამოცხვარ ვაშლის ან ალუბლის ღვეხელს მივირთმევდით და მე მოუწყებოდი შეილიშვილებს ჩემს ბავშვობაზე, მინდვრებზე, სადაც მხიარული მწერების კონცერტებს ვესწრებოდი; ტყეებზე, სადაც თოჯინების თეატრს დაგამდნენ ცხოველები და იმ თოჯინების თეატრში ნითელქუდა აუცილებლად მე ვიყავი; მდინარეზე, რომელთან ერთადაც მთებიდან ქალაქში მივდიოდი...“

— ერილი ხელიდან გამივარდა, ყურებმა



გუგუნე დამიწყო, შიშისგან ერთიანად ავკანკალდი... თითქოს ჩემს დანერვილს ვკითხულობდი!

— მე ვფიქრობდი ასე, მე ვფიქრობდი! ზაზასაც კი ვუთხარი! — ისე დავიყვირე, რომ საკუთარი ხმის შემეშინდა, — ეს ჩემი სიტყვებია, ზუსტად ჩემი სიტყვები. არ არსებობს, ეს სიტყვები ვინმე სხვას ეთქვა! ნერილი ავიღე, ხელები ისე მიკანკალდა. თან მეშინოდა კითხვის გაგრძელების, თან თავს ვერ ვანებებდი, რაღაც მექაჩებოდა, რაღაც მიზიდავდა, მაგნიტივით მიკრავდა და აბლუჯას ველარ ვახერხებდი!

— აშინ მართლა ასე მეგონა, მაგრამ ძალიან მალე ყველაფერი ისე დაინგრა და დაიღვინა, დიდხანს მოგუნდი ამ ნანგრევებიდან გამოსვლას. ბოლომდე ალბათ ახლაც არ გამოვსულვარ. სხვას ეს არ დაემართებოდა, მე დამემართა. როგორც ჩანს, ყველას თავისი დიდი და პატარა უბედურება და ბედნიერება აქვს.

...გახსოვს მამაჩემის სიკვდილი? უფრო სწორად, ის დრო, ის პერიოდი, საავადმყოფოში თავზე რომ ვედექი მომაკვდავს... მინდოდა, ჩემთვის ძვირფასი ადამიანის გვერდით ყოფილიყავი ერთ დღეებში და ლამეც კი არ მოვდიოდი იქიდან. შენ სახლში იყავი. არა, დასამდური არაფერი მაქვს, ყველანიარად მხარში მედექი, უბრალოდ ვაპობ, რომ ღამით იქ არ გტოვებდი. დასვენება გჭირდებოდა, მთელი დღე სამსახურში იყავი, დაძაბული, იქ კი იმდენი ხალხი ვტრიალებდით: დედა, ჩემი ძმა, ბიძაჩემი, დედაჩემი...

ერთ საღამოს კი, როცა შემატყვევს, რომ ფეხზე ვეღარ ვდგებოდი დალილობისგან, ნერვიულობისა და უძილობისგან, ჩამსვა ჩემმა ძმამ მანქანაში და სახლში წამომიყვანა. კარი გასაღები გავაღე, არ მინდოდა, გამეღვიძებინე. ნეტავ დამერეკა, ან ნეტავ საერთოდ არ მოვსულიყავი...

ფეხისწვერებზე შემოვდი საძინებელში და... მე ყველაფერი დავინახე, ზაზა, ყველაფერი!...

— რაა! — ნამოვიყვირე, — არა! არა! არა! რა ზაზა! რა ზაზა! — ისტერიკა დამემართა. ამდენი დამთხვევა ერთ ფარატინა წერილში, ეს უკვე მეტისმეტი იყო, ძალიან მეტისმეტი ჩემთვის!

წერილი მოკუჭყდა და შორს გადავაგდე, მერე ნამოვხტი, ავიღე და ისევ გავშალე...

— მე ყველაფერი დავინახე, ზაზა, ყველაფერი... სხვა, უცხო ქალი რომ ყოფილიყო შენთან ერთად, შეიძლებოდა კვილი ამეტყუებოდა, ან, არ ვიცი, რას ვიზამდი, მაგრამ მეგა?! ჩემი დასავით შეზრდილი მეგობარი და შენ?! რატომ, რატომ, რატომ?! ან შენ, ან მეგა რატომ გამიფიქვით ეს?!

დიდხანს ვყვიროდი ამ სიტყვებს, იმ დღეებშიც, მერეც, წლებს მერეც... ოღონდ ეს ყვირილი არასოდეს არავის გაუგია, მით უმეტეს, არც შენ და არც მეგის, რომელსაც მაშინაც, როცა იქ, ჩემს საძინებელში დაგინახეთ, არაჩვეულებრივი მუღულე ჰყავდა... ის აღმერთებდა ცოლს, ხელისგულზე ატარებდა, არაფერს აკლებდა. როცა საზღვარგარეთ მიდიოდა მივიღინებამი, არამარტო მისთვის, მთელი მისი სახლობლობისთვის უამრავი საჩუქარი ჩამოჰქონდა, ამასაც მეგის სიყვარულით აკეთებდა. არც მისთვის მითქვამს არაფერი, რატომ უნდა დამეზარა მისი ცხოვრება ისე, როგორც ჩემი დაინგრა...

ფეხით წავდი საავადმყოფოში, ჩუმად, განადგურებული. ის გზა არ მახსოვს, ის დღეები საერთოდ არ მახსოვს, თითქოს ჩემ ნაცვლად

მეცანიკური თოჯინა მოქმედებდა. გელაპარაკებოდი, პასუხს გცემდი, მაგრამ იქ არ ვიყავი. შენ ჩემი მამინდელი მდგომარეობა მამაჩემის ავადმყოფობას დახარალებ, მერე სიკვდილს. მერე იყო და გითხარი, სხვა მიყვარს-მეთქი... მე არც მეგისთან გამიწყვეტია ურთიერთობა. იცი, რატომ მოვიქეცი ასე? იცი? თქვენ კი არა, საკუთარ თავს ვერ ვაკადრე იმის გამხელა, რაც დავინახე, იმის გამხელა, რომ შენ — ადამიანი, ვინც სიცილიმდე მიყვარდა და მეგი — ადამიანი, რომელიც დაზე მეტი იყო ჩემთვის, თურმე მატყუებდით, ზურს-გსუჯან დამცინოდით, მანადგურებდით... თქვენი სიყვარული ჩემდამი დიდი ტყუილი იყო, დიდი ტყუილი!

— მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო ღაბუა ბარტყო... — ეს სიტყვებიც ტყუილი ყოფილა, მე კი როგორ მიყვარდა მათი მოსმენა!...

— ერილი აქ მთავრდებოდა. — ელენე, რომელი, რას აკეთებ? — ზაზას ხმა მომესმა ამ დროს.

ფურცლები დავკუჭყე, სავარძელში ჩავტენე და გიჟივით ჩამოვეცი ზაზას კისერზე.

— რა იყო, რა მოგივიდა? — მკითხა გაოცებულმა, — ფერი არ გადევს, მოხდა რამე? — მითხარი, რომ არასოდეს მილალატებ, მითხარი, გეხვენები, მითხარი! — ვიმეორებდი უაზროდ.

— დამშვიდდი, დამშვიდდი-მეთქი, — ჩამიხუტა, მერე თავი გადამინია და თვალბში ჩამხედა, — აბა, მითხარი, რა მოხდა, რა მოგელანდა?

— ზაზა, რაღაც ხდებოდა, მეც არ ვიცი, რა, მაგრამ იმდენი რამ დავთხვავ ერთმანეთს, ძალიან მეშინია, მეშინია... — და ხელები მოვუჭირე.

— რა ხდება, გამაგებინებ ბოლოს და ბოლოს თუ არა? — ახლა ცოტა მკაცრად მკითხა.

ყველაფერი მოვუყვიე. ყველა დამთხვევა, სახელები, ჩემი სიტყვები, ასლაგადლებულივით რომ იყო წერილში...

— რა სისულელეა! — გაეცინა, — როდემდე უნდა იყო ასეთი ჩერჩეტი? იცი, რამდენი რამე ემთხვევა ერთმანეთს სამყაროში?

დიდხანს მამშვიდებდა. მერე წავედით, ბევრი ვისეირნეთ ღამის ქუჩებში. რა თქმა უნდა, ისევ წერილზე ვფიქრობდი, მაგრამ ახლა აღარ მეშინოდა, ზაზასთან რისი უნდა შემშინებოდა?

— კიდევ მითხარი, რომ გაყვარვარ, რა, — შევეხვეწე ძილის წინაც და ჩავეხუტე.

— მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემო ღაბუა ბარტყო... — მითხრა და მკერდზე მიმიკრა.

ციკმა ოფლმა დამასხა.

ზაზას წერილი წაკითხული არ ჰქონდა და არც არასოდეს მოუმართავს ჩემთვის ამ სიტყვებით.

— ღარ მიკითხავს, რატომ მომმართა ასე, საერთოდ აღარაფერი მითქვამს, არც იმ წუთას და არც მერე...

„თუ კიდევ ვახსენებ წერილს, ზაზა აუცილებლად ფრთხილად იქნება. ისე უნდა მოვიქცე, თითქოს დავივიწყე ამ წერილის არსებობა“, — გავიფიქრე და საკუთარი თავი ძალიან ცუდ ფიქრებში დავიჭირე: ჩემთვის ყველაზე უძვირფასეს ორ ადამიანს — ზაზას და მეგის — „ჩაუუსაფრდი“. თითქოს ის წერილი იმიტომ ვიპოვე, ჩემი მომავალი მცოდნოდა წინასწარ და ისტერიკულად მეშინოდა და ველოდებოდი იმ დღეს, როცა ყველაფერს იმ ელენესავით მეც საკუთარი თვალით ვნახავდი. რა თქმა უნდა, ასე არ მინდოდა, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი, ყველაფერი საუჭვოდ მაქვეუბნოდა: მეგის მოსვლა, ზაზას ყურადღება მისადმი... ბოლო წვეთი კი ჩემი ძმის დარეკვა იყო — მამა საავადმყოფოში დავანვინეთო. ცალკე ამ ამბავმა დამცა თავზარი, ცალკე — წერილის გახსენებამ. „ელენე ხომ იმ ღამეს ნახა ისინი ერთად, საავადმყოფოდან შემთხვევით რომ დაბრუნდა! მამის ავადმყოფობაც დაემთხვა! ესე იგი, დრო ახლოვდება“, — გავიფიქრე შემინე-



sms-ები გამოგზავნეთ იმშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადააშაბათი, 8 ივნისი 17 საათი.

გავიციან შესვედრებისთვის

- 1. გავიციან ფიზიკურად და ფინანსურად ძლიერ, 50 წლამდე ქალს. ვარ 35 წლის, სიმპათიური მამაკაცი, არამატყუარა, არამწველი და ფიზიკურად ძლიერი. 555295041
2. შეხვედრებისთვის გავიციან 40-50 წლამდე თბილისელი ქალს. ვარ 50 წლის. 558777347. დათო
3. ვარ 44 წლის, მომხიბვლოელი მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიციან 45 წლამდე მომხიბვლოელ ქალს. 558658348
4. გავიციან თბილისელი, მატერიალურად დამოუკიდებელი, გამხდარ ქალს. ვარ 48 წლის მამაკაცი. 555161421
5. გავიციან 30-დან 35 წლამდე ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. 593510412. ვახო
6. გავიციან 30 წლამდე ქალს, თუნდაც განათხოვარს, მსუქანს და შვილიანს. 551193985. საბი
7. ვარ იმერელი, 30 წლის, დასაქმებული მამაკაცი. შეხვედრებისთვის და ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიციან იმერელ ქალს. 598554757. ბესო
8. ვარ 29 წლის, სპორტული აღნაგობის ბიჭი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიციან ლამაზ გოგოს. 558249364
9. გავიციან ფინანსურად დამოუკიდებელი ქალს, ვისაც აქვს განსხვავებული სურვილები. ვარ უკომპლექსო ბიჭი. 598949404. ბექა
10. ვარ 35 წლის მამაკაცი, სანდო, თბილი და უპრობლემო. გავიციან თბილისელი, მომხიბვლოელ გოგოს ლამაზი ურთიერთობისთვის. მყავს საკუთარი ავტომობილი. 555636798. გიო
11. ვარ 35 წლის მამაკაცი, გავიციან კარგი გარეგნობის ქალს. 514197722. ლაშა
12. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიციან ქალს 35 წლიდან. ვარ წესიერი, ზრდილობიანი, თბილისელი მამაკაცი. 558650023
13. ვარ 38 წლის, დასაქმებული მამაკაცი. გავიციან 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 591173787
14. ვარ სიმპათიური, 40 წლის სანდო მამაკაცი. სამეგობროდ გავიციან 30 წლამდე ქალს. 551546936. გიორგი
15. ვარ თბილისელი, 30 წლის ბიჭი. გავიციან მხოლოდ თბილისელ გოგოს 25-დან 30 წლამდე შეხვედრებისთვის. ვარ დასაქმებული. 557227487
16. გავიციან ქალს ლამაზი შეხვედრებისთვის 25-დან 35 წლამდე. ვარ საკმაოდ საინტერესო ბიჭი. 593210738. გოგა
17. გავიციან 18-დან 30 წლამდე გოგოს შეხვედრებისთვის. ვარ საკმაოდ მიმხიბვლოელი და ვნებიანი ბიჭი. 577557563. ბაჩო
18. გავიციან 35 წლამდე, თბილისში მცხოვრებ, ზრდილობიან და ლამაზ ქალს. 551740511. გიორგი
19. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიციან პატიოსან, ყველაფერი უზრუნველყოფილი ქალს. ვარ 36/180/90, სიმპათიური, ძალიან თბილი და კეთილშობილი, ქართველი მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში, საკუთარ სახლში, მშობლებთან ერთად. 595855661
20. შეხვედრებისთვის გავიციან მხოლოდ იმერელ, ქვირც 35 წლამდე ქალს. ვარ იმერელი, 39 წლის მამაკაცი. 557994113. ჯონი
21. გავიციან 35-40 წლამდე თბილისელი ქალს შეხვედრებისთვის. 555562562
22. გავიციან 37 წლამდე თბილისელი ქალს, ვისაც არ გაუმართლა და გული ატკინეს. 555519283
23. ვარ კახეთიდან, დასაქმრწინებელი მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიციან ქალს. 557632685
24. საზაფხულო ურთიერთობისთვის გავიციან 25 წლამდე ლამაზ ქალს. 593712066
25. გავიციან აჭარაში მცხოვრებ 22 წლამდე გოგოს. ვარ ბათუმელი, 23 წლის სიმპათიური ბიჭი. 555152546

- 26. შეხვედრებისთვის გავიციან თბილისში მცხოვრებ ქალს 20-დან 35 წლამდე. 557258502. ზურა
27. გავიციან 30 წლამდე ქალს. ვარ სიმპათიური ბიჭი. 598175003. დათო
28. ვარ 32 წლის, თბილისელი მამაკაცი, ცოლშვილიანი. გავიციან თბილისელი, ფინანსურად უზრუნველყოფილი, 30-დან 40 წლამდე ქალს. 557545027
29. ნებისმიერ თემაზე სასაუბროდ და შეხვედრებისთვის გავიციან 27 წლამდე გოგოს. ვარ 28 წლის თბილისელი. 555372334. გოჩა
30. ვარ თბილი, სიმპათიური, 30 წლის მამაკაცი, უცოლო, დასაქმებული, ბინიანი. შეხვედრებისთვის გავიციან 35 წლამდე თბილისელი, ლამაზ გოგონას. 593050806
31. გავიციან 25-დან 45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 27 წლის. 557292742
32. სამეგობროდ გავიციან თბილისში მცხოვრებ 38 წლამდე ქალს. 555570389

გავიციან ქალს ოჯახის შესაქმნელად

- 1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 40 წლამდე, დედისერთა ქალიშვილი ქალს, ვისაც უნდა შვილები და თბილი ოჯახი. მხოლოდ დარეკვით. 557648775
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 30-40 წლამდე ქალს. ვარ 42 წლის მამაკაცი. 551181206. რობერტი
3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 29 წლამდე გოგოს. ვარ 31 წლის, დასაქმებული ბიჭი. 558414630
4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან 40 წლამდე დედისერთა ქალიშვილს, ვისაც უნდა შვილები და თბილი ოჯახი. მხოლოდ დარეკვით. 557648775
5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან თბილისელი, გაუთხოვრად გოგოს. ვარ 43 წლიანს, თბილისელი, დასაქმებული მამაკაცი. 591416683
6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიციან პატიოსან, თბილი, ერთგული, მისიყვარული, ეკლესიური გოგონას. ვარ თბილისელი. 599801018
გავიციან მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად
1. გავიციან 35-დან 40 წლამდე ჭკიან თბილისელი, დასაქმებული მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად. 555239671. მაია
2. გავიციან ბათუმელი, შეძლებული მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად. ვარ 40 წლის, ვცხოვრობ ბათუმში. 555754160

გავიციან მამაკაცს შეხვედრებისთვის

- 1. გავიციან ბათუმელი. შეძლებულ მამაკაცს. ვარ 40 წლის. 555754160

სხვადასხვა

- 1. ვარ 35 წლის, გავიციან 40 წლამდე ადამიანს სამეგობროდ. 555133099. გეგა
2. ვარ 35 წლის, დავუმეგობრდები 40 წლამდე ადამიანებს. 555133099. გეგა

გილოცავ

ჩემო სიყვარულო, დაბადების დღეს გილოცავ, უკვე მესამედ, ისევ ისეთი გრძობით მიყვარხარ და მუხატრები. შენი ცაცუ

მიყვარხარ, მენატრები

ბორის, მე მანაც ვრჩები ფიქრებთან მარტო და ჩემი ფიქრი შენა ხარ მარტო, მინდა რომ განსა, გითხრა, რომ გნატრობ, ხომ იცი, შენთვის ვარსებო მარტო. შენი ცაცუ
დათ, როგორ ხარ, ჩემო სიხარული? შენ ჩემი იმედი ხარ, მე შენი სიყვარული მადლიერებს და მალე ერთად ვიქნებით, უფალი გადმოგვხედავს და არ გაგვწირავს. თიკო

თუ გსურთ, ახლობელს მიუცხადოთ ჩემი ან გაუმხილოთ თქვენი გიჟობები უჩინად „სახის“ მეშვეობით. აჯიხეთ ახი „M“. შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯოსხელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაყენების განცხადებებში მიუთითეთ თქვენი კელფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სახის“ უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 8 ივნისი 17 საათამდე.
ქვემოთ sms-ის ლიხებულება 1 ლაჩი. ნუხილი, ხომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, ახ დაიბეჭდება!
ქვემოთ აფხესაგისადმი მიწერილი ოხ ბახათზე მეტი ახ დაიბეჭდება

69 ბულმა, თითქოს ჩემი კი არა, იმ, სხვა ელენეს ცხოვრებით ვცხოვრობდი და საავადმყოფოში ისე გავვარდი, ზაზასთვის არც მითქვამს — შეგნებულად! კიდევ კარგი, საშიში არაფერი იყო, ექიმები იმდამესვე აპირებდნენ მამაჩემის სახლში გაშვებას.
— ნამოხვალ ჩვეთთან რამდენიმე დღით? — მკითხა დედამ, ალბათ მანაც ეშინოდა, რამე ცუდი არ მომხდარიყო. მოკლედ შევატყვე, რომ უნდა დავა, მათ გვერდით ვყოფილიყავი. მე კი უსინდისად მოვატყვე, ზაზაც ცუდად არაის, ნესც, ამ ღამით მივხვდებ და დილაადრიან გამოვალ-მეთქი. გარეთ გამოსულმა კი ზაზს დავურკვე, ჩემებთან ვრჩები-მეთქი.
— გინდა გამოვიდე? — მკითხა მაშინვე.
— არა, სახლში იყავი, დისივენე, საშიში არაფერი, — ვუთხარი დაუინებთ.
სინამდვილეში სახლში ნამოვდი, თან მივ-

დიოდი და თან ფეხები უკან მრჩებოდა, არ ვიცი, რატომ ვაკეთებდი ამას, რატომ უნდა დამენახა ის, რისი დანახვაც არ მინდოდა!
...ბინაში მეც ფეხაკრეფით შევედი, როგორც ის, წერილის ელენე.
ხელის კანკალით, ჩუმად შევალე საძინებელი და...
— ელენე, ელენე, რა ხდება?! მამა გარდაიცვალა?! — ზაზას ხმამ გონზე მომიყვანა. იქვე სანოლთან, იატაკზე, ვიჯექი და ისტერიკულად ვღრიალებდი. როგორც ჩანს, ამდენი ხნის დაგროვილი შიშმა და უარყოფითმა ენერგიამ იმოქმედა და როცა ჩვენს სანოლში მხოლოდ ზაზა დავიხანხე, ტირილი ამივარდა. პო, მარტო ჩვენ ვიყავით ოთახში, მე და ზაზა!
— არა, მამა კარგადაა, — უფრო მეტად ავლრიალდი და მაგრად ჩავეხუტე, — ზაზა, ზაზა, მითხარი, რომ არასდროს მილაღატებ, არასდროს. მითხარი, რომ ძალიან გიყვარვარ!

მერე მოვუყევი ყველაფერი ის, რასაც იმ წერილის ნაკითხვის მერე ვფიქრობდი გამუდმებით, ის, რაც მანვალედა: ჩემი ეჭვები, ჩემი შიშები...
— სად არის წერილი? — მკითხა, როცა დავშვივდი.
ავდექი და მოვუტანე.
წერილი დახია, საფერფლეზე დაყარა და ცეცხლ ნაუკიდა.
— ეს სხვისი ცხოვრება იყო, ელი, შეიძლება ბევრი რამ დაემთხვეს ერთმანეთს, მაგრამ ყველაფერი — არა. შენ შენი ცხოვრება გაქვს გასავლელი ჩემთან ერთად, მერე ჩვენს შვილებთან ერთად და იქ სხვის განვლილ ცხოვრებას, სხვის ტკივილს არაფერი ესაქმება, — მითხრა და თავზე ხელი გადამიხვია.
რა ბედნიერი ვიყავი, პატარა ბავშვით ბედნიერი, ზაზასთან ერთად...

სოლიდური სიმსივნით დასნეულაბულ ბავშვებს თანატოლებმა უმღერეს

2 ივნისს თბილისის ერთ-ერთ კლუბში „ბერი ანდრიას სახელობის ფონდის“ ბავშვების მხარდასაჭერად საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა. ამ საღამოს ჩატარების იდეა უფროსი „სარკეში“ გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ გაჩნდა. ინტერვიუ ბერი ანდრიას დედასთან, ქალბატონ თინათინ ჩხვიმიანიანთან გვეჩვენებს, რომელიც სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვების პრობლემაზე ყველაზე მეტად ანდრია სწორედ ამ სენით გარდაიცვალა. ერთადერთი შვილის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი თინათინის ცხოვრების მთავარი მიზანი დაავადებული პატარების მოვლა-პატრონობაა. შვილის ანდრიაზე ასეთი იყო — განსაცდელში მყოფი ბავშვები არ მიეტოვებინა.



თინათინ ჩხვიანიანი

პატარების გასაჭირი ბევრმა ადამიანმა გაიზიარა, ისინი ღონისძიების ორგანიზატორთა გვერდით დადგნენ. აქციაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კომპანიებმა, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებმა. ყველა ის სტუმარი იყო მონვეული, ვისი ნახვაც სოლიდური სიმსივნით დასნეულებულ ბავშვებს სურდათ. მათთვის ჯერ სალომე ქათამაძემ და ანიკო ნიუარაძემ იმღერეს, შემდეგ კი სცენაზე საბავშვო „ახალი ხმის“ გამარჯვებული, რეზიკო დიდუბაშვილი და მისი მეგობრები, ჯგუფი „მალსაჯი“ ავიდნენ. ქალბატონი თინათინის თქმით, ასეთი მხარეული საღამო პატარებისთვის კარგა ხანია არავის უჩუქებია.

— მეგონა, რომ ჩემი აქ მოსვლით ფონდის ბავშვებს პატარა სიამოვნება შეემატე. ვფიქრობ, მსგავსი ღონისძიებები ხშირად უნდა ჩატარდეს. წესით, ამ ბავშვების გამოჯანმრთელებით სახელმწიფოც უნდა იყოს დაინტერესებული. დღევანდელ ღონისძიებას და ბავშვებს გულითადად უმღერდით ვუდგავარ. ბავშვებზე რომ აღარაფერი გითხრათ, პირადად მეც ძალიან კარგად გავერთე. საღამოს ორგანიზატორ სოფიო ბოჭორიძეს დიდ მადლობას ვუხდით, რომ ამ საღამოზე დასწრების პატივი მხვდა ნილადა, — აღნიშნა შოუემენტის ვანო ჯავახიშვილი.



„ბერი ანდრიას სახელობის ფონდის“ დამფუძნებელმა თინათინ ჩხვიანიანმა აღნიშნა, რომ ხშირად ხალხს სოლიდური სიმსივნით და ლეიკემიით დაავადებული ერთი და იგივე ჰგონია. სინამდვილეში კი სოლიდური სიმსივნე ბევრად რთული დაავადებაა. ამ ტიპის საღამოები ხალხს დაეხმარება, ასეთ ბავშვებზე მეტი რამ იცოდნენ.

— ლეიკემია ერთი პრობლემაა და სოლიდური სიმსივნე — სრულიად სხვა. ორივე ონკოლოგიური დაავადებაა, მაგრამ საზოგადოებას რატომღაც ჰგონია, რომ ბავშვები მხოლოდ ლეიკემიით არიან დაავადებული. ამ ბავშვების ხვედრი უფრო მძიმეა, რადგან მეტი ტკივილი აქვთ, ხანგრძლივი მკურნალობა უნებია. ფონდის ერთ-ერთმა ბავშვმა, პაატა ბინაძემ თქვა კიდევ, ჩვენ მთელი ცხოვრება იმ ბავშვების ჩრდილქვეშ ვართ, ტელევიზიით ვუყურებთ, მათთან დღესასწაულების მისალოცად როგორ მიდიან და ჩვენთან არავინ მოდისო. ღვთის წყალობით, ეს საღამო გაიმართა და ხალხი ნახავს, რომ ონკოლოგია მხოლოდ ლეიკემიით არ შემოიფარგლება.

„ბერი ანდრიას სახელობის ფონდის“ დღეს 21 ბავშვზე ზრუნავს. სამწუხაროდ, ეს პრობლემა საქართველოში სხვა ბავშვებსაც აქვთ. მას შემდეგ, რაც უფროსი „სარკეში“ ჩვენი ფონდის შესახებ დაინერა, საზღვარგარეთიდან ქართველი ემიგრანტები გამოგვემართნენ. ფულს გვირცხავდნენ უკრაინიდან, მეგობრივად, ამერიკიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან. ამისათვის გავრამაძე მათ და თქვენს აურონალს, რომ ასე მხარში გვიდგახართ! — გვითხრა ქალბატონმა თინათინ ჩხვიანიანმა.

საღამო ნუკი კომპლექსიდან და შოთიკო ტატიშვილს მიჰყავდათ. შოთიკო შოუემენტის ოთარ ტატიშვილის ვაჟია. მან თავად გამოთქვა სურვილი, ამ საღამოს გასძლიოდა. საღამოზე ფონდის ბავშვების ხელნაკეთი ნივთებისა და აქსესუარების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ღონისძიებაზე შემოსული თანხა „ბერი ანდრიას ფონდს“ გადაეცა.

„ბერი ანდრიას სახელობის ფონდის“ საბანკო ანგარიში: საბანკო კოდი TBCBGE22 ა/ა 3E73TB7171536080100002 ზარი ყველა ქსელიდან 0901500535 (ღირ. 1 ლარი)

„გვირილავ“ 20 წლის იუბილე აკადემიური გოგონას დახმარებას მიუძღვნა

წელს ანსამბლ „გვირილას“ 20 წელი შეუსრულდა და ეს მრავალი თარიღი საქველმოქმედო კონცერტით აღინიშნა. ღონისძიებიდან შემოსული თანხით კი დაავადებულ გოგონას დაეხმარნენ, რომელსაც სასწრაფო მკურნალობა ესაჭიროება. — პატარა გოგონას, ანი სირენაშვილს ვეხმარებით, რომელიც ჩვენი მოსწავლის დაა. ის ეპილეფსიითაა დაავადებული და გეირმანიაში მკურნალობა ესაჭიროება, — გვითხრა ანსამბლ „გვირილას“ ხელმძღვანელმა ერნა ნიუფორიამ.

ანსამბლის იუბილეს დღეებში, სოციალურად დაუწყველი და უნარშეზღუდული ბავშვები დაესწრნენ. პატარა მკურნალებს საღამო ცნობილი ადამიანებმა გაუღამაზეს. მათ წინაშე პირველი თემურ ნიკლაური წარდგა, შემდეგ კი — ბორის ბეღია.

კონცერტში „გვირილას“ უფროსი და უმცროსი თაობები მონაწილეობდნენ. საღამოს, ტრადიციულად, მომღერალი ნუგზარ კვაშალი და პროექტის ავტორი ნინო ჩიხლაძე უძღვებოდნენ. — ძალიან კარგი საქველმოქმედო საღამო გამოვიდა, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და ჩვენი ანსამბლის იუბილეს ეძღვნება. ჩვენ გვერდით უამრავი ნიჭიერი, ცნობილი ადამიანი დადგა, — განაცხადა პროექტის ავტორმა ნინო ჩიხლაძემ და თითოეულ სტუმარს მადლობა გადაუხადა.

— ეს პატარები ჩემთვის შვილთაშვილების ტოლები არიან, მათ უნდა ნახონ, რომ სიმღერა პაპასაც შეუძლია, პაპაც ებმება იმ დიად საქმეებში, რაც ქვეყანაში ხდება. ჩვენ გარიყულები არ ვართ, ჩვენ ახალ, მომავალ თაობას გვერდში ვუდგავართ, — თავისუფალი შთაბეჭდილება გაგვიზიარა მომღერალმა თემურ ნიკლაურმა.

„გვირილას“ ბავშვები მართლაც ძალიან ნიჭიერები არიან. „ჩუნგაჩანგა“ ჰქვია სიმღერას, რომელიც მათთვის შევასრულეთ. ყველანაირი საქველმოქმედო კონცერტში ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვმონაწილეობ, — უთხრა „სარკეს“ მომღერალმა ბორის ბეღიამ.

ანსამბლმა „გვირილამ“ 20 წლიანი არსებობის მანძილზე უამრავ ბავშვს შეაყვარა მუსიკა. ახლა უკვე ძველი თაობის „გვირილები“ შვილების თაობას ასწავლიან.



მინდა, ვირბინო, ვხატო... — არტიზმით დაავადებულ ბავშვებს მხარდასაჭერად

მინდა, ვირბინო, მინდა, ვხატო... ეს, ერთი შეხედვით, მარტივი სურვილები ზოგიერთი ბავშვისთვის ოცნებაა. საქართველოში იუვენილური არტიზმით დაავადებული ბავშვების რიცხვი იზრდება. ეს დაავადება 6 თვიდან 16 წლამდე ასაკის ბავშვებში ვითარდება. ყოველი 100.000 ბავშვიდან დაახლოებით 100 ავადდება. პაციენტთა ნახევარზე მეტი, განსაკუთრებით მძიმე ფორმების შემთხვევაში, III-IV ჯგუფის ინვალიდი ხდება.

სამწუხაროდ, არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ამ საშინელი დიაგნოზის მქონე პატარებს დაეხმარება. ქრონიკულ დაავადებას ყოველდღიური მკურნალობა სჭირდება, რაც უზარმაზარ ხარჯებს იწვევს. პაციენტებისთვის მძიმე შემთხვევაში შეუძლებელია. ბავშვები ნელ-ნელა კარგავენ სიარულის, ხატვის და თამაშის უნარს.

კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე იუვენილური არტიზმით დაავადებული ბავშვებისთვის სპეციალური მხარდაჭერი აქცია მოწყობა. აქციის მიზანი მარტივია — ამ პრობლემის მიმართ საზოგადოებაში მეტი ინფორმაცია და მხარდაჭერა. ინიციატიორი „იუვენილური არტიზმით დაავადებულ ბავშვთა მოძრაობის კავშირი“ გახლდათ, რომელიც უკვე ორი წელია დაავადებული ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნავს. აქციას უფროსი სტუმრები, ცნობილი სახეები და სხვა სტუმრები შეუერთდნენ. ისინი პატარებთან ერთად ხატავდნენ, სეირნობდნენ და მათ მომავლის იმედს უძლიერებდნენ. ბავშვებთან ერთად მონვეულმა სტუმრებმა კუს ტბას სიმბოლურად ფეხით შემოუარეს, შემდეგ კი სტადიონზე კლასობანა, რეზინობანა, წრეში ბურთი, ორდროშობანა ითამაშეს. დასასრულს სამხსოვრო ფოტოები გადაიღეს და ცაში სურვილებით საგსე საპაერო ბუშტები გაუშვეს.

თუ ღმერთი უსმენს ჩვენს თხოვნას, მაშინ აღარაფრის უნდა გვაუბნოდეს

ხსენება წმინდათა მოციქულთა იასონისა და სოსიპატრესი და მათიანა წამებულთა სხვათა მოწამეთა



გაბრძელება

ამ სიტყვებზე ღმობით მიუგეს კერკილინოსს: „ღიახ, მეფეო, მოვისმინეთ თქვენი ნათქვამი და განვძლიერდით იესო ქრისტეს ძალით, ვინაიდან რწმენით ქრისტესადმი და მოთმინებით დაიძლევა შენი არაადამიანურობა და უდიდესი და საშინელი სისასტიკე, რადგან შენი დამახინჯებული აზროვნება გახდებდა მიზეზი იმის, რომ ჩვენ მოვიპოვეთ უჭკნობ გვირგვინს და სამყოფელს ჩვენს უფალს იესო ქრისტესთან“.

განრისხებულმა კერკილინოსმა, რომელიც ცდილობდა, მრისხანება არ შესტყობოდა, ფარული სიმშვიდით უპასუხა: „სწორად აღნიშნეთ, რადგან ჩემი კეთილი მოპყრობა თქვენადმი გახდა თქვენი თავხედობის მიზეზი. შესწირეთ მსხვერპლი ჩვენს ღმერთებს, რადგან ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი. თქვენ გნამთ, რომ თქვენი მაგიური ძალების მეშვეობით ძალუძთ თქვენზე უფრო მეტი სასწაულის მოხდენა“.

ამაზე წმინდა იასონმა მიუგო: „თუ ასეა, იქნებ გვიჩვენონ სასწაულები“. მეფეს გაუხარდა იასონის დაინტერესება და იმედოვნებდა, რომ გარდატეხა შეიტანა წმინდანთა ცნობიერებაში, რადგან დაინტერესდნენ ქურუმების სასწაულოქმედებებით. მაშინვე მოიხმო ის ჯადოქარი, რომელზეც უკვე მოგახსენეთ, ერთ დღეში რომ მოხდა კიდევ მინა, დათესა კიდევ ხორბალი, მოსავალი მოინია და გამოცხვარი პურიც მიართვა ხელმწიფს.

მაგვით შეპყრობილი ქურუმის დანახვისას წმინდანმა იკითხა: „ეს არის ის სასწაულოქმედი ჯადოქარი, რომელიც ქრისტიანების მისამართით აპირებს გალაშქრებას?“ ღიახ, ეს არისო, მიუგო კერკილინოსმა და უბრძანა თავის ქურუმს, ემოქმედა და მიუხდინა სასწაული, რომლითაც დაარწმუნებდა წმინდანებსაც და იქ შეკრებილ საზოგადოებასაც.

მართლაც მოეშადა ქურუმი თავისი დემონური ძალების ზემოქმედების ხალხისთვის საჩვენებლად. ჯერ ულოგიკო პირუტყვები და ფრინველები ალაპარაკა, მცენარეებიც და ქვებიც კი ირხეონენ, გეგონებოდათ, ჯადოქრის ბრძანებას ემორჩილებიან და მის დაკვეთას ასრულებენ. ამის მნახველმა იქ შეკრებილმა ხალხმა განცვიფრებულმა ერთხმად აღ-

იარეს ქურუმის და კერპთაყვანისმცემლობის უბრატესობა. ამ დროს კი მომხდართი შეძრწუნებულმა წმინდა იასონმა მიმართა ქურუმს: „რას ფიქრობ, ბოროტის მორჩილო, აღასრულე შენი ბატონის ნება, გააოცე შეკრებილი ხალხი მომხდართ, თუ კიდევ გაქვს რამე, ეშმაკის შთაგონებით რომ მოიმოქმედო?“.

ჯადოქარი მიუბრუნდა წმინდანს და მიმართა: „ახლა შენი ჯერია, იასონ, თუ გაქვს რამე სათქმელი და მით უმეტეს, საჩვენებელი მეფისთვის და ამ ხალხისთვის, როგორც თვითონ ამბობთ, სიტყვას ნამოქმედარი საქმე სჯობს“. ამაზე წმინდა იასონმა უპასუხა: „ტყუილად ხარ ბედნიერი, ბოროტის მონაც, რომ გადაურჩები უფლის სამსჯავროს, რომელიც მოახლოებულია შენს თავზე და ყველაზე, რომელიც ემსახურებით ეშმაკს, ჯოჯოხეთის მთავარს“.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია და მოწყვეტილ დაეცა ჯადოქარი და სული განუტევა. იგივე დაემართათ იქ მყოფების უმრავლესობას, ხოლო ისინი, ვინც ცოცხლები დარჩნენ და ნახეს ეს ყოველივე, შეშინებულები ერთმანეთს შეპყურებდნენ გაცოცხლები იმის მოლოდინში, თუ რა მოხდებოდა. მანამდე თუ სიხარულით და ცეკვა-თამაშით აღნიშნავდნენ მომხდარს, ახლა უკვე ყველას, ვინც კი ღვთის რისხვას გადარჩენოდა, იასონისა და სოსიპატრესის მიეყრით ყურადღება. ცოტა ხნის დუმილის შემდგომ კი ყველა მათგანს ერთხმად აღმოხდა: „დიდ არს უფალი წმინდანთა იასონის და სოსიპატრესის“.

მართლაც, მხოლოდ მათი ღმერთი არს ჭეშმარიტი და მათ ღმერთს ძალუძს ნამდვილი სასწაულები. ამის შემხედვარე უზომოდ ღვარძლიან და გაცოცხლებულ კერკილინოსს სურდა, პირადად გასწორებოდა წმინდანებს, თანაც უსასტიკესად, თუმცა ამის გაკეთებისაც ეშინოდა. იმასაც კარგად ხედებოდა, რომ ამ ამბის ასე ურეაქციოდ დატოვებაც ხიჯათის შემცველი იყო როგორც მისი ტახტისთვის, ასევე მისი პირადი უსაფრთხოებისთვისაც, ამიტომ ბრძანა წმინდანების დროებით საპყრობილეში დამწყვედვა.

ამის შემდგომ კერკილინოსთან მივიდა ეპარხოსი, სახელად კარპიანოსი და მოახსენა: „მეფეო, არ იქნება ხალხისთვის მოსაწონი ამ ადამიანების მეფის ხელით დასჯა, რადგან თქვენი დიდებულებისთვის ეს საქმე შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იქნება, მათ ჩვენ გავუსწორდებით და სამარცხვინო ფორმით დაესჯით ისე, რომ თავიდან აგარიდებთ ყოველგვარ უსიამოვნებას“.

კერკილინოსს ეს შეთავაზება, ბუნებრივად, მოეწონა და ნასიამოვნები დარჩა. ჯერ იმითომ, რომ ქვეცნობიერად ეშინოდა მათი და ამ შიშისგან თავისუფლდებოდა, მეორეც ის, რომ ეს ყოველივე მისი ხელქვეითის ხელით აღსრულდებოდა და ქრისტიანების რისხვასაც აირიდებდა თა-

ვიდან.

ეპარხოსმა სატორინოსმა განიზრახა, სახალხოდ უმკაცრესად დაესაჯა წმინდანები იასონი და სოსიპატრე, რათა აღარავის გასჩენოდა ამის სურვილი და ქვეყნის ინტერესებს აღარ დაშურებოდა თავისი საქციელით, როგორც ამას წმინდა მონაქმეები აკეთებდნენ წარმართი ტირანების შეხედულებით.

როცა ისინი სასერიოდ მთავარ მოედანზე გამოიყვანეს, ხელმწიფის თხოვნეტი წლის ქალიშვილმა, სახელად კერკირამ იკითხა იასონის და სოსიპატრეს ნამების მიზეზი, რაზეც პასუხად მიიღო, რომ ეს ორი ადამიანი იყვნენ ქრისტიანები და უარყოფდნენ მამა-პაპათა ღმერთების თავყანისცემას. ეს იყო მიზეზი, რაც მათ ბრალად წაუყენა სატორინოსმა, რომ ისინი შეურაცხყოფდნენ ადგილობრივების სალოცავ კერპებს, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

ამის გამგონე მეფის ქალიშვილმა კერკირამ მორთო ხმამაღლა ყვირილი, თუ ეს ადამიანები ამ უსულო, არაფრისმოქმედი კერპების უარყოფისა და შეურაცხყოფისთვის იტანჯებიან, მაშინ მეც მათ გვერდით უნდა ვიყო, რადგანაც კერპების აღიარება ჩემთვისაც მიუღებელია და მეც ქრისტიანი ვარ, ჩემი ღმერთი იუდეველი იესო ქრისტეა და მეც მზად ვარ, თავი გავწირო ქრისტიანობისთვის იასონისა და სოსიპატრესს მსგავსად.

მოისმინა რა საკუთარი შვილის აღიარება გაქრისტიანების შესახებ, ღვთისმგმობელი ხელმწიფე ხმას ვერ იღებდა. გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აშკარა იყო, რომ ან უნდა შეენწყობა ქრისტიანების წამება, ან კიდევ საკუთარი შვილიც უსასტიკესად უნდა დაესაჯა მოციქულებთან ერთად. ერთიც და მეორეც ქლის სურვილის, ნების სანინააღმდეგო მოქმედება იყო.

კერკილინოსმა გადანყვიტა, შვილი მოენახულებინა და ჰკითხა, თითქოს არაფერი უწყოდა: „შენც ხომ არ ირწმუნე, შვილო, იმ ჯადოქრების იასონის და სოსიპატრესს ცრუ სწავლება?“ რაზეც კერკირამ უპასუხა: „ღმერთმა წმინდანთა იასონის და სოსიპატრესსა, რომელსაც ისინი ქადაგებენ ჩვენს კუნძულზე, შემაგრძობინა ჭეშმარიტების, სამართლიანობის და სიმართლის ნათელი ჩემს გულში. სწორედ ამ უფალმა მაგრძობინა ჭეშმარიტების და უცდომილობის გზა“.

ამის გამგონე ხელმწიფე თუ არ გაგიჟდებოდა მოსმენილის შემდგომ, ვერ წარმოიდგენდა. საგონებელში ჩავარდა შვილის პასუხით და მიუგო: „შენც, ჩემო შვილო, უბრატესობას ანიჭებ კაცისთვის, ვილც ჯვარცმულისთვის სიკვდილს, რომელსაც ისიც კი არ ძალუძს, საკუთარ თავს მიესმაროს?“, რაზეც კერკირამ მიუგო: „მამაჩემო, უნდა იცოდე, რომ ქრისტესთვის თავგანწირულები არიან ნეტარნი, რადგან მასთან ერთად ცოცხლობენ საუკუნოდ, დაუსრულებლად და არას-

„სხვათა გაგონსორების სურვილის ძირი ხშირად ამაკრებია“

დროს კვდებიან, რადგან ის არის ცხოვრება, საუკუნო და ნათელი ჭეშმარიტი, ამიტომაც მეც გადაწყვეტილი მაქვს, ვენამო უკვდავებისთვის და არა ხორციელი, დროებითი სიამტკბილობისთვის წარმართების მსგავსად. მზად ვარ უსასტიკესი სიკვდილით ტანჯვისთვის მისი სახელის გამო“.

ხელმწიფემ სასახლეში დაიბარა ეპარხოსი სატორინოსი თავის ხელქვეით სატორინინესთან ერთად და ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო შვილის წინააღმდეგ, რაზეც მიუგეს ეპარხოსმა და მისმა ხელქვეითმა, უმჯობესია, კერკირა ქალაქს გაეარიდოთ ან იზოლირებული ვამყოფოთ ხალხისგანო. მართლაც შემოსეს უძვირფასესი სამოსით, მორთეს უძვირფასესი ქვეებით და სამკაულებით ხელმწიფის ქალიშვილი, რათა დროებით გადაევიწყებინათ მისთვის ქრისტიანობაზე ფიქრი და თუ შეძლებდნენ, საერთოდაც უარი ეთქვა თავის სარწმუნოებაზე, მაგრამ მწარედ მოტყუებდნენ. გოგონამ ძვირფასეულობა გაჭირვებულებს ჩამოურიგა და ყველას ქრისტიანობისკენ მოუწოდებდა იმის ნაცვლად, რომ დავინწყებოდა და უარი ეთქვა ქრისტიანობაზე.

მამამ, თუ ამას შეიძლება მამა ვუნოდოთ, თვითონ გადასცა მტარვალებს საკუთარი შვილი სანამებლად და უბრძანა მათ, ქალაქის გარეთ გაეყვანათ და იქ ენაშენებინათ. საკუთარ სისხლში შეღებეს პატარა გოგონა მხოლოდ იმის გამო, რომ გაიძახოდა, ქრისტიანი ვარ და ვერასდროს ვიტყვი უარს იესო ქრისტეზე. ძალაგამოლეულმა, წანამებმა კერკირამ მუხნი მოიყარა და სუსტი ხმით განაგრძო ლოცვა: „გმადლობთ შენ, უფალო ჩემო იესო ქრისტე, რადგანაც ღირს მყავ, დღეს ჩემივე სისხლით მიმელი შენი ნათელი. მომეც ძალა, რათა შეუდრეკველად განვეყო ჩემი გზა, რომელიც შეგნენ მოემართება“.

კიდევ ერთხელ მოუწოდა მეფის მსახურმა კერკირას, გონს მოსულიყო და მსხვერპლი შეენირა ადგილობრივი კერპებისთვის, რაზეც, რა თქმა უნდა, სასტიკი უარი მიიღო მონამისგან. მან ისევ გამოკეტა საპყრობილეში და მოახსენა მამამისს, დიდო ხელმწიფემ, თქვენი შვილი უმძიმესი ცოდვით არის შეპყრობილი და ერთადერთი გზა ისლა რჩება, ან უნდა გაუშვათ და იცხოვროს, როგორც მას სურს, ან კიდევ უნდა მოვაკვდინოთო.

განრისხებულმა და ეშმაკეულმა მეფემ ბოროტის კარნახით გასცა განკარგულება, რომ საპყრობილეში მასთან შეეშვათ ერთი ეთიოპიელი, რომელიც ერთ აუწერელი გარყვინილების გამო იხდიდა სასჯელს. ასეთი გაუგონარი ამბებიც კი შეიძლება დაემართოს ეშმაკეულ ადამიანს, რომელსაც პირობითად თუ ვუნოდებთ ადამიანს, რადგან მასში აღარ სახლობს ადამიანი. ქალწულ კერკირას სიმინდებზე თვით უფალმა იბრუნა — კიდრე ეთიოპიელი მოალენვდა მონამის საკნამდე, კარში უფლის ანგელოზი ჩადგა ქალწულის დასაცავად და ძირს დასცა ტყუილად გახარებული ეთიოპიელი, რომელიც მიიჩქაროდა ქალწულ კერკირას წასაბილწავად.

ახლა უკვე თვით კერკირა ქალწული ევედრებოდა უფლის ანგელოზს, მიეცა მასთან გასაუბრების უფლება და ჰკითხა ეთიოპიელს: „რა მიზანით მოხვედი ჩემთან?“ რაზეც მიუგო ეთიოპიელმა, ეპარხოსმა კარპინოსმა გამომგზავნაო. „ნუთუ ვერ აძინევ, რომ ველური ცხოველებიც კი თვინიერდებიან, როგორც კი იესო ქრისტეს სახელი ესმით, შენ კი, ლოგიკურ ქმნილებას, ასე რამ დაგიბრძავა გონება, რომ საკუთარი გარყვინილების და ურჯულოების ტყვე გამხდარხარ?“.

ამის მოსმენის შემდეგ ეთიოპიელი გონს მოეგო, ფეხებში ჩაუვარდა ქალწულ კერკირას და უთხრა: „გთხოვ, გამიშვი აქედან უვნებელი და ვირწმუნებ შენს ღმერთს“. რაზეც მიუგო ქალწულმა: „ნუ შეგეშინდება ნურაფრის, ეს ცხოველები აღარაფრის დაგიშავენ, რადგან ველური ცხოველები ჭამენ მხოლოდ სხეულს, ხოლო ცოდვა, რომლითაც დადიხარ, შეჭამს და მოაკვდინებს სულს და საუკუნოდ დაგამკვიდრებს ჯოჯოხეთში“.

აცრემლებულმა ეთიოპიელმა სთხოვა ქალწულს, მიეცა მისთვის რამე ნიშანი, რათა ყოველთვის ხსოვებოდა ეს დღე. მაშინ კერკირამ ხისგან გამოთლილი ვჯარი უსახსოვრა და მიუგო ეთიოპიელს: „ეს არის სიმბოლო ქრისტიანობის და ხსოვნა დღევანდელი დღის, ირწმუნე იესო ქრისტე, რომელსაც სურს, რომ გადარჩე“. უწოდა ეთიოპიელს სახელად ქრისტოდულოსი და დალოცა. ქრისტიოდულოსმა სთხოვა, ესწავლებინა, თუ როგორ ეცხოვრა, მანაც დაარაგა: „არასდროს განიკითხო არავინ საკუთარი თავის გარდა, ითხოვე მხოლოდ ქრისტე, რომელსაც გსურს, რომ მიეახლო და მხოლოდ მას ეცი თაყვანი“.

ქრისტესმეორე სიყვარული პროტოდიაკონი მირიანი. ანნი!

გაბრძობა შემდეგ ნომერი

სიტყვას დიდი დატვირთვა აქვს ქრისტიანული გაგებით. „დასახამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან“ — ვკითხულობთ ახალ აღთქმაში. ვის ვესაუბრებით, რა თემაზე და როგორი სახით, სულიერი თვალსაზრისით ისეთივე მნიშვნელოვანია მორწმუნისთვის, როგორც მისი ქმედებები.

ჩვენს საზოგადოებაში კამათი, ემოციური, მძაფრი და ხშირად ნორმის ზღვარგადასულიც, ყოველდღიურობა გახდა. ასეთ დროს რთული ხდება ისეთი სათნოების შენარჩუნება, როგორცაა თავშეკავება, მოთმენა. ცოდვის წყარო შეიძლება გახდეს თითქოს სრულიად უვნებელი, მეგობრების წრეში დასმული თემა, რომელიც საბოლოოდ განკითხვის ან უქმადმეტყველების მიზეზად იქცევა. როგორ უნდა ვისაუბროთ სწორად, ისე, რომ არც თავად ჩავვარდეთ ცოდვაში და არც სხვას ვუბიძგოთ მისკენ, ამ თემაზე იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაცე) გვესაუბრება.

— **მამა, როგორ უნდა ვისაუბროთ მშვიდად მოყვასს, რომლის მიმართაც უარყოფითი ემოცია გვაქვს?**

— რელიგიური ზნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ურთიერთობის კულტურა, ანუ ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა

„თანამოსახლებს ხომ შესაბამისად ვუპასუხოთ, საქიხოა, სიმშვიდით მოვეხმინოთ და სხეულოდ გამოვავლინოთ მისი მსოფლმხედველობა. შემდეგ აუცილებელია, დავახუხოთ, ჩამენად სწოხად გავიგეთ მისი ჰოზიცი და შემთხვევით ხომ ახ მივანეხეთ ის, ჩაზეც ახე ყი უიქიხა“.

ესაუბრო მშვიდად მეორე ადამიანს, თუნდაც იგი შენს შესხედულებას არ იზიარებდეს, ან სულაც საპირისპირო აზრს გამოთქვამდეს. ადამიანთა ეთიკა ურთიერთპატივისცემით ვლინდება. კულტურის, განსაკუთრებით კი სულიერი კულტურის, მაღალი დონე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ ადამიანში შეგვძლოს, დაინახო ღვთის ხატი და მსგავსი პიროვნება, რომელსაც საკუთარი მსოფლმხედველობა, ზნეობრივი კრიტერიუმები, საკუთარი სულიერი სამყარო გააჩნია. თანამოსახურეს რომ შესაბამისად ვუპასუხოთ, საქიროა, სიმშვიდით მოვეხმინოთ და სრულყოფილად გამოვავლინოთ მისი მსოფლმხედველობა. შემდეგ აუცილებელია, დავახუხოთ, რამდენად სწორად გავიგეთ მისი პოზიცია და შემთხვევით ხომ არ მივანერეთ ის, რაზეც არც კი უფიქრია. თუ მისგან მივიღებთ დასტურს, მაშინ თავიდან უნდა აღვნიშნოთ, თუ რა არის მისი პოზიციიდან ჩვენთვის მისაღები.

— **რელიგიურ თემებზე კამათი ხშირად იღებს მძაფრ ფორმებს. როგორ უნდა მიქცეს ასეთ დროს მორწმუნე?**

— როდესაც ორი ადამიანი რელიგიაზე საუბრობს და მათი მსოფლმხედველობა ერთმანეთს არ ემთხვევა, საუბარმა ჭეშმარიტების ერთობლივი ძიების ფორმა უნდა მიიღოს: თავიდან უნდა გაირკვეს, თუ რაში თანხმდება და რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი შეხედულებები. შემდეგ უნდა მოიძიებოს ჭეშმარიტების საერთო კრიტერიუმები, მშვიდად განიხილონ ყოველგვარი შეუთანხმებლობა და დაისვას კორექტული შეკითხვები. ასე უნდა გაეგარქმელოთ თანმიმდევრობით, პუნქტიდან პუნქტამდე და არაფრისლიდებით უნდა გადავხვიოთ ძირითად საფუძველს. ეს საფუძველი შეიძლება იყოს დედაეკლესიის ყველა სწავლება, ბიბლიის ტექსტი ან თუნდაც მხოლოდ ახალი აღთქმა.

აღბათ არ არსებობს ისეთი ადამიანი, რომელსაც ყველაფრისადმი არანსორი დამოკიდებულება ექნება (მაგალითად, ღირსმა მაკარი მეგვიპტელმა კერპის ქურთუმიც კი შეაქო შრომისმოყვარეობისათვის, როდესაც დაინახა, რომ მას მხრებით მიძეო მორი მიქონდა), ამიტომ მას შემდეგ, რაც თანამოსახურესთან გარკვეულ ფსიქოლოგიურ კავშირს დავამყარებთ, იგი აღარ

მიგვიჩნევს მონინაალმდეგედ, მტრად, პირიქით, საუბარს მეგობრულად განწყობილ ადამიანთან გააგრძელებს, რომელიც ცდილობას, მას გაუგოს.

ჩვენი მხრივ, თანამოსაუბრის კრიტიკული შენიშვნა სიმშვიდით უნდა მივიღოთ და თუ ის სამართლიანი იქნება, მაშინვე დავეთანხმებით კიდევ (რა თქმა უნდა, ეს არ ეხება მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატებს). ადამიანი კორექტული უნდა იყოს სხვათა მიმართ, მით უმეტეს, რელიგიურ თემაზე საუბრისას. ღვთაებრივი დიდებისადმი ჩვენი მოშურნეობა ცხოვრებაში ღვთის ნების აღსრულებით, ანუ მცნებების დაცვით უნდა გამოიხატებოდეს და არა — სხვაგვარად მოაზროვნის, ან სულაც ათეისტის მიმართ უხეში დამოკიდებულებით. უხეშობა ხშირად ფარავს სისუსტეს ან არგუმენტთა არქონას, სიამაყე და ამპარტავნება კი დაბალ ინტელექტუალურ დონეზე მეტყველებს.

— საუბრის რა ფორმაა მთავარი მისწმინსთვის?

— ადამიანის სულიერ და ზნეობრივ განუვითარებლობას მისი სასაუბრო „პოზა“ მოწმობს. რამდენიმე სახის საუბრის ფორმა არსებობს, რომლებიც ჭეშმარიტად ეკლესიური ადამიანისათვის სრულიად მიუღებელი უნდა იყოს: როდესაც ერთი მეორეს საკუთარი უპირატესობის შეგრძნებით ესაუბრება, მას ეჭვიც კი არ ეპარება იმაში, რომ თანამოსაუბრეზე მეტი იცის, რომ მასზე ჭკვიანია, რომ უკეთესი იქნება, თუ რა არის უკეთესი ამა თუ იმ ადამიანისათვის. ეჩვენება, რომ მისი უშუალო მოვალეობაა, ასწავლოს სხვებს. ასეთები მეტად თავდაჯერებულად ლაპარაკობენ და თავადაც კი ვერ ხვდებიან, რომ ასეთი რიხი მათგან მოსაუბრის გულს კიდევ უფრო განიზიდავს.

ან როდესაც ადამიანი საკუთარ თავს უმაღლეს ინსტანციად მიიჩნევს სხვის სამსჯავროზე, მუდმივად მიუთითებს თანამოსაუბრის ნაკლოვანებებზე, ცდილობს, გამოიჭიროს ურთიერთსაინააღმდეგო ფაქტებით, ამხელს და გამოაქვს განაჩენი. ამავე დროს სრულებით არ აცნობიერებს, რომ ეს მისი მოვალეობა არ არის. ასეთ ადამიანს ჰგონია, რომ სიკეთე მოაქვს მოყვასისათვის, თითქოს თვალს უხელს საკუთარი ნაკლოვანებების დასაჩაბად. სრულიად დარწმუნებულს მიაჩნია, რომ სანაყალი ცოდვილი მადლობელი უნდა იყოს მისი, როდესაც „ჭკუა დაარვიგეს“. სხვათა გამოსწორების სურვილი ხშირად დამღუპველი ხასიათისაა და მისი ძირი, რა თქმა უნდა, საკუთარ ამპარტავნებაში უნდა ვეძიოთ.

ცოდვას ასევე, როცა ადამიანს მზად აქვს რჩევა და „რეცეპტი“ ყოველგვარი ცხოვრებისეული გარემოსათვის. ჩვეულებრივ, ისინი ძალიან ზედაპირული, არა-შორსმჭვრეტელი ადამიანები არიან, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ, ვინაიდან ცოტა იციან და კიდევ უფრო ნაკლებს ფიქრობენ. ისინი მზად არიან, ადვილად ურჩიონ ადამიანს, რადგან საკუთარ სიტყვებზე პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. ასეთები ყოველთვის სხვის საქმეში ერევიან, სრულიად დარწმუნებულნი, რომ დიდ დახმარებას უწევენ, სინამდვილეში კი ხელს უშლიან იმ პიროვნების სულიერ განვითარებას. ამავე დროს, თავად არ ითვალისწინებენ სხვების რჩევა-დარიცხვას.



■ აბა გიორგი

ბას და როდესაც მათი პირადი საქმეები წარუმატებლად მთავრდება (და, უნდა ითქვას, რომ ასე საკმაოდ ხშირად ხდება), ამაში ყველას ადანაშაულებენ, საკუთარი თავის გარდა.

არ შეიძლება, როცა ადამიანი ისე ლაპარაკობს, თითქოს თავის ქვეშევრდომს ბრძანებას აძლევს. მას სურს, იყოს „მეფე“ თავის ოჯახში, მეგობრებში ან უბრალოდ თანამოსაუბრეთა შორის. ასეთი ადამიანები წინააღმდეგობებს ვერ იტანენ. ისინი ალტაცებულნი არიან საკუთარი პიროვნებით და პირიქით, უპატივცემულოდ ექცევიან სხვებს. უსირცხვილოდ, თუმცა ზოგჯერ ძალიან შეფარვით, აქებენ საკუთარ თავს, ყვებიან მაკუთარ სათნოებებზე, ყველაზე ხშირად კი თავიანთ განუხორცი-

„სოფავა, ხოცა ადამიანს მზად აქვს ჩვევა და „ჩუკუპტი“ ყოველგვარი ცხოვრებისეული გახუმოსათვის. ჩვეულებრივ, ისინი ძალიან ზედაპირული, ახამოხმჭკვიანი ადამიანები არიან, ხომლებიც ბევრს ღაპარაკობენ, ვინაიდან ცოტა იციან და კიდევ უფრო ნაკლებს ფიქრობენ“.

ელბელ კეთილ საქმეებზე. ერთსა და იმავე ფრაზას რამდენჯერმე იმეორებენ, რათა თანამოსაუბრის თემატიკაში ღრმად ჩაბეჭდონ ესა თუ ის ფაქტი. სხვებთან მიმართებაში ისინი გულჭკაობასა და უმადურობას ავლენენ. თანამოსაუბრეს არ უსმენენ და ყოველ წუთას აწყვეტილებენ სიტყვას ისეთი შეკითხვებით, რაც თემას სრულებით არ ეხება.

საუბარი უაზრო გახდება, თუ მას კამათში, თავისებურ სიტყვიერ პაექრობაში გადავზრდით, რის შედეგადაც ვერაფერს მოვიგებთ. მაშინ დიალოგი ორი ადამიანის მონოლოგად გადაიქცევა, ანუ როცა თითოეული მხოლოდ თვითონ ლაპარაკობს და არ უსმენს მეორეს.

— დარს თუ არა კამათის გავრძელება, როდესაც მანც არ ენბით შენი და მცდარ აზრს გამტკიცებენ?

— როდესაც კამათი დავაში გადაიზრდება და ხედავთ, რომ სიმართლის საწინააღმდეგოს გიმტყიცებენ, შეწყვიტეთ საუბარი და ამგვარ სიტუაციას განერიდეთ. როგორც მდარე წყალი აფუჭებს საუკეთესო ღვინოს, ასევე ჩრჩნის ბოროტი საუბრები კეთილმორწმუნე და ზნეობრივ ადა-

მიანებს.

— რას ნიშნავს უქმადმეტყველება?

— „უქმი“ ნიშნავს ზედმეტს, არასაჭიროს, აუცილებლობით არგამორწმუნეულს. რატომ ლაპარაკობს უფალი ასეთი სიმკაცრით უქმი სიტყვის გამო პასუხისმგებლობაზე? ჩვენ ხომ ის ასე უმინშენლო რამედ გვეჩვენება. საქმე ის არის, რომ ქრისტიანის ყოფასა და მდგომარეობაში არ არსებობს რაღაც საშუალებო, უდარდელი მდგომარეობა. ამ ორიდან ერთია: ან ის სულიწმიდაშია — სინმინდით განასრულებს საქმეებს და მეტყველებს ევთის ნებით, ან პირიქით, თავისი მტრის (ეშმაკის) მონობაში იმყოფება და აღასრულებს მის ნებას საქმითა და სიტყვით. ბოროტი კი ხელიდან არ გაუშვებს იმის საშუალებას, რომ ჩვენს სიტყვებში თავისი გველური შხამის წვეთი ჩაღოს, თუმცა კი, ერთი შეხედვით, ამ სიტყვებში თითქოსდა საძრახისი არაფერია.

ჩვენს საუბრებში ეს „უქმი“ სიტყვები ყურადღებით რომ გავარჩიოთ, მათში შეგვიძლია ვიპოვოთ მრავალ ვნებათა საფუარი — მზვობრიობისა, ამპარტავნებისა, მტრობისა და მოყვასის განკითხვისა, მცირედმორწმუნეობის გამოვლინებისა, შურისა და ა.შ. ყოველი ასეთი სიტყვა საძულველია ღვთისათვის და ამიტომაც წარმოადგენს ცოდვას. ლაპარაკში დროის უსარგებლო ხარჯვა უფრო მეტად ვლინდება, თუ საუბარში მრავალი პირი მონაწილეობს. გულითად, მანუგეშებელ, გამამხნეველ და სულის გამოძკვებ საუბრებს დიალოგები წამოადგენს. მხოლოდ ორთა შორის საუბრის დროს ძალუძს სულს, სრულად მიეცეს თანამოსაუბრეს, მჭიდროდ შეეხოს მის სულს, გაათბოს იგი ყურადღებით, სიყვარულით, თანაგრძნობით, გაინანილოს მასთან ჭირი, გაუნანილოს მას თავისი სიმხნევე, რწმენა და ცხოვრებისეული ხალისი. წმიდა მამათა რჩევების მიხედვით, ადამიანებთან ყოველი აუცილებელი საუბრის ჟამს უნდა დავიცვათ სიტყვის სიმოკლე და განვეშოროთ უსარგებლო მრავალსიტყვიანობას.

— რა თემებზე საუბარს უნდა მოვიკიდოს ქრისტიანი საერთოდ?

— ქრისტიანისთვის საჭიროა, სიფრთხილით მოვიკიდოს ანეკდოტების მოყოლას და განერიდოს ისეთებს, რომლებიც ვინმეს შეურაცხყოფენ, მოყვასსა და უფროსებს დასცინიან, ან სცოდავენ უბინოების წინაშე. ხუმრობა უპირიანი მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ამხნეველს მოყვასთა და იცავს მათ მოწყინებისაგან, სევდისაგან, დაღლილობისაგან და ა.შ. ასევე უნდა ვეცადოთ, საუბრისას ცოდვიანი (მაგალითად, განკითხვის, მოყვასის შეურაცხყოფელი ამბის თხრობისას და ა.შ.) ან უსარგებლო თემები გადავიტანოთ სულიერ (მორწმუნე ადამიანებთან საუბრისას) ან თუნდაც მოყვასისათვის სასარგებლო თემებზე.

მოყვასის წყენინება შესაძლებელია არამხოლოდ სიტყვებით, აგრეთვე ხმის ტონით, სიტყვის წარმოთქმის მანერით. ამ უკანასკნელის ქვეშ იმალება ის გრძნობა, რომელიც სიტყვებს კარნახობდა. ეს გრძნობა გულიდან მომდინარეობს და ძალუძს ან სიყვარულით, მოყვრებით, სინაზით გათბობა, ან პირიქით, ხელის გარტყმის გარეშე შეურაცხყოფა.

✓ მანანა ნოდია

← 8 გულისხმობენ, ამ ჩემს პოზიციას არც შეურაცხყოფელად ვთვლი და არც მომხიბვლელად. არ შეიძლება ფაქტის კონსტატაცია შეურაცხყოფელი იყოს. ალბათ თამარ გურჩიანმა მოაშზადა ეს საჩივარი. იქაც რომ ლაპარაკობდა რალაცევებს, ვეკამათებოდი, რადგან ჩემი პოზიციის არაადეკვატური იყო. ჰომოსექსუალიზმის ამოღება დაავადებათა კლასიფიკაციიდან არ ნიშნავს იმას, რომ ეს ნორმაა. ასეთი ადამიანი მიდის ექიმთან, რადგან ეს პრობლემა მას აწუხებს. თამარ გურჩიანს ჰქონდა პოზიცია, რომ ეს ბუნებრივი მოვლენაა და მე მას ვებრძვი. ჯერ ერთი, არ ვებრძვი ბუნებრივ მოვლენას და მეორეც, ეს ბუნებრივი მოვლენაა სადღაც 1,5%-ის დონეზე, მაგრამ მას გავრცელებაც შეუძლია. ამაზე მერე იყო მსჯელობა, მაგრამ მაგ დროს გურჩიანი იქ აღარ გახლდათ.

— ცნობილია, რომ მსოფლიოში არაერთ მედიასაშუალებას, შესაძლოა საქართველოშიც, სწორედ ლგბტ-ების დამცველი ორგანიზაციები აფინანსებენ დადი გრანტებით. „იმედს“ რაც შეეხება, როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება თუნდაც თქვენ მიერ ნათქვამმა ან სხვა ტიპის განცხადებებმა ტელეკომპანია დარტყმის ქვეშ დააყენოს?

— ვერ გეტყვით, რეზოს ამ წამოძახილის უკან ზუსტად რა იდგა, მაგრამ მე ვიგულისხმებ ფურნალისტური ეთიკა და ა.შ. ხოლო, როცა თქვენმა კოლეგებმა „იმედიდან“ ფურნალისტების გათავისუფლების შესახებ მკითხეს, იგივე ვუთხარი, რასაც ახლა თქვენ გეტყვით — ადამიანების უფლებათა დაცვა სხვების უფლებების შეზღუდვით არასწორად მიმანია. რაც შეეხება დაფინანსებას, არ ვიცი, რამდენად ეხება ტელევიზიას, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ჩემთან, სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრაზე, შემოვიდა ახალგაზრდა, რომელმაც თქვა, რომ გამოკითხვას ატარებდნენ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალზე. პირველი კითხვა იყო, ავადმყოფობაა თუ არა ჰომოსექსუალიზმი. ერთ-ერთი კითხვა კი იმას ეხებოდა, სწორად მოიქცევენ თუ არა ისინი, ვინც ლგბტ-ების აქცია გააპროტესტეს. პირველ კითხვაზე ვუპასუხე, გააჩნია, როგორ გესმით, მაგრამ ნორმა არ არის-მეთქი და მეორეზე ვუპასუხე, ძალადობა ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია-მეთქი. ეს აშკარად არ იყო მხოლოდ გამოკითხვა. კითხვებს რომ მორჩია, ამოიღო წიგნი „შესავალი ლგბტ ფსიქოლოგიაში“ და დავავიტივარი, როგორც სახსოვარი. ეს საკმაოდ სქელი წიგნი დაბეჭდილია საზოგადოება „იდენტობის“ მიერ პროექტის „ქართული ახალგაზრდობის მგრძობიანობის“ ამაღლება ლგბტ საკითხებში“ ფარგლებში, დაფინანსებულია ნიდერლანდების საელჩოს მიერ. ეს პოზიცია გავრცელებულია ნიდერლანდებში და იქ პრობლემას არ ქმნის, მაგრამ რამდენად მიზანშეწონილი და მისაღებია, ეს ყველაფერი შენი ქვეყნის გარეთ გადაიტანო და ამ სტანდარტების გავრცელება დააფინანსო? შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის შიდა საქმედებში ჩარევაა — არაპოლიტიკური, მაგრამ ისეთი დატვირთვის მქონე, როგორმაც შეიძლება პოლიტიკური რეაქციებიც გამოიწვიოს.

არ ვიცი, რამდენად გულისხმობს ეს დაფინანსებები იმას, რომ ეთიკური ნორმები დაუდგინონ არამარტო ტელეკომპანი-



„საქართველოში ყოველთვის იყო საზოგადოების ისეთი ნაწილი, რომელიც მღეიხდა „ჰაჯაჩა ბიჩი დამეაჩაგა, ნითეძეჩხანგა“. ეს სიმღეხაც მონმობს იმას, რომ მათ მიმართ აგხეხია ახასოცხ იყო“.

ებს, არამედ მათი საშუალებით მთელ საზოგადოებას. ჩვენს ქვეყანაში ვიყავით ცენზურის მონმობები. არსებობდა შავი სია. მე და ბევრ ჩემს კოლეგას არ გვეძახდნენ „პირველ არსზე“, „რუსთავე 2“-ში, „იმედში“ და ა.შ. ეს სია სააკაშვილის ხელისუფლების სტილი იყო და ახლაც ამ სტილს ვუბრუნდებით. ამ თემატიკასთან დაკავშირებული წყალქვეშა თუ წყალზედა პრობლემების ამოტივტივება და საზოგადოების ჩართვა უფრო უპრიანი და დემოკრატიული იქნება. არც ისე უნდა იყოს, რომ ვიძახოთ, ის არ უნდა არსებობდეს, ვინც ლგბტ-ების მიმართ კრიტიკულია და არც ის, რომ მათ მიმართ აღფრთოვანებულები უნდა ვიყოთ და არაფერი ვთქვათ. ეს მეორე სტილი შემოდის ახლა. ხიფათი ერთი იყო და ამ მეორე უკიდურესობაშიც არის.

„მთავარი ფაქტორის“ ამ სკანდალური გადაცემიდან ერთი კვირის თავზე ანუ მეორე გადაცემის დროს რამაზ საყვარელიძე ეთერში აღარ იჯდა. „იმედის“ გენერალური დირექტორი რევაზ საყვარელიძე იყო, „სარკესთან“ ამბობს, რომ ტელეკომპანიაში შემოსულ საჩივარს ჯერ კარგად არ იცნობს, მაგრამ არც მის გაუთვალისწინებლობას აპირებს.

— ბატონო რევაზ, რატომ აყენებს ზოგადად ტელეკომპანია დარტყმის ქვეშ მსგავსი ტიპის განცხადებები, ვინ და როგორ კრძალავს ამას?

— ტელევიზიას აქვს თავისი ჩამოყალიბებული თამაშის წესები, რომლებიც, ერთი მხრივ, ეთიკურ სტანდარტებს შეეხება და, მეორე მხრივ, მაუწყებლის კოდექსს. ამის მიხედვით ასეთი გამოხატვებები არ არის მთლად სახარბიელო. აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, ვის რა დამოკიდებულება გვაქვს კონკრეტული მოვლენების თუ ფაქტების მიმართ. ნებისმიერი სტუმრის თუ წამყვანის გამოსვლა თუ არათავსებადი იქნება ამ სტანდარტებთან, რასაკვირველია, რეაგირებას მოვასდენთ.

— რამაზ საყვარელიძე „მთავარი ფაქტორის“ მიმდევრო გამოქვეყნებაში ვეღარ ვისილეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ „რეაგირება მოახდინეთ“ — „მთავარი ფაქტორი“, როგორც იცით,

არ არის სტანდარტული სატელევიზიო შოუ. მას არ ჰყავს ერთი წამყვანი. მაგალითად, მომდევნო გადაცემაში სულ სხვა თანამამყვანები იქნებიან. ყოველ გადაცემაში იცვლებიან მაგიდის წევრები. მოძრავი ფორმატია. 3 ივნისს სტანდარტული შემადგენლობიდან რამდენიმე ადამიანი აღარ იჯდა ეთერში და, მათ შორის, რამაზ საყვარელიძეც.

— ჰომოსექსუალის ბრალდებით „იმედიდან“ ცოტა ხნის წინ ფურნალისტები, დავით ქაჯარაგა და სლიმე გოგიაშვილი გათავისუფლდნენ.

— არავითარი ბრალდებით არ გავითავისუფლებია. ჩვენ გვყავს ეთიკის საბჭო, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება მათ მიმართ. ეს იყო დილის გადაცემის საწყისი ეტაპი და ბევრი რამ შეეცვალა. გადაცემის რეფორმირების და საბოლოოდ ჩამოყალიბების პროცესში აღარ გავრძელდა ხელშეკრულება გარკვეულ ფურნალისტებთან და მათ შორის იყვნენ სალომე გოგიაშვილი და დავით ქაჯარაგა.

— თქვენმა კითხვა საბჭომ რა მოსაზრება გამოთქვა ამასთან დაკავშირებით?

— ეთიკის საბჭო გაემიჯნა ჰომოსექსუალური განცხადებებს. დანარჩენი უკვე გითხარით.

— საინტერესოა, რატომ იცაყენ კბილებით მასმედიის საშუალებები ლგბტ-ების უფლებებს. არის მოსაზრება, რომ ისინი ამისთვის ვარკვეული ორგანიზაციებიდან ფინანსდებიან.

— მაუწყებლების შესახებ კანონსა და ქვეყნის კოდექსში პირდაპირ წერია, რომ მაუწყებელი ვალდებულია, ალგავოს თავის ეთერში რასობრივი, ეთნიკური, რელიგი-

„საბაბი ხომ ახ უნდა მიეყოთ ცბუც დამეცელებს, ეს უკვე შიშია. შიშია ცბუც დამეცელებისგან ცენზუხის ეთებისა. მოგვენაჩა ცენზუხები და ახცა ახც ცენზუხას ექმნით?! ჰოციციეხი ხევიმის ცენზუხის სახეს ილებს ასეთი დამოიებებება“.

ური ან სექსუალური უმცირესობების უფლებების შემბლაღვი განცხადებების ტირაფირება. პასუხისმგებლობას მაუწყებელიც იზიარებს და ის ადამიანიც, ვინც მსგავს განცხადებას აკეთებს. ჩვენ კი მკაცრად ვიცავთ კანონის მოთხოვნას.

— ბატონო რამაზი კიდევ გამოინდება ამ გადაცემაში?

— რამაზ საყვარელიძე ამ გადაცემის თანამამყვანი სხვადასხვა დროს აუცილებლად იქნება. გვექნება ისეთი თემები, როცა მე ვიქნები სრულიად არაკომპეტენტური, ავდგები მაგიდიდან და სხვა დაიკავებს ჩემს ადგილს. იყო გადაცემა, როცა ბატონი გია ხუბაშვილი არ ბრძანდებოდა და ა.შ.

— როგორც აღნიშნეთ, კანონის მოთხოვნებს მკაცრად იცავთ. რა ზომების გატარებას აპირებთ რამაზ საყვარელიძის მიმართ?

— ის საჩივარი არ მინახავს. რასაკვირველია, ტელევიზია ისე მოიქცევა, როგორც ყოველთვის — კანონისა და ქვეყნის კოდექსის შესაბამისად. არ ვიცი, რას ითხოვენ და შესაბამისად არ ვიცი, როგორი რეაგირება შეიძლება მოვასდინოთ.

✓ რუსუდან ადვაძე

„რუსთავი 2“-ის ბოლო თინეიჯერული დაბადების დღე „ბუხად ხოუდა ადმინისტრაციის უფროსი ვიდეო გახდე პოპულარული“



ელეკომპანია „რუსთავი 2“-მა წელს, 1 ივნისს, მე-19 დაბადების დღე აღნიშნა. არხის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ სოციალურ ქსელში თავის გვერდზე დაწერა, ეს თინეიჯერობის ბოლო წელია და მომავალი წლიდან დაგეგმილი...

ქალაქ რუსთავში, ერთ ოთახში დაბადებულმა ტელეკომპანიამ დღევანდელ დღემდე წინააღმდეგობრივი გზა გამოიარა. მაშინდელი „რუსთავი 2“-დან, სახელის გარდა, თითქმის აღარაფერი დარჩა. ამ ხნის განმავლობაში არხმა რამდენიმე მუხატონი და რამდენიმე ხელისუფლება გამოიცვალა. იყო „გამარჯვებული ხალხის ტელევიზია“ და ჰქონდა პოლიტიკურად ანგაჟირებული პერიოდიც, თუმცა ყველა ეტაპზე რჩებოდა ყველაზე ყურებად არხად.

როგორია 19 წლის ტელეკომპანიის დღევანდელი რეალობა, ამის შესახებ „რუსთავი 2“-ის მარკეტინგისა და პროგრამირების განყოფილების ხელმძღვანელი გეგა ფალავანდიშვილი გვესაუბრება:

— „რუსთავი 2“-ს 19 წლის გახდა, მე კი ამ გუნდს 6 წლის წინ, 2007 წლის ოქტომბერში შევეურთდი. მაშინ ყველაზე რთული პერიოდი გახლდათ, რადგან პოლიტიკური სიტუაცია სხვაგვარი იყო, ბევრი პრობლემა იდგა კომპანიის წინაშე. სანამ მუშაობას დაიწყებდი, ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა „რუსთავი 2“-ის მიმართ. მუდამ რამდენიმე წლით წინ წასული ტელევიზია იყო სხვებთან შედარებით.

— თქვენ როგორ ახსნით, რა არის „რუსთავი 2“-ის წარმატების ფორმულა?

— ეს არის ხალხი, რომელიც აქ მუშაობს. რაც უნდა კარგად დაგეგმო, რაც უნდა კარგ პროექტებზე იმუშაო, პროფესიონალთა გუნდის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ. „რუსთავი 2“-ში წლების განმავლობაში სწორედ ეს მიდგომა ამართლებდა — მუდმივად ახლის ძიება, მუდმივად სირთულეების გადალახვა. აქ ყველა ცდილობს, საკუთარ თავს აჯობოს.

— „რუსთავი 2“-ში თავად თქვენ რა საინტერესო შექმნიან?

— ძნელია თქვა, შენი როლი რა არის ამ კომპანიის წარმატებაში, რადგან აქ ყველაფერი გუნდურ მუშაობაზეა დამოკიდებული. მხოლოდ ის შემიძლია თქვა, რომ უფრო მჭიდრო კავშირი გავაკეთეთ მარკეტინგის განყოფილებასა და სხვა დეპარტამენტებს შორის. უნდა იცოდეს, რა პროექტი რა პოზიციანზეა, რომელს სჭირდება დახმარება, რა არის ამოსაქჩი, გასაპირებული და ასე შემდეგ. ყველა განყოფილება ერთმანეთთან ვთანხმდებით და ამას მოაქვს ის შედეგი, რაც

დღეს გვაქვს: 89 კვირის განმავლობაში „რუსთავი 2“-ს ყველაწლიური რეიტინგით უგებს სხვა კომპანიებს.

— პირადად თქვენც კერძოს (ვლენებს ვერ გაუძლია) და „ნიჭიერის“ უფროსი იყავით.

— ეს ჩემი გადაწყვეტილება არ ყოფილა, გუნდური შეთანხმება იყო. ჩემს ხასიათშია, ყოველთვის ის ვთქვა, რასაც ვფიქრობ, მით უმეტეს, იმ შემთხვევაში, როდესაც გული შემტკივა. სწორედ ამან განაპირობა ამ პროექტში ჩემი მოხვედრა. ეკრანი ბევრისთვის მიზიდველია, რადგან სწრაფი პოპულარობის მოტანა შეუძლია, მაგრამ თან ბევრ ადამიანს ანგრევს. ბევრად რთულია ადამიანებს უყვარდე, ვიდრე გახდე პოპულარული. ნებისმიერი სისულელე რომ გააკეთო და ეკრანზე გამოჩნდე, პოპულარული გახდები, მაგრამ სიყვარულის მოპოვებას ბევრი შრომა სჭირდება. ბევრს დაემატა, ოღონდ კი გამოვჩნდი და არა აქვს მნიშვნელობა, რას გავაკეთებო. მე წყნარი და მშვიდი ცხოვრება უფრო მომწონს და ამიტომაც აღარ გავაგრძელებ ეკრანული ცხოვრება.

— ანუ შეგნებულად თქვით უნდა „სოუპერ-კარიერა“?

— თუ შენ არც არასოდეს ვყოფილვარ. არ მიყვარს, როდესაც ერთი და იგივე ადამიანები ყველა ტიპის კონკურსის ფორუმში სხედან.

„ახი გამოვიხივებთ, მომავალში თუხილი სხილიც გავუშვით და ინტეგრირებული სხილიც იმიტომ უყუბენ, ხომ ტიპაჟიხედე უფრო მეტ სახითოს პოპულარული მათთან. დათინეი ტიპაჟები მაინც შოხს ახიხ ჩვენგან — დიდმეხიანი სექსუალური ქალები და ჯახად დაქვითული მამაკაცები. ჩვენ ხომ სხეულის მოვლა გვეხება და ხეხილანში ქამ-სმა გვიჩვენია, ამიტომაც თვლიან, ხომ დათინეი „სვეცი“ აღახ ახიხ და ახილ თუხილია „სვეცობა“.

მით უმეტეს, თუ ეს მათი პროფესია არ არის. ეკრანზე გამოჩნდი მხოლოდ იმიტომ, რომ პროექტს ასე დასჭირდა და შემდეგ ისე ჩემს სამუშაო კაბინეტში გადაინაცვლე.

— როგორ იქმნებან „რუსთავი 2“-ის სახეობა, რა თვისებები აერთიანებთ მათ?

— „რუსთავი 2“-ის სახე რომ გახდეს, უნდა იყო დადებითი ადამიანი, ინდივიდუალური, თავისუფალი და პროფესიონალი. ყოველთვის ცდილობთ, წარმატებულ ტელევიზიაში წარმატებული ადამიანები გამოჩნდნენ.

— როდესაც რომელიმე გადაცემა არარეიტინგულია გასა დასწრის, ამ ცუდი ამბის მაცნე თქვენ ხართ ხომ?

— ყველა გადაცემას აქვს თავისი სიცოცხლისუნარიანობის ვადა. ყველაზე ბევრს მანამდე ვმუშაობთ, სანამ ახალი გადაცემა ეთერში გავა, რისკებს წინასწარ ვსწავლობთ. ტელევიზიის ბევრი უცნაურობა აქვს, ერთ-ერთი მათგანი ისიცაა, რომ, როდესაც რალაც კარგ პროექტს აჩვენებ, მაყურებელი მოგყვება და გიყურებს, მაგრამ მალე ეს მისთვის ჩვეულებ-

რივი ხდება, ბევრდება. ამიტომ ეს ის პროცესი არ არის, რომ ვილაცას ერთ მშვენიერ დღეს გადაცემა დაუსწრო.

— მარკეტინგულად მოგებული ადამიანით, როდესაც „პროფესიონალი“ და „სწრაფი“ სახით შიდა კონკურენცია შექმნიან?

— მე არასოდეს ვთვლი, რომ ეს ორი ტოპ შოუ ერთნაირია, ორივეს განსხვავებული მაყურებელი ჰყავს. სხვა არხზე თუ რაიმე კარგი გადაცემა და როდესაც მანსი გაქვს, სხვა არხის კარგი გადაცემა შენთან გადმოიტანო, უარი რატომ უნდა თქვა?! შიდა კონკურენცია ბევრად უფრო მოგებინა, რადგან მაყურებელთა რაოდენობა უფრო იზრდება. ყველაფერი ციფრებით მუტყვევებს.

— რა „მისაგალი“ შეხვდა „რუსთავი 2“-ისთვის მე-19 დაბადების დღეს?

— რეკორდის რეკორდი მოგხსენით. როგორც გითხარით, 89 კვირის განმავლობაში რეიტინგებით პირველები ვართ ქართულ სატელევიზიო ბაზარზე. წელს დასრულების განმავლობაში არც ერთი კვირა დათმო და სხვა ტელეკომპანიებთან ჭიდილში არ წააგო, ეს სასწაულია.

— რეიტინგებს გასართობი გადაცემები უფრო ქმნის თუ პოლიტიკური?

— გააჩნია, ქვეყანაში რა სიტუაციაა. მაგალითად, ბოლო დროს პოლიტიკური თემები უფრო აქტუალური გახდა და საინფორმაციო საშუალებების რეიტინგებმაც მოიმატა, მაგრამ გასართობი პროექტები ყოველთვის რეიტინგების ლიდერია, რა თქმა უნდა, თუ სწორად გადაკეთებ.

— ბოლო დროს ქართულ ბაზარზე ძალიან აქტუალური გახდა თურქული სერიალები, თქვენ რატომ არ იყავით და სერიალში პარედი? სოციალურ ქსელში თქვენც დაწვერეთ ასეთი პოსტები „გამოსავალია დასახლისებო“. აშკარად აღიარებთ, რომ სხვა არხის სერიალმა თქვენსად დიდი კონკურენცია გაუწია.

— თურქული სერიალის „სიყვარული და სასაფლოს“ ყიდვას წელიწადნახევრის წინ ვაპირებდით, მაგრამ მარკეტინგულად არცთუ მომგებიანად გამოიყურებოდა. თურქული სერიალი სამეგრეო და ოთხჯერ სერიოზული ლირს, ვიდრე ლათინურამერიკული. ამ სერიალმა კონკურენცია გაუწია ჩვენს სერიალებს, მაგრამ რეიტინგში შეიძლება 1-2%-ით იგებდეს. ასეთ მცირე პროცენტში დიდი თანხის გადახდა კი მარკეტინგულად გამართლებული არ არის. ჩვენ მუდმივად გვაქვს ახალი სერიალები და ასე გავაგრძელებთ. არ გამოვირიცხავთ, მომავალში თურქული სერიალიც გავუშვით და ინდურებიც. თურქულ სერიალს იმიტომ უყურებენ, რომ ტიპაჟურად უფრო მეტ საერთოს პოპულარული მათთან. ლათინური ტიპაჟები მაინც შორს არის ჩვენგან — დიდმეგრეოანი სექსუალური ქალები და კარგად დაკუნთული მამაკაცები. ჩვენ ხომ სხეულის მოვლა გვეხარება და რესტორანში ქამ-სმა გვიჩვენია, ამიტომაც თვლიან, რომ ლათინური „სვეცი“ აღარ არის და ახლა თურქულია „სვეცობა“.

საერთოდ, რომ მკითხოთ, ადგილობრივი სერიალის მომზრე ვარ, ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება, თუ ჩვენ თვითონ გავაკეთებთ საპნის ოპერას და სხვა ქვეყნებისგან არ ვიყიდით, მაგრამ ამას ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობა სჭირდება, სხვა შემთხვევაში მომგებიანი არ არის.

✓ ავთო ჩიტი

რა უნდა იცოდეს კახი კალაძის პრესდივიზია

ირაკლი გაფრინდაშვილი

ეს სტატია „სარკვეში“ ჯერ კიდევ წინათ ოთხშაბათს, 29 მაისს უნდა გამოქვეყნებულიყო, მაგრამ თავი შევიკავეთ სწორედ რომ სუბიექტური დამოკიდებულების გამო. საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი, ყოფილი ფეხბურთელი კახი კალაძე, 31 მაისს თავის გულშემატკივრებს თბილისში, „დინამო არენაზე“ ემშვიდობებოდა ყოფილ თანაგუნდელებთან და მეგობრებთან ერთად გამართული მატჩით. არ გვინდოდა, მისთვის ეს საზეიმო, სასიხარულო ემოციებით დატვირთული დღე უსიამოვნო, მწარე სიმართლით დაგვეჩრდილა.

პრესსამსახური — ამ ტერმინის განმარტება საჭიროა, რათა შემდგომ სტატიის არსი კარგად გავიგოთ. ენციკლოპედიურ ლექსიკონში ამ სამსახურის ფუნქცია ასეა გაშიფრული: „პრესსამსახურმა უნდა შეძლოს ჟურნალისტის დასამულ შკაითხვაზე პასუხის გაცემა. შესაძლოა ამ მიზნის მისაღწევად პრესსამსახურის ხელმძღვანელს ვინაო უწყებრივი არაალიდან გამომდინარე მოუწიოს, რათა უზრუნველყოს ჟურნალისტის საჭირო ინფორმაციით. თავის მხრივ, პრესმდივანი მაღალი თანამდებობის პირის ან დაწესებულების წარმომადგენელია, რომელიც პრესას აწვდის ინფორმაციას თანამდებობის პირზე. მან უნდა უზრუნველყოს თანამდებობის პირისა და ჟურნალისტის დადებითი ურთიერთობა“.

ეს შესავალი იმიტომ გახდა საჭირო, რომ ჩვენი მთავრობის სახეების პრესსამსახურის თანამშრომლებს ხშირ შემთხვევაში არ ესმით თავიანთი მისია ან უბრალოდ არ იციან მუშაობა. პარადოქსულია, რომ ყველა მთავრობაში, შევარდნაძიდან მოყოლებული, სააკაშვილით გაგრძელებული, ივანიშვილის ჩათვლით, სახელმწიფო სტრუქტურებში ეს რგოლი ყველაზე სუსტია. მინისტრებისა თუ სხვა მაღალჩინოსნების პრესსამსახურები მიზანიმართულად თუ გულუბრყვილოდ ჟურნალისტებსა და თანამდებობის პირებს შორის არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნიან. ამაში გარკვეულწილად თანამდებობის პირებიც არიან დამნაშავეები, რადგან პრესასთან ურთიერთობის სასამსახურში არა — პროფესიონალიზმით და საჭირო უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, არამედ მეგობრობითა და სხვა პირადი ინტერესებით ნიშნავენ პიროვნებებს.

ქართველი ჟურნალისტებისთვის ნაცნობი და მტკივნეული თემაა, თუ როგორი ხელისშემშლელი და ხშირად ყველაზე ძლიერი წინააღმდეგობა მათთვის პრესმდივანი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან ურთიერთობისას. სამწუხაროა, რომ ამჯერად ამ თემასთან დაკავშირებით კახი კალაძეს უნდა შევეხოთ.

ბიძინა ივანიშვილის მთავრობის ფავორიტი მინისტრი, კახი კალაძე, ჩვენი ჟურნალის არცთუ იშვიათი სტუმარი იყო. მისი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მომენტზე „სარკვეში“ ინტერვიუ იბეჭდებოდა — ოჯახურ ცხოვრებაზე, სპორტულ კარიერაზე, პირად ბედნიერებაზე. „სარკვე“ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა გამოძიებას და სისტემატურად აშუქებდა კახის ძმის, ლევანის, ბურუსით მოცული მკვლელობის საქმეს... ახალ მთავრობაში ენერჯე-



ტიკის მინისტრის ამპლუაშიც კალაძისა და „სარკის“ თანამშრომლობა ტრადიციულად გაგრძელდა. ინტერვიუზე არც მისი ცოლი, ყოფილი მოდელი და ახლა უკვე დიზაინერი ანუკა არეშიძე ამბობდა უარს. ბუნებრივია, არც 31 მაისის კახი კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩის დატოვებას ვაპირებდით უფურადღებოდ. გვინდოდა, რომ წარმატებულ ქართველ ფეხბურთელს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე თავისი განვლილი სპორტული ცხოვრება შეეჯამებინა...

მაგრამ ამ ყველაფერს ცივი წყალი გადაასხა კახი კალაძის ახალმა პრესმდივანმა ირაკლი გაფრინდაშვილმა. როცა მას ამ წინადადებით მივმართეთ, ერთდღიანი ფიქრის შემდეგ გამოგვიცხადა: „სამწუხაროდ, კახი ვერაფერი დავიყოფილი ვარ ვერ შევაცყვარე ყვეთი პრესასთან ურთიერთობა“. ეს ის პოეტი ირაკლი გაფრინდაშვილი გახლავთ, რომელმაც მანამდე, სანამ მინისტრის პრესმდივანად დაინიშნებოდა, ყველა საჭიროაო ტოქ შოუ მითარა, რაც კი ქართულ ტელევიზორცეში არსებობს.

რატომღაც არ გვჯერა, რომ ეს კახი კალაძის პოზიციაა. ასეთი დამოკიდებულება ჩვენითვის ნაცნობია სააკაშვილის რეჟიმისაგან, რომელიც არაფრით უნდოდა იმის აღიარება, რომ „სარკე“ დამოუკიდებელი სახალხო ჟურნალია, რომელსაც ხალხი ენდობა და უკვე 16 წელია მისი ერთგული მკითხველია. თუ ცდებით და გაფრინდაშვილმა მართლაც კალაძის დამოკიდებულება გამოხატა, ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე ისიც დასდგომია იმ მოლიპულ გზას, რომელმაც ნაციონალები იქამდე მიიყვანა, სადაც დღეს არიან. ახალგაომცხვარმა პრესმდივანმა ირაკლი გაფრინდაშვილმა უნდა იცოდეს (ეს მისი პროფესიული ვალია), რომ 16 წლიანი ნდობა „სიყვითელი“ არ მოიპოვება. სხვათა შორის, „ყვითელი პრესის“ სწორი განმარტებაც უნდა იცოდეს. ყვითელი პრესა ნიშნავს მოსყიდულ პრესას, რომელიც გარკვეულ საფასურად საჯარო პირის მიმართ ბინძურ, მაკომპრომეტირებულ კამპანიას აგორებს. დაგვისახელოს თუნდაც ერთი ასეთი კამპანია „სარკის“ ფურცლებიდან.

თანაც თავად კალაძე ყველაზე უკეთ იცის „ყვითელი“ და ეროტიკული პრესის არსი. უკრაინაში ის მამაკაცებისთვის განკუთვნილი ეროტიკული შინაარსის

ჟურნალის მფლობელი იყო. „სარკეს“ ნამდვილად არ გადაუღია მისთვის ფოტოები ტრუსებსა და აბაზანაში... მაინც ძნელი სათქმელია, ვისი იდეაა, მინისტრის თუ მისი პოეტი პრესმდივანის, „სარკისთვის“ ყვითელი პრესის იარაღის მიკვრება და ამის გამო მასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა.

26 წლის ირაკლი გაფრინდაშვილის სახელი ერთი წლის წინ ფართო საზოგადოებამ არ იცოდა. სოციალური ქსელებით ნელ-ნელა გაიცნეს, მისი ლექსებით ნიუიჯერებმაც აიტაცეს, შემდეგ კი ტოქ შოუებში გამოჩნდა. სხვათა შორის, მისივე სტილი რომ გამოვიყენოთ, საკმაოდ „ყვითელი“ თემებზე სასაუბროდ იწვევდნენ სტუმრად, მაგალითად, ერთ-ერთი იყო „მსუქნები“.

ახალგაზრდა პოეტი „სარკის“ ფურცლებზეც მოხვდა. სიამოვნებით გვიყვებოდა პირადი ცხოვრების დეტალებს. სახელმწიფო სტრუქტურაში კი ორიოდე თვის წინ აღმოჩნდა. პიარის კურსები კი ჰქონია გავლილი, მაგრამ თანამდებობაზე დანიშვნისთვის მაინც პირადმა ნაცნობობამ იმოქმედა. ის თავს კახი კალაძის მეგობარს უწოდებს. ეს ფაქტი სოციალურ ქსელში არ დაუმალავს და ამას მისი მეგობრებიც ადასტურებენ.

მრავალათასიანი ტირაჟის მქონე გამოცემისთვის ზურგის შექცევა ათიათასობით ადამიანისთვის ზურგის შექცევას ნიშნავს. შევარდნაძის და სააკაშვილის დროსაც იყო ბევრი ჩინოსანი თუ პრესმდივანი, რომლებიც ხან „ყვითელ პრესას“ გვიწოდებდნენ და ხანაც უბრალოდ ამბობდნენ — „რა დროს სარკეა!“, მაგრამ ახლა მათი სახელები არავის ახსოვს ან, თუ ახსოვთ, ცუდად.

„სარკე“ კიდევ ბევრ მთავრობას გამოიცვლის და ამ ჟურნალის ფურცლებზე ბევრი ღირსეული ადამიანი მოხვდება. ირაკლი გაფრინდაშვილი ალბათ 10-11 წლის იქნებოდა, როცა „სარკის“ პირველი ნომერი გამოვიდა. სანამ საქართველოში პირველ დამოუკიდებელ ყოველკვირეულ ჟურნალს ხელს აუკრავს, კარგად გაეცნოს, ამ წლების განმავლობაში „სარკემ“ რა არქივი შემოიხაზა. ამ წლების განმავლობაში ეს გამოცემა მართლაც იყო საზოგადოების სარკე და ახალბედა ჩინოსნების საყურადღებოდ ვიტყვით, რომ ყოველთვის ასე იქნება.

„სარკის“ რედაქცია

თმის საბრწყალი ცყავითა და ყვავილით


ცყავის ორიგინალური თმის სარტყელის დამზადებას დიდი დრო არ უნდა. დაგვჭირდება: სასურველი ფერის ტყავის ნაკუნები, ჩვეულებრივი თმის სარტყელი. ნებო, მაკრატელი.

გამოვჭრათ ტყავის თასმა, ისეთი ზომის, რომ სარტყელს შემოსწვდეს და შემოვანებოთ. გამოვჭრათ ტყავის დიდი, საშუალო და პატარა ზომის ხუთფურცლიანი ყვავილები. ყვავილის ფურცლებშუა ადგილი ჩავუჭრათ და ნებოთი დავანებოთ (მე-4 ფოტო), სამივე ყვავილი დავანებოთ ერთმანეთს ზომების მიხედვით.

ავილოთ ტყავის თასმა, ჩავჭრათ წვრილად (მე-6 ფოტო), შიდა პირზე წავუსვათ ნებო და დავახვიოთ, შემდეგ კი ყვავილის შუაგულში ჩავანებოთ. ტყავადაკრულ სარტყელს სასურველ ადგილზე წავუსვათ ნებო და ზედ მზა ყვავილი დავანებოთ. იმისთვის, რომ ყვავილი უფრო საიმედოდ დამაგრდეს, შეგვიძლია გამოვიყენოთ ნემსი და ძაფიც. სულ ესაა.

ვისურვებთ წარმატებას!

✓ ღელა ცუცხერიძე



წინა ნომერში გამოქვეყნებული სლოკანს პასუხები

№ 1

3	2	6	5	1	7	4	8	9
9	5	8	3	4	6	7	2	1
4	1	7	8	9	2	3	6	5
5	7	1	4	2	8	9	3	6
2	8	3	1	6	9	5	7	4
6	4	9	7	5	3	8	1	2
7	6	5	9	3	1	2	4	8
8	9	2	6	7	4	1	5	3
1	3	4	2	8	5	6	9	7

№ 2

9	2	8	6	7	4	1	3	5
4	7	3	9	1	5	8	6	2
1	5	6	8	3	2	7	4	9
7	8	2	3	4	6	9	5	1
6	9	4	5	2	1	3	8	7
5	3	1	7	8	9	4	2	6
3	4	5	2	9	7	6	1	8
2	1	9	4	6	8	5	7	3
8	6	7	1	5	3	2	9	4

ეს იცოდი?

❖ ნაურთუ ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ოფიციალური დედაქალაქი არ აქვს.

❖ გემ „ტიტანიკის“ კატასტროფას 5 ძალი გადაურჩა.

❖ ევერესტი უამრავი მთამსვლელის გვამს „ინახავს“.

❖ ერთ ვიეტნამელს გარდაცვლილი ცოლის გვამთან ერთად 5 წელი ეძინა.

❖ ამერიკის სიმბოლო — თავისუფლების ქანდაკება თავდაპირველად ეგვიპტისთვის შეიქმნა.

❖ ნობელის პრემიის საპრიზო მედალზე გამოსახულია 3 შიშველი მამაკაცი, რომლებსაც ხელები ერთმანეთის მხრებზე აქვთ დანყობილი.

❖ კოკა-კოლას რეცეპტი მხოლოდ ორმა ადამიანმა იცის და ისინი ერთად არასოდეს სხდებიან თვითმფრინვაში, უბედური შემთხვევის დროს ორივე რომ არ დაიღუპოს.

❖ სისხლის წითელ უჯრედებს მხოლოდ 20 წამი სჭირდებათ, რომ ადამიანის მთელი სხეული დაიარონ.

❖ ამბობენ, რომ თუ პირველი ცრემლი მარჯვენა თვალიდან გადმოგორდა, ეს

სიხარულის ტირილია, თუ მარცხენიდან — ტკივილის.

❖ საშუალოდ ადამიანის სიზმარი 2-3 წამს გრძელდება.

❖ 6 წლის ბავშვი დღეში საშუალოდ 300-ჯერ იცინის, მოზრდილი ადამიანი კი — 15-დან 100-მდე.

❖ შუა საუკუნეებში ჩინეთში ჩასულ უცხოელს ადგილობრივი ოსტატები საოცარი სიზუსტით ხატავდნენ აბსოლუტურად უფასოდ. ამ სამუშაოს შესრულებისათვის ხელისუფლება იხდიდა ფულს, რათა საჭიროების შემთხვევაში ყველა უცხოელი ადვილად ეპოვათ.

❖ სადილის დროს საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV მიირთმეოდა 4 თევზ წვნიანს, შემწვარ სოხობს, მწვერს, სალათს, ლორის 2 ნაჭერს, ნივრის სოუსში ჩადებულ მოხარშულ ცხვრის ხორცს, ფუნთუშას, ხილს და მოხარშულ კვერცხს. სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მას ორჯერ უფრო დიდი კუჭი ჰქონდა, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს.

❖ ლუი XIV-ის მეფობის დროს ვერსალში კარზე დაკაკუნება აკრძალული იყო. ამის ნაცვლად კართან მდგომი მარცხენა ხელის ცერა თითით ფხაჭნიდა კარს. ამიტომ მოახლეებს უფლება ჰქონდათ, ცერა თითის ფრჩხილი მოეზარდათ.

ლეონარდო დიკაპრიო მუხაში ნიღბით სიარული დაიწყო

38 წლის ამერიკელი მსახიობი ლეონარდო დიკაპრიო ვენეციის ქუჩებში ნიღბით დადიოდა. ეს არავის გაუკვირდებოდა, ლეოს ვიზიტი ვენეციის ცნობილ ნიღბებიან კარნავალს რომ დამთხვეოდა, თანაც პოლივუდის ვარსკვლავის ნიღაბი სულაც არ იყო სადღესასწაულო. მას მკაცრი, შავი, ცოტა საშიში ნიღაბი და სათვალე ეკეთა, თან კეპიც ეხურა. ამით მსახიობმა ხაზი გაუსვა, რომ ქუჩაში ადამიანებთან დისტანცირება სურს, მაგრამ საპირისპირო ეფექტი მიიღო — უფრო მეტი ყურადღება მიიქცია. ლეონარდო ნიღაბი არც მან მოიშორა, როდესაც იტალიური პიცის დაგემოვნება გადამწყვიტა.



ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ დიკაპრიოს ვარსკვლავურ მანიაზე. ცოტა ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში მსახიობმა თავის ცხოვრებაზე ბევრი იწუნუნა:

— ძალიან მინდა, ქუჩაში ვარსკვლავი არ ვიყო. ბენდიერი ვიქნებოდი, უჩინაჩინის ქუდი რომ მქონდეს. რაღაც უნდა მოვიფიქრო, რათა ქუჩაში წყნარად სიარული შევძლო. ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელებაა ხალხის დაჟინებული მზერა. კინო მიყვარს, მაგრამ რაც კინოს მოჰყვება, ყველფერი მალიზიანებს, მათ შორის, ასეთი პოპულარობაც.

რობერტ დე ნირო ბიოლოგიური შვილი გამოაჩინა

3 ოლივუდის ვარსკვლავი რობერტ დე ნირო მამა წელიწადნახევრის წინ გახდა, მაგრამ შვილს, ჰელენ გრეისს, საზოგადოებისგან საგულდაგულოდ მალავდა. 69 წლის დე ნირო და 58 წლის გრეის ჰაიტიანური თავიანთ ქალიშვილს მართლაც მალავდნენ. ბავშვი სუროგატი დედის საშუალებით დაიბადა, რომლის ვინაობაც გასაიდუმლოებულია.

ბავშვის დაბადებამ რობერტის ცხოვრება სრულიად შეცვალა. ის ცდილობს, გადაღებებზე მაქსიმალურად უარი თქვას და მეტი დრო სახლში გაატაროს. ცოტა ხნის წინ ცოლ-ქმარი წლიწახევრის შვილთან ერთად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე პირველად გამოჩნდნენ. მშობლებმა გოგონა კაფეში შეიყვანეს და ნაყინი გაასინჯეს.

რობერტს უფროსი შვილებიც ჰყავს — 37 წლის რაფაელი პირველი ცოლის, მსახიობ დაიან ებოტისაგან. მან ასევე საკუთარ შვილად აღიარა დაიანას უფროსი შვილი დრინა, რომელიც ფეშენ-ინდუსტრიაში მუშაობს. რობერტ დე ნიროს ტყუპები — ჯულიანი და აარონი, რომლებიც შავკანიანმა მოდელმა ტუკი სმიტმა გაუჩინა, 17 წლისანი არიან. ამჟამინდელ ცოლთან, ყოფილ ბორტგამცილებელ გრეის ჰაიტიანურთან, დე ნირო უკვე 16 წელია ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ოჯახს უფრო დიდ ყურადღებას უთმობს, დე ნირო ეკრანზე მაინც პროდუქტიულია. მისი მონაწილეობით წლის ბოლომდე 6 ახალი ფილმი გამოვა.



ანჯელინა ჯოლი მკერდის მოკვეთის შემდეგ პირველად გამოჩნდა

3 ოლივუდის ვარსკვლავური წყვილი, ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი ახალი ფილმის „სამყართა ომები ზეტი“ პრემიერაზე პირველად გამოჩნდნენ მას შემდეგ, რაც ანჯელინამ სარძევე ჯირკვლის ამოკვეთის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა. მანამდე ის არავის ენახა მას შემდეგ, რაც პრესის საშუალებით აღიარა, რომ კიბოს მალალი რისკის გამო მკერდი მოიკვეთა. ანჯელინამ განაცხადა, რომ გენეტიკურად კიბოს განვითარებისკენ გახლდათ მიდრეკილი — დედამისი 56 წლის ასაკში კიბოსთან ხანგრძლივი ჭიდაობის შემდეგ გარდაიცვალა.

ანჯელინას სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ ისიც კიბოს გენის მატარებელი იყო.

— ექიმებმა დამიბრძინეს, რომ მკერდის კიბოს განვითარების 87%-იანი რისკი მქონდა, ამიტომ გადაწყვიტე, დრო არ დამეკარგა და მამინევე ოპერაცია გამეკეთებინა, — აღნიშნა ერთერთ ინტერვიუში მსახიობმა.

ეს პროცესი 3 თვე გრძელდებოდა, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ანჯელინა მუშაობას აგრძელებდა და არავის გახჩენია ეჭვი, რომ ის რთულ სამედიცინო პროცედურებს გადიოდა.

ქმრის პრემიერაზე ანჯელინა შავი, მოკრძალებული კაბით მივიდა. მსახიობმა მკერდის მოკვეთის შემდეგ იმპლანტანტი გამოიყენა და მისი „ახალი“ მკერდის სურათებით მთელი დასავლური პრესა აჭრელდა.



ანჯელინა ჯოლი და ბრედ პიტი

ჯენიფერ ლოპესი: „გაპირი ქალი ჩაეზა ვულგარულია“

ბ ანგრძლივი პაუზის შემდეგ ჯენიფერ ლოპესმა ბრიტანელების კრიტიკას უპასუხა. ცოტა ხნის წინ ბრიტანული ტელანტიების შოუს საფინანსო კონცერტზე მისი გამოსვლა ინგლისელების აღფრთოების მიზეზი გახდა. მაყურებელმა ვარსკვლავი იმის გამო გააკრიტიკა, რომ საოჯახო დროის ჩარჩოში ეკრანზე საკმაოდ ვულგარულად ჩაცმული გამოჩნდა.

მომღერალი კონცერტზე ლატექსის კოსტიუმით გამოვიდა და საკუთარ უკანაღს უკეთებდა დემონსტრირებას. საერთო ჯამში, მისი გამოსვლა მართლაც სექსუალური და თამამი გახლდათ, ამიტომ კონსერვატორმა ბრიტანელებმა ლოპესი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს.

— ვფიქრობ, ბევრი ქალი უფრო ვულგარულია, ვიდრე მე. სასაცილოა, სასცენო კოსტიუმის გამო დღეს ადამიანი გააკრიტიკო. ქუჩაში ასე სიარულს არ ვაპირებ, მაგრამ სცენას სჭირდება ის, რასაც მე ვირჩევ. ჯობია, მათ, ვინც მე მაკრიტიკებენ, თავიანთ გარდერობს გადახედონ. მე პროფესიონალი ვარ და არასოდეს დაუშვებ ისეთ შეცდომას სცენაზე, რომ შემდეგ ამისთვის ბოდიშის მოხდა დამჭირდეს, ამიტომ საბოდიშო არაფერი მაქვს! — განაცხადა ჯენიფერ ლოპესმა.





SilkLab

აირჩიე თემატური პაკეტი

დაიმათე პირდაპირ
თელევიზორიდან

კლიუსი+ / სკორტი / კინო
საბავშვო / ჰობი / HD / 18+

2 100 100
www.silknet.com

